ეროვნული ბიბლიოთეკა

ალ. მანველიშვილი

# რუსეთი და საქართველოს დამოუკიდებლობა

სან ფრანცისკო

1984

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალ. მანველიშვილი

# რუსეთი
# და
# საქართველოს
## დამოუკიდებლობა

სან ფრანცისკო

1984

ჯანრი კაშია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ავტორისაგან

1931-1934 წლებში დავწერე წიგნი, რომელიც მოიცავდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის ზოგად მიმოხილვას, წინა საუკუნეებიდან დაწყებული 1934 წლამდე. ამ დროს მოხდა რუსეთის მიღება ერთა ლიგაში, და შვეიცარიის პრეზიდენტის მიერ იქ წარმოთქმული სიტყვებით დავამთავრე და ეს წიგნი ახლაც ასე თავდება.

წიგნი შესდგებოდა სამი ნაწილისაგან. პირველი ეხებოდა ადრინდელ ხანას, პირველი ანექსიით გათავებული. მეორე წიგნი შეეხებოდა რუსეთის ბატონობას საქართველოში და მესამე ახალ ხანას, დაწყებული პირველი მსოფლიო ომიდან.

ხელნაწერი რამდენიმე ძველ მოღვაწეს გავაცანი. მათ მიიწონეს მისი გამოცემა. მაგრამ ის დიდ ხანს იდო თაროზე. მხოლოდ 1951 შევძელ გამომეცა მისი პირველი ნაწილი (რუსეთი და საქართველო.ტ.1). ორმა ნაწილმა განაგრძო თაროზე მოსვენება.

ჩემი ამერიკაში გადასახლების შემდეგ მისი გამოცემის იმედი დამეკარგა. ხოლო რომ ეს შესაძლებელი გამ-

ხდარიყო, გადავწყვიტე მხოლოდ ერთ, და ისიც დამო-უკიდებელ წიგნად გამოცემა. ამიტომ მეორე ნაწილი სულ მოვხსენ და მისი შინაარსი მოვათავსე მხოლოდ ერთ თავში; მესამე ნაწილიც საგრძნობლად შევკვეცე და 1970 წლის შევასწორე ახალი ცნობების შევსებით. საერთო შთაბეჭდილებისათვის პირველ თავში მოკლედ გავიმეორე პირველი წიგნის მთავარი აზრი და ასე და-იბადა ეს წიგნი. ვამთავრებ იმავე თარიღით.

1934 წლის შემდეგ ბევრი რამ მოხდა. რაც შეიძლე-ბა გახდეს საგანი სპეციალური შესწავლისა და რაც ახალ თაობას უნდა გადაულოცოთ, მით უმეტეს, რომ მთავარი მასალა საქართველოშია ჩამარხული და უცხო-ეთში მყოფი ქართველისათვის ხელმიუწვდომელი.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორია აქამდე არავის დაუწერია. საქართველოში ბევრი სპეციალისტი გვყავს, მაგრამ შექმნილ პირობებში არ მგონია თუ ამ საკითხის მ ი უ დ გ ო მ ე ლ შესწავლას ვინმე გაბედავს!

ჩემი ცდა იყო პირველი, ამიტომ ის უნაკლო ვერ იქნება, ხოლო მისი ღირსეული შესრულება მივანდოთ ბედნიერ დროსა და ბედნიერ თაობას.

ჩემი ცდა მაინც არ შეეხება ისტორიის დაწვრილებით შესწავლას. ის არის ამ ისტორიის ზოგადი მიმოხილვა, მთავარი და მნიშვნელოვანი მოვლენების გათვალისწინებით. ჩემი პირველი წიგნი დადებითად იყო შეფასებული. შემდეგი დროისათვის მის გავლენაზე ჩემთვის უხერხულია რამე ვსთქვა.

წინამდებარე წიგნი ახალ ხანას ეხება, რომლის მომსწრე და მოწმეთაგან ზოგი ახლაც ცოცხალია და თუ ახალს არაფერს დაუმატებს, ვერც რამეს გამოაკლებს.

წიგნში შევეცადე ნათელმეყო ერთი ძირითადი აზრი: რუსეთის მუდმივი მისწრაფება საქართველოზე ბატონობისა და ქართველობის ერთობლივი წინააღმდეგობა. მიუხედავად ქართული პოლიტიკური ჯგუფების დაქსაქსულობისა სხვა და სხვა იდეოლოგიურ მიმართულებებში, საბოლოოდ ეროვნული დამოუკიდებლობის იდეის გარშემო ყველა გაერთიანდა. გამონაკლისს წარმოადგენდნენ ქართველი კომუნისტები. მაგრამ რუსეთის სასტიკი წნევის შედეგად არის ნიშნები, რომ ერის თავისუფლების მარადიული პრინციპი ამ ჯგუფშიც გაიმარჯვებს და ქართველი ერის მუდმივი ნანატრი იდეალის გარშემო მთელი ერი დაირაზმება მისი უკვდავების დასაცავად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თავი პირველი

# რ უ ს ე თ ი ს ბ ა ტ ო ნ ო ბ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი

1. საქართველოს ანექსია. გარეშე მტერთაგან შევიწროებული საქართველო, რომელთაგან ერთი ნაწილი უკვე მიტაცებული იყო თურქების მიერ და დანარჩენი ნაწილი დაყოფილი, ვერ უმკლავდებოდა მტრებს. ამ ნიადაგზე მან არა ერთხელ სცადა მიეღო დახმარება დასავლეთის ქრისტიან სახელმწიფოთაგან, უშედეგოდ.

დარჩა ჩრდილოეთით ქრისტიანული რუსეთი და ქართველებმა ესეც სცადეს და კვლავ უშედეგოდ.

ამ დროს რუსეთი თვითონ მიილტოდა კავკასიისაკენ თავისი აღმოსავლეთის პოლიტიკის განსახორციელებლად. ქართველმა მეფეებმა ამაში დაინახეს საერთო ინტერესი. ალბად ამგვარი გაგების შედეგი იყო 1721 წლის სამხედრო კავშირი პეტრე დიდისა და ქართლის მეფის ვახტანგ მეექვსის შორის სპარსელების წინააღმდეგ. ხოლო უფრო გვიან ეკატერინე მეორისა და ქართველი მეფეების, ირაკლისა და სოლომონის შო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის, თურქების წინააღმდეგ (1768 წ.)

თუმცა ისიც ცნობილი იყო, რომ ეს კავშირები საქართველოსთვის ძალიან საზიანო აღმოჩნდა. რუსებმა მხოლოდ გამოიყენეს ქართველ მეფეთა ძოკავშირეობა. მის შედეგად კი პირველ შემთხვევაში მეფე ვახტანგმა დაკარგა თავისი სამეფო და რუსეთში გადასახლდა, ხოლო მეორე შემთხვევაში საქართველომ განიცადა უარესი რეპრესიები, როგორც თურქებისაგან ისე სპარსელებისაგან.17.

მიუხედავად ამ მწარე გამოცდილებისა, მეფე ერეკლე კვლავ კომპრომისზე წავიდა, უფრო რუსეთის წნევით და ასე დაიბადა 1783 წლის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება. (ამის შესახებ დაწვრილებით იხ.ჩვენი წიგნი: "რუსეთი და საქართველო" (ტ.პირველი,1951). ეს ხელშეკრულება, როგორც უკვე შეფასებულია მსოფლიო იურისტთა მიერ, წარმოადგენს ორივე მხარის ნებაყოფლობით აქტს, რომლის დარღვევა ან გაუქმება უნდა მომდარიყო ორივე მხარის ნებით.

ამ ხელშეკრულებით საქართველო შედის რუსეთის იმპერიის მფარველობაში. ეს იყო მისი ცენტრალური იდეა. თავისი სუვერენობიდან კი ის მხოლოდ იმ კომპრომისს

აკეთებდა, რომ საგარეო პოლიტიკაში უნდა ემოქმედა რუსეთთან თანხმობით. რუსებისაგან კი უნდა მიეღო სამხედრო დახმარება. საქართველოს მტერი აღიარებული იყო რუსეთის მტრად და სხ. ამ ხელშეკრულების ტრადიციულ შედეგებზე ვრცლად არ შევჩერდებით, (ის სხვაგან გვაქვს განხილული). აღვნიშნავთ მხოლოდ ზოგიერთ ფაქტს:

რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებით განრისხებული აღა-მაჰმედხანი შემოესია საქართველოს 1795 წ. ქართველმა მეფემ თავის დროზე აცნობა რუსეთის მთავრობას მოახლოებულ საფრთხეს და სთხოვდა დახმარებას, მაგრამ ის ვერ მიიღო. სხვათა შორის ეს საკითხი ხელშეკრულებაში გარკვეულად არის აღნიშნული: საჭირო შემთხვევაში ქართველ მეფეს უნდა მიემართა პირდაპირ კავკასიის ხაზზე მდგომი რუსის ჯარისათვის, რომელსაც უფლება ჰქონდა მთავრობის დაუკითხავად დახმარებოდა ქართველ მეფეს. ეს კი არ მოხდა, რადგანროგორც შემდეგ გამოირკვა, ბრძოლა რომ სექტემბერში გათამაშდა, კავ. ხაზის ჯარების უფროსს გუდოვიჩს მაისიდან ჰქონდა ბრძანება, მთავრობის ნებადაურთველად ერეკლეს არ დახმარებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფე ერეკლემ ვერ მოასწრო საკმარისი ძალების შეკრება და თანაც რუსების დახმარებით დაიმედებული და მერე იმედ გაცრუებული, მისი ხანგრძლივი ცხოვრებისა და ბრძოლების დროს , ეს იყო პირველი შემთხვევა რომ ის სასტიკად დამარცხდა; აღა-მაჰმედ ხანმა გაანადგურა საქართველო, გადასწვა თბილისი და დიდძალი ქართველობა ტყვედ წაიყვანა. ამნაირად, რადგან რუსებმა ეს მთავარი მუხლი ხელშეკრულებისა არ შეასრულეს, მითვე ამ ხელშეკრულებას ძალა დაკარგული ჰქონდა და შახიც დაიმედებული იყო რომ მდგომარეობას შეაბრუნებდა.

რუსეთის მთავრობის ასეთი მოქმედება თუ მაშინ გაუგებარი იყო ქართველებისათვის და შეიძლება რუსის სარდლობისათვისაც, მერე ესეც გამოირკვა: ამ გზით რუსეთს სურდა საქართველო სასოწარკვეთილობაში ჩაეყენებინა და მერე გაეადვილებინა მისი ანექსია. ეს ასეც მოხდა, რადგან მოუხედავად მოლოდინისა შახს იმედი არ გაუმართლდა. ერეკლემ არ მიიღო შახის მიერ შეთავაზებული შეღავათიანი პირობები და ბოლომდე დარჩა რუსეთის ერთგული, მიუხედავად დაღალატანებისა...

1796 წელს გარდაიცვალა ეკატერინე მეორე, 1797 წელს მოჰკლეს აღა-მაჰმად ხანი, ხოლო 11 იანვარს 1798 წელს გარდაიცვალა მეფე ერეკლე და მისი ტახტი დაიკავა მისმა უფროსმა შვილმა გიორგიმ.

გიორგი სუსტი და ავადმყოფი ადამიანი იყო. მაშინ როდესაც მდგომარეობა მოითხოვდა მაგარ ხელს. ეს ხელი კი ლევან ბატონიშვილის სახით ადრე გამოსალმეს მტრებმა წუთისოფელს!

გარეშე მდგომარეობის გართულებას დაემატა შინაური არეულობა, როგორც პოლიტიკური, ისე დინასტიური ხასიათისა. შექმნილ მდგომარეობაში ანტი' რუსული ფრე უფრო გაძლიერდა, რომელსაც მეთაურობდა ერეკლეს კანცლერი სოლომონ ლეონიძე, განთქმული მეომარი და პოლიტიკოსი თავისი დროისა. გიორგი მეტად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. გარდა გარეშე მტრისა, შიგნით მისი ძმები ტახტს ეცილებოდნენ დარეჯან დედოფლის მეთაურობით და დაუსრულებელი ინტრიგებით. ასეთ პირობებში გიორგის ისევ რუსეთი დარჩენოდა: წყალ-წაღებული ხავსს ეჭიდებოდა. მან კვლავ მოინდომა ძველი ხელშეკრულების განახლება თუნდაც ზოგი დათმობებით.

რუსები ამ მდგომარეობას თვალს ადევნებდნენ და ყველაფერს თავიანთ სასარგებლოდ იყენებდნენ.

გიორგის ნოტა რუსეთის მთავრობისადმი არც კი ყოფილა განხილული. მათ საქართველოში შემოიყვანეს ჯარი გენ. კნორინგის მეთაურობით. მასვე დაავალეს შეესწავლა საქართველოს მოწინავე წრეების განწყობილება რუსეთის მიმართ და მერე ყველაფერი პეტერბურგში ეცნობებინა. ამ დროს მეფე გიორგის დელეგატები იმყოფებოდნენ პეტერბურგში; ისინიც იმავე მიზნით დააბრუნეს საქართველოში.

გენ. კნორინგმა სრულიად ყალბი ცნობები მიაწოდა და ქართველი ელჩების დაბრუნებისათვის აღარ მოუცდიათ პეტერბურგში და იმის მაგიერ რომ საქართველოს საკითხი განეხილათ გიორგის ნოტის საფუძველზე, მათ უბრალოდ მისი ანექსია გადასწყვიტეს. ეს მაშინ, როდესაც თანახმად ხელშეკრულებისა გიორგი იყო დამტკიცებული მეფედ და უფროსი შვილი დავითი მის მემკვიდრედ.

გიორგი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო რომ იმპერატორმა პავლემ საქართველოს ანექსიის მანიფესტს ხელი მოაწერა. მერე კნორინგს საიდუმლო ბრძანება მისცეს, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც კი მეფე გარდაიცვლებოდა (ამ დროს ის ძა-
ლიან ავად იყო), მისი შვილი ტახტზე არ დაეშვათ
და საქ. ანექსიის მანიფესტი გამოეცხადებინა.

მალე მეფე გიორგი გარდაიცვალა. იმპერატორი
პავლე დაახრჩეს. იმპერატორმა ალექსანდრე პირველ-
მა, ქართველი ბატონიშვილების თხოვნით, საქართვე-
ლოს საკითხი ხელმეორედ დასვა სენატში განსახილვე-
ლად. ერთობა თვით იმპერატორი არ იზიარებდა საქარ-
თველოს ანექსიის საკითხს. სახელმწიფო საბჭოში აგ-
რეთვე რამდენიმე პირი არ იზიარებდა ანექსიის საკ-
ითხს. ესენი იყვნენ: ვორონცოვი, კოჩუბეი და ჩარტო-
რიისკი. ისინი ფიქრობდნენ რომ რუსეთისათვის ბევრად
სასარგებლო იქნებოდა საქართველოს დამოუკიდებლობა
შეენახათ 1783 წლის ხელშეკრულების საფუძველზე. აქ
საბჭოს კრებაზე, სახელმწიფო პროკურორმა, ბეკლეშ-
ევმა, იმპერატორის სახელით განაცხადა: "იმპერატორის
აზრით აღნიშნული სამეფოს რუსეთის ქვეშევრდომად გახ-
დომა იქნებოდა მითვისება უცხო მიწისა, რაც უსამარ-
თლობა იქნებოდაო" (ასევე ათასწლიანი დინასტიის გაუ-
ქმება). მაშასადამე, რუსეთის ცალმხრივი აქტის უსა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლობა იმპერატორმა თვითონ აღიარა.1)

ყოველივე ეს დოკუმენტებზეა აღნუსხული და მრავალჯერ გამოქვეყნებული. ამიტომ სრულიად უაზროა რუსების მიერ შექმნილი და მერე სხვების მიერ განმეორებული ლეგენდა: თითქოს ქართველმა ერმა ჩაიდინა თვითმკვლელობა, თითქოს ქართველმა მეფემ რუსეთს მიართვა საქართველო საჩუქრად!

ეს ყველაფერი შეეხებოდა ქართლ-კახეთის სამეფოს, ხოლო ისიც ცნობილია, რომ დანარჩენი ნაწილები საქართველოსი ზოგი მოტყუებით და ზოგი ძალით იყო დაპყრობილი.

2) რუსეთის მმართველობა, განათლება და რუსიფიკაცია.

საქართველოს ოკუპაციის დღიდან დაარსდა "საქართველოს უზენაესი მმართველობა". სათავეში იდგა მთავარსარდალი: ის ითვლებოდა როგორც სამხედრო ისე სამოქალაქო მმართველად. ეს მდგომარეობა გაგრძელდა 1845 წლამდე. ამ დღიდან დაარსდა მეფის ნაცვლის თანამდებობა და ასეთად დაინიშნა გრაფი ვორონცოვი (1845-1854).

1)D.M.LANG. "The Last Years of the Georgian Monarchy. New York, 1957

ალ. მანველიშვილი. "რუსეთი და საქართველო" პარიზი.1951;

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი მეფის ნაცვალი იყო დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე (1862-1882). ამის შემდეგ კვლავ შეიცვალა ეს წესი. მეფის ნაცვლის მაგიერ იყო მთავარმართებელი და მას მიენიჭა ის უფლებები, რაც ჰქონდა შიდა რუსეთის გენერალ-გუბერნატორებს.

მთელი კავკასია იყო დაყოფილი გუბერნიებად. საქართველო დაყვეს თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებად. ამიერიდან ყველა გუბერნია უშუალოდ ემორჩილებოდა ცენტრს და მთავარმართებელს რჩებოდა ზედამხედველობის როლი. 1905 წელს კვლავ იქმნა აღდგენილი მეფის ნაცვლის თანამდებობა და ასეთად დაინიშნა თავ. ვორონცოვ-დაშკოვი.

როგორც კი გაბატონდნენ რუსები საქართველოში, იქ დაამყარეს რუსების წესები და კანონები. ქართველ ხალხს არც მათი ენა ესმოდა და არც მათი კანონები. ამიტომ თავიდანვე აუტანელი შეიქმნა ასეთი მდგომარეობა ქართველებისათვის. მეორეს მხრით თვით რუსებისთვისაც გაუგებარი იყო ქართველების მრავალსაუკუნოვანი კულტურული ცხოვრების ნიადაგზე შექმნილი ადათები და ჩვეულებები; ქართული ანდაზით: "ჩვეულება

რუსულზე უმაღლესია" და ამის დამტკიცებასთან კონფლიქ-ტი იყო აუცილებელი. ამავე დროს რუსული წესები და კანონები ქართველებისთვის აღმოჩნდა მეტად უცხო და აუტანელი. ამიტომ რუსებსა და ქართველებს შორის კულტურული ხიდი თავიდანვე ჩატეხილი იყო.

რაკი რუსებმა ქართული კულტურის ბუნება და ხასი-ათი ვერ გაიგეს, მათ ჩამორჩენილ და უკულტურო ხალ-ხად სთვლიდნენ. არსებობს უამრავი საბუთი, განსაკ-უთრებით კი მთავარმართებლების მოხსენებები რუსეთის მთავრობისადმი და სხ. სადაც ეს მდგომარეობა ერთხ-მად არის აღიარებული. ამნაირად, მათში დამუშავდა ქართველებზე უკულტურო ხალხის სახელი, რათა ამით უფ-რო გაემართლებინათ მათ მიერ წარმოებული რუსიფიკა-ციის პოლიტიკა.

მათი აზრით ქართველი ხალხი დაბალი ღირსებისაა შედარებით რუსის ხალხთან. მას არავითარი წარსული არ ჰქონია, არც კულტურა, არც ზნეობა, ის დღესაც დაცემულია. ამიტომ რუსის ხალხმა უნდა მოახდინოს ამ ხალხის ასიმილაცია. სხვანაირად შეუძლებელია ამ ხალ-ხის ამაღლება. ამიტომ გასაგებია, რომ ველური საშუალე-ბებისათვის უნდა მიემართათ რომ ქართველი ერის

გულიდან აღმოეფხვრათ ეროვნულ-კულტურული ძირები და იქ რუსული სული ჩაენერგათ! ამ ხალხმა არ იცოდა რომ საქართველოში ჯერ კიდევ მე-4-საუკუნეში არსებობდა უმაღლესი აკადემია, მაშინ როდესაც რუსის ხალხი ჯერ არ სჩანდა ისტორიის სარბიელზე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაკი მათ მთავარ მიზნად დაისახეს ქართველი ხალხის გარუსება, ამისთვის ისინი ყველა ნაირ ზომას მიმართავდნენ. ვლადიმერ ვოიტინსკი სწერს:"განაგრძობდა რა ქვეყნის რუსიფიკაციას, ცარისტული მთავრობა ფართოდ იყენებდა მისთვის ჩვეულ მეთოდებს. ის სცდილობდა უთანხმოებათა გაღვივებას ეროვნებათა შორის და გაძლიერებას სოციალური წინააღმდეგობათა, რომელიც სუფევდა ქართველ ხალხში"1).

რუსები ამ მიზნით პირველი დაეტაკნენ ქართულ სკოლას და ეკლესიას, რადგან ესენი აცოცხლებდნენ ქართული კულტურის ძირებს. მათ ერთი ხელის დაკვრით დახურეს ქართული სკოლები და მერე დაგვიანებით და ისიც მცირე რაოდენობით დაიწყეს რუსული სკოლების გახსნა.

საქართველოში განათლების საქმეს შორეული წარსული აქვს. ყოველ შემთხვევაში ქრისტიანობის დროიდან

---

1) W.Woytinsky. "La Democratie Georgienne" Paris 1921

ჩვენთვის უკვე ცნობილია. საქართველოში განათლე-
ბის საქმე ძრიად განმტკიცებული იყო. მეფიდან მო-
ყოლებული დიდ მოხელეთ და სარდლობასაც უნდა ჰქონო-
და სპეციალური და საერო განათლება. საქართველოში უძ-
ველეს დროიდანვე მიღებული იყო უცხო ენების სწავლა.
ქართული მოწინავე ერე თავისი დროის ცნობილ ენებს:
ბერძნულს, სპარსულს, არაბულს, თურქულს და სხ. კულ-
ტურული გაცვლა-გამოცვლაც დიდი იყო; მაგ: მეოთხე სა-
უკუნეში საქართველოში არსებულ აკადემიაში
ბერძნებიც სწავლობდნენ. ცნობილია ზოგიერთი ბერძენი
ფილოსოფოსის სახელი, რომელთაც აქ მიუღიათ განათლება.

წინა რენესანსის ხანაში, როდესაც დასავლეთის ქვე-
ყნებში დაიწყო უნივერსიტეტების დაარსება, საქართვე-
ლო ფეხ-და-ფეხ მისდევდა მათ და ზოგჯერ ბევრად ადრეც
შექმნა თავისი უმაღლესი განათლების ცენტრი. აი ქრო-
ნოლოგია: 1088 წელს დაარსდა ბოლონის უნივერსიტეტი,
1100წელს პარმის, 1106 წელს საქართველოს გელათის აკა-
დემია და მერე იყალთოსი, 1120 წელს პარიზის, 1130
წელს ოქსფორდის, 1224 წელს ნეაპოლის, და სხ.

1) H.Pirenne, G.Cohen, H.Focillon. La Civilisation du Moyen Age. Paris 1941.

ხოლო უფრო ადრე როდესაც 1044 წელს დაარსდა
კონსტანტინეპოლში მანგანის აკადემია, იქ უხვად
იწვრთნებოდნენ ქართველი ახალგაზრდობა და ასე
განათლებული უბრუნდებოდნენ საქართველოს (იხ. კორ-
ნელი კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ.1)

რუსების მოსვლის დროსაც მარტო აღმოსავლეთ საქ-
ართველოში არსებობდა ორი უმაღლესი სასწავლებელი:
თბილისსა და თელავში, რომელთა იდეოლოგიური მეთა-
ური იყო განთქმული ფილოსოფოსი და ღვთისმეტყველი,
საქართველოს კათალიკოსი ანტონ პირველი...

რუსებმა ქართული სკოლები დახურეს. რუსული
სკოლებიც ვერ შექმნეს საკმარისი ოდენობით. მაგ:
მეცხრამეტე საუკუნის სამოციან წლებში მთელ საქ-
ართველოში არსებობდა მხოლოდ ორი საშუალო სასწავ-
ლებელი. უმაღლეს სასწავლებელზე ხომ ოცნებაც არ შე-
იძლებოდა! მთელ კავკასიაში ერთი უმაღლესი სკოლაც
არ გახსნეს, თუნდაც რუსულ ენაზე...

ქართველები გრძნობდნენ რა ასეთ დაქვეითებას,
რუსის მთავრობას ხშირად მიმართავდნენ თხოვნით უმ-
აღლესი სასწავლებლის დაარსების შესახებ, მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავრობა ყოველთვის უარს ეუბნებოდა. მათ სურდათ რომ გარუსების მიზნით ქართველ ახალგაზრდობას რუსეთში მიეღო განათლება.

რაც შეეხება დაბალ სკოლებს, ყველა რუსულ ენაზე იყო და მათაც გარკვეული ამოცანები ჰქონდათ დაკისრებული. აი, რას ფიქრობდა ვორონცოვ-დაშკოვი სწავლა განათლების მიზნებზე რუსებისა საქართველოში:

K 298.3 875

"სახალხო სკოლების ამოცანა შიდა რუსეთისათვის არის მოსახლეობის ყოვლისმხრივი განვითარების ამაღლება. გარდა ამ ამოცანისა, კავკასიის სახალხო სკოლას აქვს კიდევ სხვა მიზანი. მთანერგვა უცხო ენის მოსახლეობაში რუსული ენისა, რომელიც უდაოდ ითვლება მთავარ ფაქტორად მრავალ ენებზე მოლაპარაკე ადგილობრივი ტომების შესაერთებლად იმპერიასთან" 1).

ამნაირად, საქართველოში აღარ არსებობდა ქართული სკოლა. ყველაფერი ისწავლებოდა რუსულად და რუსულივე უხეში მეთოდებით. დასაწყისში ქართული ენაც დასტოვეს, როგორც ცალკე საგანი, ისე როგორც დღეს ისწავლება უცხო ენები და მერე ესეც მოსპეს. საერთოდ ქართული ენა მუდმივ დევნას განიცდიდა. ხან შემოიღებდნენ როგორც საგანს და ხან სპობდნენ. მოკლედ ყველა ზომებს ღებდნენ, რომ ქართველებს საკუთარი ენა დაევიწყებათ.

1) ვსეპოდდანნეიშაია ზაპისკა პო უპრავლენიუ კავკაზსკიმ კრაემ. გ.დაშკოვ. პეტერბურგ. 1907.

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და შეეთვისებინათ რუსული. ეს მაინც ვერ განახორციელეს, რადგან მაშინ სკოლაში სწავლობდა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი ახალგაზრდობისა, ხოლო სკოლის გარეშე რუსული ენის შესწავლა შეუძლებელი იყო...

რუსეთში ზოგიერთ პრივილეგიებს ანიჭებდნენ მოწინავე წოდების შვილებს. ეს კი იმაში გამოიხატებოდა რომ მათ გარუსების მიზნით რუსეთში აგზავნიდნენ. 1899 წელს ქუთაისის გუბერნატორმა შუამდგომლობა აღძრა იმპერატორთან, რათა ქართველ თავად-აზნაურთა შვილებს სტიპენდია მისცემოდათ მხოლოდ კადეტთა კორპუსში, რადგან იქ ადვილია მათი რუსულად აღზრდა და რუსეთში გათქვეფა.

70-ან წლებამდე ეს ბრძოლა უფრო შენელებული იყო, ხოლო შემდეგ ძალიან გამძაფრდა. გაძლიერდა ქართული ენის დევნა. არც მოსახლეობას და არც ბავშებს რუსული ენა არ ესმოდათ. ბავშებს სტანჯავდნენ მათთვის უცხო ენით.

აქ მინდა მოვიგონო ჩემი პირადი ბავშობის ამბავი. პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში დავამთავრე სოფლის სასწავლებელი. ჩვენი მასწავლებელი ყველაფერს ქართულად გვასწავლიდა. რუსული მხოლოდ წერა-კითხვა ძლივს შევითვისე. 1915 წელს მიმაბარეს ქალაქის სასწავლებელში. აქ ყველაფერი ისწავლებოდა რუსულად.

აქ დაიწყო ჩემი ტანჯვა. ქალაქის ბავშებს ცოტა ესმოდათ რუსული. მე კი არაფერი; არითმეტიკაში კიდევ ვერკვეოდი, ხოლო გეოგრაფიასა და ისტორიაში არაფერი მესმოდა. ყველაფერს ვიზეპირებდი და დამაკმაყოფილებელ ნიშნებსაც ვიღებდი, ხოლო არაფერი მესმოდა. მასწავლებელი იყო რუსის ახალგაზრდა ქალი, ფრიად კეთილშობილი და ის შედიოდა ჩემს უბედურ მდგომარეობაში და ალბად ამიტომ არ მისვამდა ცუდ ნიშნებს. ასე ვიტანჯებოდი პირველ წელს და არც მეორე წლის ნახევარში მიგრძვნია დიდი შეღავათი რომ მომისწრო რევოლუციამ და იმავე დღიდან სწავლება გადავიდა ქართულზე..

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ქართული ენის მიმართ დიდი რეპრესიები დაიწყო. ზოგ რუს სინდისიერ პედაგოგთა შორისაც ამან დიდი გულისწყრომა გამოიწვია. ეს პედაგოგები არ იზიარებდნენ ოფიციალურ წესებს; და ეს სწორედ მავნებლად მიაჩნდათ რუსული მიზნებისათვის. მათი აზრით ქართველების დაახლოება რუსებთან რეპრესიებით და მათი საკუთარი ენის მოსპობის გზით არ შეიძლება. თუ გვინდა რომ ისინი დავიახლოვოთ, ჩვენ თვითონ უნდა შევისწავლოთ მათი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ენა და ადათ-ჩვეულებებით და სხ.

1880 წ. 15 იანვარს ქუთაისის გიმნაზიის დირექტორი სტროიანოვი ასე მიმართავდა მთავრობას:

"... ქართული ენა სამშობლო ენაა. პირველდაწყებითი განათლება უნდა სწარმოებდეს სამშობლო ენაზე. შემდეგი განათლებაც სამშობლო ენის საშუალებით უნდა მიმდინარეობდეს. ამიტომ მოსამზადებელ კლასებში მასწავლებლებად უნდა იყვნენ ქართველები, ან ისეთი რუსები, რომელთაც ქართული იციან... ამბობენ რომ საქართველო უნდა თანაეზიაროს რუსების კულტურასო, და იმავე დროს ერთმა რუსმაც არ იცის ქართული ენა. საქართველოში მცხოვრები რუსის შვილები ათავებენ გიმნაზიებს, უმაღლეს სასწავლებლებს, მსახურებენ საქართველოში და არ იციან ქართველების არც ენა და არც ჩვეულებები. ინგლისელმა მოხელეებმა, რომელნიც ფოთი-თფილისის რკინის გზას აშენებენ, 5-6 თვის განმავლობაში შეისწავლეს ქართული ენა. რუსები კი მიუხედავად იმისა, რომ ნახევარ საუკუნეზე მეტი საქართველოში არიან, არ იციან, არც ერთი ქართული სიტყვა"1).

ამგვარ განცხადებას კი ის მოჰყვა, რომ რუსის მთავრობამ სტროიანოვი მაშინვე თანამდებობიდან გადააყენა და რუსეთში გაისტუმრა. რუსის მთავრობა ასე სასტიკად ექცეოდა ყველა იმ რუსის მოხელეს, ვინც ოდნავ კრიტიკულად შეხედავდა მთავრობის მიერ დამყარებულ წესებს. პროტესტი უფრო ძლიერი იყო ქართველების მხრით, რომელნიც არც სასჯელს ერიდებოდნენ და არც რეპრესიებს.

1) გრ. გიორგაძე. საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში. გვ. 238. თბილისი 1928 წ.

1880 წელს კავკასიის სასწავლო მზრუნველმა, იანოვსკიმ, მისწერა ქუთაისის სახაზო სკოლების დირექტორებს, რომ ბავშვებს პირველი წლიდანვე ქართული ენის ნაცვლად რუსული ენა ასწავლეთო. ამან დიდად აალელვა ქართველობა და გაზეთ "დროების" რედაქტორმა ს. მესხმა ასე მიმართა იანოვსკის: "თქვენ გინდათ წაგვართვათ ენა, მოსპოთ ის. არავის აქვს უფლება ასეთი სიტყვებით მიმართოს ხალხს. ქართველების სურვილები იგივეა რაც ყველა ხალხებისა: დაიცვას თავისი სამშობლო ენა, მამული, სჯული, სარწმუნოება. თქვენი სურვილი კი - დაავიწყოთ ქართველებს ქართული ენა, თქვენ ცდილობთ სწავლებით ქართველ ხალხს" და სხ. ეს სიტყვები იყო პროტესტი მთელი ქართველი ხალხისა და ილია ჭავჭავაძემაც "ივერიიდან" სასტიკად გაილაშქრა რუსების წინააღმდეგ.

როდესაც 1881 წელს რუსეთში მოჰკლეს ალექსანდრე მეორე, ამან საქართველოშიც დიდი რეპრესიები გამოიწვია. პირველი ბრძანება ის იყო რომ სრულიად აკრძალეს ქართული ენის სწავლება სკოლებში. განსაკუთრებით შეაწუხეს თბილისის სასულიერო სასწავლებლის მოწაფეები. შედეგად დაიწყო მოწაფეთა აჯანყებები. ამ არეულობაში ჩაება მოსახლეობაც. მთავრობას აძლევდნენ მრავალ თხოვნებს და ემუდარებოდნენ, რომ ქართული ენის სწავლება კვლავ ყოფილიყო განახლებული მაგრამ ამაოდ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

1885 წელს, როდესაც საქართველოში ჩამოვიდა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე, ქუთაისის გუბერნატორმა, დ.ყიფიანმა წარუდგინა მას თხოვნა და აუხსნა შექმნილი მდგომარეობა. დ.ყიფიანი კი გახლდათ ქართულ მოწინავე წრეებში ყველაზე ლოიალურად განწყობილი რუსებისადმი, და ასეთი ადამიანიც აღელვა რუსების მოქმედებამ. დიდმა მთავარმა ეს აცნობა მთავარმართებელს დონდუკოვ-კორსაკოვს. უკანასკნელმა ყიფიანს მოსთხოვა ანგარიში. ყიფიანმა წარუდგინა ვრცელი მოხსენება, სადაც აღნუსხული ქართველების დევნა. კორსაკოვმა ის იმპერატორს გადაუგზავნა. უკანასკნელმა ის განიხილა და 13 დეკ. 1885 წელს ასეთი რეზოლუციით დაუბრუნა მთავარმართებელს: "იმპერატორი სცნობს რა ბატონ ყიფიანის ამგვარ მოქმედებას უადგილოდ, თქვენს ბრწყინვალებას ავალებს გამოუცხადოს მას შესაფერისი გაკიცხვა". (ვ.გოროგაძის დასახელებული შრომა, გვ.248).

ასე გაუმასპინძლდნენ რუსები მათ ერთგულ მოხელესაც. დიმიტრი ყიფიანი დიდი პატრიოტიც იყო, ოღონდ ფიქრობდა თავისი ქვეყნის ბედზე რუსეთთან კავშირში.

როდესაც ქართული ენის გამო აჯანყდნენ სემინარიის მოსწავლენი, მთავრობამ მათ წინააღმდეგ სასტი-

კი ზომები მიიღო: ბევრი გარიცხა ისე, რომ მათ არც ერთ სასწავლებელში აღარ შეესვლებოდათ. მათ შორის იყო მოწაფე იოსებ ლალიაშვილი, რომელმაც 1886 წ. მოჰკლა სემინარიის რექტორი ჩუდეცკი. ლალიაშვილს სიკვდილი გადაუწყვიტეს, მაგრამ როგორც მცირეწლოვანს (18 წლის იყო) 20 წლით ციმბირით შეუცვალეს. მაგრამ ლალიაშვილი ციმბირიდა ამერიკაში გაიქცა და თავისი სიცოცხლე იქ გაათავა...

ამ ამბის გამო რუსეთის პრესამ დიდი განგაში ასტეხა და ქართველი ერი ველურად გამოაცხადა. ხოლო, ეგზარხოსმა პავლემ, ჩუდეცკის დამარხვაზე წარმოთქმულ სიტყვაში ქართველი ერი დასწყევლა და შეაჩვენა. ამის გამო კი იმავე დ.ყიფიანმა ეგზარხოს პავლეს მიმართა წერილით და სთხოვდა დაეთხოვებინა ის ერი, რომლის სამსახურისათვის იყო მოვლენილი და ის კი სწყევლიდა. (იხ. დ.ყიფიანის მემუარები. 1930 წ. ს.ხუნდაძის რედაქციით.)

ყველა მიხვდება თუ რა იყო ველური ამ მოქმედებაში: საპასუხოდ რუსის მთავრობამ დ.ყიფიანი სტავროპოლში გადაასახლა, სადაც 1887 წელს, 24 ოქ.

მძინარე მოხუცს მოუგზავნა აგენტები და ქვებით თავი გაუჩეჩქეს. დ.ყიფიანის ნეშთი საქართველოში გადმოასვენეს და აქაც მისი დამარხვა მოხდა დიდი რეპრესიების ქვეშ; დამარხვის სურათს აგვიწერს თავის მოგონებებში ჩვენი მხცოვანი მეცნიერი ექვთიმე თაყაიშვილი შემდეგნაირად:

"... საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოვიდნენ დეპუტატები და სხვა და სხვა დაწესებულებების წარმომადგენლები. ყველანი სამგლოვიარო ლენტებით დავხვდით ვაგზალზე... დაიძრა პროცესია დავით ყიფიანის მეთაურობით. როგორც კი მოუახლოვდით გრიბოედოვის ქუჩის ასავალს, პოლიციამ გადაგვკეტა და გამოგვიცხადა რომ პროცესია გრიბოედოვის ქუჩით უნდა წავიდეს. შეიქმნა ერთი ჩოჩქოლი. ხალხი წინ მიმავალი მიაწვა. ამასობაში ნიკო,დიასამიძე, რომელიც წაბლის ფერ ტაიჭზე იჯდა, ქართულ ჩოხაში გამოწყობილი, ცხენ და ცხენ გაარღვია პოლიციის რაზმი და გასწია წინ. დავით ყიფიანიც მას გაჰყვა. პოლიცია წინ გადაუდგა სამგლოვიარეებს, რომელსაც მოუძღოდა ცნობილი ქართველი პატრიოტი, ბერი, ეპისკოპოსი ალექსანდრე ოქროპირიძე. ის საერთოდ არ იყო გამბედავი კაცი, მაგრამ აქ კი ნამდვილად გამოიჩინა გამბედაობა. პოლიციის რაზმის მეთაურმა უთხრა: - ვაშე პრეოსვიაშჩენსტვო, პრიკაზანო, პო გრიბოედოვსკოი ულიცე ნაპრავიტ პროცესიუ! ალექსანდრე არ შეუდრკა და მიუგო: - მენია პრიგლასილი როდნიე პოკოინაგო, კუდა ონი პასოვეტუიუტ ი ია ზა ნიმი. და გზა განაგრძო. შემოსილი მღვდელმთავრის შემყურე პოლიციამ ვეღარ გაბედა. თან ხალხიც მიაწვა, გაარღვია პოლიციელთა წყება და მედგრად გასწია წინ. მთელ პროსპექტზე გაიმართა უზარმაზარი პროცესია. სასახლეს რომ მივუახლოვდით, განგებ შეაჩერეს ცხედარი და მიცვალებულის ლოცვა გადაიხადეს დემონსტრაციულად. სასახლიდან არავის გამოუხედავს. მაშინ მთავარმართებელი

იყო დონდუკოვ-კორსაკოვი...
ცხენდრის დავით ეთიანთან ერთად მიჰყვებოდნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, სხვა პოეტები და მწერლები... სადილობაზე პირველი სიტყვა წარმოსთქვა აკაკი წერეთელმა, რომელმაც დიმიტრი ყიფიანი გამოაცხადა საქართველოს მეორე დიმიტრი თავდადებულად, და რა თქმა უნდა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა" ("მნათობი" 1958 წ.11).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუსის მთავრობის მიერ დამყარებული განათლების წესები ზოგ რუსის პედაგოგსაც არ მოსწონდა; მაგრამ მთავრობამ მაინც მოსპო საბოლოოდ ქართულის სწავლება. ასეთი მდგომარეობა თურმე ნამესტნიკ ვორონცოვ-დაშკოვსაც არ მოსწონებია და იმპერატორის მოუწოდებდა ეს წესი შეეცვალათ, რომ დასავლეთის სკოლებში მაინც სწავლება მიმდინარეობდეს ქართულ ენაზე. "ამ სისტემით საშიში არ არის რომ შეიქმნება სხვა ტომთა ლიტერატურა, რომ გამავრცელებს და განვითარებს ნაციონალური თავისებურებანი სხვა ტომთა სეპარატიზმისათ" (იქვე).

ის აგრეთვე მავნებლად მიიჩნევდა სასტიკ რეპრესიებს' რომ ასეთი რეპრესიების პირობებში, ნაციონალურმა გრძნობამ და სამშობლო ენის შესწავლის საჭიროებამ კიდევ უფრო მეტად გაიღვიძა. ამავე დროს კი თუ ჩვენ მივსცემთ თავისუფლებას, ეს ნდობას დაგვიმსახურებს ადგილობრივ ხალხებში და თავისუფლების ნიადაგზე უფრო მიეახლებიან რუსულ ენას და ეს გაგ-

ვიპდვილებს ასიმილაციის ძალდაუტანებლად!

რასაკვირველია თვით ასეთი ლიბერალიზმიც რუსები შორს იყვნენ ქართველთა სულისკვეთების გაგებისაგან!

უმაღლესი სასწავლებლის დაარსების საკითხშიც ვორონცოვ-დაშკოვი არ ეთანხმებოდა მთავრობას. ქართველთა გარუსების მიზნით, ადგილობრივ უნივერსიტეტს არ ხსნიდნენ, რათა ქართველი ახალგაზრდობა სწავლის მისაღებად რუსეთში წასულიყო. ამის გამო ვორონცოვ-დაშკოვი 1907 წლის სწერდა იმპერატორს:
"კავკასიელები დიდი ხანია მიისწრაფიან ჰქონდეთ თავიანთ ქვეყანაში უმაღლესი სასწავლებელი, მაგრამ ამ სურვილს თანაგრძნობით არ ხვდებოდა არც ადგილობრივი, კავკასიის მთავარმართველობა და არც ცენტრალური ხელისუფლება, უმთავრესად იმ შიშით რომ ეს დაწესებულება იმოქმედებს ადგილობრივ საზოგადოებაში სეპარატისტული იდეის განვითარებაზე".

ნამესტნიკი ამას აკრიტიკებს და დასძენს; რომ კავკასიელები მაინც არ ეტანებიან რუსეთის უნივერსიტეტებს. ისინი უმთავრესად ევროპაში მიდიან უმაღლესი განათლების მისაღებად. რადგან იქ უფრო იაფად უჯდებათ ვიდრე რუსეთში და რუსეთის ჰავაც ვერ აიტანიათ; ევროპაში კი ისინი ლებენ გავლენას რევოლუციონური იდეებისათ.(იხ. ვ. დაშკოვის მოხსენება. 1907 წ. რუსულად. გვ.117 ).

ეროვნული

მიუხედავად ზოგი დიდი მოხელის ასეთი შენიშვნ-ებისა, ცენტრალური ხელისუფლება განაგრძობდა თა-ვის პოლიტიკას და არა მარტო განათლების, ცხოვრე-ბის არც ერთ სფეროში არ სურდათ რაიმე რეფორმის შეტანა. არც ერთი ის რეფორმა, რაც რუსეთში ჩატ-არდა, კი იქნებოდა სოციალური თუ ეკონომიური ხასი-ათისა, ქართველებს არ ეხებოდა. მაგ: საქართველოში აკრძალეს ადგილობრივი თვითმართველობა და ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. ხოლო ამისგან გამოწვეული ხალხის უთანხმოება რომ შეენელებინათ, ყველგან, ქა-ლაქებსა და სოფლებში აყენებდნენ დამსჯელ რაზმებს, რომელნიც მკაცრად უხეშად უმასპინძლდებოდნენ "არასა-იმედოთ"!

ასეთი რეფორმების ჩაუტარებლობისათვის მხოლოდ ის საბუთი ჰქონდათ, რასაც მათი პრესა დი-დი ხანია ქადაგობდა: რომ ქართველი ხალხი კულტურ-ულად ჩამორჩენილი იყო, რომ ის იყო დაბალი ღირსე-ბისა და მაშასადამე უღირსი რაიმე მაღალი რეფორმ-ებისათვის. საქართველოს უხატავდნენ მკითხველს რო-გორც ველურების ქვეყანას, სადაც მხოლოდ კაცის კვლა და ავაზაკობა მძვინვარებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

"ყველა რუსის მოხელე, რომელიც საქართველოში მიემგზავრებოდა, ფიქრობდა, რომ მიდიოდა ისეთ ქვეყანაში, სადაც ხანჯლებით და და დანის კაცის გაფუშვა და მოკვლა დიდ სიამოვნებასა და ვაჟკაცობას შეადგენდა. ამიტომ კავკასიაში გამომგზავრებისას ნათესავ-მეგობრები მას დაკარგულად თვლიდნენ. ვინაიდან ის ომში მიემგზავრებოდა კავკასიელ ავაზაკებთან საბრძოლველად. და მასაც დიდ ვაჟკაცად მოჰქონდა თავი, რომ ასეთ საშინელ ქვეყანაში მიემგზავრებოდა, თვითმპყრობელობისა და მართლმადიდებლობის გასამაგრებლად". (იხ; გ. გიორგაძის დასახელებული ნ.215).

ამიტომ იყო რომ საქართველოში მოხელეებად დიდ ნაწილად მოდიოდნენ ავანტიურისტები ან და კრიმინალები, რომელთაც თავიანთ ქვეყანაში გასავალი არ ჰქონდათ და წარმოსადგენია ასეთი ადამიანები რა დღეს დააყენებდნენ ქართველებს!

ამავე დროს ადგილობრივი სამსახურისათვის ქართველებს არ იღებდნენ. რუსის მაღალი მოხელეები ახდილად აღნიშნავდნენ საშიშროებას, რომ ქართველებში არის დიდი მისწრაფება თავისუფლებისადმი, დამოუკიდებლობისადმი და ამიტომ ადგილობრივი ელემენტები შორს უნდა გაიგზავნონ. მაგ: 1883 წლის განათლების მინისტრი დელიანოვი საიდუმლო უბრძანებდა კავკასიის ოლქის მზრუნველს, რომ რადგან ქართველებსა და სომხებში ძლიერია დამოუკიდებლობისაკენ, ადგი-

ლობრივი მცხოვრებნი არ დაუშვათ ადგილობრივ სამსახურში; (გორგაძე, გვ.215).

რუსები ერთის მხრივ თუ კრძალავდნენ ქართული ენის სწავლებას, მეორე მხრით ქართველი ერის მინავანი დაშლის მიზნით მეგრულებს ანბანი შეუქმნეს და 1885 წლის ქუთაისის გუბერნატორმა ცირკულიარი დააგზავნა, რომელიც უკრძალავდა მეგრულ სკოლებში ქართულის სწავლებას. 1888 წლის ასეთივე ანბანი შეუქმნეს აფხაზებსა და სვანებს. როგორც ვხედავთ, ერთის მხრივ სდევნიდნენ ქართულ ენას და მეორეს მხრივ ცალკე ქართველ ტომებს საკუთარ ანბანს უქმნიდნენ. რუსის მთავრობის ასეთ სივერაგეს სასტიკად ებრძოდა მთელი ქართველი ერი, ამიტომ რუსებმა საბოლოოდ ვერ დააკანონეს "დიალექტური" ანბანი.

მე-19-ე საუკუნის მეორე ნახევრიდან ლიტიკური ბრძოლის პირობები დასუსტებული იყო. ბრძოლა მეიძულებდა სიტყვით და ქართველ ერში ეროვნული შეგნების გამოღვიძებით. ქართველი მოწინავე შრეები ყველანაირ ხერხებს ხმარობდნენ რომ თავიანთი აზრი გამოეთქვათ და ის ხალხისთვის მიეწოდებინათ. მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსების ჭქონდათ სასტიკი ცენზურა, ამიტომ ადგი-ლი არ იყო მათ წინააღმდეგ აპელაციაზე წერა. მათი გამარჯვებული პოლიტიკა ისეთ საშუალებებსაც მიმართავდა რომ სიტყვა "საქართველოს" და სხვა ეროვნული ტერმინების ხმარებასაც კრძალავდნენ. უნდა ეხმარათ მხოლოდ რუსული ადმინისტრაციული სახელები.

ამის საწიმუშოდ მხოლოდ ერთ მაგალითს დავასახელებ: 1885 წლის კავკასიის საცენზურო კომიტეტმა განიხილა სახელმძღვანელო წიგნი: "საქართველოს გეოგრაფია". მან სათაური მთლად წაშალა და დააწერა: "თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების გეოგრაფია". ყველგან წაშალა სიტყვა "საქართველო" და სხვა ისტორიული სახელები და მათ ადგილას დაწერა მათ მიერ შემოღებული ადმინისტრაციული სახელები.

ქართულ ლიტერატურაში ცნობილია ი. ჭავჭავაძის დრამა: "დედა და შვილი", რომელიც პატრიოტიზმის აპოთეოზს წარმოადგენს. ამ ნაწარმოებს წამძღვარებული აქვს ეპიგრაფი:

"იმ დროს ავხსნა ერთი კუთხე დიდის ფარდისა..
..ეს არის ნაგლეჯი ცხოვრებისგან შობილ დარდისა".

ამ ადგილიდან გარკვეულად მოჩანს, რომ რაღაც წარ-

[illegible] ლაპარაკი, მაგრამ ძალიან ბუნდოვნად [illegible] კი გამოხატავს ილიას აზრს. მაგრამ რადგან ასე და-ბეჭდა, ხალხმა ის მიიღო როგორც ილიას ნათქვამი. გავიდა დრო და ილიას არქივში აღმოჩნდა ავტორის ნამდვილი დედანი ამ ეპიგრაფისა, რომელიც ცენზუ-რას გადაუკეთებია. დედანში კი ასე იკითხება:

"მეგობრებს ავხადე ერთი კუთხე დიდის დარდისა
ეს არის ნაყოფი აწმყოსაგან შობილი დარდისა"

განსხვავება ნათელია. ავტორი ლაპარაკობს აწ-მყოსა და მომავალზე, ხოლო ცენზურამ ის უხეშად სა-დღაც გაურკვეველ წარსულში გადაიტანა... ეს და კი-დევ აურებელი საბუთებია დარჩენილი რუსეთის ცენ-ზურის მოქმედებისა.

რაკი ახლიდან არ შეიძლებოდა ყველაფერზე ლა-პარაკი, ჩვენი მწერლები მიმართავდნენ სხვა და სხვა ხერხებს. მაგ: ერთგვარი თავისუფლების შესა-ხებ ილიამ ასეთ ხერხს მიმართა; იმის დასამტკი-ცებლად რომ თავისუფლების დრო დადგებათ, მან და-იმოწმა სოლომონ ბრძენის სიტყვები; არსებითად კი ეს მისი აზრი იყო. ერთხელ ილია ცენზურის სისასტი-კეზე ახლიდან და ირონიულადაც სწერდა:

"ჩვენს გაზეთში შინაური საქმეების მიმოხილვაც იბეჭდება, იმიტომ რომ უნდა სწეროთ: მუხას ვაშლი ასხიათ, რაც არც საჭმელად არის სასიამოვნო და არც სასმელად" ("ივერია" 1886 წ.).

ახლა ვნახოთ აკაკი წერეთლის "თინები". როდესაც 1905 წლის რუსეთ-იაპონიის ომის დროს იაპონიის მარშალი ო ი ა მ ა სასტიკად ამარცხებს რუსის ჯარებს, ამან საქართველოში დიდი აღფრთოვანება გამოიწვია და აკაკისაც სალელეული აეშალა, ამ გმირისათვის ხოტბა შეესხა და მოიგონა ასეთი ხერხი. დასწერა ლექსი სათაურით "გურული ნანინა", სადაც ყოველი სტროფი თავდება სიტყვებით: "ოი ამას ვენაცვალეო". თუ პირველ ორ სიტყვას ცალკე წავიკითხავთ, გამოდის რომ ავტორი ბავშს უგალობს, ხოლო თუ ერთად წავიკითხავთ, როგორც კითხვის დროს ისმის, გამოდის ხოტბა ოიამასი...

<u>3. ე კ ლ ე ს ი ა.</u> რაკი რუსებისათვის ძირითადი მიზანი და მეთოდი გარკვეული იყო, ამის მიხედვით მოქმედობდნენ ცხოვრების ყველა სფეროში. რუსეთის მართმადიდებელი სამღვდელოებაც საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას შეესია და ძირფესვიანად გაანადგურა. რადგან იცოდნენ რომ ნივთიერი დოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლათის მითვისებასთან ერთად ისინი სპობდნენ ეროვ-
ნული კულტურისა და მეობის ერთ ძირს.

მე-5-ე საუკუნიდან მოყოლებული ქართული ეკლესია
იყო ავტოკეფალური, დამოუკიდებელი; მისმა კათალი-
კოსებმა პატრიარქობის ტიტულიც მოიპოვეს. ისტორიუ-
ლად ცნობილია ქართული ეკლესიის როლი ერის კულტურულ
და პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომელმაც დიდი როლი ითა-
მაშა ეროვნული თავდაცვის საქმეში. კარგად უბადრუკ
მახარაძე-გელეიშვილებისა, დღეს ამას აღიარებს
კომუნისტური ახალი თაობაც.

ქართული ეკლესია კიდევ იყო მოწოდებული ქართ-
ველი ერის მეობის შენახვაში გარკვეული როლი ეთა-
მაშა. რუსებმა ეს კარგად იცოდნენ, ამიტომ სახელ-
მწიფოებრიობის გაუქმებასთან ერთად გააუქმეს საქარ-
თველოს ეკლესიის თვითმყოფობაც და ის უბრალოდ რუ-
სეთის სინოდს დაუმორჩილეს. მერე მას უნიშნავდნენ
რუს ეგზარხოსებს, რომელნიც კიდევ უარესად იქცეოდ-
ნენ ვიდრე სამოქალაქო მოხელეები. რუსის სამღვდე-
ლოებამ მთლიანად ხელში ჩაიგდო ქართული ეკლესია.
ის იყო მდიდარი. მასში იყო დაგროვილი ერის დოვლათი.
ის იყო მდიდარი ისტორიული ძეგლებით და საბუთებით.

და ეს ქონება რუსებმა უნაზღაურად გაიტაცეს, [illegible] პირდაპირ გაცარცვეს და ყველაფერი რუსეთში გაზიდეს; ხშირად ძვირფასი ქვებით და ოქროთი მოჭედილ ხატებსა და წიგნებს ყდებს აძრობდნენ და ისე მიჰქონდათ. შლიდნენ ეკლესიის უძველეს მხატვრობას და მის ადგილას რუსის მუჟიკის ტანისა და სახის წმინდანებს ხატავდნენ. ამნაირად რუსის მართლმადიდებელმა სამღვდელოებამ გაანადგურა ქართული მართლმადიდებელი ეკლესია, შეურყვნა საეკლესიო ინვენტარი და დასცა ის მორალურად.

(რუსების მიერ ქართული ეკლესიებიდან გატაცებული ნივთების (1800-1850 წლებში) სიები გამოქვეყნებულია ჟურნ. "ჯვარი ვაზისა"-ში 1906 წელს. იქვეა აღნუსხული რუსების მიერ ქართული სამღვდელოებისადმი ველური მოპყრობის მაგალითები).

ასე დაჩაგრეს ერთმორწმუნე რუსებმა ქართული ეკლესია და ეს გრძელდებოდა ბოლომდე. როგორც მთელი ერი ისე სამღვდელოებაც ელოდა ხელსაყრელ დროს რომ რუსების ბატონობისაგან განთავისუფლებულიყო.

როდესაც 1905 წლის რევოლუცია დაიწყო, მას ყველაზე დიდი გამოძახილი ჰქონდა საქართველოში. საქართველოს ეკლესიამაც ამ დროს წამოაყენა საქართველოს ავტოკეფალიის საკითხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ წელს თბილისის სასულიერო სემინარიაში შეს-გა სასეკლესიო კრება და ერთხმად იყო დადგენილი ავ-ტოკეფალიის მოთხოვნა. ამ კრებაზე რუსებმა ჯარი შე-ასიეს და მათრახებისა და კონდახების ცემით გამოჰ-ყარეს ყველა გარეთ.(ვ.ლასხიშვილის მემუარები.265). რუსულმა პრესამ სასტიკად გაილაშქრა ამ მოთხოვნის წინააღმდეგ. ისინი ხალხს არწმუნებდნენ რომ ავტო-კეფალიის მოთხოვნა მხოლოდ ერთი მუჭა "სეპარატისტე-ბის" საქმეაო.(რუს.გაზ."კოლოკოლი" ნ.38 და "ცერკ-ოვნაია ვედომოსტი" ნ.11-14, 1905).მაშინ საქართვე-ლოს მთელმა სამღვდელოებამ გაილაშქრა მათ წინააღმ-დეგ. გაზ."კოლოკოლი" იმერეთისა და სოხუმის ეპისკ-ოპოსებს, კირიონსა და ლეონიდს "მეამბოხეებს" უწო-დებს და დასძენს რომ დანარჩენი სამი ეპისკოპოსი, პეტრე, გიორგი და ექვთიმე მათ არ ემხრობიანო.

გაზეთმა "ცნობის ფურცელმა" აღნიშნული ეპისკოპოს-ების მოსთხოვა მათი აზრის გამოთქმა და ეპისკოპოსებ-მაც საზოგადოებას აუწყეს მათი აზრი. მაგ: ექვთიმე სწერდა: "ჩემი თანამსახურნი და მოძმენი ყოვლად სამ-ღვდელონი პეტრე და გიორგი, აუწყებენ საზოგადოებას,

რომ ისინი არიან მომხრენი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა. როგორც ვიცით ეს აზრი არის საკუთრება არა მხოლოდ ერთის ან ორი სამღვდელო მთავრისა, არამედ ყველა ჩვენი ჩვენი ქართველი ეპისკოპოსებისა" ხოლო ეპისკოპოსი ლეონიდე სწერდა: "... რომ ავტოკეფალიას თხოულობს საქართველოს სამღვდელოება ეს არის შეურყეველი რწმენა სამღვდელოებისა; ვერავითარი ქვეყნიური ძალა ვერ აღმოხვრის ამ რწმენას სამღვდელოების გონებიდან, არავითარ კომპრომისებზე არ გასცვლის იგი ამ რწმენას, და თუ საჭირო იქნება, არც არავითარ მსხვერპლს არ დაერიდება" (1 ჟურნ. "ჯვარი ვაზისა" ნ.5-7 1906)

ამგვარად რუსების ცილისწამებამ რომ არ გასჭრა, მაშინ საკითხი მათ უმაღლეს ინსტანციაში გადაიტანეს. პეტერბურგში გაიწვიეს ეპისკოპოსები კირიონი ლეონიდი და სენატში გაიმართა სჯა-ბაასი. როდესაც იქ კამათი მიმდინარეობდა, ამ დროს საქართველოში სამღვდელოებას სდევნიდნენ და რუსეთში ასახლებდნენ. ეკლესიის ქონებასაც რუსეთში მიეზიდებოდნენ. რასაკვირველია, რუსებმა არა მარტო არ დააკმაყოფილეს ეს მოთხოვნა, არამედ რევოლუციის შემდეგ შექმნილმა რეაქციამ სხვებთან ერთად სამღვდელოებაც ჩააჩუმა. (გ. ლასხიშვილის მემუარები. გვ. 265).

(სხვათაშორის 1907 წ. ვორონცოვ-დაშკოვი თავის მოხსენებაში აღნიშნავს რა ქართველების მიერ ავტოკეფალიის მოთხოვნას, ერთ მიზეზად იმასაც ასახელებს რომ რუსის მთავრობამ სომხის ეკლესიის ქონება ჩამოართვა და ვორონცოვ-დაშკოვის დახმარებით ეს ქონება სომხებს უკანვე დაუბრუნესო).

4. კოლონიზაციის პ ო ლ ი ტ ი კ ა. სრული რუსი-ფიკაციის განხორციელებისათვის რუსები მიმართავდნენ რუსთა ჩამოსახლებას. რუსების ჩამოსახლების მიზანს სხვანაირი ახსნა არა აქვს; რადგან რუსეთსა და ციმბირში ერთ ოთხკუთხედ ვერსზე მოდიოდა 6,6 მცხოვრები, ამიერკავკასიაში კი 25,2 მცხოვრები. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ კავკასია მთა-გორიანი ქვეყანაა და მიწების დიდი ნაწილი მეურნე-ობისათვის გამოუსადეგარი, ნათელი ხდება რომ რუსებს ბევრად პრივილეგიური მდგომარეობა ჰქონდათ ტერი-ტორიალურად; მათ მაინც ძალით გეგმა შეადგინეს ჩვენში რუსების ჩამოსახლებისა, რომ ადგილობრივ რუსული ელემენტი გაეძლიერებინათ და ამით გაეადვი-ლებინათ კავკასიის ხალხების გათქვეფა რუსებში.

ამ მიზნით საჭირო იყო ადგილობრივი მიწების ხელში ჩაგდება. მათ ზოგი ძალით წაიგდეს ხელში, ზო-გი იძულებით და ზოგიც შესყიდვით.

პირველად რუსის მთავრობამ ხელში ჩაიგდო რუსეთ-ში გადასახლებული ქართველი ბატონიშვილთა მამულები. მერე მათ მიიტაცეს საეკლესიო მიწები და მერე იმ

მცხოვრებთა, რომელნიც რუსებისაგან შევიწროებულნი გარბოდნენ ოსმალეთსა და სპარსეთში. ამგვარად რუსის მთავრობამ დასაწყისშივე მიწების დიდი ფონდი შექმნა და დაიწყო რუსის გლეხობის ჩამოსახლება.

1844 წელს როდესაც საქართველოში მეფის ნაცვლად დაინიშნა გრაფი ვორონცოვი, დაიწყო ახალი ხანა მმართველობისა, ხოლო უფრო გონიერი და მოზომილი მეთოდებით.

არსებითად ის იყო გამაგრძელებელი რუსეთის ტრადიციული პოლიტიკისა. როგორც კულტურული ადამიანი, ის მოუხვდა ქართველი ადამიანის კულტურულ მირებს და მისთვის ცხადი იყო რომ ამ ხალხთან ძალით ბევრის მიღწევა არ შეიძლებოდა. ამიტომ მან გადასწყვიტა რუსული პოლიტიკა კულტურული გზით განეხორციელებინა. ზოგ რამეში დათმობით და ზოგში ქართველობის გულის მოგებით. თავად-აზნაურობას თავზე ხელი გადაუსვა და კულტურულ საქმეებში ჩაება. ის ცდილობდა მოეწინავე კლასი ხელში ჩაეგდო. მან კარგად იცოდა ამ წრის მოთხოვნილება ფულისადმი და ამავე წრის მათი სიღარიბე. 1845 წელს მან დაარსა გაზეთი "კავკაზი". და 1848 წელს ე.წ. "პრიკაზი". სადაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავად-აზნაურობას შეეძლო მამულების დაგირავება და სესხად ფულის მიღება. ამით ვორონცოვმა ქართველ თავად-აზნაურობას კარგი ხაფანგი დაუგო. იცოდა რომ ისინი იყვნენ ღარიბნი და დაგირავებულ მიწებს უკან ვეღარ გამოისყიდდნენ· ამნაირად მთელი დაგირავებული მამულები რუსებს რჩებოდათ და გადატავებულ წოდებას გზას რუსეთისაკენ უჩვენებდნენ.

მალე ეს "პრიკაზი" იღებს საკრედიტო ხასიათს. მაგ: 1861 წ. პირველ იანვარს მის მიერ გასესხებული თანხები უდრიდა 5,367,376 მანეთს. იქ დაგირავებული იყო საბატონო გლეხების ერთი მესამედი.

ამ გზით რუსის მთავრობამ ხელში ჩაიგდო დიდძალი მიწები. მთელ ამიერ-კავკასიაში 6,5 მილიონი დესიატინა მიწა ეკუთვნოდა მთავრობას ხოლო 4,5 მილიონი დესიატინა ადგილობრივ მემამულეებს.

მაგრამ მარტო მთავრობა კი არ ითვისებდა ადგილობრივი ხალხის მიწებს. ითვისებდნენ აგრეთვე რუსის დიდი მოხელეები· ცხადია მთავრობის პროტექციით და დახმარებით· სანიმუშოდ აქ მინდა ერთი შედარებითი ცნობა მოვიყვანო, რომელიც გამოაქვეყნა გ. გორგაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საარქივო საბუთების მიხედვით, და რაც აგრეთვე ოფიციალური სტატისტიკით იყო ცნობილი.

1891 წლ. ოფიციალური სტატისტიკით აღმოსავლეთ საქართველოში ყველაზე დიდ მემამულეებად ითვლებოდნენ:

1. დიდი მთავარი მიხეილი, ... 68,616 დეს. მიწა.
2. თავადი ბარიატინსკი ........42,688 დეს.
3. თ. ციციშვილები ....... 41,760
4. ათაბაგ-ქობლიანელი ...... 19,361
5. თ. ფალავანდიშვილები ..... 19,000
6. თ. ბაგრატიონ-მუხრანელი... 13,133
7. თ. ორბელიანი ............ 25,875

აქედან ჩანს რომ შვიდი დიდი მემამულიდან ორი რუსია და მათ ხელშია 111,304 დეს. მიწა, ხოლო ხუთ ქართველ მემამულის ხელშია 119,129 დეს. მიწა.

აი კიდევ ერთი ოფიციალური საბუთი. 1867-1871 წლებისათვის კავკასიის ნამესტნიკი სწერდა იმპერატორს: "1864 წელს დასავლეთ კავკასიაში ომის დამთავრების შემდეგ, ამ მხარის მთიელთა მოსახლეობის დიდი უმრავლესობა გადასახლდა თურქეთში და მნიშვნელოვანი სივრცე, მდიდარი და ლამაზი მიწებისა, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებზე, თავისუფალია დამოსახლებისათვის" (იხ. ვსეპოდდანნეიში ოტჩოტ ნამესტნიკა კავკაზსკოგო, პო გრაჟდანსკომუ უპრავლენიუ კავკაზსკიმ ი ზაკავკაზსკიმ კრაემ. 1863-1871, პეტერბურგი.).

ნამესტნიკი იმასაც აცნობს იმპერატორს, რომ ამ მიწებისაგან მე უკვე შევადგინე ცალკე "შავი ზღვის ოლქი" და შევიმუშავე პროექტი დამოსახლებისათ.

10 მარტს 1866 წელს იმპერატორმა დაამტკიცა ეს პროექტი და დაიწყეს იქ რუსების ჩამოსახლება. ეს პროექტი გაგრძელდა მეცხრამეტე საუკუნის მიწურულამდე და კიდევ უფრო მეტად მოუმატებდნენ მიწების დაგროვებასა და რუსების ჩამოსახლებისათვის.

მიუხედავად ასეთი დიდი ცდებისა, რუსის დიდი მოხელეები მაინც არ იყვნენ კმაყოფილნი, რადგან ჩამოსახლება და რუსიფიკაცია ჩქარის ტემპით არ მიდიოდა წინ.

1907 წელს კავკასიის ნამესტნიკი ვორონცოვ-დაშკოვი იმპერატორის აცნობდა თავის შეხედულებას. ის ფიქრობდა, რომ რუსებმა, კავკასიის კოლონიზაციისათვის ძალიან დავიგვიანეთ. ყველაზე უკეთესი ხანა იყო ვორონცოვის დროს (1844-45). ამიტომ დღეს განსაკუთრებული ზომების მიღება გვჭირდება იმავე მიზნის მისაღწევად (იხ. აღნიშნული მოხსენების გვ.68).

ვორონცოვ-დაშკოვი ეძებდა საშუალებებს რომ ჩამოსახლების რიტმი გაეზარდა. მისი ცნობით კავკასიაში უკვე ჩამოსახლებული იყო ერთი ნახევარი მილიონი რუსი. რადგან კავკასიაში მიწების დიდი სივიწროვე იყო, მთავრობა იძულებული ხდებოდა ჩამოსახლების

მომარჯებამდე ჯერ ჩამოსახლებულთა ცხოვრება მოუწყობელია და ადგილობრივ მცხოვრებთა მღელვარებაც შეუჩერებინა და პარალელურად მიწები დაებრუნებინა. საბოლოოდ ვორონცოვ-დაშკოვი ამ პოლიტიკას დაადგა.

მთავრობას ზედი-ზედ სთხოვს კრედიტებს. იმპერატორს სთხოვს რომ საკრედიტო ბანკების მოქმედება დაუკავშიროს კოლონიზაციის პოლიტიკას, "რათა ჩამოსახლებულ რუსებს ჰქონდეთ ფინანსური შესაძლებლობა მიწების ხელში ჩაგდებისა". და ბოლოს იმპერატორისადმი მოხსენებაში დაასკვნის: თუ მთავრობა არ გაიღებს დიდ თანხებს, რაც აქამდე არ ხდებოდა, შეუძლებელია ჩვენი საკოლონიზაციო პოლიტიკის გატარება კავკასიაში. კიდევ მეტი, უკვე არსებული კოლონიზაციის შენარჩუნებაც კი ძნელი იქნებაო. ის სწერს:

"თუ საგლეხო ბანკის სწორად დაყენებულ მუშაობას გამოვიყენებთ, განსაკუთრებული ხარჯით ჩამოსახლებული რუსების მოწყობისთვის, შეიძლება გამოვასწოროთ ის, რაც წარსულში ხელიდან გავუშვით და რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ თავისუფალი სახელმწიფო მიწები დაურიგდათ არა რუსული წარმოშობის მოსახლეობას. (მას მხედველობაში ჰყავს საქართველოში ჩამოსახლებული გერმანელები და სომხები).

შემდეგ კი რუსულ კოლონიზაციას მივუშვებთ იმ მიწებზე, რომელნიც მფლობელთ დაგირავებული აქვთ ბანკთან.

სანამ ეს მიწებიც ისევ ადგილობრივი მცხოვრებლების ხელში არ ჩავარდება. რამდენიმე წლის შემდეგ ეს ზომაც დაგვიანებული იქნება. ასე რომ, ამ მხარის რუსული ელემენტით კოლონიზაციის იმედი უნდა დავამყაროთ მიწების თავისუფალი შესყიდვაზე ადგილობრივ სოფლის მცხოვრებთაგან, რაც იქნება ძალიან ძნელი და დაჯდება ძალიან ძვირი. ყოველშემთხვევაში უნდა გვახსოვდეს, რომ რუსეთის კოლონიზაციისათვის, ფართო მიწების მოცემა კავკასიას უკვე აღარ შეუძლია. ამიტომ ყოველი საშუალებით უნდა ვისწრაფოთ, თუნდაც დიდი ხარჯის გაღებით, ვისარგებლოთ მისი ინტერესებისათვის იმდენად, რამდენად ეს კიდევ არის შესაძლებელი დღეს, ადგილობრივი მცხოვრებლების მთლად გაუნადგურებლად" (იხ. იმავე მოხსენების გვ.85-86).

ჩანს ყველაფერი ისე არ წავიდა, როგორც ვორონცოვ-დაშკოვს სურდა; ამიტომ 1910 წელს ის კიდევ ერთხელ კრიტიკას უკეთებს მთავრობის პოლიტიკას და მის უკანასკნელ რაპორტში დასძენს: "მე პირადად დიდ სახელმწიფოებრივ შეცდომად მიმაჩნია, უკანასკნელად საშუალო ზონის დიდი მამულების გადაცემა კერძო პირებისადმი, რის წყალობითაც ახლო შავი ზღვის ნაპირები წარმოადგენენ სამ ფერმას, რომელთაგან უკანასკნელი უკავია კულტურულ საჭიროებას.... განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიმაჩნია მიღებული იქმნას ენერგიული ზომები რუსთა კოლონიზაციისათვის იქ, რაც ახლა თავისუფალია და ამავე დროს სერიოზულად გადასინჯული იქნას საკითხი იმის შესახებ, თუ

როგორ იქნება გადარჩენილი ზემოხსენებული ზონა მი-წებისა, აგრეთვე რუსების ჩამოსახლებისათვის" (იხ. 1910 წლის იმპერატორისადმი წარდგენილი მოხსენება, გვ.38; პეტერბურგი).

ამ მოვლენათ სრული სურათის წარმოდგენისათვის არსებობს აუარებელი დოკუმენტაცია, რომელიც ტომები დაიწერება. ეს კი სპეციალური შრომის საგანია. ჩვენ მხოლოდ გვინდოდა გვეჩვენებინა რუსეთის მთავრობის რუსიფიკაციის საერთო გეზი და პროგრამა, მათი მე-თოდები და მცირე ნიმუშიც მათი მოქმედებისა, რაც 1917 წლის რევოლუციამდე არ შენელებულა.

ნიკოლოზ მეორის მიერ გამოცემულ რეაქციაზე აი რასა სწერს ცნობილი ქართველი მოღვაწე გ: ლასხი-შვილი თავის მოგონებებში:

"თუ რუსეთში ამ რეაქციამ მიზანში ამოიღო ინტელიგენცია და მშრომელი ხალხი - ჩვენში დევ-ნა და განადგურება მთელ ერს არგუნეს. მეფის მო-ადგილეების: დონდუკოვ-კორსაკოვის, შერემეტიევის, გოლიცინის და სხვათა მიზანი გახდა ძირფესვიანად ამოეფხვრათ ეროვნული კულტურა და გაეძლიერებინათ გამარუსებელი პოლიტიკა. სწორედ ამ ხანას ეკუთვ-ნის შიდა რუსეთიდან ჩვენში გადმოსახლების პოლი-ტიკის გაძლიერება, ტირიფონის ველის და მის გარშე-მო სოფლების გაუქმებისა და იქ სამხედრო პოლიც-დარმის პროექტი, ჩვენი ჯარის კაცების გადაყვანა ჩრდილოეთში" და სხ...

რამდენადაც მძიმესა და აუტანელს ხდიდნენ ქარ-თველი ერის არსებობას, იმდენადვე იზრდებოდა და მტკიცდებოდა საწინააღმდეგო სულისკვეთება. რუსები კი ამას გაორკეცებული რეპრესიებით უპასუხებდნენ.

და მეორე საუკუნის დასაწყისში მათ ყველაზე საში-ნელი ფორმებით უპასუხეს ქართველთ ხალხს. ეს იყო რე-აქციის ხანა რომელიც მოჰყვა 1905წ. რევოლუციას.

5.1905 წლის რ ე ვ ო ლ უ ც ი ა. როგორც ქვემოდ ვნახავთ, საქართველოში ყოველგვარი რევოლუციური მოძრაობა გადაბმული, იყო ეროვნულ განმათავისუფ-ლებელ მოძრაობასთან. შიდა რუსეთში რევ. მოძრაობა მიმართული იყო რეჟიმის და სოციალური უსამართლობ-ის წინააღმდეგ. ამ ბრძოლას ქართველებიც თანაუგრძ-ნობდნენ, რადგან მსგავს ნაკლს თვითონაც განიცდ-იდნენ. ამას თუ მივუმატებთ ეროვნულ ნაკლს, მაშინ გასაგები გახდება, თუ ქართველები რატომ ასე თავგა-მოდებით იღებდნენ მონაწილეობას ყოველგვარ რევოლუ-ციონურ ბრძოლებში, რადგან ისინი ამაში ხედავდნენ ხსნას სოციალურსაც და ეროვნულსაც. რუსეთის არსებული რეჟიმის ყოველი შერყევა ქართველებში ერთგვარ იმედს ჰბადებდა. ამით აიხსნება ის გარემოება რომ 1905 წ. რევოლუციას ყველაზე დიდი გამოძახილი ჰქონდა სწო-რედ საქართველოში. მრავალი რუსის რევოლუციონე-რიც კავკასიაში ბუდობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც კი თავდებოდა ომი იაპონიასთან, პარა-ლელურად ხდებოდა რევოლუციის ლიკვიდაცია. 5 სექტ. დაიდო საზავო ხელშეკრულება. ხოლო 30 ოქტომბერს იმპერატორი მანიფესტით აცხადებს სახელმწიფო სათათბიროს - დუმის დაარსებას. მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ როგორც კი რევოლუციონური ძალები მიყუჩ-დნენ, სათათბირო იქმნა დათხოვნილი და 1907 წლამდე ის აღარ ყოფილა მოწვეული. ყველაფერი ეს იყო თვალთ-მაქცობა და რუსეთში არასოდეს ჰქონია ადგილი კონს-ტიტუციონალურ რეჟიმს და რუსეთის ისტორიაშიც ეს ხანაა ცნობილი ყველაზე რეაქციონურად.

რაკი კავკასიაში რევოლუციამ ყველაზე აქტიუ-რი ხასიათი მიიღო, დამარცხების შემდეგ ყველაზე დიდი სასჯელიც მას ერგო წილად. დასავლეთ საქართველო და კერძოდ გურია იყო ცეცხლის მთავარი ცენტრი. რუსის მთავრობამ იქ გაგზავნა დამსჯელი რაზმი გენ. ალიხა-ნოვის მეთაურობით. ალიხანოვი შეიჭრა გურიაში და დაუწყო ხალხს უმოწყალო ხოცვა-ჟლეტა; გაანადგურა სოფლები და ცეცხლი წაუკიდა. გ. ლასხიშვილი თავის მემუარებში გადმოგვცემს: "გენ. ალიხანოვი (სანამ

გურიაში შევიდოდა) არაფერს ზოგავდა და ცეცხლში გახვია მთელი მხარე. თბილისში კანტი-კუნტად მოდიოდა შემდეგი ცნობები: გადასწვეს ზესტაფონი, გადასწვეს სამტრედია, ცეცხლი წაუკიდეს ქუთაისსაც. დამსჯელი რაზმები შეირბნენ დაბა-სოფლებში, ხდება ქვეყნის აოხრება. მოსახლეობის ჟლეტა და გაუგონარი მეურაცულოთაო" (მოგ: გვ.223)

ეს საშინელება გრძელდებოდა და რასაკვირველია ქართველი ერი გულხელდაკრეფილი ვერ შეხვდებოდა მას. ხოლო აღარ არსებობდა საშუალება ფიზიკური წინააღმდეგობისა და აღარც პროტესტები სჭრიდნენ. ქართველების უთვალავ რეაქციას რუსები რეპრესიებით უპასუხებდნენ. დარჩა მხოლოდ საერთაშორისო აზრი და სინდისი, რომელსაც რუსები ასე შემომწუნარნი იყვნენ! თუმცა არც ეს გზა იყო დიდად საიმედო, მაგ-ესლა რჩებოდა როგორც უკანასკნელი გამოსავალი.

1907 წელს ჰააგაში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია და მოწინავე ქართველთა ჯგუფმა ამ კონფერენციას მიმართა დახმარებისათვის; 1)

---

1) ქართული დედნის უქონლობის გამო ამ პეტიციის ადგილებს ვთარგმნით ფრანგულიდან, რომელიც გამოქვეყნებული იყო 1915 წ. ციურიხში. "ლა ჟეორჟი ე ლა გერ აქტუელ" (მგონია ეს წიგნი ეკუთვნის მიხ. წერეთლის კალამს).

ქართველთა პერიოდიკაში ნათქვამია:

"უკვე ორი წელიწადია რაც საალყო წესები იქმნა გამოცხადებული საქართველოში და ის გადაცემული მხედრობისა და უფროსების საწინდებლად,

საქართველოს პროვინციათა აუგავებული სოფლები, სამეგრელოში, იმერეთსა და ცენტრალურ საქართველოში ანგრევს და გადასწვავს. გლეჯავს ბაღებს და ვენახებს. უფროსებმა და ჯარისკაცებმა გასცარცვეს გლეხობის ქონება. ქალაქები: ქუთაისი, ოზურგეთი, ყვირილა, ხონი, ჭიათურა და 104 სოფელი დაანგრიეს მთლიანად ან ნაწილობრივ. მრავალი ასეული ქართველი იყო მოკლული ქალები და ბავშვებიც კი ვერ გადაურჩნენ მკვლელობას და საშინელებებს. ტერორის ქვეშ მყოფი მოსახლეობა გაიქცა მთებში და ტყეებში, სადაც მრავალი, განსაკუთრებით ბავშვები დაიღუპა სიცივისა და სიმშილისგან. ყველა ეს ფაქტები იყო დადასტურებული ქართველ ქალთა მოწოდებაში კულტურული მსოფლიოს ქალთა მიმართ, გამოქვეყნებული 1906.

თვით თბილისში, ჩვენს სატახტო ქალაქში ნამესტნიკისა და მაღალი ხელისუფლების თვალ წინ და მათი თანხმობითაც მოწყობილი იყო "პოგრომები".

29 აგვისტოს, 22 ოქტომბერს და 2 დეკემბერს 1905 წლისა, ქუჩებში, თვით მეფის მოადგილის სასახლის მახლობლად დახოცეს ქალები და ბავშვები. სისტემატიურმა დევნამ ჩვენი ერისა იქამდე მიაღწია, რომ გვიკრძალავენ დავეხმაროთ გაჭირვებულ თანამემამულეთ დასავლეთის პროვინციებისა. და როდესაც ქართველ ქალთა საზოგადოებამ შეაგროვა ფული გურიის დამშეული გლეხობის დასახმარებლად, მეფის ნაცვალი ვორონცოვ-დაშკოვი წინ გადაელობა მათ: "მთავრობა ნებას არ მოგცემთ დაეხმაროთ მათ, ვინც მის მიერ დასჯილნი არიან".

"როდესაც გაზაფხულის გასვლისას მენინგიტის ეპიდემია გაჩნდა კახეთის პროვინციაში, ქართველ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოებას უნდოდა იქ წამლების გაგზავნა, ახლაც მეფის ნაცვლის ბრძანე-იქ წასვლა აეკრძალათ აეკრძალათ აგრეთვე გაეგზავნა ამცრელებისა ცენტრალური საქართველოს სოფლებში.

ასობით ქართველები, თუ არა ათასობით დაკავებული არიან ციხეში გაუსამართლებლად და ელიან ციმბირში ან ჩრდილო რუსეთში გადასახლებას.

გასულ წელს, სამასზე მეტ პირს, თითქმის ყველა ქართველს, მიუსაჯა სიკვდილი სამხედრო სასამართლომ და აღასრულა კიდეც. ათასობით გლეხები და მუშები იყვნენ გადასახლებულნი ციმბირსა და ჩრდილო რუსეთში" და სხ.

დახმარების თხოვნასთან ერთად ამ პეტიციით ქართველები სთხოვდნენ კონფერენციას რათა რუსებს აღედგინათ 1783 წლის ხელშეკრულების ნიადაგზე დამყარებული მდგომარეობა, ე.ი. დამოუკიდებლობა რუსეთის პროტექტორატის ქვეშ... კონფერენციას ეს თხოვნა არც კი განუხილავს...

ასეთ საჩივრებს არავითარი შედეგი მოჰყოლია. რუსის მთავრობა კვლავ განაგრძობდა ქართველების დევნასა და დაჭირვებას. არავითარი გზით ქართველების ხსნა არა ჩანდა. ერთად ერთი საერთაშორისო გართულება იყო საჭირო რომ რუსეთში რაიმე ცვლილება მომხდარიყო და მაშინ იქნებ ქართველ ხალხს რამე რგებოდა.

ამ მდგომარეობის მოლოდინში ქართული მოწინავე წრეები ენერგიულად მუშაობდნენ როგორც შიგნით ისე გარედ. და საერთოდ მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში ქართული ეროვნული მოძრაობა არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩამქრალი და უფრო ხელსაყრელ პირობებში და შესაძლებლობის მიხედვით ამჟღავნებდა თავის მისწრაფებას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის და ეს ბრძოლა ბოლომდე არ შეუწყვეტია...

6. ეროვნულ-განმანთ. მ ო ძ რ ა ო ბ ა. მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში ქართველი ერის მოწინავე შვილები სხვა და სხვა გზებით იბრძოდნენ ქართველი ერის თავისუფლებისათვის. ეს ბრძოლა იყო ხან ახდილი, აჯანყებებისა და გამოსვლების სახით, ხან პროპაგანდით, ხან კულტურული საქმიანობის ამოფარებით და ხან კიდევ გადაბმული რუსეთის საერთო რევოლუციონურ მოძრაობასთან. რუსეთის ტახტის შერყევაშიც ქართველები შველას ხედავდნენ.

მეცხრამეტე საუკუნის პირველი მესამედი შეიარაღებული ბრძოლებით ხასიათდება. 1832 წლის შეთქმულების უდღეურობის შემდეგ, ფიზიკური ბრძოლა გადატანილ იქმნა სხვა სფეროში.

სამოციანი წლებიდან დაიწყო გარკვეული ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა, რომლის მთავარი მეთაური იყო ილია ჭავჭავაძე. ამ წრეს, რო-

მელიც ილიასთან ერთად გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე, მრავალი დიდი საქმეები ამშვენებენ. მათ ეძახდნენ "თერგდალეულებს. აი, თვით საბჭოთა ისტორიკოსი აბელ კიკვიძე რასა სწერს მათზე:

"ამ რიგად, თერგდალეულთა ბრძოლას თავიდანვე პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭება. იგი ხდება ისტორიულ მოძრაობად, ეროვნულ განმანთავისუფლებელ ბრძოლად; ბრძოლა ქართველი ხალხის სოციალური და ეროვნული თავისუფლებისათვის – ასეთი იყო თერგდალეულთა საპროგრამო მოთხოვნა". (ა. კიკვიძე. საქართველოს ისტორია. მე-19-ე საუკუნე. გვ. 316. 1954).

მიუხედავად იმისა რომ მომდევნო თაობები ზოგიერთ სოციალურ საკითხებში პირველთ არ ეთანხმებოდნენ, მათ შორის ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლა მაინც საერთო რჩებოდა.

მართლაც ილიას თაობამ ყოვლისმხრივი საფუძველი შეუმზადა ქართველი ერის მომავალ თავისუფალ ცხოვრებას. ილია ახალგაზრდობიდანვე, როგორც გრიგალი ისე გამოვარდა ქართული ბრძოლის სცენაზე. თავისი პუბლიცისტური წერილებით პირველი დაუკრა საქართველოს გარეშე მტერს: ყველას მუსრს ავლებდა როგორც კი შეეძლო. იცავდა მამულს, იცავდა ერს, მის ენას, მის კულტურას და იცავდა ქართველ ხალხს

ფიზიკური განადგურებისაგან. ის ვეფხვივით იგერიებ-
და ყველა თავდამსხმელებს და მთელ ქვეყანას აგრძნო-
ბინებდა, რომ ქართველი ერი არ მომკვდარა და ერთ
დღეს ის კიდევ აღსდგება. აკაკიც ხომ პირდაპირ
სწერდა: "არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავსო"!

თავის მხატვრულ ნაწერებში კი ილიამ მიწასთან
გაასწორა ის წოდება, რომელიც ოდესღაც ერის ცხოვ-
რებას უძღვებოდა, დღეს კი ის ზედმეტ ბარგად შექ-
ნილიყო და მისი დრომოჭმული სოციალური ვითარებით
მხოლოდ აბრკოლებდა ერის ცხოვრების წინსვლას. ის
მათ მოუწოდებდა სოციალური სამართლიანობისა, შრო-
მისა და შემოქმედებისაკენ. მან ძალიან ცუდად დაა-
ხასიათა ჩვენი მაღალი წოდება. ქართველი ერის სა-
სიცოცხლო ძალას კი ხედავდა ქართველ გლეხობაში. ეს
ფენა კი იყო დამონავებული, დამცირებული და არ
ჰქონდა გასაქანი მატერიალური და კულტურული ამაღ-
ლებისა; გარდა ერთგვარი ჩაგვრისა, შებორკილი იყო
ბატონყმობის ბორკილით. ამიტომ ილია სასტიკად ებრ-
ძოდა ბატონყმობის ინსტიტუტს და მოითხოვდა გლეხე-
ბის სრულ განთავისუფლებას. მთელი მისი დაუღალავი

მუშაობა მიმართული იყო ერთი მიზნისაკენ: ქართველ ხალხში დაეთრგუნა განკერძოებული მისწრაფებანი და შეექმნა ერთი მთლიანი, მკვრივი ეროვნული სხეული. ეს კი შეუძლებელი იქნებოდა სანამ ადამიანის პიროვნების ღირებულების თანასწორობა არ იქნებოდა მოპოვებული. მან ყოველგვარი "იზმებისაგან" თავი შეიკავა და თავისი აზროვნება გაშალა ერთი მთლიანი ეროვნული მოძღვრების სახით.

ილია ჭავჭავაძეს ბანი მისცა აკაკი წერეთლმა თავისი დაუშრეტელი პატრიოტული პოეზიით. სოციალურ საკითხებშიც აკაკი ილიასთან იყო, ისე როგორც მისი თაობის ყველა მოწინავე პირები. აკაკი თავისი ტკბილი გალობით არა მარტო ატკბობდა ქართველ ერს, არამედ მასში ზრდიდა პატრიოტულ გრძნობას და განამტკიცებდა რწმენას საკუთარი ეროვნული მეობისა. ეს ორი ტრიბუნი ქართველი ერის სულიერი სათავეებისა ღირსეულ წინამძღვრობას უწევდნენ დაჩაგრულ და დაბეჩავებულ ქართველ ერს.

ამ ორ გოლიათს გვერდში უდგა გამოჩენილი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი. რომელმაც მთელი თავისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმზრდელობითი ნიჭი და ენერგია ქართველი ახალ-გაზრდობის პატრიოტულ აღზრდას შეალია. თავისუფა-ლი საქართველო მოითხოვდა მისი შვილებისაგან გმი-რობას. ასეთი სულის ჩამსჭმელი იყო იაკობ გოგება-შვილი; ნიკო ნიკოლაძემ, რომელსაც ილია "ჩვენს ფალავანს" უწოდებდა, ჩვენი ცხოვრების მატერიალ-ურ მხარეს მიაქცია ყურადღება. გაწვრთნილი და გა-თვითცნობიერებული ევროპის წარმატებას, უნდოდა მისი სამშობლოც ამ დონეზე ენახა: ის გრძნობდა რომ ერის მარტო სულიერი შეიარაღება საკმარისი არ იყო: მას სჭირდებოდა ნივთიერად ყურგის გამაგრე-ბა. ამიტომ მთელი მისი მოღვაწეობა მიმართული იყო ქართველი ერის ნივთიერი ამაღლებისა და აღორძინე-ბისაკენ: გზების გაყვანა, მრეწველობის შექმნა, სოფლის მეურნეობის გაუმჯობესება და სხ. კიდევ მრავალი პირების დასახელება შეიძლება, რომელნიც გაერთიანებული იყვნენ ამ საერთო იდეის გარშემო და იღვწოდნენ დაუღალავად...

1879 წელს დაარსდა "ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება" ილია ჭავჭა-

ვაძის, იაკობ გოგებაშვილისა და ნიკო ცხვედაძის მეთაურობით. არსებითად ეს საზოგადოება გადაიქცა ქართველი ერის პარლამენტად, რომლის გარშემო ერთიანდებოდა მთელი ქართული მოწინავე საზოგადოება და აღნიშნული ვიწრო სახელწოდების ქვეშ გაშალა ფართო ეროვნულ-საზოგადოებრივი მუშაობა.

ასეთი იყო ძირითადი პროგრამა, რის განხორციელებას ემსახურებოდა ამ თაობის მოწინავე საზოგადოება და პრაქტიკული მოღვაწეობის დროს თუ ისინი წარამარად არ აყენებდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს, ეს სწორედ იმიტომ რომ ისინი სწორედ აქეთ მიისწრაფოდნენ და სწამდათ რომ ამის დრო დადგებოდა. ამას ასაბუთებდა ილია, როდესაც თავის წერილებში სოლომონ ბრძენს ალაპარაკებდა; როდესაც კითხულობთ მის ნაწერებს, სხვადასხვა დასკვნის გაკეთება შეუძლებელია; ილიამ სულ ახალგაზრდობაშივე მოხევის პირით მისი ძირითადი იდეა: "ადრიადა, ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდათ"! და ეს იდეა იყო მისი მასულდგმულებელი უკანასკნელ წუთამდე...

რაკი ამ თაობამ კულტურული ნიადაგი შეამზადა,

შემდეგი თაობისათვის ბრძოლა უფრო გაადვილებული იყო. საზოგადოებრივი ცხოვრების წინ სვლასთან ერთად, აზროვნების დარგშიც თავს იჩენდა სხვაობა, გარნა ძირითადი მისწრაფება ერისა რჩებოდა უცვლელი. არსდებოდა მთელი რიგი ჯგუფებისა, ხშირად განსხვავებული ზოგიერთ საკითხებში; განსხვავება ბრძოლის ტაქტიკასა და მეთოდებში, მაგრამ ეროვნული თავისუფლება აერთიანებდა მათ.

დაიწყო ახალგაზრდობის გამოღვიძებაც; ესენი კიდევ უფრო გაბედულად იბრძოდნენ. ახალგაზრდობის შეკავშირება პირველად იწყება 1868-69 წლებში თბილისის გიმნაზიაში, რომელთაც ზურგს უმაგრებდა ქართველი მამულიშვილი პედაგოგები.

"გიმნაზიელები ამ პერიოდში ძირითადად ეროვნულ განმანთავისუფლებელ პოზიციებზე დგანან, თუმცა სოციალური უსამართლობის მოსპობასაც ემხრობიან". (იხ. ზაქარია შველიძე. კრებული "თბილისი" გვ.100)

70-ან წლებში იწყება სოციალური მოძრაობაც. ალბად რუსების გავლენით. საქართველოშიც გაჩნდნენ ე.წ. ხალხოსნები. ისინი მფარველობდნენ უმთავრესად ახალგაზრდათა წრეებს. სოფრომ მგალობლიშვილის

მოწმობით მათი იდეოლოგი ყოფილა ანტონ ფურცელაძე. მას ახალგაზრდობაზე დიდი გავლენა ჰქონია.

პირველ პერიოდში დაარსდა ახალი წრე ცნობილი ხალხოსნის ივანე ჯაბადარის მეთაურობით. ეს წრე ემზადებოდა ეროვნულ განმანთავისუფლებელი მუშა-ობისათვის.

ამ ჯგუფებიდანვე იწყება დიდი მოძრაობა თბი-ლისის სასულიერო სემინარიაში, რომელშიც მონაწი-ლეობას იღებდნენ შემდეგში კარგად ცნობილი ქართ-ველი მწერლები; და ისიც ვიცით რომ აქედან გამო-ვიდნენ ყველა ქართველი რევოლუციონერები.

ქართველი ახალგაზრდობის საპროტესტო სული იმდე-ნად ძლიერი იყო, რომ მას ყველა თავიანთ მოქმედე-ბაში ამჟღავნებდნენ. მრავალთაგან აქ ერთ მაგალ-ითს დავასახელებ. ერთ დღეს ბაღში დასეირნობდა დი-დი მთავარი მიხეილი. მას შეხვდნენ ქართველი სემი-ნარიელები: დ. კეკელი, სტეფანე ჭრელაშვილი და ალ. მაჭარაშვილი. მათ სალამი არ მისცეს და დამცინავი იერითაც შეხედეს. ამის გამო მეფის ნაცვალმა ისი-ნი იმავე წუთში შეაპყრობინა და შემდეგ მოახდინა სე-მინარისთვის ფართო გამოძიება. მათ აღმოაჩინეს აკრ-

ძალული ლიტერატურა და ექვს სემინარიელს ციხე მი-
უსაჯეს, ხოლო მათი ქართველი მასწავლებლები:
ი. გოგებაშვილი, ნ. ცხვედაძე და სხვებიც სემინა-
რიიდან დაითხოვეს. ეს მოხდა 1873-74 წლებში. ამი-
ერიდან ეს სემინარია გადაიქცა რევოლუციონერების
ბუდედ. 80-ან წლებში კიდევ ახალი ორგანიზაცია
დაარსდა გოგი წერეთლის მეთაურობით, რომელიც უკვე
ინდივიდუალურ ტერორზე გადავიდა, რომლის პირველი
მსხვერპლი, როგორც უკვე აღვნიშნე, იყო სემინარ-
იის რექტორი ჩუდეცკი.

დამახასიათებელი იყო კიდევ ერთი გარემოება.
რაკი პირობები მძიმე იყო, ზოგი ჯგუფი ახლიდან ვერ
ბედავდა ლაპარაკს დამოუკიდებლობაზე, რომ შეენარ-
ჩუნებინათ ლეგალური მოქმედების საშუალებები. ხში-
რად, მოჩვენებით, იმპერატორებსა და დიდ მოხელეებ-
საც კომპლიმენტებს სთავაზობდნენ, რათა მათ გვერ-
დით თავიანთი სურვილებიც გამოეთქვათ. ამ მიზეზის
გამო იმდროინდელ პრესაში რუსების ერთგულებისადმი
გამომხატველ ფრაზებსაც შევხვდებით. ხშირად ასეთი
ფრაზებით სარგებლობდნენ რუსები (და ჩვენი კომუნის-

ებიც), რომელსაც ამტკიცებდნენ, რომ ქართველ ერი ბედნიერია რუსეთის ბატონობის ქვეშ და მას დამოუკიდებლობა არ აინტერესებსო.

ქართველ მოღვაწეთა მეორე ნაწილი კი ახლით ბრძოლას ეწეოდა და რის თქმაც ადგილობრივ ძნელი იყო, ამას აკეთებდნენ უცხოეთში. გადიოდნენ საზღვარ გარედ და იქ სცემდნენ ჟურნალ-გაზეთებს.

1873 წელს პარიზში გამოვიდა გაზეთი "დროშა" ქართულად. მას ხელმძღვანელობდნენ ნ.ნიკოლაძე, დავით მიქელაძე და პავლე იზმაილოვი. ისინი იყვნენ ლიდის წრიდან გამოსულნი და მაშასადამე გამომხატველნი უფრო ფართო ქართული განწყობილებისა. ამავე ხანებში მტკიცდებოდა აგრეთვე იდეა კავკასიის მომავალი ფედერაციისა.

ეს ჯგუფი კავშირში იყო საქართველოში ფართო წრეებთან და თავიანთ გაზეთში ქადაგობდნენ თავისუფლებასა და კავკასიის ფედერაციას. ისინი სწერდნენ:

"თავისუფალი ფედერაცია ყველა კავკასიის ხალხები, განწყობილობით ყველა მოქალაქეების ეკონომიური თანასწორობისაებრ, აი ჩვენი საზოგადოებრივი იდეალი" (კიკვიძე. გვ; 333)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ჯგუფმა 1874 წლის ჟენევაში მოიწვია კონფერენცია. მას დაესწრო 40 კაცი და აქ გადაწყდა დამოუკიდებელი კავკასიის რესპუბლიკის მიღება.

ეს ჯგუფი დასაწყისში მშვიდობიანობის გზას ადგა. ის ფიქრობდა რომ ჯერ ზოგი რეფორმა მოეპოებინა და ასე ნიადაგი შეემზადებინა მომავალი დამოუკიდებლობისათვის. მაგრამ მალე დარწმუნდა რომ მშვიდობიანი გზით რუსებისაგან არაფრის მიღება შეიძლებოდა, ამიტომ ისინიც ძალის ტაქტიკას დაადგნენ. "დროშის" მესამე ნომერში დ.მიქელაძე სწერდა: "მე მეგონა მშვიდობიანი პროგრესი, ერობის დაარსების მოლოდება, მოქალაქობრივი უფლებები მომავალში, ნაფიცი კაცების სამსჯავრო, ვერც ერთი ესენი ვერ გვიხსნიან და ჩვენ მოგველის აწრე თუ ვიდან გაქრობა, როგორც ნაციონალობის. მაშ რა ვქნათ? იკითხავს ვინმე, - ვუპასუხებთ: ჩვენ ყოველი ღონე, ცოდნა, გამოცდილება, ენერგია უნდა მოვახმაროთ იმას, რომ ჩვენი ხალხები, როდესაც რუსეთი გერმე მტერს შეებმება - და ეს ეგში არ არის შორს - მაშინ იარაღით ხელში ბრძოლის ველზე გამოვიდეს დიდი და პატარა. ამ საზოგადოება და დიდებულ დროს ძველებური ვაშა-ვაშას ყვირილით ვამტერით ხალხი მტერს. ჩვენდა მოთავეობდ, მტრის თანხმობით შევძახოთ: "თავისუფლება ან სიკვდილი"! (იქვე,334).

ქართული საზოგადოებრივი მოძრაობის ისტორიაში ამ ჯგუფს, რომელიც გამოეყო ლიგის ჯგუფს, ეწოდა მეორე დასი. ლიგის ჯგუფს ერქვა პირველი სახელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაკი ამ დროს ხალხოსანთ ჯგუფიც არსებობდა, სხვათა შორის ზემოხსენებულ ჟენევის კონფერენციაზე ხალხოსანთა წარმომადგენლებიც იღებდნენ მონაწილეობას და ისინიც უჭერდნენ მხარს კავკ:ფედერაციას.

ამნაირად, თერგდალეულებიდან მოყოლებული, ე.ი. პირველი და მეორე დასით გათავებული, 1860-1880 წლებში არსებული ყველა საზოგადოებრივი ჯგუფები ერთი აზრის იყვნენ საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხში. ეს იყო საერთო ყველასათვის.

თვით რუსეთში უდიდესი სოციალური რეპრესიების გამო დაიწყო ფართო სოციალური მოძრაობა და ევროპიდანაც შემოიჭრა ახალი იდეა, იდეა სოციალიზმისა. ამ ნიადაგზე საქართველოშიც გაჩნდა წრე, რომელიც გაიტაცა სოციალიზმმა. და თუმცა ეროვნული საკითხი მივიწყებული არ იყო, ის ამ წრისათვის მეორე პლანზე იყო გადადებული. ამ წრის ერთი ნაწილი ეროვნულ საკითხს უკავშირებდა მათ სოციალიზმის დოქტრინას. პირველი მიზანი გახდა სოციალიზმის დამყარება და მაშინ ეროვნული საკითხიც თავის თავად გადაწყდებაო. მეორე უფრო ზომიერი ნაწილი ფიქრობდა რომ თუ რუსეთში თავისუფალი დემოკრატიული წყობილება დამყარდებოდა, მაშინ საქართველოც ავტონომიას მიიღებდა.

ამ წრეებიდან მომავალში ჩამოყალიბდება სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელიც იქცევა ნაწილად რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიისა, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, ე.ი. 1918 წ.

ამ წრეების თეორეტიკოსად გამოვიდა ნ. ჟორდანია. როგორც უკვე რევოლუციონერი, ისიც სასულიერო სემინარიიდან იყო გამოსული. 1891 წელს ის იყო პოლონეთში. დასაწყისში, პოლონეთის გავლენით ის მომხრე იყო საქართველოს ავტონომიისა. 1892 წელს როდესაც ის პოლონეთიდან ბრუნდება, ამაზე ის სწერს:

"იქიდან (პოლონეთიდან) გამოვიტანე ნაციონალურ სფეროში ავტონომიურ კულტურული აზრები, ხოლო ტაქტიკა კი სავსებით იქაური პარტიების. პოლონეთის ნაციონალისტები და სოციალისტები ფიქრობდნენ ავტონომიის მოპოვებას რუსეთის არსებული რეჟიმის შეცვლით და უფრო ლიბერალური რეჟიმის შემოღებით... ჩვენი პატარა ერისათვის ეს ტაქტიკა თავისთავად საგულისხმო და მისაღები იყო". (იხ. მისი "ჩემი წარსული. პარიზი, 1953 წ.)

და იქვე დასძენს:

"მაგრამ ვარშავის ქართველი სტუდენტობა აქ არ ჩერდებოდა და დამოუკიდებლობის იდეას აყენებდა".

სხვათა შორის, როდესაც მარქსისტული ჯგუფი დაარსდა, ჟორდანია იმასაც გვიყვება, რომ აქაც დიდი დავა ყოფილა ეროვნულ საკითხზე. ასე ადვილი მაინც არ აღმოჩნდა ეროვნული საკითხის დათმობა!

ეს ერი გატაცებული რევოლუციონური იდეებით, დაინტერესებული იყო რაც შეიძლება მეტი ხალხი მიემხრო. მისთვის მნიშვნელობა ჰქონდა რიცხვს. ზოგი მათგანი ფიქრობდა რომ თუ ჩვენ მივიღებთ ეროვნულ საკითხს, ეს ძალაუნებურად ხიდს სდებს კლასთა შორის და ჩვენი კლასიური იდეების ქადაგობაში ხელს შეგვიშლის, (ჟორდანია), წავაგებთ, ამიტომ ჩვენ უნდა დავრჩეთ სოციალური პრობლემის ნიადაგზე. და საბოლოოდ ქართველმა მარქსისტებმა მიიღეს ეს დებულება. მით უმეტეს რომ რომელსაც პარტია ჩამოაყალიბეს, ის იქცა რუსეთის სოც.დემოკრატიული პარტიის სექციად და რუსებთან ერთად მით უფრო გაუჭირდებოდათ ეროვნული საკითხის პირველ რიგში წამოყენება. ამიტომ ისინი იბრძოდნენ არა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, არამედ მთელი იმპერიის საზომით რევოლუციისა და სოციალიზმის დამყარებისათვის. თუმცა მათ წრეში კიდევ მოიპოვებოდნენ ისეთი პირები, რომელნიც არ სთმობდნენ ეროვნულ საკითხს და უფრო ხელსაყრელ შემთხვევებში ავტონომიას მაინც ემხრობოდნენ.

სოციალიზმისა და განსაკუთრებით მარქსიზმის შემოჭრამ საქართველოში, ქართულ მოწინავე საზოგადოებაში დიდი რეაქცია გამოიწვია. მაშინ როდესაც ერის ბედი სასწორზე იდო, ეროვნულ-არსებობის საკითხი უჭკა, ამ დროს შინაური ბრძოლა კლასობრივ ნიადაგზე, რა გინდ ის კანონიერი არ ყოფილიყო, ეროვნული ინტერესების შემლახველი იყო. მართალია საქართველოში სოციალური უსამართლობაც სუფევდა, მაგრამ მას ვერავინ მოაგვარებდა, რადგან გაბატონებული რუსეთი მას იცავდა. და როდესაც მარქსისტები გამოვიდნენ დაჩაგრული ხალხის დამცველებად, ძალიან მალე აიყოლიეს ფართო მასები. რასაკვირველია სოციალური სამართლიანობისათვის ბრძოლაც სამართლიანი იყო, მაგრამ როდესაც გარეშე მტერი

გებრძვით, იქ მთელი ერი ერთად გამოდის საბრძოლველად. ეს წრე ერთ რამეში მაინც სცდებოდა, როდესაც შინაურ უბედურებას მარტო შინაურ ვითარებას მიაწერდა, რადგან აქაც დიდ ნაწილად დამნაშავე იყო რუსეთი. მრავალი საბუთი არსებობს იმის დასამტკიცებლად, რომ რუსის მთავრობა დიდად ხელს უწყობდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველ ხალხში სოციალურ უსამართლობას. ქართველი ხალხის დაქსაქსვას და ერთი-ერთ დაპირისპირებას, რომ ამით, მთავარი, ეროვნული თავისუფლების საკითხი მიევიწყებინათ. ამ მოძრაობამ რუსებს მოკავშირეობაც გაუწია. არავინ უარჰყოფდა მიზანს სოციალური ბრძოლისა და ამაზე ისევ ილიაზე მეტი არავის არაფერი უთქვამს. ეროვნულ საქმეს რომ ზიანი არ მოსვლოდა ეს ბრძოლა უნდა ჩაყენებული ყოფილიყო ეროვნულ საკითხთან იერარქიაში. ეს სწორად უპასუხებდა ჩვენი ერის მაშინდელ მდგომარეობას.

მარქსისტებმა კი უარჰყვეს ეროვნული საკითხი: ეს კი უპასუხებდა რუსეთის ინტერესებს. არსებობს ოფიციალური საბუთები (კერძოდ ნამესტნიკის მოხსენება იმპერატორისადმი), რომელნიც ასეთი მოძრაობის არსებობას საქართველოში, რუსებისათვის სასარგებლოდ სთვლიდნენ!

როგორც აღვნიშნე, ამ მოძრაობის წინააღმდეგ რეაქცია იყო დიდი. მაგრამ მოწინააღმდეგეთა ბანაკი ფიზიკურად სუსტი აღმოჩნდა და თანაც დაქსაქსული. ამიტომ ილია ჭავჭავაძის გზით ბრძოლა გაძნელდა. იმ მიზნით რომ მარქსისტებმა უკვე დაიპყრეს

საზოგადოების ფართო მასები, ხალხთან ცოტა [illegible] მიმზიდველი იდეით მისვლა იყო საჭირო. დაახლოებით ასე ფიქრობდა ის წრე რომელიც გამოეყო ილიას ჯგუფს და ზოგი კომპრომისის გაკეთებით ებრძოდა მარქსისტულ მოძრაობას.

ამ წრემ 1903 წელს პარიზში გამოსცა ჟურნალი "საქართველო" ქართულ და ფრანგულ ენებზე. უკვე სათაური ჟურნალისა გვამცნობს რომ მისი მთავარი საგანი უნდა ყოფილიყო საქართველო. ჟურნალის პირველსავე ნომერში, რუსეთის ლიბერალებისადმი და სოციალისტებისადმი მიმართული ღია წერილი ასე იწყება:

"ამ წერილის საშუალებით იმისი აღიარება და თქმა კი არ გვინდა, რომ თითეულ ერს - რა გინდ პატარა იყოს ეს ერი - სიცოცხლის და თავისუფალი განვითარების უფლება უნდა ჰქონდეს, არა, რაც ყოველ სინდისიერ და გონება განვითარებულ ადამიანისათვის აშკარაა, იმისი გამეორება ამ ჟამად არ გვწადის" (იხ. "საქართველო" №.1).

მიუხედავად ამისა ისინი დამოუკიდებლობის საკითხს ახლავე არ აყენებენ, არამედ ეროვნული ავტონომიისა. ეს იყო უკვე პირველი კომპრომისი. შემდეგ კი მათი აზრების განვითარებას მივყევართ ფედერაციამდე. ისინი სწერენ:

"ჩვენი სურვილი დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენა არ არის. ნათლად და აშკარად ვამბობთ. ჩვენ პოლიტიკური სეპარატიზმის მომხრენი არა ვართ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი წადილი და მისწრაფებაა - განსაკუთრებულ საქართველოს პირობებთან შესაფერისი კონსტიტუციის მოპოვება. ჩვენ გვსურს დავრჩეთ რუსეთის პოლიტიკური ორგანიზმის ჩარჩოებში, მხოლოდ ამასთან შინაურ საქმეებში გვინდა ვიყვეთ სრულიად დამოუკიდებელნი. ერთის სიტყვით ჩვენ გვსურს ეროვნული ავტონომია მოვიპოვოთ" ("საქართველო" N.1) და შემდეგ ამ ჯგუფის იდეოლოგმა არჩილ ჯორჯაძემ წიგნიც დასწერა "ფედერაციაზე".

როგორ ესმოდათ მათ ეს ეროვნული ავტონომია? ისინი სრული დამოუკიდებლობის პრინციპს არ უარყოფდნენ. ეს გამომდინარეობდა მთელი მათი აზროვნებიდან. მაგრამ სრული დამოუკიდებლობა შეუძლებლად მიაჩნდათ შექმნილ საერთაშორისო პირობებში. დამოუკიდებლობა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ რუსები ხელს აიღებენ აღმოსავლეთის პოლიტიკაზე და დასავლეთიც იცნობს ჩვენს ნეიტრალობას. ამის განხორციელების პირობების ავტორები ვერ ხახულობენ. ამიტომ ეძებენ ისეთი ფორმის დამოკიდებულებას რუსეთთან, რომელიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს ქართველი ერის მისწრაფებას. ისინი სწერენ:

"ჩვენ აზრად არა გვაქვს ოცნებათა სამეფოში ვიფრინოთ. გარემოებებს თვალი თვალში უნდა გავუყაროთ და ამის მიხედვით ჩვენი პროგრამიდან პოლიტიკური სეპარატიზმი, საქართველოს რუსეთისაგან სრული გამოყოფის აზრი, უნდა წავშალოთ.

ეროვნული

ავანტიურისტული მისაზრებას თავი უნდა დავანებოთ.
ეს ქვეყანა პოლიტიკურ ორგანიზაციაში დარჩება.
ამ აზრს უნდა შევურიგდეთ. საქმე ის არის რომ ამ
პოლიტიკურ ორგანიზაციაში იმგვარი პირობები შევ-
ქმნათ, რომ ერთის მხრივ რუსეთთან ერთობაც არ
შევწუხვიროთ, მეორე მხრივ ჩვენი ეროვნება თავის-
უფლად განვავითაროთ" (საქ.ნ.2).

და ბოლოს ირკვევა რომ მათი "ავტონომია"
უდრის იმ მდგომარეობას, რომელიც რუსეთსა და სა-
ქართველოს შორის დამყარდა 1783 წლის ხელშეკრულე-
ბით. ამას ისისნი პირდაპირ სწერენ:

"მეფე ერეკლეს ტრაქტატი ჩვენთვის საუკეთესო
სახელმძღვანელოა ამ საქმის განსამარტავად. რა
სურდა მეფე ერეკლეს? თავისუფლება შინაურ საქმეთა
მართვა-გამგეობისა. ჩვენი აზრი იმით განსხვავდე-
ბა მეთვრამეტე საუკუნის ტრაქტატის აზრისაგან,
რომ საქართველოს მართვისათვის ქართველი მეფეების
ტახტზე ასვლა საჭირო აღარ მიგვაჩნია".

თანამედროვე ენაზე რომ ვილაპარაკოთ, უნდა მო-
ისპოს 1783 წლის ხელშეკრულების შემდეგ შექმნილი
მდგომარეობა. მოიხსნას საქართველოს ანექსია და
აღსდგეს საქართველოს დამოუკიდებლობა, თუნდაც მი-
სუვერენობის შეკვეცით.

აზრი ამ მიმართულებისა გარკვეულია. რუსეთს

საქართველო უთმობს მხოლოდ საგარეო პოლიტიკაში ნარჩევას. შინაურ საქმეებში კი ინახავს სრულ თავისუფლებას. ე.ი. ერთგვარი დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნას რუსეთის მფარველობის ქვეშ. შეიქმნება საკანონმდებლო ორგანო "საერო კრება" ე.ი. პარლამენტი, ის გაუძღვება მართლმსაჯულებას, ფინანსებს და სხ. ქართული ენა აღიარებული იქნება სახელმწიფო ენად; ის უნდა ბატონობდეს სკოლაში, ადმინისტრაციაში, ეკლესიაში და სხ. ეკლესია უნდა გამოეყოს პეტერბურგის სინოდს და უნდა იყოს დამოუკიდებელი. ყველა აქედან სჩანს რომ რუსეთის მფარველობაში დარჩენა ნაკარნახები მარტო ქართული ინტერესებით. ხოლო ის მოვლენა ვერ შეაფასეს, რომ თავის დროზე რუსეთი ამ პირობებით არ დაკმაყოფილდა და ანექსია მოგვიხდინა. და ვერც იმის დასაბუთება მოგვცეს თუ როგორ უნდა მოგვეპოებინა ასეთი მდგომარეობა. ე.ი. თან თავისუფალი ვყოფილიყავით და თანაც რუსეთი გვყოლოდა დამცველად გარეშე მტერთაგან და ამით კი ისევ ფანტაზიაში გადავარდნენ, რასაც სხვებს უსაყვედურებდნენ!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუმცა ეს ჟურნალი გარკვეულ აზრს ქადაგობდა, მაინც, რაკი ის თავისუფალი ორგანო იყო, სჩანს საერთო აზრს უკეთ არ იზიარებდა და მის ფურცლებზე საქართველოს სრული დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის აზრებიც გაისმოდა. აი ერთი ანონიმური კორესპონდენტი რას გადმოგვცემს:

"ჩვენ გვინდა ვიყოთ ადამიანები, ჩვენ გვინდა ვიცხოვროთ სრულის ადამიანურის ცხოვრებით, ჩვენც გვაქვს ამის უფლება! დრო არის სახოება მოვიგონოთ. სულით დაცემულებმა და ავაფრიალოთ დროშა, რომელზედაც ცეცხლის ასოებით უნდა აღვბეჭდოთ: თავისუფალი ქართველი ერი... ქართველი ერი უნდა იყოს თავისუფალი, დამოუკიდებელი. თავისი ცხოვრების გამგებელი და პატრონი" და სხ. (ნ.2.გვ.9).
და ეროვნული დამოუკიდებლობის ფორმულას იმეორებს სისტემატიურად.

მოკლედ, ამ ჟურნალის ფურცლებზე ტრიალებს ორი აზრი, უფრო ერთი, ორი ნიუანსით: ავტონომია რუსეთის ფარგლებში მეფე ერეკლეს ტრაქტატის საფუძველზე და სრული დამოუკიდებლობა.

ამ წრეში დაიბადა საქ.სოც. ფედერალისტთა პარტია, რომელმაც პროგრამად დაისახა პირველი ფორმულა. ხოლო ის ნაწილი, რომელიც შერჩა სრული დამოუკიდებლობის პრინციპს, ვერ შექმნის გარკვეულ პარტიას და განაგრძობს ჯგუფურ მოქმედებას.(იხ.ქვემოდ)

რაკი ილიას ჯგუფისაგან გამოყოფის ერთი მიზეზი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალური საკითხიც იყო, ამ წრემ მარქსისტებისად-მი მეორე კომპრომისიც გააკეთა, იმით, რომ მან-აც თავი სოციალისტურ პარტიად გამოაცხადა, ხოლო უარჰყო კლასთა ბრძოლის პრინციპი და ასე შუაში გაიჩხირა მარქსისტებსა და ნაციონალისტებს შორის.

სხვათა შორის ნ. ჟორდანია გადმოგვცემს, რომ ამ ჟურნალს დასაწყისში თანაგრძნობით შევხვდი და იქ ვთანამშრომლობდით. ხოლო როდესაც გამოირკვა ჩვენს შორის აზრთა დიდი განსხვავება, თავი მივანებეთ.

1904 წელს ჟენევაში შეიკრიბა კონფერენცია, სადაც იყო გაფორმებული სოც. ფედერალისტთა პარტია. აქ ესწრებოდნენ სოც.-დემოკრატებიც, რომელთაც ის მიატოვეს. ამაზე ჟორდანია სწერს:

"კონფერენციამ გამოაცხადა ხ დაარსებულად სოც.-ფედერ. პარტია, რომლის ძირითად დოქტრინად აღიარა ორი ახალი დებულება: საქართველოს ავტონომიისათვის ბრძოლა და ამ დროშის ქვეშ ყველა რევოლუციური და პროგრესული ძალების დადგომა.. ეს საერთო ნიადაგი გახდა ჩვენთვის უთუოდ მიუღებელი. ეს იყო აღდგენა ილია ჭავჭავაძის ძველი დებულების - ყველა ერთ ტაფაში ვიწვით, ყველა შევერთდეთ ვინაობის დაცვაში" (მისი მოგონებები, გვ. 62)

მიხ. წერეთელიც ადასტურებს ამ ფაქტს. აგრეთ-ვე ადასტურებს იმასაც რომ 1902 წ. სოც. დემოკრატ. პარტიის კონგრესზე ნ. ჟორდანიამ და მასთან მყოფმა

მეორე ქართველმა დელეგატმა დასვეს საქართველოს ავტონომიის საკითხი. მაგრამ რუსებმა ის არ მიიღეს და მალე როდესაც ამ პარტიაში განხეთქილება მოხდა, მენშევიკ-ბოლშევიკებად, წერეთლის სიტყვებით , დასაწყისში ჟორდანიამ თავი შეიკავა და არც ერთს მიემხრო და არც მეორეს. "მას შეიძლება აზრადაც ჰქონდა რომ ქართული სოც.დემოკრატიული პარტია დაეარსებინა". მაგრამ საბოლოოდ ის პარტიულ დისციპლინას დაემორჩილა. "ამიტომ დასტოვა მან კონფერენცია ჟენევისა, რომელსაც ეროვნული პარტია უნდა დაეარსებინა" და შემდეგ ისიც თვე ებრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას, როგორც სხვა სოციალ დემოკრატებით. (იხ.მ.წერეთლის მოგონება. "სახალხო საქმე", საგანგები რვეული. არგენტინა. 1952 წელი).

ამ კონფერენციას ესწრებოდნენ სხვა უფრო უკიდურესი ელემენტებიც. მათ შორის მიხ.წერეთელი, რომელიც მაშინ ანარქისტი იყო, შემდეგში კი ის განაციონალისტდა და დარჩა საქართველოს სრული დამოუკიდებლობის ჯგუფში.

რაკი ამ კონფერენციას სხვა და სხვა ფრის ხალხი ესწრებოდა, ალბად ყველა ფიქრობდა რომ შეიძლება საქმე მათ სასარგებლოდ წასულიყო. კერძოთ იქ ნაციონალისტების დასწრებას ის აზრი ჰქონდა რომ ამ კონფერენციის მთავარ ორგანიზატორის გ.დეკანოზიშვილს

აზრად ჰქონია ნაციონალისტური პარტიის დაარსება.

დეკანოზიშვილი უკვე ცხრაასიანი წლებიდან მოღვაწეობდა უცხოეთში. მას მრავალი კავშირებიც ჰქონდა დამყარებული. აქ დაუახლოვდა მას არჩილ ჯორჯაძე და ნაწილობრივ მისი გავლენით "განაციონალისტდა". მაგრამ მიუხედავად დეკანოზიშვილის სურვილისა ცოტა სხვანაირი პარტია დაიბადა აღნიშნულ კონფერენციაზე/ ის იყო ნაციონალისტურიც და სოციალისტურიც.

მიუხედავად ამისა, ამ პარტიაში მაინც დიდძალმა ინტელიგენციამ მოიყარა თავი. ეს იდეოლოგია საკმაოდ მომხიბლავი აღმოჩნდა. ერთის მხრით თავს აცხადებდა სოციალისტურად და დროს ხარკს უხდიდა და მეორეს მხრით, ჟორდანიას სამართლიანი შენიშვნით, მათ აღიარეს ერის პ რ ი მ ა ტ ი. ამიტომ ამ საკითხში ებრძოდნენ მარქსისტებს და არ. ჯორჯაძემ ერთგვარი პოპულიარობაც მოიპოვა ეროვნული იდეის პროპაგანდის საკითხში.(თუმცა, უკანასკნელ ხანებში ამ იდეას ჟორდანიაც დაუბრუნდა. ამაზე ქვემოთ).

საერთოდ ილია ჭავჭავაძის ჯგუფი ფართო წრეს წარმოადგენდა და მას ვიწრო პარტიული პროგრამა არ

ჩამოუყალიბებია. ამის მთავარი მიზეზი თვით ით-იას ძირითად იდეაშივე უნდა ვეძიოთ. და როდესაც პარტიობა დაიწყო და შექმნა ვიწრო იდეოლოგებისა, ილიას წრეს ნელ-ნელა მისი მომხრე ახალი თაობაც სცილდებოდა და იმავე ეროვნული პრინციპის ნიადაგზე ეძებდა ახალ გზებს ბრძოლისათვის.

როდესაც ჯორჯაძის ჯგუფმა ფედერ. პარტია დააარსა და გარკვეული პროგრამა ჩამოაყალიბა, ერთმა ჯგუფმა არა მარტო არ გაიზიარა მისი სოციალისტური პროგრამა, თვით ნაციონალურ საკითშიც რადიკალურ გზას დაადგა. და ასე 1909-10 წლებში თბილისში შეიქმნა ახალი ჯგუფი. მასში შედიოდნენ: იაკობ გოგებაშვილი, ერთი ბელადთაგანი პირველი დასისა, ფილიპე გოგიჩაიშვილი, გ.გვაზავა, პეტრე სურგულაძე, ს.ეიფიანი, ალ.ეიფშიძე, ნ.ლორთქიფანიძე, ვ.გუნია, მიხ. წერეთელი და სხვ. ისინი სცემდნენ გაზეთ "ერი"-ს, რომელსაც ცენზურისაგან შეწუხებული ხშირად უცვლიდნენ სახელს.

მიხ. წერეთელი, სანამ ანარქისტი იყო ფედერალისტებთან თანამშრომლობდა. ხოლო როდესაც

განაციონალისტდა, მან დაიწყო საკუთარი ეროვნული თეორიის დამუშავება, ამაზე ის სწერს:

"უკვე 1909-1910 წლებში ჩემი თეორიაც ერისა სხვანაირად ჩამოისხა. აქედან გამომდინარეობდა პოლიტიკური იდეალი და გზა, მეთოდი ამ იდეალის მი"-ღწევისა" (აღნიშნული "სახალხო საქმე").

ეს წრე ნახევრად საიდუმლოდ მუშაობდა და ბოლოს გადაწყდა რომ უფრო ახდილი მუშაობა ეწარმოებინათ უცხოეთიდან. მათი ერთი წევრი მიდის უცხოეთში და 1913 წლის პირველ ნოემბერს სურგულაძის და ძმების თუთ და გიორგი კერესელიძეების ხელმძღვანელობით არსდება ჟურნალი "თავისუფალი საქართველო", ხოლო ომის დასაწყისშივე ისინი აარსებენ "საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს", რომელსაც მერე დაემატნენ: მიხ. წერეთელი, გ. მაჩაბელი, ნ. მაღალაშვილი და ბოლოს სტამბოლიდან მელიტონ ქარცივაძე და შ. ვარდიძე. ამ კომიტეტის მოღვაწეობას ფართოდ ვერ შევეხები. მხოლოდ აღვნიშნავ, რომ მან მიაღწია იმას რომ გერმანიას და თურქეთს აცნობებინა საქართველოს მომავალი დამოუკიდებლობა და თურქეთის ფრონტზე შექმნა ქართული ლეგიონი, რუსეთის წინააღმდეგ.

ჟურნალი "თავისუფალი საქართველო" უფრო გარკვე-

ულად და დასაბუთებით გამოვიდა საქართველოს დამოუკიდებლობის დასაცავად. ჟურნალი პირველი ნომრიდანვე გვამცნობს თავის მიზნებს:

"ჩვენის აზრით, არც ერთი დიდი საკითხი ქართველი ერის არსებობისა ჯერ-ჯერობით არ არის, ეროვნული თვალსაზრისით გარკვეული და გადაჭრილი. ჩვენ ვეცდებით ყველა ამ საკითხებს მივსცეთ გარკვეული გადაჭრა, შევიმუშაოთ მთელი გეგმა ეროვნული თვითარსებობის დაცვისა, საქართველოს აღდგენისა, მისი თავისუფლებისა და ამ გეგმის გარშემო თავი მოვუყაროთ მთელ მომქმედ საქართველოს... დარწმუნებულნი, რომ სამშობლოს ყოველი შვილი ჩვენთან არის სულიერად, იტანჯება იმავე საკითხებით, რომელთა გამორკვევა ჩვენ მიზნად დავისახეთ, ჩვენ ველით მათგან თანაგრძნობას, თანამშრომლობას, ჩვენთან ერთად მუშაობას და ბრძოლას ძვირფას სამშობლოს, დიდებული ქართველი ერის პოლიტიკურ აღდგენას, მისი დამოუკიდებლობის მოპოებისათვის".
("თავისუფალი საქართველო" ჟენევა. 1913 წ.ნ.1).

ჟურნალი გულდასმით და საფუძვლიანად შეისწავლის სურათს გვიშლის თანამედროვე საქართველოსი. რომ რუსები ამცირებენ საქართველოს იქ რუსების ნასახლებით, ხელიდან აცლიან საკუთარ მიწებსა და მთელ ტერიტორიებს, რომ მათ მოსპეს ქართული ენა სკოლებში, ებრძვიან ყოველგვარ ნასახს ქართული ეროვნული კულტურისა და სხ.

ამტკიცებენ რომ რუსები ცხოვრების ყოველ სფეროში მხოლოდ გვცარცვავენ და ჩვენთვის კი არაფრის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოცემა შემდეგით. ამიტომ ერთად ერთი ხსნა და[illegible] დარჩენა ქართველი ერისა განადგურებისაგან, არის მისი პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღდგენა. ეს შრე ამტკიცებს ჟურ. "საქართველოს" ტეზის საწინააღმდეგოს, ე.ი. რუსებთან ქართველი ერის თანამშრომლობის შეუძლებლობას, რომ ასეთ შემთხვევაში მოსალოდნელია საქართველო ალიგვოს პირისაგან მიწისა.

სოციალურად ეს შრეც სასტიკად ილაშქრებს თავადაზნაურობის წინააღმდეგ და ოცნებობს დემოკრატიული წყობილების დამყარებაზე თავისუფალ საქართველოში. მისი მთავარი საფუძველი იქნება გლეხობა და ხელოსნობა, დამყარებული კერძო საკუთრებაზე:

"ჩვენ ვიცავთ წვრილ საკუთრებას სასოფლო მეურნეობაში, როგორც ერთად ერთ თანამედროვე წინსვლით სახეს ინტენსიური მეურნეობისა და როგორც საფუძველს ჩვენი ერისა. (მისი მთავარი საფუძველი იქნება გლეხობა). ჩვენ არა ვართ კერძო საკუთრების კერძო მაღმერთებელი: როგორც კერძო ისე საზოგადო საკუთრება ისტორიული მოვლენაა და მას აქვს მხოლოდ შედარებითი ღირებულება. ჩვენ უნდა მივემხროთ იმ სახეს საკუთრებისა, რომელიც აწარმოებს მაქსიმუმს ეროვნული შემოქმედებისა" (იხ. ნ.1, გვ.16).

სჩანს ამ შრეს თავისი დროის აზროვნება კარგად ჰქონია შეთვისებული; რომელიც ერთის მხრით უარს ჰყოდა კოლექტივიზმს და მეორეს მხრით ლიბერალური

საკუთრების აბსოლუტურ პრინციპს. ეს პრინციპი მეორე მსოფლიო ომის წის ხორციელდებოდა იტალიაში. და საინტერესოა, რომ, როდესაც ევროპის ახალი იდეების გავლენის ქვეშ დაიწყო თავისი იდების განვითარება უცხოეთში დაარსებულმა თ.გ. ორგანიზაციამ, მათ სათავეში სწორედ ზემოხსენებული წრის წევრნი: ლეო ქერესელიძე და მიხ. წერეთელი აღმოჩნდნენ!

"თავისუფალი საქართველო" აქამდე არსებული ორგანოთა შორის ყველაზე ნიჭიერი დასაბუთებით შექმნილი მდგომარეობისადმი და ყველაზე გაბედული მოწოდებით გამოვიდა საქართველოს დამოუკიდებლობის დასაცავად. თუმცა ზოგ საკითხებში განიცდიდნენ სოციალისტების გავლენას და მათ დაფასებაში აჭარბებდნენ თავად-აზნაურობისა და სამღვდელოების შესახებ.

ეს წრე უცხოეთიდან საიდუმლოდ უკავშირდება საქართველოში საიდუმლოდ მოქმედ ჯგუფს. მათ შორის იყვნენ: სპ. კედია, შ. ქარუმიძე, რ. გაბაშვილი, შ. ამირეჯიბი, დ. ვაჩნაძე და სხ. რომელნიც ენერგიულ მუშაობას ეწეოდნენ ქართველი ერის მატერიალური გაჯანსაღების მიზნით...

ამნაირად, საქართველოს ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა ძირითადად ერთი გარკვეული ხაზით მიდიოდა. რევოლუციის შინ უკვე გარკვეულად ჩამოყალიბებული იყო ორი პარტია თავიანთი გარკვეული პროგრამებით. მაგრამ ბრძოლის პრაქტიკაში ფრთხილობდნენ და ერთმანეთს შორდებოდნენ. ზოგი თუ ვერ ბედავდა ეროვნული საკითხის აქტუალურად ქცევას, ზოგიც სცდილობდა რუსებისათვის გადაჭარბებული წინააღმდეგობა არ ეგრძნობინებინა. მათ გვერდით კი არსებობდა მთელი რიგი ეროვნული ჯგუფებისა, რომელნიც არც მათ იდეებს იზიარებდა და არც მათ პრაქტიკას. ამ ჯგუფებშიც მომავალში ორი ტენდენცია გამოირჩევა, რომელთაგან რევოლუციის ხანაში ერთი დადგა წმინდა დემოკრატიული პრინციპზე და აარსებს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიას. ზოგი მათი ყოველმხრივ მის გარეთ რჩება და სწორედ ეს წრე იყო რომ მომავალში საზღვარგარეთ დაარსებულ "თეთრი გიორგის" ორგანიზაციას შეუერთდა.

ამ წრით დაგვირგვინდა ეროვნული აზროვნების განვითარება ამ პერიოდში...

ადრე კი ახალგაზრდობა ღელავდა: ილიას მამულიშვილური იდეები ერთმა ნაწილმა სრულიად უარჰყო. მეორემ ის მთლად ვერ უარჰყო მაგრამ უფრო აქტიური ფორმულე-ბის ძებნაში იყო. მოთმინება ძალიან ძნელი საქმეა და ეს ყველამ ვერ აიტანა. ცხოვრება ღელდა. რუსე-ბის ყოველმხრივი რეპრესიები მძვინვარებდა. უფრო მეტი აქტივობა იყო საჭირო. ამიტომ იყო რომ არ; ჯორჯაძემ ილიას დასის მოქმედებაში უმწეობა დაი-ნახა, მარქსისტებმა - უტოპია. მაგრამ გავიდა ერთ და სულ რაღაც ორი ათეული წლის შემდეგ, რო-მელსაც ილიაც და ჯორჯაძეც ცოცხალნი აღარ იყვნენ, ილიას იდეების ცხოველმყოფელობა გამოჩნდა და ზოგი აშკარად და ზოგი მორიდებით ყველა მის გზას დაუბ-რუნდა.

არჩილ ჯორჯაძემ, მართალია უკუაგდო ილიას ტაქტიკა და ახალ დროსთან კომპრომისი გააკეთა, მაგრამ მან მოინდომა შეუძლებელის მორიგება. ამ საკითხების დასკვნისათვის მოვუსმინოთ ისევ ნოე ჟორდანიას, სადაც ნათლად არის გამოთქმული როგორც ჯორჯაძის ისე თავისი წრის აზრი; როდესაც ფედერა-ლისტური პარტიის დაარსებაზე ლაპარაკობს, სწერს:

"კონფერენციამ გამოაცხადა დაარსებულად სოც. ფედერალისტური პარტია, რომლის ძირითად დოქტრინად აღიარა ორი ახალი დებულება: საქართველოს ავტონომიისათვის ბრძოლა და ამ დროშის ქვეშ ყველა რევოლუციური და პროგრესული ძალების დადგომა. ეს უნდა გამხდარიყო "საერთო ნიადაგი" ყველა კლასის და ფენების შორის და სხ. აი ეს "საერთო ნიადაგი" გახდა ჩვენთვის მიუღებელი. ეს იყო აღდგენა ილია ჭავჭავაძის ძველი დებულებისა - ყველა ერთ ტაფაში ვიწვით, ყველა შევერთდეთ ვინაობის დაცვაშიო" დასხ.

მაშასადამე ჟორდანიამ სწორად შეაფასა ჯორჯაძის აზროვნება, რომელიც ისევ ილიას თეორიას ეფუძნებოდა. და თუ მეორე, სოციალისტობის თეორიამ ბევრი დააფრთხო, სამაგიეროდ, პირველმა ჩვენი ინტელიგენცია მიიზიდა. მიიზიდა იმიტომ რომ ეროვნული იდეა უფრო რთულია და ინტელიგენციისთვის უფრო გასაგები. ქართული ინტელიგენცია მუდამ ნაციონალისტური იყო. საბოლოოდ ჯორჯაძის სოციალისტობით არაფერი გამოვიდა და მასთან შეფარებული ინტელიგენცია კვლავ ნაციონალისტური დარჩა.

რა დაემართა ჟორდანიას? ადამიანი, რომელიც ასე სასტიკად იცავდა კლასთა ბრძოლის პრინციპს, რეალურმა ცხოვრებამ მასაც აჩვენა რომ ეს გზა არ იყო გზა ხსნისა. რომ საზოგადოებრივ განვითარება

სწორედ ილიას პრინციპის მიხედვით ვითარდებოდა, როგორი ძნელიც არ უნდა ყოფილიყო მისი განხორციელება. ეს ფუძე კი ჟორდანიას დაუდვა მაშინ, როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და ის თვითონ გახდა მისი მმართველი.

ილია სწორედ ამას გვასწავლიდა სოლომონ ბრძენის სიტყვით, რომ ყველაფერს თავისი დრო აქვსო, და მოთმინება არავის ეყო' ხოლო ასეთი დრო რომ დადგა, ყველა მის მუსიკაზე ამღერდა.

ნ.ჟორდანიას ზემოხსენებული სიტყვები ეკუთვნოდა 1904 წელს. ხოლო დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, მით უფრო რომ ის გახდა მისი მეთაური, მან მწარედ იგრძნო რომ ქვეყნის ხსნა მხოლოდ მის ერთობაში იყო. აი რას სწერს თავის მოგონებებში:

"ჩვენი ნაციონალური აღორძინება პირველ ყოვლისა მოითხოვდა მთელი ხალხის დაინტერესებას ამ საქმეში... რაკი ყველა ნაბიჯი იზომებოდა და იწონებოდა ნაციონალური მომენტით, მას დაემორჩილა ყველა კლასი და წოდებაო" (იხ. მისი მოგონ.147).

და თუ ეს ეროვნული ერთობა ჟორდანიამ ასე საჭიროდ აღიარა, ის მით უფრო საჭირო იყო ბრძოლის დროს. რომ და ბოლოს ჟორდანიამ ისევ ილიას დებულება გაიმეორა, ზედმეტი არ იქნება მკითხველს მოვა-

გონი ილიას სიტყვები. ილია ფიქრობდა რომ ერთობა საჭიროა არა მარტო ბრძოლის დროს, არამედ გამარჯვების შემდეგაც. ის სწერდა:

„წარმატებისათვის, კეთილდღეობისათვის საჭიროა, რომ ყოველნი წოდებანი ერთად, ერთგვარად იყვნენ მიდრეკილნი და მიწევნილნი. თვით წარმატებაც, განვითარებაც მაშინ არის ჭეშმარიტი და ნაყოფიერი, როცა ყველანი ერთგვარად და ერთი სახით სწვდებიან საერთო სიკეთეს, ერთგვარად და ერთი სახით საჭიროებების ყოველს ეწევიან და თანასწორად ინაწილებენ უფლებასა და მოვალეობას. როცა ეს არ არის მაშინ ერთის ამაღლება, ერთის კეთილდღეობა, - მეორის დამდაბლებაზე, მეორის გაღარიბებაზე არის ხოლმე ხშირად დამოკიდებული. უთანასწორობა ერთანეთ შორის, უჯრა-უჯრად დაყოფის მეტეგია"

ის რაც 1904 წელს ჟორდანიას უტოპიად ეჩვენებოდა, 1919 წელს მისი განხორციელება საჭირო და აუცილებელი გამხდარა და მისივე სიტყვებით ის თურმე სასტიკად ებრძოდა ზოგიერთ უკიდურეს მოქმედებათ, რომელიც ხელს შეუშლიდა ქართველი ხალხის მთლიანობას: „ჩვენი მთავარი მიზანი იყო ახალი რეჟიმის დამკვიდრება მომხდარიყო მთელი ერის თანაგრძნობით, ყველა წრის შერიგებით" (იქვე).

ხოლო ის წოდება, რომელსაც ჟორდანია ასე სასტიკად ებრძოდა, პირველი უწოდებს მას ძმობისა და ერთობის ხელს და მთელ თავის ქონებას ახლად დაარსებულ სახელმწიფოს სწირავს! აქ მინდა გავიხსენო იმავე

სოც.დემ. პარტიის ერთ-ერთი ლიდერის, რაჟდენ არსე-
ნიძის განცხადებაც ის სწერს:

"უნდა ითქვას, თავისი საუკეთესო წარმომადგენლო-
ბის სახით თავად-აზნაურობამ ქართველ ხალხს უკანას-
კნელი სამსახურიც გაუწია ამ საქმეში. მან წოდებ-
რიობაზე ხელი აიღო, თავისი ნებითვე თავისი წოდებ-
რივი ქონება და ავლადიდება მთელ ქართველ ერს ჩა-
აბარა. ეს იყო დიდებული აქტი, რომელმაც მთელი ერ-
ის ერთსულოვანი მოწონება საპატიოსნად დაიმსახუ-
რა. ამ აქტით მოიშალა ძველი ნიადაგი სამოქალაქო
ბრძოლისა და ქაოსისა. ქართულმა თავად-აზნაურობამ
თავისი ისტორიული მოვალეობა და სამაგალითო მამული-
შვილური აქტით დააგვირგვინა" (იხ. მისი "ვახტან-
გის კანონმდებლობის განხილვა" გვ.146).

---

## თავი მეორე

## საერთაშორისო მდგომარეობა და პირველი მსოფლიო ომი.

ამნაირად, მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში რუსეთი განუწყვეტლივ აძლიერებდა თავის გამარუსებელ პოლიტიკას მთელ საქართველოში. საშუალებებად იყენებდა: რუსების მასობრივ ჩამოსახლებას, ქართველი ხალხის განიარაღებას ეროვნული კულტურისაგან, მოსპობას ქართული სკოლებისა, აკრძალვა ქართული ენისა სკოლებში, ადმინისტრაციაში, ეკლესიაში და რუსული ენის გაბატონებას. ერთი სიტყვით მათი მიზანი იყო აღმოეფხვრათ ძირფესვიანად ყოველივე ის რაც ქართველ ხალხს თავის ეროვნულ მეობას ანიჭებდა. რუსეთის საბოლოო მიზანი იყო ქართველობის სრული მოსპობა და მისი რუსის ხალხში გათქვეფა. და თუ საბოლოოდ რუსეთმა ეს ვერ შესძლო, ეს მხოლოდ იმიტომ რომ მან მოისურვა შეუძლებელის განხორციელება. ის ვერ მიხვდა რომ მრავალ ათასწლოვანი ერის, რომელსაც თავისი ეროვნული მეობა მტკიცედ ჩამოუქნია, მისი ჩარჩოდან ამოგდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეუძლებელი იყო. გაცილებით ადვილი იყო მისი ფიზიკური განადგურება, ვიდრე მისი გადაგვარება.

განვლილმა დრომ აგრეთვე დაამტკიცა, რომ რუსეთის ასეთი პოლიტიკის ყოველ ცდას ქართველი ხალხი ბრძოლით უპასუხებდა როგორც ფიზიკურად, ისე კულტურული გზებით. მთელი მეცხრამეტე საუკუნე არის შეურიგებელი ბრძოლის ისტორია რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ.

ორგვარი იყო შედეგები ამ ბრძოლისა. უზარმაზარი რუსეთის წინააღმდეგ, პატარა საქართველოს გამარჯვება არ შეეძლო. სამაგიეროდ ამ ბრძოლით რუსეთს არ მისცა საშუალება მისი მიზნების სრული განხორციელებისა. ამ ბრძოლაში, პირიქით, კიდევ მეტად გააძლიერა ეროვნული გრძნობა და თავდაცვის ინსტიქტი. გამოაღვიძა მთელი ხალხი და დარაზმა თავისუფლების იდეალის გარშემო. სამშობლო და მისი თავისუფლება იქცა კულტად მთელი ერისა. მიუხედავად მძიმე პირობებისა, ამ დროს შეიქმნა მდიდარი ქართული მწერლობა, გამსჭვალული უმთავრესად პატრიოტული იდეებით. ეს მწერლობა არ ყოფილა მოკლებული თვით რუსეთის განათლებული და პროგრესიული მწერლობის გავლენას.

დაცემისა და მოსპობის ნაცვლად, საწინააღმდეგო სული იქამდე ძლიერი იყო რომ მოხდა უკუღმა, დაიწყო ქართული კულტურისა და ენის აღორძინება. ზოგი ამას რუსეთის გავლენით ხსნის, რაც მიუღებელია, თუნდაც იმისთვის რომ რუსეთი სწორედ ამის საწინააღმდეგოდ მოქმედობდა და ის ქართული კულტურის აღორძინებას ხელს ვერ შეუწყობდა. რუსეთის მთელი გავლენა იმით ამოიწურება რომ ქართველობა რუსეთში სწავლობდა და რუსის მოწინავე წრეებთან ახლოს იყო.

ჩაგვრის ქვეშ გამძლავრებულმა პატრიოტულმა სულმა თავისი მკვეთრი გამოვლენა ჰპოვა კულტურის ყველა სფეროში: მეცნიერებასა და ხელოვნების ყველა დარგში. ყველა ეს კი ნიშანი იყო იმისა რომ ფიზიკურად გამარჯვებული რუსეთი საქართველოზე, დამარცხდა სულიერად და მორალურად.

ამ დიდ ბრძოლაში ქართველთ ხალხს ხელს უშლიდა შინაგანი სოციალური ურთიერთობანი, რასაც რუსები ხელოვნურად აუარესებდნენ რომ ქართველობა ერთიმეორისაგან გაეთიშათ. თუმცა საქართველოს იმავე მაღალი წრიდა გამოვიდნენ დიდი მამულიშვილები, რომ-

ელნიც პირველნი შეებრძოლნენ ყოველგვარ სოციალ-ურ უკუღმართობათ. და ასე ამნაირად საერთო ეროვნულ საქმეში მთელი ერი ერთად დაირაზმა. საქართველოში ყოველი რევოლუციონარული მოძრაობა სოციალურ სამართლიანობასთან, ეროვნულ საკითხთან და პიროვნებისა და ერის თავისუფლებასთან.

რუსები ჩვენს უწყობდნენ გლეხებს თავად-აზნაურობის წინააღმდეგ, ხოლო უკანასკნელთ ეხმარებოდნენ რუსების მიერ გაძვალტყავებული ქართველი გლეხობის წინააღმდეგ. ყოველივე ეს კარგად შეიგნო ქართველმა ერმა და სწორედ მოწინავე წრის შვილებივე ჩაუდგნენ სათავეში ეროვნულ განმანთავისუფლებელ ბრძოლას.

ამგვარი სულიერი და კულტურული სიმტკიცე თავდები იყო იმისა, რომ ერთ დღეს ეს ერი თავს დააღწევდა მისი დამპყრობელისაგან.

ქართველობა მაინც კარგად გრძნობდა რომ საკუთარი ძალებით საბოლოო გამარჯვება ძნელი იყო. ამიტომ ქართველი მოღვაწენი კავშირებს აბამდნენ უცხოეთის პოლიტიკურ წრეებთან, ეძებდნენ დამხმარეთ და თანამგრძნობთ. თვალყურს ადევნებდნენ საერთაშორისო

მდგომარეობას რომ თავიანთი ბრძოლა მისთვის შეე-თანხმებინათ. მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავ-ლობაში ისეთი არაფერი მომხდარა, რომ საქართვე-ლოს საკითხი აქტუალურად წამოჭრილიყო.

რუსეთის გაძლიერება მწარედ იგრძნეს ჩვენმა სამხრეთის მეზობლებმა, ირანმა და თურქეთმა. მათ-თვის მომაკვდინებელი იყო რუსეთის გაბატონება კავკასიაში. ეს მათ მანამდეც გამოსცადეს. მიუხე-დავად ამისა ვერც ერთმა ამ სახელმწიფომ, რომელ-ნიც თვითონ მიილტვოდენ დაცემისაკენ, ვერ შესძლეს შეერიგებოდნენ იმ აზრს რომ საჭირო იყო საქართვე-ლოს და მთელი კავკასიის დამოუკიდებლობა და მისი დაცვაც კი. როდესაც თითქოს სცდილობდნენ ქართვე-ლი ბატონიშვილებისადმი დახმარებას საქართველოს განსათავისუფლებლად, მაშინაც მხოლოდ ის ამოძრა-ვებდა რომ რუსების მაგიერ ჩვენზე მათ ებატონათ.

ამ დიდი ბრძოლების დროს არსაიდან სჩანს რომ ქართველ ერს ირან-ოსმალეთისადმი რაიმე სიმპატია გამოეჩინა, რადგან მან კარგად იცოდა რომ მათი მიზანი უცვლელი დარჩა ბოლომდე.

მაშასადამე რუსეთის მოწინააღმდეგე ამ ორი სა-
ხელმწიფოსაგან საქართველო საიმედოს არაფერს გა-
მოელოდა. დასავლეთში დუმილი იყო; ისინი დიდი ხანია
შეჩვეულნი იყვნენ რუსების ბატონობასთან საქარ-
თველოში; თვით ნაპოლეონის ერთ ხანს დაინტერესება
შეეხებოდა მხოლოდ სპარსეთის გზის მოგებას და
სხვა არაფერი. ინგლისმაც დიდი ხანია თვალები და-
ხუჭა. მართალია, ყირიმის ომის შემდეგ პარიზის
კონგრესზე დაისვა საქართველოს და კავკასიის სა-
კითხი, მაგრამ საკითხი დასმას არ გასცილებია...

მეოცე საუკუნის დასაწყისში თითქოს გამოჩნდა
ნიშნები მსოფლიო მდგომარეობის შეცვლისა საქართ-
ველოს სასარგებლოდ. ამისი პირველი ნიშანი იყო
რუსეთ-იაპონიის ომის დაწყება 1904 წელს და მერე
შიგნით რუსეთის რევოლუცია.

რუსეთის მდგომარეობა კიდევ იცვლება იმ ფაქტით,
რომ გერმანია გამოდის საერთაშორისო პოლიტიკის ას-
პარეზზე.

ჯერ კიდევ 1903 წელს იაპონიამ შესთავაზა
რუსეთს, რომ მანჯურია მათი ყოფილიყო, ხოლო კორეა
იაპონიისა. შეთანხმება არ მოხდა. ვილჰელმ მეორე

აქეზებდა რუსეთს და ბოლოს ის ომის მახეში გაება. ხოლო როდესაც ინგლის-საფრანგეთის ჩარევით რუსეთი დასთანხმდა იაპონიას, უკანასკნელმა ეს აღარ მიიღო და 5 თებერვალს 1904 წელს რუსეთთან გასწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა. დაიწყო საომარი მოქმედება. აგვისტოში, სანამ გენ. კუროპატკინი რუსის ჯარების კონცენტრაციას მოახდენდა, მარშალი ოიამა შეტევაზე გადავიდა და წლისთავზე რუსის ჯარები გაანადგურა. ამნაირად რუსეთი განიდევნა წყნარი ოკეანიდან.

ნიკოლოზ მეორემ დახმარებისათვის მიმართა ამერიკის პრეზიდენტს თეოდორ რუზველტს. პრეზიდენტის ჩარევით იაპონიამ ხელი აიღო ზოგიერთ მოთხოვნილებაზე და სახალინის ნახევარიც რუსებს დაუბრუნა. ხოლო მიიპოვა კორეა და პორტარტური. 29 აგ.1905 წ. მათ შორის დაიდო პორტსმუტის ხელშეკრულება.1)

სწორედ ამ ხანებში დაიწყო რუსეთში რევოლუცია და გასაგებია რომ ქართველობაც ამ დროს ამოქმედდა...

---

1) EMILE BOURGEOIS. Manuel hisrorique de la politique Etrangere. Paris 1927.T.4, p.470

ამ ომის დროს ქართველებმა უცხოეთიდან კავში-რი გააბეს იაპონიასთან. ქართული ეროვნული მოძრა-ობის წარმომადგენელმა უცხოეთში გ. დეკანოზიშვილ-მა ფულადი დახმარებაც მიიღო იაპონიისაგან და დაი-წყო იარაღის შემოტანა და ხალხის შეიარაღება. მაგ-რამ ზავისა და რევოლუციის ლიკვიდაციის შემდეგ საბედისწერო ბრძოლა კიდევ გადაიდო.1)

საერთოდ იაპონიის გამარჯვება რუსეთზე ნიშნავდა აზიის გამოღვიძებას და ამ მაგალითმა ევროპელები აიძულა აღმოსავლეთის საკითხებში მორიგების პოლი-ტიკას დასდგომოდნენ.

ამის შემდეგ აღარ ხნანდა იმედი რომ ევროპის წინაშე დაისმებოდა საქართველოს საკითხი. რომელ-იც დიდი ხანია დაპყრობილი იყო რუსეთის მიერ და და ევროპისაგან მონელებული. ამისთვის უფრო დიდი იყო საჭირო და ახლო მომავალში ეს დროც დადგება.

---

1) 1906 წელს რუსეთის მთავრობამ გამოსცა წიგნაკი:"ვოორუჟონნოე ვოზსტანიე ვ როსიი ნა იაპონსკიე სრედსტვა".
ამ წიგნში აწერილია გ.დეკანოზიშვილის დაკავშირე-ბა იაპონიასთან. ფულის მიღება, იარაღის შემოტანა საქართველოში და სხ.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ეს ახალი ერა უნდა დაწყებულიყო გერმანიის გამოსვლით. ის უნდა შეჭრილიყო რუსეთ-ინგლის-საფრანგეთის იმპერიათა და გავლენათა ზონებში და თავისი ექსპანსიური პოლიტიკა განეხორციელებინა.

საშუალო საუკუნეების შემდეგ გერმანია აღარ სჩანს აღმოსავლეთში. მაშინ როდესაც რუსებმა, ინგლისელებმა და ფრანგებმა დიდი ხანია უკვე დაიპყრეს და დაამყარეს თავიანთი ბატონობა მთელ რიგ ქვეყნებზე. აღნიშნულ ხანაში საქართველო შთანთქა რუსეთმა და ინგლის-საფრანგეთის ინტერესთა ზონას მოსწყდა. ისიც ხომ ვნახეთ, რომ საქართველოს ორი უშუალო მეზობელი თავიანთი დიდი საიმპერიო წარსულით ისტორიის ჩაჰბარდნენ. სპარსეთი დაეცა და სხვათა გავლენის ქვეშ მოექცა. უკეთესი არც თურქეთს დაემართა, თუმცა მის იმპერიას კიდევ ეწერა რამდენიმე წლის სიცოცხლე და ევროპის ლიტერატურაში ის "სნეულ ადამიანად" იწოდებოდა.

და როდესაც გერმანია გამოჩნდა, თურქეთის ყურადღებაც მიიპყრო, რადგან საკუთარი ძალებით ფეხზე

წამოდგომის ცდებმა უქმად ჩაიარეს. 1908 წელს,
როდესაც "ახალგაზრდა თურქის" პარტია გაძლიერდა,
სალონიკის მაჰმუდ-შევქეთ ფაშის მეთაურობით სტამ-
ბოლში შემოიჭრა და წარადგინა მოთხოვნილება "ტან-
ზიმათის" (რეფორმების). ეს რევოლუცია იმპერიის
დიდმა ნაწილმა აღტაცებით მიიღო...

მაგრამ დიდი ცვლილებების დაწყებას კიდევ წინ
უსწრებენ მთელი რიგი ახალი ძვრებისა და ერთი ასეთ-
თაგანი იყო ბალკანეთის ქვეყნების ეროვნულ-გან-
მანთავისუფლებელი მოძრაობა. თურქების მომავალი
რთულდებოდა. ამიტომ მათ მოისურვეს სასწრაფოდ იტა-
ლიის ნეიტრალიზაცია. 15 ოქტ. 1912 წელს თურქებმა
ზავი დადეს იტალიასთან. დაუთმეს ტრიპოლი და სი-
რენაიკი, რომ ახალ მტრებს გამკლავებოდნენ. ოქტომ-
ბერ-ნოემბერში ბალკანეთის შეერთებულმა ჯარებმა
თურქები სასტიკად დაამარცხეს. ამ დამარცხებამ კი
კიდევ ერთხელ გაუხსნა გზა გერმანიას თურქებისაკენ.

ბალკანეთის ერები ისევე იჩაგრებოდნენ თურქე-
ბისაგან როგორც ქართველები რუსებისაგან, ამიტომ
ამ ამბებს დიდი გამოძახილი ჰქონდა მაშინდელ ქარ-

ული პრესაში. ქართველი საზოგადოება აღტაცებით შეხვდა ბალკანეთის გამარჯვებას, მისი ერთი მტე-რი დამარცხდა. რიგი რუსეთზე იყო მიმდგარი...

გერმანია საუკუნის დასაწყისიდანვე ემზადე-ბა შეიჭრას აღმოსავლეთში. პირველი თურქეთში ნა-ხა მან ერთგვარი ნიადაგი ეკონომიური ექსპანსი-ისა. 1908 წლის ოსმალეთი უთმობს მას კონცესიას და გერმანია შეუდგება ე.წ. ბაღდადის რკინის გზის აშენებას (3000კილ.). მიმართულება იყო: ბერლი-ნი-ვენა-სტამბოლი-ბაღდადი. ამნაირად გერმანიას გზა ეხსნებოდა არაბეთისაკენ.1)

ეს გეგმა დროებით შეჩერდა და 1910 წლის თურქებთან გაიმართა ახალი მოლაპარაკება უფრო ფართო გეგმაზე. გარდა ბოსფორ-ბაღდადისა, გზები უნდა აშენებულიყო აღმოსავლეთის სომხეთისა და სპარსეთისაკენ, დასავლეთით ალექსანდრეტისაკენ.2)

ამ საქმეში გერმანიას შეიძლება წინ გადაღობე-ბოდა ზემო აღნიშნული სამი ქვეყანა. გერმანიამ

---

1) DRIAULT. La question d'Orient. Paris 1921

2) E.BOURGEOIS. MANUEL.. 4-501.
DRIAULT. La QUESTION d'Orient.
E. BOURGEOIS. t.4-609.

პირველ რიგში რუსეთთან შეთანხმება გადასწყვიტა. ამ მიზნით 4 ნოემბერს 1910წლის ნიკოლოზ მეორისა და ვილჰელმ მეორის შორის პოტსდამში მოხდა შეთანხმება. ამ შეთანხმებით გერმანია სცნობდა რუსეთის ინტერესებს სპარსეთის ჩრდილოეთ ნაწილში. რუსეთი კი სცნობდა გერმანიის თავისუფალ ვაჭრობას, როგორც ამ ზონაში, ისე მთელ სპარსეთში და აგრეთვე ხელს არ შეუშლიდა "ბაღდადის" აგებაში. თუმცა, შეგვიანებით რუსეთს ეს დასანანებლად დაურჩა...

1914 წლისათვის გერმანიას უკვე მზად ჰქონდა 1800 კილ. გზა: ჰაიდარ-ფაშა-ერეგლი. აქედან უნდა განეგრძო მოსულ-ბაღდადამდე: განშტოებით, კაისარია-სივასზე, დიარბექირზე და მერზინა-ალექსანდრეტზე. მაგრამ აქ მათ ფრანგები გადაეღობებიან და იწყება წინააღმდეგობა.

1914 წლის გაზაფხულზე უკვე გაისმა იარაღის ჩხარუნი. მაისში იმპერატორი ფრანსუა-ჟოზეფი სწერდა თავის ელჩს სტამბოლში: "ომი გარდაუვალია, ბუქარესტის ზავმა ბალკანეთის საქმეები საბოლოოდ ვერ მოაგვარა".

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც სჩანს ბალკანეთის მიმართულებითაც ომი მწიფდებოდა. ამიტომ ომისათვის მზადება ადრევე დაიწყო. სწრაფად ეწყობოდა კავშირები, ვისაც ვისთან რაიმე ინტერესი აკავშირებდა...

ჯერ კიდევ 15 ნოემ. 1913 წელს თურქეთის მთავრობამ მიიღო გერმანიის სარდალი გენ.სანდერსი თავისი ჯარების ინსტრუქტორად და სტამბოლის კორპუსის უფროსად. ამაზედ რუსეთმა, საფრანგეთმა და ინგლისმა პროტესტი განაცხადეს: "ამას შეიძლება ცუდი შედეგი მოჰყვეს თურქეთის მთლიანობისათვისო" (იხ. ემილ ბურჟუა). 1914 წ. იანვარში სულთანი ნაწილობრივ დათმობაზე წავიდა. გენ. ანდერსი დატოვა მხოლოდ ჯარების ინსტრუქტორად. ენვერ ფაშა დაინიშნა სამხედრო მინისტრად, ერთი წევრი ტრიუმვირატისა (თალაათ-ჯემალ-ენვერი), რომელიც მაშინ ქვეყნის პატრონი იყო. მასვე დაევალა ბოსფორის დაცვა...

ამნაირად ომისათვის მდგომარეობა მწიფდებოდა. ორივე მხარის მოკავშირეთა მდგომარეობაც გამორკვეული იყო. საბაბი ღა იყო საჭირო და ესეც გაჩნდა: 28 ივნისს 1914 წელს სარაჯევოში , ორმა

სერბიელმა მოჰკლა ავსტრია-უნგრეთის დიდი მთავარი და ტახტის მემკვიდრე ფრანცი ფერდინანდი. ავსტრია ულტიმატუმს უდგენს სერბიას: უკანასკნელისათვის მძიმე აღმოჩნდა ავსტრიის მოთხოვნილებანი და თავის მხრივ მოითხოვა საკითხი გადაეცემოდა ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს. ავსტრიამ არ მიიღო ეს წინადადება და 28 ივლისს სერბიას ომი გამოუცხადა. რუსეთმა ახლა დაინანა პცდამის ხელშეკრულება. დაიწყო ჯარების მობილიზაცია. გერმანიამ მას ომის გამოცხადებით უპასუხა. მალე ჩაერია საფრანგეთი, ინგლისი და ბოლოს იაპონია. სულ რამდენიმე დღეში მთელი მსოფლიო ბრძოლის ცეცხლში გაეხვია...

ოსმალეთი, რომლის დაშლას ბალკანეთის ომის დროს ხელს უწყობდნენ საფრანგეთი და ინგლისი, ბუნებრივად აღმოჩნდა გერმანიის მხარეზე. იტალიამ ჯერ ნეიტრალიტეტი გამოაცხადა, ხოლო 1915 წლის მაისში ისიც ჩაერია საფრანგეთ-ინგლისის მხარეზე...

როგორი იყო რუსეთის მდგომარეობა კავკასიის ფრონტზე. 20 ოქტომბერს 1914 წლის დაიწყო თურქეთთან ომი. კავკასიის ფრონტის ჯარების მთავარსარდლად

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაინიშნა გრაფ ვორონცოვ-დაშკოვი, ხოლო ფაქტიური
მთავარსარდალი იყო გენ. იუდენიჩი. ხოლო 1915 წლი-
დან მთავარსარდლად დაინიშნა დიდი მთავარი ნიკოლოზ
ნიკოლოზის ძე. მაგრამ ფაქტიურ ხელმძღვანელობას
მაინც იუდენიჩი განაგრძობს.

როგორი იყო სამხედრო მდგომარეობა. ომის წინ
კავკასიის არმია შედგებოდა 1,2 და მესამე კორპუ-
სებისაგან. 1914 წელს, როდესაც საყოველთაო მობი-
ლიზაცია დაიწყო, კავკასიის ფრონტიდან, მეორე და
მესამე კორპუსების ნაწილები გადაიყვანეს დასავლე-
თის ფრონტზე. კრიტიკულ შემთხვევაში ეს ჯარი ადგი-
ლობრივ უნდა შეევსოთ.

კავკასიის არმიის კვარტირმეისტერის გენ.მას-
ლოვის ცნობით, ომის დასაწყისში კავკასიის არმია
შედგებოდა 439,000 კაცისაგან. აქედან 277,000
იყო მომქმედი და 172,000 რეზერვი.(იხ. მისი:
მიროვაია ვოინა ნა კავკაზსკომ ფრონტე,1914-1917.
პარიზი, 1938 წ.)

რუსეთის წინააღმდეგ იბრძვის მესამე არმია
თურქეთისა ჰასან-იზეტ ფაშის მეთაურობით. ეს არმია
ორჯერ იყო განადგურებული 1914 წლის სარიყამიშისა

და 1915 წელს აზრუმთან ბრძოლების დროს. 1916 წ. თურქეთის მთავრობა ამ ფრონტზე აგზავნი ათი დივიზიისაგან შემდგარ მეორე არმიას. ამ ორი არმიის საერთო მეთაურად ინიშნება იგივე იზეთ ფაშა. ცალ-ცალკე კი მესამე არმიის მეთაურად ინიშნება ვეჰიბ ფაშა, ხოლო მეორე არმიისა ქემალ ფაშა.

რაკი რუსეთმა კავკასიის ფრონტზე იმდენი ჯარიც არ დასტოვა, რაც ზავის დროს იყო, ეს იმას ნიშნავდა (და ამას რუსის სარდლობაც აღიარებს), რომ კავკასიის ფრონტზე რუსეთს დიდი მიზნები არ ჰქონდა დასახული. ხოლო უკიდურეს შემთხვევაში, თუ საქმე გასჭირდებოდა, გადაწყვეტილი ჰქონდათ მთელი ამიერ კავკასია მიეტოვებინათ და კავკასიის ულელტეხილზე გამაგრებულიყვნენ.

და მართლაც, როდესაც 1915 წ. თურქებმა სარიყამიში აიღეს, დიდი პანიკა შეიქმნა. რუსის სარდლობამ გადასწყვიტა კავკასიის მიტოვება. ამ დროს მთავარსარდალს მოუმართია ქართველი თავად-აზნაურობისათვის სათანადო ზომების მისაღებად. ეს ზომები კი იმაში გამოიხატებოდა რომ საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძვირფასი განძეულობა უნდა გაეტანათ რუსეთში, ხო-
ლო დანარჩენი ყველაფერი გაენადგურებინათ, ქალაქე-
ბიც გადაეწვათ რომ თურქებს არაფერი დახვედროდათ.
იმაზე კი აღარ ფიქრობდნენ, მოსახლეობას რა დაე-
მართებოდა!

ეს ამბავი გაიცნო ვ. კ. ადხაზმა სათავად-აზნაურო საკრებულოს, რათა რუსებისათვის რაიმე პასუხი გაეცათ. ამ კრების სურათს აგვიწერს რევაზ გაბაშვილი თავის მოგონებებში (იხ. მისი, "რაც მახსოვს" მოგონები, 1959). და როდესაც ზოგმა მოისურვა რუსების სასარგებლოდ ლაპარაკი, ამ დროს გამოვიდა ახალგაზრდათა ჯგუფი და კრება სასტიკად ააფორიაქა. შალვა ქარუმიძე ყუმბარებით მთელი საკრებულოს აფეთქებით დაემუქრა თუ ისინი რუსების წინადადებას მიიღებდნენ. ეს კრებაც დაიშალა და რუსებსაც არავითარი პასუხი მიუღიათ, რადგან მალე რუსის ჯარმა უკუაგდო საფრთხე და მასზე რუსებმაც ყური წაიყრუეს.

## 2. საქართველოს შინაური ვითარება ო მ ი ს დროს.

როგორი იყო ამ დროს საქართველოს შინაური პოლიტიკური ვითარება. საქართველოში არსებობდა უკვე ორი დიდი პარტია: სოც.-დემოკრატებისა და სოც.-ფედერალ-

ისტებისა. სოციალ-დემოკრატები იცავდნენ რუსეთის მთლიანობას, თუმცა მათშიც ერთი წრე მომხრე იყო ავტონომიისა. ფედერალისტები როგორც ვიცით თავიდანვე მომხრე იყვნენ ავტონომიისა. ხოლო ნაციონალისტები, რომლის ნაწილი უცხოეთში მოღვაწეობდა, მოითხოვდნენ საქართველოს სრულ დამოუკიდებლობას.

საერთოდ, მეოცე საუკუნის დასაწყისში, ყველა თუ კიდევ ვერ ბედავდა სრული დამოუკიდებლობის მოთხოვნას, ავტონომიის იდეა მაინც ფეხს იდგამდა. რუსები ამ დროს ქართველებს ადგილობრივი ერობის დაარსებაზედაც უარს ეუბნებოდნენ, ეშინოდათ ამის წყალობით სეპარატიზმი არ გაძლიერდესო. ვორონცოვ-დაშკოვი ამ პოლიტიკის წინააღმდეგი იყო.

ამ პირობებში ერობის მოთხოვნასთან ერთად ქართველობამ ფართოდ შეიტანა ავტონომიის მოთხოვნაში. 1905 წ. ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის ერილობამ, იმპერატორისადმი წარდგენილ წერილში მოითხოვა ავტონომია. როგორც ვიცით, იმავე წელს ქართულმა ეკლესიამ წამოაყენა ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი. ქუთაისის ქალაქის საბჭოს

მიერ არჩეულმა კომისიამაც საბჭოს წარუდგინა ავტონომიური საქართველოს მმართველობის გეგმა და დაადგინა რომ ის წარედგინათ პეტერბურგში მინისტრთა საბჭოსთვის (იხ. არ.ჯორჯაძე. თხზ. ტ.გვ.223-225). 1906 წლის სოხუმის ქალაქის თავმა ნ.თავდგირიძემ საერთობო სამოქალაქო წარმომადგენლობათა ბიუროში (მოსკოვი) წარადგინა მოხსენება, რომელიც საქართველოსთვის მოითხოვდა ავტონომიას. (1905-1907 წ. რევოლუცია საქართველოში. თბილისი,1955 წ.).

მოკლედ, ავტონომია იქამდე მოდაში შემოვიდა რომ მასზე იმართებოდა ხშირი მოხსენებები და ხდებოდა საჯარო კამათი. ამას შეუერთდა სოც. დემოკრატების ერთი ჯგუფიც. ამ ჯგუფმა 1908 წელს გამოსცა ჟურნალი "ალიონი", შემდეგ "ახალი კვალი", "ხომლი" და სხ.ეს ჯგუფიც მოითხოვდა საქართველოს ავტონომიას.

ხოლო მათ გარკვეულად ვერ ჩამოაყალიბეს ავტონომიის სახე. ამ საკითხში ისინი იდგენენ არა ტერიტორიალური, არამედ ეთნიური პრინციპის ნიადაგზე და ამით მაინც სოციალისტური ტენდენციის გავლენის ქვეშ დარჩნენ. სოციალისტები ეთნიურ მხარეს ანიჭებ-

დნენ უპირატესობას. მაგ: მათი აზრით რომელიმე ეროვნების ელემენტები, თუ გაბნეული არიან სხვა და სხვა კუთხეში და მიიღებენ ავტონომიას, ისინი დაემორჩილებიან არა ადგილობრივ ადმინისტრაციას, არამედ იმ ადმინისტრაციას, სადაც მათი ავ-ტონომიის ცენტრი იმყოფება. ეს მოვლენა დღეს კო-მიკურ შთაბეჭდილებას სტოვებს, მაგრამ მაშინ იყო ხალხი რომ ეს ასე სჯამდა. ამ წრეში აკაკი ჩხენ-კელი წარმოადგენდა გამონაკლისს, რომელიც ასეთ აბდა-უბდას არ იზიარებდა. მაგრამ ყველა ამ ამბებ-ში, ქართული აზროვნების თვალსაზრისით, საინტე-რესო ის არის რომ თვით უკიდურესი ელემენტებიც ნელ-ნელა მიილტვიან ავტონომიისაკენ და მალე მივლენ დამოუკიდებლობის იდეამდეც...

ამგვარად, როდესაც 1914 წლის ომი დაიწყო, თითქმის მთელი ქართული საზოგადოება შესტრფოდა მომენტს, როდესაც საქართველო განთავისუფლდებოდა. ამ იდეალამდე მივიდა ყოველი ჯგუფი: ზოგი ფრთხილად, ზოგი გაბედულად, ზოგი ადრე და ზოგი გვიან.

აქ მინდა გავიხსენო ზოგიერთი დამახასიათებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობაბი, რასაც მაშინდელი ქართველი მოღვაწენი გვაწვდიან სხვა და სხვა გამოცემეში.

"მსოფლიო ომი დაიწყო და მან მრავალ დამონავებულ ერს გაუღვიძა და გაუცხოველა განთავისუფლების იმედი. ეროვნულ დემოკრატიულ წრეებს ღირსეულად აქვთ შეფასებული ეს ახალი ვითარება. მათ ფიცხელი მზადება და მარაგი აქვთ, როგორც საქართველოში ისე უცხოეთში. ეს წრეები ორი მიმართულებით მუშაობდნენ, რომ საქმე სავსებით დაზღვეული ჰქონოდათ: ერთია ლეგალური გზა და ლეგალური საშუალებების გამოყენება. ეს გამოდგებოდა უკეთუ რუსეთი გამარჯვებული გამოვიდოდა ომიდან... მეორე მიმართულებით ეწყობოდა მუშაობა, უკეთუ რუსეთი დამარცხდებოდა მსოფლიო ომში. ამ შემთხვევისათვის მუშაობას აწარმოებდა უცხოეთში ჟენევის ჯგუფი და საქართველოში კი "საქართველოს" გარშემო თავმოყრილი ახალგაზრდობა" - სწერს ეროვ. დემ. პარტიის ერთი ლიდერი, ალ. ასათიანი (იხ. მისი "ძველი და ახალი მემკვიდრეობა" პარიზი,1928, გვ; 139-140).

ხოლო იმავე პარტიის მეორე ლიდერი, რევაზ გაბაშვილი სწერს:

"სოფ.ახალქალაქის აგარაკზე მომისწრო სასიხარულო ამბავმა: გერმანიამ ომი გამოუცხადა რუსეთს! ...გონებით ვის შეეძლო წარმოედგინა, რა მოხდებოდა, მაგრამ ბოლოთი ვგრძნობდით, დიდი ცვლილებები უნდა მოჰყოლოდა საქართველოსათვის რუსეთის დამარცხებას, რასაც ეჭვი არავის შეგვდიოდა... და თითქმის ახლიდან ჯერ კიდევ ჟურნალ "კლდეში" გერმანიაზედ გვქონდა ალებული გეზი" (იხ. მისი რაც მახსოვს)

"მსოფლიო ომის დაწყებამ მთელი საქართველო შეანძრია და განსაკუთრებით ეს იგრძნეს პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა. თუ მანამდე რუსეთში გაბატონებული რეაქციის წყალობით პოლიტიკური მუშაობა შენელებული იყო, ახლა მოქმედების დიდი პერსპექტივები იშლებოდა.

საყოველთაო გამოცოცხლება: ყველასათვის დაისვა ორიენტაციის საკითხი, რომელი მხარის გამარჯვება შეუწყობდა ხელს საქართველოს მდგომარეობის გაუმჯობესებას... ძალიან დიდი უმრავლესობა გერმანიის ორიენტაციის ვიყავით" - სწერს სოც; ფედერალისტების ლიდერი სამსონ ფირცხალავა. (იხ. "სახალხო საქმე" ნ.8);

სხვათა შორის სამსონ ფირცხალავა იმასაც გადმოგვცემს, რომ თვით ის ხალხი, რომელნიც არ იზიარებდნენ გერმანულ ორიენტაციას, ფიქრობდნენ რომ ინგლის-საფრანგეთის კოალიციის შემთხვევაშიც მოსალოდნელია რუსეთის დაცემაო. (სწორედ ეს გამართლდა).

ომის დროს რომ სოც.დემოკრატებშიც დაიწყო რყევა, ეს გამოჩნდა უცხოეთში არსებული "საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის" მუშაობასთან დაკავშირებით. ამ კომიტეტის მუშაობის შედეგად გერმანია, ავსტრია და ოსმალეთი ცნობდნენ საქართველოს მომავალ დამოუკიდებლობას. კომიტეტმა მიიღო სათანადო ფინანსიური დახმარება გერმანიის მთავრობისაგან. კომიტეტმა მოაწყო თურქეთში ქართული ლეგიონი. (თუმცა აქედან არაფერი გამოვიდა). ხშირდება წყალქვეშა ნავებით საქართველოსთან მიმოსვლა, შემოაქვთ იარაღი საჭირო დროისათვის. კომიტეტმა გადასწყვიტა

კავშირის დამყარება საქართველოში მომქმედ პოლიტიკურ ორგანიზაციებთან/ ამ მიზნით 1915 წელს საქართველოში ჩამოვიდა კომიტეტის წევრი გ.მაჩაბელი.

შეხვედრა მოწყობილი იყო ქუთაისში ვ.ფალავანდიშვილის ბინაზე. მას ესწრებოდნენ: სოც.დემოკრატებიდან ნ.ჟორდანია და ე.გეგეჭკორი. სოც.ფედერალისტებიდან ს.ფირცხალავა და გრ.რცხილაძე. ნაციონალური ჯგუფებიდან შ.ამირეჯიბი და რ. გაბაშვილი.

გ. მაჩაბელმა მათ გააცნო კომიტეტის მუშაობა ევროპაში და გამოსთქვა სურვილი რომ ყველა ქართული ძალები ერთად დარაზმულიყვნენ, რათა ხელსაყრელ შემთხვევაში საქართველოს დამოუკიდელობა მოეპოებინათ.

ამ კონფერენციის შესახებ დამსწრეთ, დაახლოებით ერთნაირად აქვთ ყველაფერი გადმოცემული. რ. გაბაშვილის სიტყვით, მათი წრე მაშინადვე შეეკრთებია მაჩაბლის წინადადებას, ხოლო სხვებიც საბოლოოდ შეთანხმდებიან კომიტეტის მოქმედების აუცილებლობაში. ნ.ჟორდანიას განუცხადებია, რომ თუმცა ჩვენ რუსეთის დემოკრატიასთან ვართ და ვიმედოვნებთ რომ ინგლისის ბლოკი გაიმარჯვებს და მოკავშირე რუსეთშიც

თუ დემოკრატიული წყობილება დამყარდა, აქედან ჩვენც რამე გვერგებათ და ისიც დაუმატებია:

"თქვენ იმუშავეთ მაგ გზით და ჩვენ ჩვენი გზით. ჩვენ ხელს არ შეგიშლით, პირიქით, იქნებ ზოგ რამეში ხელიც შეგიწყოთო" -"ამ შეთანხმებით ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით და დავიშალენით მეგობრულად" წერს რ.გაბაშვილი.

ამის შემდეგ თბილისში მაჩაბელთან ერთად ერთი ნაციონალური ჯგუფი აარსებს დამოუკიდებლობის კომიტეტის საქართველოს ფილიალს, რომელშიც შედიან: სპ.კედია, დ.ვაჩნაძე და რ.გაბაშვილი.

უფრო ფართო მაშტაბით განახლდა ე.წ. "ქართული საქველმოქმედო საზოგადოება", რომელიც უფრო საიდუმლოდ მოქმედებდა და ფაქტიურად მთელი ომის განმავლობაში ის წარმოადგენდა საქართველოს მთავრობას. შემდგარი იყო კოალიციის ნიადაგზე: იქ შედიოდნენ სოც.დემოკრატები, ფედერალისტები, ეროვნული ჯგუფების წარმომადგენლები და მათ თავმჯდომარეობდა მიხ.მაჩაბელი. ამ კომიტეტში თავს იყრიდა 25-30 კაცი, ხოლო მთელი საზოგადოება ითვლიდა ათასობით წევრებს...

ქუთაისის შეთანხმებას ასე გადმოგვცემს სამ.

ფირცხალავა: "გიორგი მაჩაბელს მე კარგად ვიცნობდი. პირველ მის ჩამოსვლისას რამდენიმეჯერ შევხვდით ერთი მეორეს და ქუთაისში რომ კრება მოიწვიეს, იმასაც დავესწარი. მოლაპარაკების დროს თითქმის ერთნაირად ვუდგებოდით საკითხს: ჩვენი გამოსავალი წერტილი იყო რუსეთის დანგრევა, სარგებლობა იმ მდგომარეობით რომელიც ამას მოჰყვებოდა და ხმარება იმპთგან და მოქმედება იმათთან, ვინც ჩვენ მტერს დაამარცხებდა" ("სახალხო საქმე" ნ.8; პარიზი, 1935).

ნ.ჟორდანიაც იმასვე ამბობს ხოლო ქუთაისის შეხვედრაზე ის არაფერს ამბობს. გ.მაჩაბლის შემდეგ საქართველოში ჩამოვიდა მიხ.წერეთელი და მეორედ ისევ მაჩაბელი და ჟორდანია ამ შეხვედრებზე გადმოგვცემს.

მიხ.წერეთელთან იმაში შეთანხმებულვან რომ "იმუშაონ მათ საზღვარ გარედ ქართულ კომიტეტში, შეიძლება ეს ხაზიც გამოგვადგეს თქვა (მისი მოგ. გვ.102).

ამის შემდეგ კი გ.მაჩაბლის მეორედ ჩამოსვლის და დ. ვაჩნაძის ბინაზე შეხვედრის დროს აღნიშნავს: "აქაც საუბარი გათავდა შეთანხმებით - ჩვენ ჩვენ ხაზზე ვიმუშავებდით შიგნით, ისინი მათებურად უცხოეთში, ან ერთი გაგვიყვანს ან მეორე. ძირითად საკითხში - საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებაში - არავითარი აზრთა სხვა და სხვაობა არ ყოფილა. საჭირო იყო მხოლოდ ისეთი ტაქტიკა, რომელიც მართლა მიგვიყვანდა ამ მიზნისაკენ და თან ქართველი ერის ფიზიკურ არსებობას არ ემუქრებოდა" (იქვე გვ.103).

შემდეგ ჟორდანია გადმოგვცემს რომ სწორედ რევოლუციის წინ 1917 წ. სოც.დემოკრატებს მოუწვევიათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონფერენციას: "დაესწრნენ ყველა ლიდერები. დიდი დავა არ ყოფილა, მთავარ საკითხზესაერთო აზრი ერთი იყო, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა უნდა გამოვაცხადოთ, თუ დადგება საამისო პირობები, ე.ი. რუსის ჯარი დასტოვებს ჩვენს ქვეყანას"; (იქვე) მაგრამ ზოგი წინააღმდეგი ყოფილა ეს აზრი ახლავე ფართო ორგანიზაციები გაეცნათ და ბოლოს ის გადა-უდვიათ შემდეგი კონფერენციისათვის, რომელსაც რევოლუციამ დაასწრო...

ამგვარად ნათელი ხდება რომ იმის დროს მთელ ქართულ საზოგადოებაში ერთობლივ მიღებული იყო აზრი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა.

---

111

## თავი მესამე

## რუსეთის 1917 წლის რევოლუცია და საქართველო

**1. რევოლუცია და რევოლუციონერები.** ერთ საუკუნეზე მეტი იბატონა რუსეთმა საქართველოზე, და ჩვენ ვნახეთ რომ ქართველ ხალხს ამ დროს განმავლობაში ძალიან ცოტა სიმშვიდე უნახავს. ის მუდამ იბრძოდა. იბრძოდა რითაც შეეძლო, რომ თავისი ერი და ქვეყანა გადაერჩინა და ერთ დღეს დამოუკიდებლობაც მოეპოვებინა.

ამის შემდეგ გასაგებია, თუ ის რა აღტაცებით უნდა შეხვედროდა იმ ამბებს რაც რევოლუციას მოჰყვა. ნორმალური ლოგიკით ამ ერს რევოლუციის მეორე დღესვე დამოუკიდებლობა უნდა გამოეცხადებინა. მაგრამ შეიქმნა ცოტა პარადოქსალური მდგომარეობა და რომ მოვლენათა შემდეგი მსვლელობა გასაგები გახდეს, მოკლედ მაინც უნდა გავიცნოთ როგორც რევოლუციის პირობები, ისე შიგნით საქართველოსა და მთელი კავკასიის მდგომარეობა.

დღეს, რევოლუციონერები, და განსაკუთრებით კომუნისტები სულ იმის მტკიცებაში არიან რომ მათი

დიდი ბრძოლის შედეგი იყო რუსეთის რევოლუცია. ნამდვილი ისტორია კი სულ სხვა არის. ყველამ იცის რომ რევოლუციონერები ამ დროს ან გადასახლებაში იყვნენ ან და უცხოეთში გახიზნულნი და ამ ფაქტით ისინი რევოლუციაში მონაწილეობას ვერ მიიღებდნენ, ისინი მას ვერ გამოიწვევდნენ. მართალია ისინი ამისთვის იბრძოდნენ, მაგრამ რევოლუცია მათგან დამოუკიდებლად მოხდა. ის იყო უფრო შედეგი ომისა და მისგან გამოწვეული კრიზისისა. ამნაირად არც ერთ რევოლუციონერ პარტიას რევოლუციაში წვლილი არა აქვს და ყველაზე ნაკლები კომუნისტებს.

აი რას გადმოგვცემს ირ. წერეთელი თავის მოგონებებში, რომელიც ამ დროს იყო გადასახლებაში: "ჩვენ ყველანი რევოლუციონური ელემენტების იმედით ვცხოვრობდით. მაგრამ ისეთი ელვის სისწრაფით და გადამწყვეტ მიღწევაზედ, რომელიც ჰქონდა თებერვლის რევოლუციას, ჩვენ შორის ყველაზედ დიდი ოპტიმისტებიც კი არ ოცნებობდნენო". (იხ. მისი "მოგონებანი თებერვლის რევოლუციაზე", პარიზი 1963 წელი. რუსულად).

ამას სწერს ის წერეთელი, რომელიც იყო დიდი სოციალისტი, კოსმოპოლიტი და დროებითი მთავრობის წევრი კერენსკის კაბინეტში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ამასვე სწერს თავის მოგონებებში ნ.ჟორდანია:

"რევოლუცია იყო სრულიად მოულოდნელი ყველა პოლიტიკური პარტიისათვის. რუსეთში არც ერთი პარტია, რევოლუციური თუ ოპოზიციური რევოლუციისათვის არ მოემზადებოდნენ და ცდილობდნენ მხოლოდ დუმის საშუალებით რასპუტინების განდევნას და მთავრობის იძულებას დარიგე საზოგადოების შემოკრებას თავდაცვის ხაზზე. ბოლშევიკები უცხოეთში ძალიან რევოლუციონერობდნენ, მაგრამ რუსეთში კი ხმას არ იღებდნენ და ერთგული მოქალაქის როლში გამოდიოდნენ... რევოლუცია გადაწყვიტა ჯარმა... ის იყო სამხედრო შეთქმულებისა, მართალია, ის მივიღეთ "თოფით", როგორც მაშინ ამბობდნენ, მაგრამ ასეთივე "თოფით" მიიღო ის მთელმა იმპერიამ და არა მარტო საქართველომ".
(იხ. ამის შესახებ ვ.ფულაძის მოგონებანი. "კავკასიონი" ნ.12. და იქვე ვ.ნოზაძის მოგონება, რომელიც გადმოგვცემს რომ მას და ვ.ფალავას შეუდგენიათ ეს დეპეშა მოსკოვში. საქარ თველში გამოუგზავნიათ წარწერით: "მთავრობამ გარდაიცვალა".).

ასეთი იყო რევოლუციონერების როლი რევოლუციაში.

რევოლუციის მეორე დღესვე შესდგა დროებითი მთავრობა ჯერ ლვოვის და მერე კერენსკის მეთაურობით.

ჩვენთვის აქ საინტერესო ნაციონალური საკითხი დროებითი მთავრობის პროგრამაში. ამაზე იგივე ირ. წერეთელი სწერს: "მასიური სახალხო მოძრაობის განვითარების პერიოდში თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, რევოლუციამდე, რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში, ეროვნული საკითხი თითქმის განდევნილი იყო მეორე პლანზე", რადგან ფიქრობდნენ, რომ დემოკრატიული წყობილების დამყარების დროს ადვილი იქნებოდა მისი გადაჭრა. სინამდვილეში, როგორც სხვაგან ვნახეთ, ეს აზრი იყო მხოლოდ

სოციალისტურ-კოსმოპოლიტიკური პარტიებისა, რომელნიც მაშინ ბატონობდნენ, და არა დაჩაგრული ერებისა და ნაციონალური ორგანიზაციებისა.

რუსეთის დროებითმა მთავრობამ აღნიშნული დებულება მიიღო. ის თავშივე წინააღმდეგი იყო დაბერობილ ერთა დამოუკიდებლობისა· დიდის გაჭირვებით ის მხოლოდ პოლონეთს მიანიჭა და ზოგი პრივილეგიები ფინლანდიას, ხოლო საბოლოოდ ეს საკითხი უნდა გადაეწყვიტა მომავალში მოწვეულ დამფუძნებელ კრებას. მანამდე კი იყ არავის არაფერს უთმობდა და ამაზე უკრაინასთან უთანხმოება სუფევდა.

ის რაც ეროვნულმა მთავრობამ გააკეთა, იყო ის რომ ეროვნებათ მოხსნეს შეზღუდვები, რაც კი ხელს უშლიდა მათ ეროვნულ კულტურულ განვითარებას. ამიტომ საქართველოში სწავლება მაშინადვე ქართულ ენაზე გადავიდა;

ხოლო რუსეთის ფართო საზოგადოებაში მოხდა შემდეგი: 1917 წლის მაისში რუსეთის გლეხთა ყრილობამ და ივნისში ესერების ყრილობამ გამოიტანეს გადაწყვეტილება, რომ ისინი მხარს დაუჭერენ ფედე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადიკალური დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნას, ხოლო დამფუძნებელი კრების გზით. დროებითმა მთავრობამ უკრაინელების მცირე მოთხოვნაც არ დააკმაყოფილა და ამაზე კონფლიქტიც მოხდა.

საერთოდ ამ მთავრობის მდგომარეობა იყო პარადოქსალური. მთავრობა შესდგა დუმის საშუალებით და დასაწყისში სოციალისტური პარტიები იქ მონაწილეობას არც კი იღებდნენ. პარალელურად დაარსდა მუშათა, გლეხთა და ჯარის კაცთა საბჭო,ნ. ჩხეიძის თავმჯდომარეობით, რომელიც იყო ფაქტიური მბრძანებელი ქვეყნისა და ტლბად ხელისუფლების ასეთი გაორებული მდგომარეობა გახდა მათი დაღუპვის მიზეზი.

ახალი რუსეთი მაინც ისეთ ნიადაგს ამზადებდა რომ დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ერები ხელიდან არ გაეშვა და ამა თუ იმ ფორმით ისევ რუსეთთან დაება

·ამასობაში კი დროებითი მთავრობა ერებს აწყნარებდა იმით რომ ყველაფერს დამფუძნებელი კრება გადასწყვეტდა. ამაში იყენებდნენ სოციალისტურ პარტიებს პატარა ერებისა. რომელნიც თავიანთ პარტიულ აზრებს ასაღებდნენ ხალხების აზრებად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი ამაზე რასა სწერს იგივე ირ. წერეთელი:

"პოლონეთისა და ფინლანდიის გამოკლებით, რომელთაც რუსეთში ეკავათ ისეთი მდგომარეობა, როგორც სახელმწიფოს სახელმწიფოში და უფლებთვის მიილტოდნენ დამოუკიდებლობისაკენ, არც ერთი სხვა ერი არ სვამდა საკითხს რუსეთისაგან გამოყოფისა".

ჩვენს მიერ ზემოდ აღწერილი საქართველოს ამბებისა და ბრძოლების შემდეგ, მკითხველს ალბად გაეცინება ირ. წერეთლის სიტყვებზე! მით უფრო რომ მას არ სცოდნია ქართველი ერის განწყობილება და არც ის რომ თვით მისმა პარტიამაც უკვე ომის დროს მიიღო იდეა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა!

თუმცა ირ. წერეთელი არც იმას უარჰყოფს რომ მოუხედავად ამისა; პატარა ერები მით უფრო ძლიერად მოითხოვდნენ ისეთი წყობილების დამყარებას რომელიც მათ გარანტიას მისცემდა თავისუფალი ავტონომიური მმართველობისა ეროვნულ ტერიტორიაზე.

წერეთელი იმასაც შენიშნავს რომ დროებითი მთავრობის ყურადღება იყო მიქცეული იმისკენ, რომ დაეკმაყოფილებინა მუშათა, გლეხთა და ჯარის კაცთა მოთხოვნილებანი და ყურადღებოდ იყო დატოვებული ეროვნული მოძრაობანი. ფიქრობდნენ რომ ყველა კით-

ხვები, რაც დაკავშირებული იყო ეროვნულ მოძრაობასთან, გადაწყდებოდა დამფუძნებელ კრებაზე და იმასაც აღიარებს რომ: "ასეთი მიდგომა ნაციონალური საკითხისადმი, რევოლუციის მიერ შექმნილ პირობებში, რასაკვირველია დიდი შეცდომა იყო". ეს ყოველივე კი უკანა რიცხვით არის აღიარებული და მაშინ კერენსკის მთავრობაში, რომელშიც ის ღებდა მონაწილეობას, იმავე გზას ადგა როგორც სხვა რუსები!

ასე თუ ისე რუსეთი ხელს არ უშვებდა პატარა ერებს და ამიერ კავკასიისათვის მან დანიშნა საგანგებო კომიტეტი. მასში შედიოდნენ ორ-ორი წარმომადგენელი ამიერ კავკასიის ერებისა, რუსი ხარლამოვის თავმჯდომარეობით. ამ დაწესებულებას უნდა განეგო დროებით მთელი ამიერ კავკასიის საქმეები. ე.ი. მან შესცვალა მეფის ნაცვლის მმართველობა. თუმცა მას არავითარი გავლენა ჰქონია...

2. მდგომარეობა კავკასიაში. როგორი იყო რეალური მდგომარეობა საქართველოში. მთელი საუკუნის განმავლობაში საქართველო იბრძოდა თავისუფლებისათვის, რა ხასიათისაც არ ყოფილიყო ეს ბრძოლა. საბოლოო მიზანი იყო უცვლელი.

საკუთარი ბრძოლით საქართველოს განთავისუფლების იმედი არ იყო. მსოფლიო ომმა ეს იმედი დაჰბადა, ხოლო რევოლუციამ ის ფაქტად აქცია. ხოლო მიზნის განხორციელებას სდევდა მთელი რიგი პარადოქსებისა და ამის გასაგებად საჭიროა შინაური ამბების მოკლედ მიმოხილვა.

მთელი კავკასია ოთხ პოლიტიკურ ერთეულად უნდა წარმოვიდგინოთ:

1. პირველ ელემენტს შეადგენენ ჩრდილო-კავკასიის მთიული ტომები. მათში უძველეს დროიდანვე განვითარებული იყო მაღალი მორალი, რაინდული სული, პატრიოტიზმი. ისინი დიდ გმირობას იჩენდნენ სამშობლოს დაცვის საქმეში, მაგრამ მოკლებულნი იყვნენ სახელმწიფოებრივ ხიმწიფეს. ამიტომ ეს ხალხი არ იყო მზად რომ ინიციატივა ეკისრათ მთელი კავკასიის დამოუკიდებლობისა.

2. მეორე იყო კავკასიის მუსულმანობა, ცოტა გვიან რომ მიიღეს "აზერბეიჯანის" სახელწოდება. ეს სახელწოდება მანამდე მათთვის უცხო იყო. ამ სახელს ატარებს ის ხალხი, რომელიც შედის ჩრდილო სპარსეთში, რომელთა სატახტო ქალაქი არის თავრიზი.

ამ.კავ. მუსულმანობამ, რომელიც ენათესავება ირა-ნის აზერბეიჯანელებს, ეს სახელი მიიღო იმიტომ რომ მომავალში მათთან გაერთიანებულიყვნენ. ბოლო-ხანებამდე ამ მუსულმანობას ერთი მთლიანი სახელ-მწიფო არ ჰქონიათ. ისინი ბოლომდე დაყოფილი იყვ-ნენ ცალკე სახანოებად და ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნეში მათი მთავარი შირვანის სამეფო საქარ-თველოს ვასალად ითვლებოდა. რუსეთმა ისინი ისე დაიპყრო რომ ერთი სახელმწიფოს შექმნა ვერ შესძლეს; ამიტომ არც ამ ელემენტის მდგომარეობა იყო ისეთი რომ მათ რაიმე ინიციატივა გამოეჩინათ. ერთად ერ-თი გარემოება უწყობდა მათ ხელს რუსებისაგან და-მოუკიდებლობისათვის, ეს ის რომ ისინი მიისწრაფოდნენ თურქეთისაკენ. მაგრამ ფაქტიურად ისინი გადაბმუ-ლი იყვნენ მეზობელ სომხებთან და ქართველებთან, ამიტომ დამოუკიდებელ ინიციატივას მოკლებული იყვნენ.

3. მესამე მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს სომხობა. მაგრამ ამ ქვეყნის და ხალხის ბედი სხვა მხრივ იყო ტრაგიკული. ამ ერს აქვს 2500 წლის ისტორია. მათ წარსულში ჰქონიათ ძლიერი სახელმწი-

ტი და მაღალი კულტურაც და მის შვილთ არც პატრი-
ოტული აღტყინება ჰკლებიათ. მაგრამ მეთერთმეტე
საუკუნის ბოლოდან მათ დაკარგეს სახელმწიფოებრი-
ვი დამოუკიდებლობა. რუსებმა ისინი დაიპყრეს რო-
გორც ირა-თურქეთის ნაწილები. რუსების ბატონობის
ქვეშ დაიწყო მათი შეკავშირება და მათშიც დაიწყო
ეროვნული განმანთავისუფლებელი მოძრაობა. დამოუ-
კიდებლობისათვის ამ ხალხს შედარებით უკეთესი
პირობები ჰქონდა, მაგრამ ერთი დიდი დაბრკოლებაც:
ეს იყო თურქეთის საკითხი, რომელიც დიდი ხანია
მათ გადაულახავს უპირებდა და ახლაც, ომის გამო
მათ ისეთი მდგომარეობა ჰქონდათ შექმნილი რომ
ქართველებისა და აზერბეიჯანელების დამოუკიდებ-
ლად ნაბიჯის გადადგმა არ შეეძლოთ, მით უმეტეს
რომ კავკასიის მთიანობის იდეაც მომწიფებული იყო.

4. მეთხე და უმთავრესი ელემენტი საქართველო.
და ვფიქრობ რომ დამოუკიდებლობის მებაირაღტრედ
ეს ქვეყანა უნდა გამოსულიყო. მას ამისთვის ყვე-
ლაზე პრივილეგიური მდგომარეობა ჰქონდა. მას არც
ერთი ის დაბრკოლება ელოდებოდა შინ რაც სხვებს.

ქართველ ერში თვით საზოგადოებრივი ურთიერთობები კიდევ სუსტდებოდნენ. საზოგადოების მეურნეობის მასალაც გაიხრწნა, და როდესაც დადგა ნანატრი დღე, სწორედ ახლა მოხდა პარადოქსი. განათლებულმა პარტიებმა მიიღეს დროებითი მთავრობის დაპირებები და დამოუკიდებლობის გამოცხადება კი მანამდე; ჯერ გაბედეს სანამ პეტერბურგში დამფუძნებელი კრება მოცემს არ გადაწყვეტდა და მოსკოვ-პეტერბურგში ბოლშევიკები არ გაბატონდებოდნენ.

რასაკვირველია, მომხდარი ფაქტის შემდეგ ყველნაირ ახსნას ეძლევა სარბიელი. და ეს ჭორები თავს მხოლოდ იმით იმართლებენ რომ რუსის ჯარები ჯერ კავკასიიდან არ იყვნენ გასულნი და ასევე თურქეთიდანაც საფრთხე მოელოდათ. ეს მოვლენები ანგარიშგასაწევი და გამართლებაც შეიძლებოდა, რომ ყველაფერი ეს ყოფილიყო მიზეზი და შინაგან ფაქტორს თავისი როლი არ ეთამაშა, რაც თითქმის ყოველთვის პირველ მნიშვნელოვანად არის აღიარებული.

ამ დროს საქართველოშიც შექმნილი იყო პარტიობა, და როგორც ყველა დემოკრატიულ ქვეყნებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობილი, ხალხის ბედს, თუ არა პიროვნება, არც ხალხი სწყვეტს უშუალოდ, არამედ პარტიები და მათ შორის კი ყველაზე ძლიერი პარტია. ამ დროს საქართველოში არსებობდა ოთხი პარტია: სამი ძველი და ერთი ახალი. სოც. დემოკრატები და ესერები ითვლებოდნენ რუსეთის პარტიათა ნაწილებად. კერძოდ ყველაზე ძლიერი საქართველოში იყო სოც.დამოკრატიული პარტია. ისინი დიდ ხანს არ სცნობდნენ საქართველოს დამოუკიდებლობას და მას ებრძოდნენ კიდეც. ეს მაშინაც, როდესაც საქართველოს არც ფრონტიდან მოშლილი რუსის ჯარი ემუქრებოდა და როგორც ქვემოთ ვნახავთ, თურქები თვითონ გვეჩიჩინებოდნენ რომ დამოუკიდებლობა გამოგვეცხადებინა.

რევოლუციის შემდეგ მთელი სადავეები სოც.დემ. ჩაიგდეს ხელში. მეტიც, მათი ჰეგემონია ვრცელდებოდა სხვა პარტიებზედაც, რადგან მათი სოციალისტებიც ამათ უჭერდნენ მხარს. ამიტომ იყო რომ ქართული მოწინავე წრე ერთგვარ არბიტრის როლს თამაშობდა და ისეთი პირობები იყო რომ არჩევანი მუდამ ქართველს ხვდებოდა, ცხადია ეს იყო სოც.დემოკრატი.

ქართველი მეთაურობა კი ე.ი. სოციალისტები ეროვნულ იდეას არ ახვევდნენ თავს მეზობლებს, არამედ მათ იდეოლოგიურ შეხედულებებს: ყველაფერს დამფუძნებელი კრება გადასწყვეტს, ჩვენ უნდა ვიყოთ რუსეთის დემოკრატიასთანო!

მათ მიიღეს დროებითი მთავრობის გეგმა და ის ბოლომდე ერთგულად დაიცვეს...

ზემოთ უკვე მოვიყვანე ნ.ჟორდანიას მოგონებიდან ერთი ადგილი რომ 1917 წლის იანვარში (თუ თებერვალში, ავტორს არ ახსოვს), პარტიის ლიდერების კონფერენციაზე დამოუკიდებლობის საკითხი მოუხსნიათ. ახლა უფრო სრულად მოვიყვან მის სიტყვებს:

"მთავარ საკითხზე საერთო აზრი იყო, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა უნდა გამოვაცხადოთ, თუ დადგება საამისო პირობები, ე.ი. რუსეთის ჯარი დასტოვებს საქართველოს, ამ შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა-შ ი ჩ ვ ე ნ ი ა ქ ც ი ა ა რ ჩ ა ი თ ვ ლ ე ბ ა ვ ი ს მ ე ს ღ ა ლ ა ტ ა დ (ხაზი ჩვენია), პირიქით ეს იქნება თავის დაცვის საშუალება და მებრძოლი ბანაკიდან განზე გადგომა" (იხ. მისი მოგ.).

მაშასადამე, მის მიერ დასახელებული პირობების გარეშე თუ გამოაცხადებდნენ დამოუკიდებლობას ეს იქნებოდა ღალატი, (ცხადია რუსეთისა!). თუმცა ისიც ცნობი-

ლია რომ რუსის ჯარმა შესვლა დაიწყო რევოლუციის მეორე დღიდანვე, ხოლო საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა რევოლუციის 15 თვის შემდეგ..

სხვათა შორის არ შემიძლია ნ.ჟორდანიას აზრების ზოგი ალრევაც არ აღვნიშნო. როგორც გვახსოვს, ჯერ კიდევ 1915 წელს მაჩაბელთან შეხვედრის გამო ის სწერდა: "ძირითად საკითხში - საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებაში აზრთა სხვა და სხვაობა არ ყოფილა. საჭირო იყო მხოლოდ ისეთი ტაქტიკა, რომელიც მართლა მიგვიყვანდა ამ მიზნისაკენ და თან ქართველი ერის ფიზიკურ არსებობას არ ემუქრებოდა".

აქაც იგივე აზრია განმეორებული. მაშასადამე, ომის დროს და 1917 წლის იანვარ-თებერვალში ის ლებს დამოუკიდებლობის იდეას. ისიც ხომ გვითხრა რომ უკანასკნელად პარტიის ყველა ლიდერებმა მიიღეს ეს აზრი და რამიშვილი და ხომერიკი კიდევ შორს მიდიოდნენ, ეს აზრი ახლავე ფართო მასებში გავიტანოთო! ხოლო 1918 წელს როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი პრაქტიკულად დაისვა, ამაზე კი ის შემდეგს სწერს:

"..დღის წესრიგში დაისვა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. ეს იყო სრულიად მოულოდნელი, არასოდეს არ გათვალისწინებული ამბავი".

(იხ. მისი მოგონებების გვ.128).

მიუხედავად უოველივე ამისა, ვუმადლოდეთ რუსეთში ბოლშევიკურ გადატრიალებას, რომ დაირღვა სამუდამოდ "რუსეთის დემოკრატიასთან" ერთობის ფსიქოზი. ერის მარადიული მოთხოვნილებები ამარცხებენ ფანტაზიებს და ჩვენს სოც. დემოკრატებს, მთელი თავიანთი მოქმედებით უბრუნებენ ერისა და ქვეყნის სამსახურს. ჟელიჭადზე მეჩი ორჯოთობის შემდეგ; ჯერ ამიერ-კავკასიის და მერე საქართველოს დამოუკიდებლობას აცხადებენ!...

3. ამიერ-კავკასიის დროებითი მთავრობა. როგორც უკვე აღვნიშნე, დროებითმა მთავრობამ კავკასიაში დანიშნა საგანგებო კომიტეტი, მერე უმაღლესი კომისარიც უნდა დაენიშნა, მაგრამ ეს აღარ დასცალდა.

დაიწყო დამფუძნებელი კრებისათვის არჩევნები. იგი ჩატარდა ამიერ-კავკასიაშიც. 28 ოქტომბერს რუსეთში მოხდა ბოლშევიკური გადატრიალება. მათ ხელში ჩაიგდეს უველა ცენტრები ... კერენსკი ქალის კაბა-გადაცმული ლაჩრულად გარბის, ასპარეზზე გამოდიან რუსის მეფის გენერლები. იწყება სამოქალაქო ომი... ეს იყო პირველი მიზეზი დამოუკიდებლობის

გამოცხადების გადაწყვეტისათვის.

კომუნისტური გადატრიალების შემდეგ, მათ მოწოდებაზე, მთელი ჯარები იხსნება ფრონტიდან. კავკასია იცლება ჯარებიდან. ფორმალურად კი ომი გრძელება. ეს იყო მეორე მიზეზი რომ დამოუკიდებლობაზე ეფიქრათ.

რუსული ელემენტები კავკასიაში და ჯარის ხელმძღვანელობა, რომელიც კერენსკის პოზიციას იცავდა, შიშმა მოიცვა, კავკასია არ ჩამოსცილებოდა რუსეთს. ამიტომ მათვე აიღეს თავზე ინიციატივა რომ სანამ რუსეთში სამოქალაქო ომი გათავდებოდა და რუსეთის მომავალი ბედი გამოირკვეოდა, დროებით თვითონვე გამოეცხადებინათ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა. ზემოდ აღნიშნული ამიერ-კავკასიის კომიტეტი ვერავითარ აქტიობას იჩენდა. აქტიური იყვნენ რევოლუციური და სამხედრო ორგანიზაციები.

ზემოდ აღნიშნული ამბების შემდეგ, საზოგადოებრივი თავდაცვის კომიტეტის ინიციატივით 11 ნოემბერს (ახალი სტილით 24 ნოემბერს), შესდგა თათბირი. მას ესწრებოდნენ: მუშათა და გლეხთა დეპუტატების ცენტრის წარმომადგენლები, კავკასიის არმიის

სამხედრო საბჭოსი, მუშათა და ჯარის კაცთა დეპუ-ტატების საბჭოს თბილისის აღმასრულებელი კომიტეტი-სა, ქალაქის მმართველობისა, კავკასიის თავდაც-ვის კომიტეტისა, საგანგებო კომიტეტისა, პოლიტიკ-ური პარტიებისა, მუსულმანური ორგანიზაციებისა, ფოსტა-ტელეგრაფის ცენტრალური კომიტეტისა, სამხა-რეთ მომარაგების უწყებისა და ქალაქ თბილისის პროფ. ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან.

თათბირს დაესწრო აგრეთვე კავკასიის მთავარ-სარდალი გენ.პრჟევალსკი, შტაბის უფროსი გენ. ლე-ბედინსკი, არმიის შტაბთან მეოფი, ინგლის-საფრან-გეთის წარმომადგენლები, ამერიკის შეერთებული შტა-ტების კონსული სტივენსონი და სხ. სულ 400-მდე.

თათბირი გახსნა ევ.გეგეჭკორმა და კრებას მო-ახსენა, რომ ორ კვირაზე მეტია, რაც ცენტრს მოწ-ყვეტილი ვართ, ამიტომ საჭიროა გავითვალისწინოთ მომავალი მოქმედების გეგმა შექმნილ პირობებში. ცენტრში ჯერ-ჯერობით ბოლშევიკები გაბატონდნენ და არავინ იცის როდის დამყარდება ნორმალური მდგომა-რეობა. ადგილობრივ გარკვეული ხელისუფლების უქონ-

ლობა ქმნის გაურკვეველ მდგომარეობას. ამიერ-კავ-კასიის კომიტეტმა დიდი ხანია შეიგნო თავისი მდგო-მარეობა და გადადგა და სხ...

მოხსენებით გამოვიდა სამხარეო საბჭოს თავმ-ჯდომარე დონსკი. საერთო მდგომარეობის დახასიათ-ების შემდეგ, ის საჭიროდ სთვლის ადგილობრივი ხე-ლისუფლების შექმნას და მიუთითებს, ისარგებლონ შემთხვევით და დამფუძნებელი კრებისათვის არჩეუ-ლი დეპუტატებით და კავკასიის არმიის დელეგატე-ბით (სულ 45 კაცი), შეიქმნას ცენტრალური ხელის-უფლება. ის კი აირჩევს აღმასრულებელ ორგანოს. შემდეგ მან ხაზი გაუსვა: "რომ ამ ხელისუფლებას ექნება დროებითი ხასიათი და რომ ამ შემთხვევაში ადგილი არა აქვს სეპარატისტულ მიდრეკილებას".

(იხ. "დოკუმენტი ი მატერიალი პო ვნეშნეი პოლიტი-კე ზაკავკაზია ი გრუზიი" თბილისი,1919,გვ.ნ.5. ამის შემდეგ ამ დოკუმენტთა კრებული, რომელიც გამოსცა ჩვენმა მთავრობამ რუსულად, ყველგან იქ-ნება აღნიშნული: დ ო კ, და მითითებული იქნება დოკუმენტის ნომერი, როგორც ეს კრებულშია).

ამ სხდომაზე გადაწყდა რომ შესდგეს ადგილობრი-ვი მთავრობა, რომელიც გაუძღვება ადგილობრივ საქ-მეებს, სანამ სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრება

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიკრიბება. ბოლშევიკებმა კრება დასტოვეს.

15 ნოემბერს (ახალი სტილით 28 ნოემბერს) არსდება ამიერ-კავკასიის კომისარიატი და სდგე-დამოუკიდებელი მთავრობა ევ. გეგეჭკორის თავმჯდომარეობით. 18 ნოემბერს კომისარიატი აქვეყნებს თავის პირველ დეკლარაციას, სადაც ნათქვამია:

"ასზედ მეტი წლის განმავლობაში ამიერ-კავკასიის ხალხები, რომლებიც იყვნენ რუსებთან ერთად და თავიანთი ბედი მათთან ჰქონდათ დაკავშირებული, პირველად, ამ განცდილ ისტორიულ მომენტში, აღმოჩნდნენ თავისი თავის ამარად, და მათ უხდებათ თავიანთი საკუთარი ძალებით მიიღონ ზომები მომავალი ეკონომიური და საზოგადოებრივი კატასტროფის ასაცდენად" (დოკ.ნ.7)

მოწოდებაში აღნიშნულია რომ ეს არის მხოლოდ დროებითი ხელისუფლება და იქვე დასძენს რომ კომისარიატი "დგას რა ეროვნებათა სრული თვითგამორკვევის ნიადაგზე, აღიარებული რუსეთის რევოლუციის მიერ, ამიერ-კავკასიის კომისარიატი მიიღებს ზომებს, ამიერ-კავკასიის ეროვნული საკითხის სწორად და სამართლიანად გადაწყვეტისათვის". აგრეთვე იძლევა პირობას რომ ის მალე დაამყარებს ზავს.

ოსმალეთი თვალ ყურს ადევნებდა რუსეთის მდგომარეობას და როგორც კი იგრძნო კავკასიაში ხელსაყრელი მდგომარეობა, მაშინადვე მისცა ზავის წინადადება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4 დეკემბერს, (ამიერიდან ვხმარობ ახალ სტილს) 1917 წელს ამიერ-კავკასიის კომისარიატის სხდომაზე მოსმენილი იქმნა კავკასიის არმიის მთავარ სარდლის განცხადება, რომ მან მიიღო წერილი ვეხიბ ფაშისაგან ზავის ჩამოგდების შესახებ. 5 დეკემბერს კომისარიატის დავალებით მთავარ სარდალი პრჟევალსკი პასუხს აძლევს თურქეთის მესამე არმიის უფროსს, ვეხიბ ფაშას, რომ ის იღებს ზავს. ამავე ცნობას ტელეგრამით უგზავნიან ისკოისის, მესოპოტამიის ჯარების სარდალს ბაღდადში.(იხ.დოკ. ნ.11).

მალე ორივე მხრიდან დაინიშნა კომისიები. რუსეთის არმიის კომისიის თავმჯდომარეს გენ.ვიშინსკის გადაეცა არმისტისის პირობები, სადაც მთავარი იყო მეორე მუხლი: "აბსოლიუტური დაუშვებლობა ჯარების ნაწილების მოძრაობისა, სტრატეგიული გადაჯგუფების მიზნით, განსაკუთრებით, მესოპოტამია-სირიის ფრონტზე გადაყვანის მიზნით. ამ მუხლის დარღვევა უნდა ნიშნავდეს საომარი მდგომარეობის გაგრძელებას"(დოკ.ნ;13).

18 დეკემბერს, ქალაქ ერზინჯანში ორივე მხარემ ხელი მოაწერა არმისტისს. რუსული არმიის პირობები მიიღეს თურქებმა. ხოლო ისიც გარკვეულად იყო აღნიშნული რომ ზავი ხდება რუსეთისა და ოსმალეთის

არმიების შორის კავკასიის ფრონტზე.

ომის შეწყვეტას უნდა მოჰყოლოდა მოლაპარაკება ზავის ჩამოსაგდებად. ოსმალეთი ამაში დიდად იყო დაინტერესებული. ამავე დროს დაინტერესებული იყო რომ მას საქმე ჰქონოდა დამოუკიდებელ ამიერკავკასიასთან. ეს ნათლად ჩანს თურქეთის ნოტებიდან და არც ერთ შემთხვევაში არ უშვებდნენ ხელიდან რომ დიპლომატიურად ეს აზრი არ ჩაეწვეთებინათ კავკასიელებისათვის. არმისტისის დროს ვიშინსკიმ განაცხადა რომ ის მოქმედებდა ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელი მთავრობის სახელით (თუმცა ოფიციალურად ასეთი რამ არ არსებობდა). ამას ხელი ჩაავლო ვეხიბ ფაშამ და 14 იანვარს 1918 წელს გენ. ოდიშელიძეს კიდევ ერთხელ გაახსენა ეს ამბავი და გამოსთქვა სურვილი, რათა ამიერ-კავკასიის მთავრობამ მიიღოს დელეგაცია, რომელსაც გამოგზავნის თბილისში (დოკ.ნ.15).

ამიერ-კავკასიის მთავრობა ოფიციალურად დამოუკიდებელი არ იყო და თეორიულად თავს სთვლიდა რუსეთის არ არსებულ რესპუბლიკასთან დაკავშირებულად. ამიტომ მას ვერ გამოერკვია, მიელო თუ არა თურ-

ქეთის წინადადება მოლაპარაკებაზე რუსეთისაგან დამოუკიდებლად. თუმცა თავმჯდომარემ იმავე ხანებში მიიღო პირი ვილსონის სიტყვისა, რომელიც ლაპარაკობდა ზავზედ. მთავრობა მაინც ეჭვმანში იყო. დადებითი პასუხის გაცემა ეძნელებოდა და არც უარის თქმა შეიძლებოდა. ამიტომ გეგეჭკორმა საკითხი დააყენა 17 იანვარს მუშათა, გლეხთა და ჯარის კაცთა საბჭოში, რომელმაც საპასუხოდ შეიმუშავა შემდეგი პროექტი:

"გვსურს რა შევკრათ ზავი რუსეთის დემოკრატიისათვის მისაღებ საფუძვლებზე, საჭიროდ მიგვაჩნია გაცნობოთ, რომ ვინაიდგან ჩვენ წარმოვადგენთ რუსეთის რესპუბლიკის შემადგენელ ნაწილს, შეგვიძლია შევუდგეთ ზავზე მოლაპარაკებას მხოლოდ დამფუძნებელი კრების მონდობილობით, რომელიც სწორედ ახლა შეიკრიბა. ჩვენი დელეგატები, რომელნიც მიემგზავრებიან დამფუძნებელ კრებაზე, დავალებულნი არიან, თქვენი წინადადება ზავზედ, პირველ რიგში დააყენონ და პასუხი თქვენ დაუყოვნებლივ გაცნობებათ" (დოკ.ნ.18).

თურქეთი ნოტაში მოხერხებულად იყო გამოთქმული სურვილი თურქეთისა, რომ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა გამოეცხადებინა. ამიერ-კავკასიის კომისარიატი კი ამას ვერ ბედავდა.

დამფუძნებელი კრების ამიერ-კავკასიის დელეგაცია ჯერ კიდევ თბილისში იყო რომ პეტერბურგიდან მოვიდა ცნობა ბოლშევიკების მიერ დამფუძნებელი კრების

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარეგნისა. ამის გამო 25 იანვარს მუშათა, გლეხთა და ჯარის კაცთა ყრილობა ადგენს, რომ მალე მოწვეულ იქმნას დამფუძნებელი კრებისათვის არჩეული დეპუტატები (რომელნიც ისევ ადგილობრივ იყვნენ) ავტორიტეტული ხელისუფლების დასამყარებლად, რადგან: "დამფუძნებელი კრების გარეშე, ამიერ-კავკასია ხელმეორედ დასტოვა თავისი ძალების ამარა" (დ.ნ.19)

26 იანვარს კომისარიატმა კვლავ გამართა თათბირი. აქ რუსული ელემენტები საქმეს ძველი მდგომარეობისაკენ მიათრევდნენ. ისინი კვლავ მოითხოვდნენ რომ ოსმალეთის პასუხში რუსეთის პატრონად კვლავ დამფუძნებელი კრება ყოფილიყო გამოცხადებული, რომელიც უკვე აღარ არსებობდა. საბოლოოდ ამ დღესვე კომისარიატი ვეხიბ ფაშას პასუხს აძლევს. ის პრინციპიალურად იღებს ზავის პრინციპს და კიდევ ერთხელ ახსენებს:

"თუმცა ამიერ-კავკასიის მთავრობას არ შეუძლია დაგიმალოთ ბ. გენერალო, რომ მისთვის აუცილებელია ომის ლიკვიდაციის შესახებ მოქმედება შეუთანხმოს რუსეთის იმპერიის სხვა ავტონომიური ერთეულების შეხედულებით, რომელთაც ამიერ-კავკასიის მთავრობასთან ერთად, ერთნაირად არიან დაინტერესებული ზავზედ". ეს პასუხი კიდევ დროებითი იყო. საბოლოო პასუხს მთავრობის თავმჯდომარე აღუთქვამს სამი კვირის შემდეგ...

ასე ართულებდნენ საქმეს იმის მოლოდინში, რომ პეტერბურგში ლაშქარი აღსდგებოდა. არც ვისმესთან იყო რამე შესათანხმებელი. უკრაინამ უკვე 4 დეკ. 1917 წლის გამოაცხადა დამოუკიდებლობა. ხოლო ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ ე.წ. რევოლუციონური ძალები ბურბუშელასავით ქაჰქრნენ. ბოლშევიკებთან ბრძოლაში დარჩნენ ნიკოლოზის გზადაბნეული გენერლები და რა საერთო უნდა ჰქონოდა მათთან ამიერ-კავკასიას?! ის ღა რჩება დასაშვებად, რომ ისინი ვერ ბედავდნენ საბოლოოდ მიეღოთ რუსებისაგან ჩამოშორების იდეა, რამაც სულ ახლო მომავალში ამიერ-კავკასიისათვის საბედისწერო როლი ითამაშა!..

ისეთი დრო იყო, როდესაც საათები იყო საანგარიშო და კვირებით საქმის თრევას არ შეიძლება ცუდი შედეგი არ მოჰყოლოდა. ამ ხანაში შეიქმნა ისეთი მდგომარეობა რომ თურქებმა დაარღვიეს არმისტისის პირობები და შეტევაზე გადავიდნენ. ზავის დარღვევა დაიწყო ასე: 22 იანვარს დაწერილ წერილში, რომელიც მიღებული იყო 31 იანვარს, ვეხიბ ფაშა ატყობინებდა კავკასიის არმიის სარდალს ოდიშელიძეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმის შესახებ, რომ რუსების მიერ დაკავებულ თურქულ პროვინციებში სომხები ხმარობენ ძალმომრეობას, და სთხოვს ბრძანება გასცეს ასეთი მოქმედება შეაჩერონ.

ულტიმატუმებით და მიწერ-მოწერით რომ არაფერი გამოვიდა, თურქები შეტევაზე გადავიდნენ და ზოგიერთი ადგილებიც დაიკავეს. ოსმალეთის მთავრობის ასეთმა მოქმედებამ ამიერკავკასიის მთავრობა აიძულა მოლაპარაკება დაეწყო, რაც გადაწყდა 14 თებერვლის სხდომაზე.

კავკასიაში რომ ეს ამბები ხდებოდა, მსოფლიოში მთელი რიგი ცვლილებებისა მოხდა. რუსეთში უკვე გამარჯვებული ბოლშევიკური მთავრობა ხელშეკრულებას სდებს გერმანიასთან და მის მოკავშირეებთან: ბრესტ-ლიტოვსკში იკრიბებიან წარმომადგენლები.

14 თებერვლის 1918 წლის გენ. ოდიშელიძე იღებს და მთავრობას გადასცემს ვეხიბ ფაშის ცნობას ბრესტ-ლიტოვსკში საზავო კონფერენციის მოწვევის შესახებ:

"თანახმად მიღებული რწმუნებულებისა, მაქვს პატივი გთხოვოთ, აცნობოთ ამიერ-კავკასიის მთავრობას, რომ ცენტრალური სახელმწიფოთა დელეგატები, რომელნიც შეკრებილნი არიან ბრესტ-ლიტოვსკში, მზად არიან მიიღონ ყოველი ზომები ამიერ-კავკა-

სიის მთავრობის დამოუკიდებლობის ცნობისათვის, რომელსაც დაიმედებული ხელი გამარჯვებით, შეუძლია გაეგზავნოს თავისი წარმომადგენლები ბრესტ-ლიტოვსკში" (დოკ. ნ.24).

მთავრობამ როგორც კი მიიღო აღნიშნული წინადადება, იმავე დღეს შესდგა კომისარიატის თათბირი. გეგეჭკორმა კრებას მოაგონა 15 იანვრის წერილი, რომელშიც გათვალისწინებული იყო პირველი თებერვლისათვის თბილისში კონფერენციის მოწვევა მეზობელ მთავრობათა წარმომადგენლებთან. შემდეგ აცნობს რომ სამხრეთ-აღმოსავლეთის ქვეყნებში ეს ვადა მოკლედ მიიჩნიეს და უკრაინისაგან პასუხიც არ მიუღიათ. გეგეჭკორმა აქვე თათბირს გააცნო ვეხიბ ფაშის წინადადება ბრესტ-ლიტოვსკის ზავის შესახებ და მოითხოვა რომ ეს ახლავე იყოს გადაწყვეტილი.

გადაწყდა პასუხის გაცემა. მაგრამ აქ ლაპარაკი [illegible]უთადრინდელ დაპირებაზე თურქეთთან მოლაპარაკების შესახებ. მხოლოდ ბრესტ-ლიტოვსკის საკითხმა ჩუმად ჩაიარა, თითქოს ეს მათ სრულიად არ ეხებოდა. და ამაზე არც გადაწყვეტილება და არც უარი არა ჩანს დოკუმენტებიდან. მოკლედ მათ უარი სთქვეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრესტ-ლიტოვსკში მონაწილეობის მიღებაზე, სწორედ
იმავე შიშით რომ ეს იქნებოდა აქტი რუსეთისაგან
ჩამოცილებისა!

ამიერ-კავკასიის მთავრობა გაურკვეველ მდგომა-
რეობაში იყო. თუმცა მდგომარეობა გამორკვეული იყო:
სახელდობრ რუსეთის ბატონები იყვნენ ბოლშევიკები.
ისინი ზავს კრავდნენ გერმანიასა და თურქეთთან.
გერმანია-თურქეთი დაინტერესებული არიან ამიერ-
კავკასიის დამოუკიდებლობით, ამიტომ სთხოვენ დელეგა-
ტებს რომელნიც საზავო კონფერენციაზე გამომხატველი
იქნებიან ფაქტიურად დამოუკიდებელი ამიერ-კავკასი-
ისა, ამაზე კი ამიერ-კავკასიის მთავრობა უარს
ამბობს!...

მაშასადამე, ამიერ-კავკასიის მთავრობა ვერც
კავშირს სწყვეტს რუსეთის არ არსებულ რესპუბლიკ-
ასთან და ამავე დროს უნდა მოლაპარაკება თურქეთთან
რაღაც ანონიმური ფორმით. კვლავ გრძელდება ჩივილი
და მოთქმა "დამფუძნებელი კრების" ცხედარზე. ხოლო
სადაც რაიმე დამოუკიდებელ ნაბიჯს გადადგამდნენ,
ამას ამართლებდნენ "ობიექტური პირობების" იძულებით,
უფრო კი ყველაფერს აბრალებენ ბოლშევიკებს...

რეალობას თავისი გაჰქონდა. ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა უნდა ემოქმედა. ამიტომ საჭირო იყო დამოუკიდებლობის ოფიციალურად გამოცხადება და ნორმალური საერთაშორისო ურთიერთობის დამყარება. მით უმეტეს რომ ბრესტ-ლიტოვსკის სახით ეს მდგომარეობა მას უკვე იწვევდა საერთაშორისო სარბიელზე. აღარ გვინდა ამ უთავ-ბოლო გარემოებაზე შევჩერდეთ. საბოლოოდ გადაწყდა მოლაპარაკების დაწყება თურქეთთან 1).

სეიმმა შეიმუშავა დელეგაციისათვის სათანადო ინსტრუქციები. უმთავრესი მუხლები: 3.საზავო ხელშეკრულების საფუძვლად უნდა დაედოს რუსეთ-ოსმალეთის ომის (1914) წინადროინდელი საზღვრები და 4; დელეგაციამ უნდა მოითხოვოს აღმოსავლეთ ანატოლიისათვის თვითგამორკვევის უფლება და კერძოდ ოსმალეთის სომხეთის ავტონომია ოსმალეთის იმპერიის ფარგლებში.(დოკ.ნ.46);

1) 1956 წელს, პარიზში, ერთ საჯარო კრებაზე. აკაკი ჩხენკელმა აღიარა ეს შეცდომა.და ასაბუთებდა იმით რომ შემდეგში გერმანიის კანცლერთან შეხვედრის დროს, უკანასკნელს უთქვამს რომ დროზე რომ ბრესტ-ლიტოვსკის დასწრებულიყავით, ჩვენ მხარს დაგიჭერდით და თქვენს მიწებს თურქებს არ დავუთმობდით!

25 თებერვალს ამ.კავკ.კომმა გადასცა გენ.ოდიშე-ლიძეს, რათა შეასრულებინოს კონფერენციის მოწვევა ქ. ტრაპიზონში.

ამიერ-კავკასიის დელეგაცია შესდგა აკაკი ჩხენკელის თავმჯდომარეობით. 8 მარტს ამიერ-კავკასიის დელეგაცია მივიდა ტრაპიზონში. სამი დღე და ღამე მოუხდა გემზე ცდა, რადგან მას თან ახლდა 50 კაცი შეიარაღებული. ტრაპიზონის გუბერნატორმა ისინი ქალაქში არ შეუშვა. 11 მარტს, როდესაც მან გადასწყვიტა ბათუმში დაბრუნება და იქ მოცდა, ამ დროს გამოჩნდა სტამბოლის თურქეთის დელეგაცია. მაშინ კი ამიერ-კავკასიის დელეგაციამ "ჯარი" გემზე დასტოვა და თვითონ ქალაქში გადავიდა.

სანამ ტრაპიზონის კონფერენციას შევეხებოდე, აქ უნდა გავიხსენოთ აქამდე მომხდარი ზოგიერთი მოვლენები, ურომლისოდაც გაუგებარი იქნებოდა აღნიშნული კონფერენციის მოქმედება.

მას შემდეგ რაც ამიერ-კავკასიამ უარი სთქვა ბრესტ-ლიტოვსკში თავისი დელეგატების გაგზავნაზე, თურქებმა სხვა ხაზი აიღეს. ყურადღების გარეშე

დასტოვეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიერ-კავკასია, როგორც "დამოუკიდებელი" სა[illegible] მეთაური და კონფერენციაზე თავიანთი მოთხოვნილებებს გაბარებს. 2 მარტს (დოკ.47), რუსეთის გარეშე საქმეთა კომისარმა აცნობა ამიერ-კავკასიის კომისარიატს რომ თანახმად ბრესტ-ლიტოვსკის ზავისა, ყარსი, არდაგანი და ბათუმი გადადიოდა თურქების ხელში.

იმავე დღეს ამიერ-კავკასიის კომისარიატმა, მთელი მსოფლიოს სახალხო ქალაქების მისამართით დაგზავნა პროტესტი ბრესტ-ლიტოვსკის წინააღმდეგ, სადაც ნათქვამია: "ამიერ-კავკასიის მთავრობა, თანახმად ხალხის გადაწყვეტილებისა, ყოველგვარი ხელშეკრულებების, რომელნიც შეეხებიან ამიერ-კავკასიას და მის საზღვრებს, დადებულს მისი ცნობისა და დასტურის გარეშე, სთვლის საერთაშორისო მნიშვნელობისა და მის სავალდებულო ძალის მოკლებულად" (დოკ.48).

10 მარტს ვეხიბ ფაშა ულტიმატუმით მოითხოვს ვენლებედინსკის აღნიშნული ადგილების დაცლას, რადგან რუსეთის რესპუბლიკა დასთანხმდა ამაზედ (დოკ.49).

ამგვარად ამიერ-კავკასია-ოსმალეთის მოლაპარაკების წინ უსწრებდა ეს ამბები და თურქებმაც ამიერ-

კავკასიის პროტესტი უყურადღებოდ დასტოვეს. მით უმეტეს რომ თურქეთმა პირველმა შეატყობინა ბრესტ-ლიტოვსკის კონფერენციის შესახებ და დელეგატების გაგზავნაც სთხოვა. თურქეთმა ჩვენების შეცდომაზე კარგად გაითამაშა და ახლა სრულიად ბუნებრივად, მოითხოვდა აღნიშნული ზავის პირობების განაღდებას.

შექმნილი მდგომარეობის შესახებ ყოველივე აცნობა ევ. გეგეჭკორმა აკაკი ჩხენკელს. 11 მარტს შეიკრიბა სეიმის სხდომა და აქ ნ.ჟორდანიამ განაცხადა, რომ"ჩვენთვის საზღვრების დაცვა, არის დაცვა რევოლუციისაო"(დოკ.53).ეს ხ ლხი ვეღარ შორდებოდა"რევოლუციას" მაშინ როდესაც ტერიტორია ხელიდან ეცლებოდა. აზერბაიჯანის წარმომადგენელმა ქოის ხანმა კი შემდეგი განაცხადა: "რაც შეეხება თურქეთის მთავრობის მოქმედებას, ჩვენ მასში ვხედავთ ერთგვარ ლოგიკურ თანმიმდევრობას. თურქეთის მთავრობამ არა ერთხელ შეგვხედა ჩვენ როგორც დამოუკიდებელ ერთეულს და ის დაჟინებით თავს გვახვევდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ამ იდეას. თურქეთის მთავრობა წინადადებას აძლევდა ამიერ-კავკასიის მთავრობას, რათა მას გაეგზავნა თავისი დელეგატები ბრესტ-ლიტოვსკში საზავო კონფერენციაზე დამოუკიდებელი მოლაპარაკების წარმოებისათვის.

ამიერ-კავკასიის მთავრობამ ამის შესრულება მოინდომა, სხვა და სხვა მიზეზებით შესაძლოდ არ სცნო. თურქეთის მთავრობამ არც ერთხელ მიმართა ამიერ-კავკასიის მთავრობას, სადაც ხაზს უსვამდა მის დამოუკიდებლობას. ამაზედ ჩვენ გარკვეულ პასუხს არ ვაძლევდით. ჩვენ აგრედვე გარკვეული პასუხი არ მივეცით სეიმის წინა სხდომაზედაც, როდესაც ეს კითხვა გარკვეულად და კატეგორიულად იყო დასმული ჩვენს წინაშე. ამიტომ, როდესაც ახლა თურქეთის მთავრობა ჩვენ გვიცქერის როგორც ნაწილს რუსეთის რესპუბლიკისა და მოგვმართავს ჩვენ როგორც ნაწილს რუსეთის რესპუბლიკისა, ამაში არ შეიძლება არ დავინახოთ გარკვეული ლოღიკური თანმიმდევრობა" (დოკ.53).

რასაკვირველია ამ სიტყვაშიც იყო გარკვეული ლოღიკა. მაგრამ ისიც ლოღიკურია რომ თურქები კარგად იცნობდნენ ამიერ-კავკასიის ფაქტიურ მდგომარეობას და როდესაც ამიერ-კავკასიის მთავრობას ზავის წინადადება მისცეს, მას შემდეგ არაფერი შეცვლილა. ბრესტ-ლიტოვსკის ზავამდე თურქებს არავითარი ტერიტორიული პრეტენზია არ უჩვენებიათ. მათი მოქმედებიდან უფრო ის იყო ნაგულისხმევი რომ მათ სურდათ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა და მათთან კეთილ-მეზობლური ურთიერთობის დამყარება. ჯერ კიდევ ომის დროს მათ ეს იდეა მიღებული ჰქონდათ, გერმანია-ავსტრიასთან ერთად, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტთან ხელშეკრულებით.

ქოის ხნის საყვედური ამიერ-კავკასიის მთავრობისადმი სამართლიანი იყო, მაგრამ ეს მაინც არ ამართლებს თურქეთის პოლიტიკას, რომელმაც ამიერ-კავკასიის გამოუცდელობით ისარგებლა და მოინდომა მისი სასიცოცხლო ბაზის მოშლა. მხოლოდ ამას ნიშნავდა ბრესტ-ლიტოვსკის მოპოება და მისი განაღდება.

როდესაც ვეხიბ ფაშამ ამიერ-კავკასიას ულტიმატუმი წარუდგინა, თურქეთის დელეგაცია სწორედ იმ დღეს გამოვიდა სტამბოლიდან. თურქეთს მანამდე ჰქონდა გადაწყვეტილი ამიერ-კავკასიის დელეგაციასთან შეხვედრა, იმ ფაქტიურ მდგომარეობაში რაც მანამდე სუფევდა და თუ აზრი შეიცვალეს, მაშინ კონფერენციაზე უარი უნდა ეთქვათ და ეს იქნებოდა უფრო ლოგიკური. ჯერ კი უნდა მოეთხოვათ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადება, რაც მოხდა მოგვიანებით. მაშასადამე კონფერენციაზე ეს მოცხადებაც იყო ერთგვარი პოლიტიკური მანევრი. რადგან მაშინ საომარი მდგომარეობა ისეთი იყო რომ ბრესტ-ლიტოვსკის განაღდების იმედი მათ არ უნდა ჰქონოდათ, ამიტომ მათ ძალა და დიპლომატია ერთად აამოქ-

მედეს. ამ დროს თურქეთის მთავრობა ალბად გრძნობდა ომის მომავალ შედეგებს და მათი მოქმედება არც თუ ბრძნული იყო და ისიც ცხადია რომ მათ მიერ შემოთავაზებულმა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის შესახებ იდეამ გულწრფელობა დაკარგა...

4. <u>ტრაპიზონის კონფერენცია.</u> ამიერ-კავკასიის დელეგაცია ჯერ კიდევ გემზე იყო, როდესაც თურქეთის დელეგაცია ჩამოვიდა სტამბოლიდან. პირველი შეხვედრა მოხდა იმავე გემზე. ერთი-ერთ შეხვედრისა და პროტოკოლის შესრულების შემდეგ, ჩხენკელი შეეკითხა თურქეთის დელეგაციის თავმჯდომარეს, რაუფ ბეის, რომ: ჩვენმა მთავრობამ მიიღო ტელეგრამა ვეხიბ ფაშისაგან, ბრესტ-ლიტოვსკით დათმობილი ადგილების დაცლის შესახებ. გთხოვთ გვიპასუხოთ, ვეხიბ ფაშის მოთხოვნა ხომ არ ნიშნავს სურვილს ჩვენი მოლაპარაკების შეწყვეტისა. რაუფ-ბეიმ უპასუხა, რომ ის ამ ამბავს არ იცნობს, ამიტომ სანამ პასუხს მოგცემდეთ, ამაზედ უნდა მოვიფიქროთ, ოღონდ ეს კითხვა მოითხოვა წერილობით ფრანგულ ენაზე.

თურქეთის დელეგაციის თავმჯდომარე მხოლოდ ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეეკითხა თუ რა მმართველობის სისტემა გაქვთ და თქვენი დელეგაცია ვის ემორჩილება, მთავრობას თუ სეიმსო. ჩხენკელმა უპასუხა: ორივესო.(დოკ.55).

მაშინ რაუფ ბეიმ სთხოვა ქალაქში გადმოსულიყვნენ. ჩხენკელი გაჭირვეულდა. პასუხი ახლავე მოგვეცით, რადგან თუ მოლაპარაკება შეუძლებელი აღმოჩნდა, უკანვე წავალთო. ბოლოს თურქებმა ის დაიყოლიეს და ქალაქში გადმოვიდნენ.

14 მარტს შესდგა პირველი კრება. დასაწყისშივე თურქეთის დელეგაციამ ამიერ-კავკასიის დელეგაციას დაუყენა შემდეგი საკითხი:

"ოსმანის საიმპერიო მთავრობის დელეგაციას აქვს პატივი განაცხადოს, რომ მისი მთავრობის გულწრფელი განზრახვაა დაამყაროს კეთილმეზობლური ურთიერთობა იმ რესპუბლიკასთან, რომელიც ჩამოყალიბების პროცესშია ამიერ-კავკასიაში. ოსმანის დელეგაცია სთხოვს ამიერ-კავკასიის დელეგაციას განაცხადოს ნამდვილი არსი, ფორმა და ადმინისტრაციული ორგანიზაცია აღნიშნული რესპუბლიკისა და ეკითხება: შეასრულა თუ არა უკანასკნელი პირობები, რისაც მოითხოვს საერთაშორისო უფლება, სახელმწიფოს შესაქმნელად" (დოკ.56).

თურქებმა ძალიან კარგად იცოდნენ რომ ეს პირობა ამიერ-კავკასიას შესრულებული არ ჰქონდა. ამიტომ ამაზე დადებით პასუხს ვერ მიიღებდა.

ამიერ-კავკასიის დელეგაციამ უპასუხა, რომ ბოლშევიკური განცხადების შემდეგ, ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე შეიქმნა დამოუკიდებელი მთავრობა:

"ამიტომ ამიერ-კავკასია დე ფაქტო (ფაქტიურად) უკვე თავისთავად წარმოადგენს სახელმწიფოს, თუმცა მას ჯერ დეკლარაცია არ გაუკეთებია და არ უცნობებია სახელმწიფოთათვის თავისი დამოუკიდებლობა" (დოკ.57).

ამიერ-კავკასიის დელეგაცია გრძნობს ამ პასუხის სისუსტეს და ცდილობს მის გამაგრებას ზოგი აქტების დასახელებით, რომელსაც ჰქონდა საერთაშორისო უფლებრივი ხასიათი. მაგ: ოსმალეთის წინადადება ზავზე, მისი პროტესტი ბრესტ-ლიტოვსკის ზავის შესახებ და ბოლოს "დღევანდელი საზავო კონფერენცია ტრაპიზონში აგრეთვე არის აქტი საერთაშორისო უფლებრივი ცხოვრებისა".

თურქებმა ეს დეკლარაცია არ ჩასთვალეს დამაკმაყოფილებლად. მათ უარჰყვეს ამიერ-კავკასიის პროტესტის მნიშვნელობა ბრესტ-ლიტოვსკის ზავზე, რადგან "ამიერ-კავკასიის მთავრობა ჯერ ჩამოყალიბებული არ იყო ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკების დროს და აქამდე არც არაფერი გაუკეთა მისი ცნობისათვის". თქვენი პასუხებით და ბრესტ-ლიტოვსკში

ელექტრონული ბიბლიოთეკა

დაუსჯელობით დაადასტურეთ, რომ თქვენ არ იყავ-ით დამოუკიდებელი ქვეყანა, რომ თქვენ სთვლიდით თავს ნაწილად რუსეთის რესპუბლიკისა და სხ.

კიდევ ერთხელ, თუმცა თურქების მითითებანი სიმ-ართლეს შეიცავდა, მაინც ამიერ-კავკასიის შეცდო-მების გამოყენება "კეთილმეზობლურ დამოკიდებულე-ბას" არ ამართლებდა. ამიტომ მთელი ეს კამათი და ურთი-ერთ მტკიცება უფლებათა შესახებ უშედეგოდ გათავდა.

ამიერ-კავკასიის დელეგაციის მიერ წარდგენილ ოთხ მუხლზედაც თურქებმა პროტესტი განაცხადეს, გან-საკუთრებით მის მეოთხე მუხლზე (ალ. ანატოლიის თვითგამორკვევა), ეს ხომ ოსმალეთის შინაურ საქმე-ებში ჩარევას ნიშნავსო! მაშინ თურქეთის დელეგა-ციამ განაცხადა, რომ ამიერ-კავკასიის რესპუბლი-კის ცნობა მოხდება მაშინ, როდესაც ის უკან წაი-ღებს ბათუმის, ყარსისა და არდაგანის პრეტენზიას.

ამით შეწყდა მოლაპარაკება, სანამ ორივე მხა-რე თავიანთი მთავრობებიდან ახალ ინსტრუქციებს მიიღებდა. ამასობაში ანატოლიაში სამხედრო მოქმე-დება ვითარდებოდა ყარს-არდაგანის წინააღმდეგ.

22 მარტს ა.გ. დელეგაციის ერთი ნაწილი მი-დის თბილისში და საქმის ვითარებას სეიმს მოახ-სენებს. 23 მარტს შესდგა სეიმის სხდომა. სადაც მოისმენილ იქმნა დელეგაციის მოხსენებები. სეიმმა დელეგაციის თავმჯდომარე აკაკი ჩხენკელი აღჭურვა განსაკუთრებული უფლებებით.

მდგომარეობა რთული იყო. სეიმს უნდა გადაეწყ-ვიტა, თუ რის დათმობა შეეძლო მას. მაგრამ ახლო მომავალში გამოირკვევა რომ სეიმში თავის მტვრე-ვას ფუჭად უნდა ჩაევლო, რადგან თურქებს უნდოდათ ყველაფრის მიღება. დელეგაციამ სწორად შეაფასა მდგომარეობა და ეს სწორად გადასცა სეიმს

ვინც ამ კონფერენციის აქტებს გადაათვალიერ-ებს, დარწმუნდება, რომ თურქები ა.კავკასიას უცქეროდნენ როგორც ობოლ ბავშს, რომლის ბედის თა-მაში მათ ხელში იყო. მათ ისინი ისე მიიღეს რო-გორც სტუმრები და არა როგორც დელეგაცია, როგორც ამას დელეგაციის ბევრი კანაზნური აღნიშნავდა.

ცხადია, მათ ბრესტ-ლიტოვსკის შემდეგ აღარ აინ-ტერესებდათ ზავზე ლაპარაკი. თუ კი ყარსს, არტაანს

ელექტრონული ბიბლიოთეკა

და ბათუმს ხელში ჩაიგდებდნენ, უკვე ამით ნახევრად თავიანთ კონტროლს ავრცელებდნენ ა.კავკასიაზე. იგივე კაჩაზნუნი თავის სიტყვაში ხაზს უსვამს ერთ საინტერესო გარემოებას. მისი აზრით თურქებს თუმცა სურთ ა.კ. დამოუკიდებლობა, მაგრამ არა სწამთ რომ ა.კ. შესძლებს ანტირუსული ორიენტაციით რუსეთის გამკლავებას, ამიტომ უნდათ ყარსი და ბათუმი მათ ხელში იყოს თავდაცვისათვის. (დოკ.69).სეიმში დიდი კამათი გაიმართა შექმნილ მდგომარეობაზე. სეიმის თავმჯდომარემ,ნ.ჩხეიძემ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ სჩანს თურქების სურვილია ჩვენი დამოუკიდებლობის გამოცხადება ბრესტ-ლიტოვსკის საზღვრებში და მერე მოლაპარაკების გაგრძელება.

ამის შესახებ აქ მრავალი აზრი იყო მოსმენილი. სომხების წარმომადგენელმა გარჩიკიანმა განაცხადა, რომ ა.კ. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემთხვევაში ჩვენ იძულებული ვართ ვუჩვენოთ საზღვრები. თუ ჩვენ ვუჩვენებთ ძველ საზღვრებს, მაშინ ეს ნიშნავს თურქეთთან პირდაპირ კონფლიქტში შესვლას. თუ

მივიღებთ ბრესტ-ლიტოვსკის საზღვრებს, მაშინ ფაქ-ტიურად დამოუკიდებლობა აღარ იქნება. ამიტომ და-მოუკიდებლობის გამოცხადების საკითხი უნდა გადაწ-ყდეს მოლაპარაკების პროცესში.

მუსულმანებითან კანტემირმა განაცხადა: რად-გან ჩვენ თავის დაცვა არ შეგვიძლია, უნდა დავთან-ხმდეთ ბრესტ-ლიტოვსკის ზავზე, ხოლო დამოუკიდებ-ლობა გამოვაცხადოთ მაშინ, როდესაც ამას გვიჩვე-ნებენ შინაური პირობები.

ქართველებიდან გ. ლასხიშვილი აღნიშნავს, რომ ჩვენ დამოუკიდებლობის საკითხში დავიგვიანეთ. ის წარსული წლის ოქტომბერში უნდა გამოგვეცხადე-ბინა. ახლა უნდა დავაყოვნოთ და ის დავსვათ არა თურქების არამედ გერმანელების წინაშე. მეორე ქართველი, ი.ლორთქიფანიძე (სოც.დემ.) იმ აზრის არის რომ დამოუკიდებლობის გამოცხადება ნაადრევია,

"ყოველ შემთხვევაში, თუ თურქებისათვის ჩვენი და-მოუკიდებლობა აუცილებელია და სასურველი, ჩვენ შეგვიძლია გარანტია მივსცეთ დამოუკიდებლობის გა-მოცხადებისა, ჩვენთვის მისაღებ საზავო ხელშეკ-რულების რატიფიკაციის დროს" (დოკ.68)

აზერბეიჯანის წარმომადგენელმა მეჰტიევმა კი

პირდაპირ განაცხადა, რომ თუ დამოუკიდებლობა იქნება გ მოცხადებული ჩვენ მხარს აღარ დაგიჭერთ მოლაპარაკებაში.

გამოთი იმით გათავდა მხოლოდ, რომ დელეგაციის თავმჯდომარეს მიეცა საგანგებო უფლებები, საჭიროების დროს ემოქმედა სეიმის დამოუკიდებლად. ქართულად ასეთ შემთხვევაზე თქმულა: წადი და თავში ქვა იხალეთ.

ქართველი სოციალისტების პოზიცია გაკვირვებული იყო. მდგომარეობას მივყავდით იქით რომ ყველაფერი სრული დათმობით უნდა გათავებულიყო. რაც საქმე გაჭიანურდებოდა, მეტს წავაგებდით (წავაგეთ კიდეც!). მოულოდნელად ამისა 25 მარტის სხდომაზე ნ.რამიშვილი ბოლომდე გაიძახოდა, რომ ჩვენი დელეგაცია მაგრად უნდა იყოს და არაფერი დაუთმოსო. თუმცა სეიმმა მაინც გადასწყვიტა ნაწილობრივი დათმობა. თურქებისათვის უნდა დაეთმოთ: ოლთის ოლქი, არდაგანის სამხრეთი ნაწილი, სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი ყარსისა და ალზევნის დასავლეთი ნაწილი. ეს კი მოხდა 5-6 აპრილის სხდომაზე...

თურქეთის დელეგაცია ამით არ დაკმაყოფილდა და

6 აპრილს რაუფ ბეი, ოსმანის იმპერიის სახელით, ა.გ. დელეგაციას უდგენს ულტიმატუმს, რომ თურქების მთავრობა რჩება 21 მარტის დეკლარაციის ნიადაგზე და სთხოვს ა.გ. დელეგაციას 48 საათის განმავლობაში გასცეს პასუხი.

და თუ აქამდე ყოყმანობდნენ კამათში, თურქეთის ასეთმა მოკლე ულტიმატუმმა ჩვენი დელეგაცია სულ დააფორიაქა. რადგან ამგვარი ფორმით მიმართვის ეს პირველი შემთხვევა იყო! 7 აპრილს ჩხენკელმა ამცნო ბათუმის კომენდანტს გენ. მდივანს ეს მდგომარეობა და სთხოვა პისდაპირი გზით გადასცეს ის მთავრობის თავმჯდომარეს. ჩხენკელი აცნობს მთავრობას აღნიშნულ ულტიმატუმს და დასძენს რომ დელეგაციაში ერთსულოვნება არ არსებობსო. ამავე დროს თურქების ჯარი მიიწევს აღნიშნული ადგილების დასაკავებლად. ეს გამოირკვა რაუფ ბეის საუბრის დროს და ჩემის აზრით, ამცნობს ჩხენკელი, რაშიც ვემუარები დელეგაციის თათბირს, უნდა მოხდეს შემდეგი: 1; პირველ რიგში სეიმმა უნდა გამოარკვიოს, შესძლებს თუ არა იარაღით დაიცვას

ყარსი არტაანი და ბათუმი. 2. თუ არა, ჩვენ იძუ-
ლებული ვართ შემდეგი მაქსიმუმი დავუთმოთ: მთელი
ყარსის ოლქი ქ. ყარსით, ჩრდილო ნაწილი არტაანის
ოლქისა და ართვინის მხარე, ართვინის ჩათვლით. მე
დარწმუნებული ვარ თურქები არც ბათუმს დაგვითმო-
ბენ, მაგრამ ვივაჭროთ, რადგან ბათუმზე ისინიც
ვაჭრობენ. ველი პასუხს ხვალისთვის, 8 აპრილისთ-
ვის, თუ ამ დროს პასუხი არ მექნა, ჩავთვლი რომ
ეს წინადადება მიღებულია სეიმის მიერ. ხელს
აწერს: ჩხენკელი.

მეორე დღეს ჩხენკელი მთავრობისაგან იღებს ორ
ტელეგრამას (დოკ.74,75). პირველის მიხედვით ჩხენ-
კელმა უნდა სთხოვოს თურქებს ჯარების შეჩერება.
მეორე ტელეგრამით გეგეჭკორი ამცნობს რომ დელეგა-
ციის წინადადება მიღებულია.

მაგრამ, იმავე 8 აპრილს, პირველი პასუხის
მიღებამდე ჩხენკელი ახალი ტელეგრამით მიმართავს
მთავრობას და უხსნის აუცილებლობას ბრესტ-ლიტოვს-
კით გათვალისწინებული ადგილების დათმობისა. იგი
ამცნობს რომ ჩვენი მდგომარეობა ფრონტზე კიდევ
გაუარესდა. არტაანი აღებულია და ყარსის ბედიც
მალე გადაწყდება, ხოლო ბათუმთან 8 კილომეტრის

მანძილზე იმყოფებიან თურქები. ჩვენი ტაქტიკა, რომ არ ავჩქარებულიყავით, არ გამართლდა. ამიტომ ახლავე უნდა გადავწყვიტოთ, იმ შემთხვევაში თუ თურქები არ დაკმაყოფილდებიან ჩვენი მაქსიმუმი დათმობით, უნდა დავუთმოთ მთლად. ხოლო შექმნილი მდგომარეობის გამო ა.გ. უნდა გამოაცხადოს დამოუკიდებლობა, რასაც ის არ აკეთებს, მოუხედავად ჩემი დაჟინებისა;(დოკ.76).

ჩხენკელმა სწორედ ამის შემდეგ მიიღო ტელეგრამა მაქსიმუმი დათმობის შესახებ და როდესაც ის თურქებს გააცნო, უკანასკნელნი არ დაკმაყოფილდნენ და შეტევები გააძლიერეს. ასეთ ყოფაში, როდესაც ჩხენკელი 48 საათიანი ულტიმატუმით ხელში საათის ისრებს უცქეროდა და სეიმს ემუდარებოდა უველაფერი დაეთმოთ, სეიმში კვლავ გრძელი სიტყვები და მუქარები გაისმოდა და არავის უნდოდა აუცილებლობის წინაშე ქედის მოხრა...

აი ზოგი რამ სეიმის სტენოგრაფიული ანგარიშებიდან. როდესაც თურქები არ დაკმაყოფილდნენ სეიმის დათმობებით, სეიმში პირველი გაისმა ქართველი დემოსთენის, ირ.წერეთლის ხმა. მან განაცხადა:

"ჩვენ დავუთმეთ უველა გარდა ბათუმისა, მაგ-

რამ ოსმალეთს ზავი არ სურს. მისი მიზანია მოს-
პოს კავკასიის დემოკრატია. ჩვენ ამოვწურეთ ყვე-
ლა საშუალებები, მაგრამ ჩვენ ბრესტ-ლიტოვსკის
ზავის პირობებზე წასვლა არ შეგვიძლია. ხალხი მას
არ მიიღებს, რადგან მისი პირობები დემოკრატიას
მოუვლენენ ცარცვა-გლეჯას. სჯობს ომში სიკვდილი
ვიდრე მიღება მომაკვდინებელი ლახვრისა. დღეს დად-
გა საათი, როდესაც ყველაზე ენერგიულად უნდა დავი-
ცვათ ჩვენი ქვეყანა, როდესაც ყველა შინაგანი უთან-
ხმოებანი უნდა ამოთხვრილ იქმნან მტერთან პი-
რისპირ ყოფნის დროს, როდესაც სურთ მთელი კავკას-
იის დაქცევა"!

ასეთი იყო აზრი სოციალისტებისა სეიმში. მას
შეუერთდნენ სომხებიც. ახლა მოვისმინოთ აზერბეი-
ჯანის წარმომადგენლის რუსტამბეკოვის სიტყვა:

"ამ საკითხში მუსულმანური დემოკრატიის მდგო-
მარეობა განსაკუთრებულია. ჯერ ერთი აქამდე მას
სამხედრო ბეგარის მოხდაში მონაწილეობა არ მიუ-
ღია და მეორე ის თურქებთან სარწმუნოებრივად არ-
ის დაკავშირებული, რომელიც მას ნებას არ მისც-
ემს მიიღოს მონაწილეობა ოსმალეთის წინააღმდეგ
სამხედრო მოქმედების დროს" და ბოლოს მაინც ასეთი
ასეთი ბუნდოვანი განცხადებით გაათავა: "თუმცა
მუსავატების ფრაქციის მდგომარეობა ამ საკითხში
გაძნელებულია, მაგრამ ფრაქცია პირობას იძლევა,
ყოველი ღონისძიებით მხარი დაუჭიროს კავკასიის
დემოკრატიის საქმეს"(სეიმის ანგარიშები,დოკ.82).

ამნაირად, ცხადი იყო რომ ომის წარმოება შე-
უძლებელი იყო, თუმცა ფორმალურად სეიმმა ის მიიღო.
შეუძლებელი იყო რადგან სამიდან ერთი წევრი ახდი-
ლად განზე დგებოდა და მითვე ა.გ. მთლიანობას რე-
ალური საფუძველი აღარ ჰქონდა.

ასე თუ ისე სეიმმა დაადგინა ოსმალეთს გამოუთმოს ყველაფერი და 13 აპრ. მოსახლეობას მიმართა მოწოდებით ომისაკენ. ხოლო 14-ს ტრაპიზონიდან დელეგაციას უკან იწვევს და ა.კ. აცხადებს ომის მდგომარეობაში.

აქ კი მოხდა კურიოზი: სეიმში რომ ომის გამოცხადებას სწყვეტდნენ და კიდეც გადასწყვიტეს, ამ დროს ტრაპიზონში ყველაფერი გათავებული იყო, თვით ომიც, ომის დაწყებამდე! როდესაც თურქებმა ულტიმატუმზე პასუხი დროზე ვერ მიიღეს და ვერც ჩხენკელმა თავის მეორე ტელეგრამაზე, მაშინ მან გადასწყვიტა ემოქმედა დამოუკიდებლად, რაკი მას საამისო უფლებები მიცემული ჰქონდა. ამნაირად, 13 აპრილს რომ სეიმში ომს უცხადებდნენ, 10 აპრილს ჩხენკელს უკვე დათმობილი ჰქონდა ის რაზედაც ომი ხდებოდა!

10 აპრილს ა.კ. დელეგაციამ თურქეთის დელეგაციას გადასცა შემდეგი განცხადება: "ამიერ-კავკასიის საზავო დელეგაცია, პასუხად ოსმალეთის დელეგაციის თავმჯდომარის წერილზე 6 აპრ. 1918 წ... აქვს პატივი განაცხადოს, რომ ის იღებს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებას და მზად არის განაგრძოს შემდეგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოლაპარაკება ამაზე ემყარებით "(დოკ.77).

ა.გ. სომხური სექციის სახელით, ხატისოვი და ქაჩაზნუნიც ყველაფრით ამცნობენ გეგეჭკორსა და კარჩიკიანს რომ "შექმნილ პირობებში ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების მიღებას ვსთვლით ყველაზედ ნაკლებ ბოროტებად"(დოკ.78).

ხოლო ჩხენკელი დიდ იმედს გამოსთქვამს, რომ ამის შემდეგ მოლაპარაკება დადებითად გათავდება. 13 აპრილს ოსმანის დელეგაციის თავმჯდომარემ კი ა.გ. დელეგაციის თავმჯდომარეს განუცხადა, რომ ოსმანის მთავრობა ღებს მხედველობაში თქვენი მთავრობის მიერ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ცნობას, ხოლო შემდეგი მოლაპარაკების გაგრძელებისათვის, იმისთვის რომ ჩვენი მოკავშირენიც იყვნენ მოზიდულნი ამ მოლაპარაკებაში, "უწინარეს ყოვლისა აუცილებელია, რომ ამიერ-კავკასიამ გამოაცხადოს თავისი დამოუკიდებლობა"(დოკ.81).

კონფერენცია ამით შეწყდა. 14 აპრილს თურქები იკავებენ ბათუმს. და სწორედ ამ დროს მოუსწრო სეიმის ტელეგრამამ ა.გ. დელეგაციის უკან გაწვევის შესახებ. სწორედ რომ დროზე მოუსწრო, რადგან

თურქებმა ისინი შინა დღით დაითხოვეს! რა საკვირველია, თბილისში კიდევ არ იცოდნენ რა ხდებოდა ტრაპიზონში, თორემ გაშვევა აღარ დასჭირდებოდათ§!..

5. ამიერ- კავკასიის დამოუკიდებლობა. 13 აპრილს რომ სეიმმა ხალხს ბრძოლისკენ მოუწოდა, ხოლო ჩხენკელმა სამი დღით ადრე დაუთმო თურქებს ყველაფერი და ტრაპიზონის კონფერენციაც შეწყდა, თბილისში ამ დროს კიდევ სხვა კომედია გათამაშდა.

14 აპრილს ამ.კ. სეიმის სოც. დემოკრატიულმა ფრაქციამ მიმართა მოწოდებით რუსეთის დემოკრატიის დახმარებისათვის. ან სად იყო მაშინ რუსეთის დემოკრატია, ან ვისი მისამართით იყო გაგზავნილი ეს მიმართვა, ისტორია ამაზე სდუმს! ისინი მოუწოდებდნენ ძველ ამხანაგებს, რომ დავეხმაროთ ერთად დავიცვათ "ჩვენი წითელი დროშა რუსეთის დიდი რევოლუციისა და თავისუფლებისაო" (დოკ.86).

ხოლო ეს წითელი დროშა ამ დროს ბოლშევიკებს ეჭირათ და მათივე თანხმობით დაეთმოთ თურქებს ჩვენი მიწები.

და კიდევ სხვა ანეკდოტური ამბები ხდებოდა მაშინ. ამაზედ თქმული ქართული ანდაზა:"თათარ კაცს თავსა სჭრიდნენ და ბოლი მშვიდობით ეუბნებოდაო".

ირ. წერეთლის რუსი "დემოკრატ ამხანაგების" რა მოგახსენოთ და ქეყობა შექმნილმა მდგომარეობამ "წითელი დროშის" მჯერავებზედაც იმოქმედა და ჯერ რომ მათ ბრესტ-ლიტოვსკით ბათუმი თურქებს დაუთმეს, ახლა, 13 აპრილს, როდესაც თურქები ბათუმს უახლოვდებოდნენ, საბჭოთა ხელისუფლებამ ამაზე პროტესტი განაცხადა. პროტესტს ხელს აწერენ საგარეო საქმეთა კომისარი ჩიჩერინი და მოადგილე კარახანი: (დოკ.92). გვიან კი მოირკვა ამ იცნაურობის აზრიც. ბათუმი რუსებს თავიანთვის უნდოდათ, როდესაც საქართველოს გაანთავისუფლებდნენ "იმპერიალისტების ბატონობისაგან"! მაგრამ ამზე შემდეგ...

15 აპრილს სეიმბოლის სამხედრო უწყებამ ამცნო ქვეყანას ბათუმის აღება თურქების მიერ (დოკ.95).

17 აპრილს კავკასიის არმიის შტაბი იტყობინება რომ გენ. გედევანიშვილი თავისი შტაბით და პირველი ქართული დივიზიის უფროსი გენ.ართმელაძე აგრედვე შტაბით ტყვედ ჩაუვარდათ თურქებს. თურქები სამხედრო მდგომარეობას აგრძელებენ და 22 აპრილს ვეხიბ ფაშა უპასუხებს ჩხენკელს, რომ სამხედრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქმედება გამოწვეული ა.კ. დელეგაციის გაწვევით და მას ვერ შეაჩერებს, სანამ თქვენ არ შეცვლით თქვენს მდგომარეობას. ეს მდგომარეობა კი ის იყო რომ ა.კ. დამოუკიდებლობას არ აცხადებდა და ამავე დროს სეიმმა გადასწყვიტა ომი. ამნაირად თურქები ხიშტებით მოისწრაფოდნენ რომ ა.კ. დამოუკიდებლობა გამოეცხადებინა! ეს ამბავი ყველას პარადოქსად მოეჩვენება, მაგრამ ფაქტები ამას ღაღადებენ!

ასეთი იყო მდგომარეობა ა.კ. დამოუკიდებლობის გამოცხადების წინ და ამ პირობებში შეიკრიბა 22 აპრილს სეიმის კრება.1)

---

1) შენიშვნა: ომის დროს რუსეთისა და მოკავშირეების გადაწყვეტილება იყო, ასეთი: რომლის ძალით რუსეთს ეძლეოდა უფლება მოეხდინა ტრაპიზონის მიდამოების ანექსია, ასევე აზრუმის ვანის და ბითლისის. საზღვრად იდებოდა ტრაპიზონის ცოტა იქით.
ამიტომ ბრესტ-ლიტოვსკის ზავის დასაწყისში თურქები კმაყოფილდებოდნენ 1914 წლის საზღვრებით. სჩანს, ა.კ. დელეგაცია რომ გამოცხადებულიყო აღნიშნულ კონფერენციაზე, თვით თურქებიც არ მოითხოვდნენ ზემოხსენებულ ადგილებს.

(Prof.Dr Gotert Y.chke. "Histoires des frontieres Turco-Russes au Caucase."Extrait de la revue Egiptienne du droit intern. 19540)

სეიმის კრებაზე უმთავრეს საკითხად დასმული იყო ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადება.

თათბირზე პირველ მომხსენებლად გამოვიდა დ. ონიაშვილი(სოც.დემ.). მან თავშივე განაცხადა დამოუკიდებლობის გამოცხადების აუცილებლობა და ისევ ძველი შაბლონით დაასაბუთა:

"უნდა ითქვას რომ ა.კ. დამოუკიდებლობის გამოცხადება ნაკარნახებია არა მომენტის პირობებით, არა სხვა და სხვა პოლიტიკური ჯგუფთა სუბიექტური შეხედულებათა პირობებით, ეს არ არის ჩვენი რწმენის ან არ რწმენის საგანი, ეს არისაქტი პოლიტიკური აუცილებლობისა". ამ გულუბრყვილო და ქართულად გადაუთარგმნელი სიტყვების ავტორმა ისიც კი სთქვა, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადება დიდი ტრაგედიაა:

"ამიერ-კავკასიის ხალხთა წინაშე დგას ასეთი ტრაგედია: ან გამოცხადება თავისა რუსეთის ნაწილად... და გაზიარება რუსეთის ანარქიისა... ან გამოცხადება თავისი დამოუკიდებლობისა და საკუთარი ძალებით დაცვა ფიზიკური არსებობის მთელი მხარისა" (დოკ.99, აქვე ყველა ქვემოდ მოყვანილი სიტყვები).

შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა აზერბეიჯანის წარმომადგენელმა რასულ ზადემ და მანაც დაახლოებით იგივე აზრები გაიმეორა სხვა ფორმით: "ეს დამოუკიდებლობა იქცა აუცილებლად" და ისიც დასძინა რომ ჩვენ ის უნდა გამოვაცხადოთ არა შიშის გამო, არამედ სინდისით!

დამოუკიდებლობის გამოცხადების ჭმო რ.არსენიძემ (სოც.დემ.) დაუმატა: "ეს ნაბიჯი არ ნიშნავს განხეთქვას, სულით, კულტურით ჩვენ მასთან ვართ (რუსეთის დემოკრატიასთან) და მასთანვე უნდა ვაწარმოვოთ ბრძოლა დემოკრატიის ბრწყინვალე იდეალებისათვის. და თუ ახლა იძულებული ვართ გამოვაცხადოთ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა და ჩვენი მოქმედების სფერო განვსაზღვროთ ამ ფარგლებში, ჩვენ მაინც, ახლაც გვასულდგმულებს ის დიდი იდეები, რომელიც გვაერთიანებდა ამ იდეალებისათვის ბრძოლაში, რომელსაც ჩვენ ვიმეორებდით რუსეთის მთლიანი დემოკრატიის რიგებში. და რომ რუსეთის დემოკრატია არ იყოს ასე დაცემული და დაქსაქსული არა ჩვენი ძალით და ჩვენი ნებით, შესაძლებელია ასეთი მძიმე საპასუხისმგებლო მომენტში ასეთი ოპერაცია ჩვენ არ გაგვეკეთებინა" (დოკ.99).

აზერბეიჯანელი მსავატების და ქართველი სოციალისტების აზრს შეუერთდნენ სომხის დაშნაკებიც, რომელთა წარმომადგენელმა კაჩაზნუნიმ განაცხადა: "დაშნაკელების პარტიამ შეიგნო რა სრულიად გარკვეულად ის დიდი პასუხისმგებლობა, რომელსაც ის იღებს თავის თავზე ამ ისტორიულ მომენტში, უერთდება ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადებას".

ყველა ესენი კი იყვნენ მბრძანებელნი ა.კ.: სეიმისაც და მთელი ქვეყნისაც. ცხადია, სეიმში მყოფი მემარჯვენე ელემენტები სამივე ქვეყნისა ხომ უფრო დადებითად შეხვდებოდნენ ამ აქტს!

არა ნაკლებ საყურადღებო იყო ოპოზიცია ესერების სახით. თუმცა ამ პარტიის ძალა და გავლენა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო სუსტი. მაინც მათ სიტყვებში გამოთქმულია მთელი რიგი შეცდომებისა და სიმართლისაც, ამიტომ მათი წარმომადგენლის თუმანოვის სიტყვაც მოვისმინოთ:

"მაქვს პატივი ვილაპარაკო აქ ესერების ფრაქციის იმ ნაწილის სახელით, რომელიც სასტიკად წინააღმდეგია ამ მომენტში ა.კ. დამოუკიდებლობის გამოცხადების. დღეს უცნაურად ნუ მოგეჩვენებათ ასეთი განცხადება, ცოც. რევ. პარტიის წარმომადგენლის პირიდან, იმ პარტიის, რომლის დროშაზე მუდამ ეწერა წმინდა სიტყვები ხალხთა თვითგამორკვევის შესახებ, თავისუფლებაზე, სრული დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე საკუთარი სახელმწიფოს ფარგლებში. ამას ვაკეთებ არა პრინციპიალური მოსაზრებით, არამედ მიზანშეწონილობის მოსაზრებით".

ის არ იზიარებს იმ აზრს, თითქოს ეს აქტი ეო-ფილიურ ხალხის სურვილების შედეგი და უსაყვედურებს, რომ თუ ეს ასეა, მაშინ მთელ წელიწადზე მეტია რატომ არ გამოაცხადეთ დამოუკიდებლობა! მაშასადამე დამოუკიდებლობას იღებთ თურქეთის იმპერიალისტების მუქარით და არც ხალხს ეკითხებით რამეს. რატომ არ მოახდენთ რეფერენდუმს?

"დარწმუნებული ხართ, რომ ამ საკითხის თავისუფალი ხმის მიცემით გადაჭრის დროს ხალხი არ იტყვის: არ მინდა ეს დამოუკიდებლობა თურქეთის სულთანის ჯოხის ქვეშ... ყველასათვის ცხადია, შევაბრუნებ რასულ ზადეს სიტყვას, რომ ა.კ. დამოუკიდებლობაზე ლაპარაკია არა სინდისის მიხედვით, არამედ შიშისა".

ეროვნული

მოკლედ, მისი აზრით ასეთ პირობებში დამოუკიდე-ბლობის გამოცხადება ნიშნავს ოსმალეთის უმალ გახ-დომასო. შთაბეჭდილება რჩება: სოციალისტები წინა-აღმდეგი იყვნენ პრინციპიალურად და ამას აკეთებდ-ნენ აუცილებლობით, ხოლო ესერები მომხრე იყვნენ პრინციპიალურად და წინააღმდეგი არსებულ პირობებში.

რასაკვირველია, უმანოვი მართალი იყო პარტ-იების მოქმედებათა შეფასებაში, და არა მართალი ხალხის სულისკვეთების გაგებაში.

თუ გაბატონებული წრეები აქამდე ჩქმალავდნენ ერების სურვილებსა და მისწრაფებებს, არა იმიტომ რომ ეს არ ესმოდათ, არამედ იმიტომ რომ ისინი მოქმედობდნენ იდეოლოგიური თვალთახედვით, რომელ-საც არაფერი ჰქონდა საერთო ეროვნულ ინტერესებ-თან და დამოუკიდებლობამდე რწმენით არ მისულან. ეს ნათლად გამოიხატა დ.ონიაშვილისა და რ.არსენი-ძის სიტყვებში.

რევოლიუციამდე ისტორია ნათლად ღაღადებს, თუ რა იყო ხალხის მისწრაფება. მაგრამ მაშინ ხა-ლხი და დემოკრატია მხოლოდ პირზე ეკერათ და მათ არავის არაფერს ჰკითხავდა: და როდესაც დრო დადგა,

ისიც ხომ ვნახეთ ხალხმა რა პასუხი გასცა: სოცია-ლისტებს სატრაბახოთ აქვთ: რომელსაც მათ პარტიაში დაუსვამთ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, ერთი პირიც არ აღმოჩენილა წინააღმდეგი. აი ხალხის ნამდვილი მისწრაფება რა ყოფილა! აქედან ვხედავთ რომ აქ ჯგუფის ამბავი არ იყო და ერი მანანახავით მოელოდა თავისუფლებას და დამოუკიდებლობას. მისმა მეთაურებმა ქვეყანა იმდენ ხანს სტანჯეს, სანამ თურქები მართლაც ხიშტებით არ მოადგებოდნენ, გინდა არ გინდა დამოუკიდებლობა გამოაცხადეთ!...

საბოლოოდ ამ სხდომაზე სეიმი ადგენს გამოცხადებულ იქმნას ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელი დემოკრატიული ფედერატიული რესპუბლიკა.

მეორე დღესვე, 23 აპრილს შესდგა ახალი მთავრობა შემდეგი შემადგენლობით:

1. აკაკი ჩხენკელი - თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა მინისტრი.
2. ნ. რამიშვილი - შინაგან საქმეთა.
3. ალ. ხატისიანი - ფინანსთა მინისტრი.
4. ფ. ქოის ხანი - იუსტიციის.
5. გ. გიორგაძე - სამხედრო.
6. ნ. ხომერიკი - მიწადმოქმედების.
7. ხ. ესუბეკოვი - სახ. განათლებისა.

8. პ.ი. კაჯაზნუნი - სახელმწიფო მზრუნველო[illegible].
9. ხ.მეკ ასლანოვი - გზათა
10. მ.ჰ. ჰადჯინსკი - ვაჭრობა-მრეწველობისა
11; ა.ი. სააკიანი - მომარაგებისა
12. ა.ბ. ერზინკიანი - შრომისა
13. ი.ბ. ჰაიდაროვი - სახელმწიფო კონტროლისა.

იმავე 23 აპრილს ნ.რამიშვილმა დაუგზავნა ცირკულარი ყველა ადმინისტრატიულ დაწესებულებებს. აუწყა დამოუკიდებლობის გამოცხადება და მოუწოდა რომ ეს ემცნოს მთელ მოსახლეობას და დღეიდან იხელმძღვანელონ ამ დებულებით...

<u>6. ბათუმის კონფერენცია.</u> დამოუკიდებლობის გამოცხადების დღესვე იყო დადგენილი რომ განახლებულიყო თურქებთან მოლაპარაკებ და ამავე დროს მიღებული,იყო ზომები დავდაცვისა·(დოკ.).

იმავე დღეს აკაკი ჩხენკელმა ტელეგრამით აცნობა ვეხიბ ფაშას, რომ ის იღებს ბრესტ-ლიტოვსკის ზავს (ეს მეორედ!) და მზად არის მოლაპარაკება განაგრძოს. ამავე დროს გენ.გაბაშვილსა და გენ.ნაზარბეკოვს ეგზავნებათ ბრძანება შეაჩერონ სამხედრო მოქმედება (დოკ.102-103).მეორე დღეს, 24 აპრილს ვეხიბ ფაშა ტელეგრამით უპასუხებს

ჩხენკელს, რომ ის აჩერებს სამხედრო მოქმედებას. ოსმალეთის ჯარი შეჩერდება 1878 წლის ომამდე არსებულ საზღვრებზე და ამის შემდეგ მზად არის მოლაპარაკება განაგრძოს. მოლაპარაკების ადგილად დანიშნა ბათუმი, რომელიც უკვე თურქების ხელში იყო.

28 აპრილს ვეხიბ ფაშამ ტელეგრამით აცნობა ამიერ-კავკასიის მთავრობას:

1. რომ ოტომანის მთავრობამ იცნო ა.კ. დამოუკიდებლობა და ის აცნობს თავის მოკავშირეებს.

2. ამ დღეებში სტამბოლიდან გამოვა თურქეთის დელეგაცია. იუსტიციის მინისტრი ხალილბეი და მე პირადად მივიღებთ მონაწილეობას მოლაპარაკებაში.

3. თანახმად თქვენი სურვილისა, ბათუმს ვიღებთ პუნქტად მოლაპარაკებისა და სხ.

მიუხედავად ამ ცნობისა, თურქეთის არმიის ცალკე ნაწილები მაინც განაგრძობენ აგრესიულ მოქმედებას ყარსის ახლო რაიონებში და ახალციხე-ახალქალაქის მაზრებში და როდესაც ამაზე ვეხიბ ფაშას მიმართეს, მან ეს უარჰყო.. ასეთ პირობებში შეიკრიბა ბათუმის კონფერენცია.

კონფერენცია დაიწყო 11 მაისს. პირველსავე სხდომაზე, ა.კ. დელეგაციის თავმჯდომარემ, აკაკი ჩხენკელმა, თანახმად ტრაპიზონში თურქეთის მოთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოვნილებისა, განაცხადა რომ მოლაპარაკების საფ-უძვლად უნდა დაედოს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებაო. ოსმალეთის დელეგაციის თავმჯდომარემ ამაზედ უარყოფითი პასუხი გასცა. მაშინ ჩხენკელმა სცადა თავისი დებულების დასაბუთება, რომ ტრაპიზონში თქვენ მოგვეცით 48 საათის ვადა ბრესტ-ლიტოვსკის მისაღებად, მაშინ ამას სთვლიდით აუცილებელ პირობად, ჩვენ ის მივიღეთ დროზედ და მაშასადამე თანახმად ამ პირობისა, შეწყვეტილი მოლაპარაკებაც ამ ნიადაგზე უნდა განახლდეს.

ხალილ ბეი უპასუხებს: ეს ყველაფერი მართალია, მაგრამ ისიც მართალია რომ ამ ამბების შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა. ჩვენს შორის მოხდა ომი. სისხლი დაიღვარა. ამან ყველაფერი შეცვალა, ამიტომ ბრესტ-ლიტოვსკის ჩვენ ვერ მივიღებთ შემდეგი მოლაპარაკების საფუძვლად და სხ.

მაგრამ ხანამ კონფერენციის მსვლელობას განვაგრძობდე, საჭირო ზოგიერთი განმარტება თურქების პოზიციების შესახებ. მაშინაც და ახლაც რჩე-შთაბეჭდილება რომ თურქები ყოველი ახალი პოზიცი-

ის მოპოვების შემდეგ ახალ და ახალ მოთხოვნილებას უყენებს ა.კ. მთავრობას. პირველი იყო ბრესტ-ლიტოვსკის ცნობა და ეს მიიღეს. შემდეგ პირობად დამოუკიდებლობის გამოცხადება დაუსვეს და ესეც განხორციელდა. ჩხენკელი ამ ფორმალობას ემხრო-ბოდა და ის თავის ლოგიკაში იყო.

ამის შემდეგ კი იწყება ხალილ ბეის ლოგიკა, რომელსაც ჩხენკელმა დუმილი არჩია და ის ერთ სიტყვაში, "გაუგებრობაში" გამოხატა. მართალია, ეს გაუგებრობა ეხებოდა ა.კ.მთავრობის და სეიმის შეცდომებს, მაგრამ თურქებს თუ მართლა სურდათ ჩვენთან მეგობრული ურთიერთობა, ამით არ უნდა ეხელმძღვანელათ. ეს გაუგებრობა არ შეიძლება თურქებს არ სცოდნოდათ, მაგრამ ისინი მარტო თა-ვიანთი ინტერესებით ხელმძღვანელობდნენ. ისინი ამ დროს ომში იყვნენ და ყველაფერს აკეთებდნენ თავიანთი პოზიციების გასამაგრებლად. ამ მიზნით აინტერესებდათ ა.კ. დამოუკიდებლობაც. მათ ეში-ნოდათ ბაქოში ინგლისელები არ შემოჭრილიყვნენ.

ჩხენკელის "გაუგებრობა" კი იყო შემდეგი:

როდესაც მან 48 საათიანი ულტიმატუმის შედეგად იცნო ბრესტ-ლიტოვსკის ზავი პრაქტიკაში, მაშინ ის არ იცნო ა.კ. მთავრობამ და სეიმმა; თუმცა ეს მოხდა დროზე ერთმანეთისადმი ცნობის მოუწვდომლობის გამო. მაგრამ ეს ყველაფერი მაინც იყო ფაქტი და ამას ემყარებოდა თურქეთის დელეგაცია.

პირველი სხდომა იმით გათავდა რომ საქმეში ჩაერია გერმანიის წარმომადგენელი გენ.ფონ ლოსოვი, რომელმაც განაცხადა, რომ ის მხედველობაში იღებს ა.კ. და თურქეთის დელეგაციათა შორის სხვაობას, თვითონ შეისწავლის თურქეთის პროექტს ხელშეკრულებისა და გერმანიის ინტერესების დაცვის მიზნით მონაწილეობას მიიღებს საკითხის განხილვაში.

შემდეგ კრებაზე კი გამოირკვა შეთანხმების შეუძლებლობა, რადგან თურქებმა, გარდა ბრესტ-ლიტოვსკისა, საქართველოსაგან მოითხოვეს ახალციხის და ახალქალაქის მაზრები და სომხეთისაგან ალექსანდროპოლი (გუმრი). ამავე დროს სამხედრო ოპერაციები გრძელდებოდა, მიუხედავად ა.კ. მთავრობის პროტესტისა.

ა.გ. დელეგაცია გრძნობდა რომ მას წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლო, ამავე დროს იმასაც გრძნობდა რომ აღნიშნული ტერიტორიების დაკარგვით დამოუკიდებლობას აზრი ეკარგებოდა. ასეთ კრიტიკულ მდგომარეობაში ჩააყენა თურქეთმა ამიერ-კავკასია. რა ექნათ, ამ დროს ინგლის-საფრანგეთი შორს იყვნენ, რომელთაგან შეიძლებოდა შველა. დარჩა მხოლოდ გერმანია, მოკავშირე თურქებისა, რომელსაც შეიძლება თურქები რაიმე კომპრომისზე წაეყვანა.

გერმანიას თავისი ინტერესები ჰქონდა კავკასიაში. ეს შედიოდა მისი აღმოსავლეთში გავლენის მოპოების გეგმაში. ამიტომ გერმანიის წარმომადგენელი ახლო თვალს ადევნებდა ამ ამბებს და ბოლოს ის დარწმუნდა რომ აქ არავითარ შეთანხმებას ადგილი არ ექნება, სანამ ა.გ. დელეგაცია სრულ დათმობაზე არ წავიდოდა, ხოლო ასეთი დათმობა არც გერმანიის ინტერესებში შედიოდა. ამიტომ მან 19 მაისს ა.გ. დელეგაციას შესთავაზა თავისი შუამდგომლობა მათ შორის.

როდესაც ჩხენკელმა მიიღო ეს წინადადება,ა.გ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დელეგაციას გაეცნო. გაიმართა ვრცელი კამათი. ქართველები და სომხები ენთუზიაზმით შეხვდნენ ლოსოვის წინადადებას, ხოლო აზერბაიჯანელები კი მოითხოვდნენ ამაზე ჯერ თურქებთან მოელაპარაკათ. მაგრამ ბოლოს ისინიც დასთანხმდნენ ლოსოვისათვის დადებითი პასუხი გაეცათ. ჩხენკელმა მაშინადვე აცნობა ფონ ლოსოვს რომ ისინი კმაყოფილებით იღებენ მის წინადადებას...

მივჰყვეთ ქრონოლოგიურად... ახლად შობილი ა.კ. სულს ღაფავს... აქ რომ მოლაპარაკება გრძელდება, ფრონტზე თურქები განაგრძობენ წინ სვლას. 20 მაისს გენ.ნაზარბეკოვი იტყობინება ტელეგრამით, რომ თურქები ალექსანდროპოლის დაკავების მომიზეზებით წინ მოიწევენ და ისინი ფიქრობენ თბილისისაკენ დაშვებას (დოკ.150). ჩხენკელი კიდევ ერთხელ ნოტით მიმართავს თურქეთის დელეგაციას და სთხოვს დაიცვან ზავის პირობები.

ქართველებისათვის ცხადი შეიქმნა რომ თურქები მათ უქმნიდნენ მძიმე მდგომარეობას. ამავე დროს ა.კ. დელეგაციაში ერთსულოვნება არ სუფევდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აზერბაიჯანელები თან და თან ახლილად მიიწევდ-ნენ თურქებისაკენ. ერთობა უკვე დარღვეული იყო და მტრისადმი წინააღმდეგობის ყველა ძალა ამო-წურული. საჭირო იყო თავის შველა როგორც კი შე-იძლებოდა. ერთი ასეთი გამოსავალი იყო დარჩე-ნილი: გერმანია. ქართველებმა ენერგიული მუშაო-ბა დაიწყეს ამ მიმართულებით.

22 მაისს, როგორც ამას გადმოგვცემს ზ.ავა-ლიშვილი თავის მემუარებში, მოხდა ქართველთა ერთ პატარა წრეში გადამწყვეტი სხდომა. ავალი-შვილს უკვე მზად ჰქონია პროექტი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა. რადგან ა.გ. ფედერაცია ეცემოდა, ამ წრეში გადაწყდა საქართ-ველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. ამ სხდო-მას ესწრებოდნენ: ზ.ავალიშვილი, ა.ჩხენკელი, ნ.ნიკოლაძე, ნ.ჟორდანია და პ.სურგულაძე. ჟორდანიამ აიღო ავალიშვილის პროექტი და გაქანდა თბილისისაკენ ნიადაგის მოსამზადებლად.

23 მაისს ამზადებენ დროებით შეთანხმებას გერმანიასთან. 24 მაისს გენ.ლოსოვი აცნობინებს

ა.კ. დელეგაციას რომ მისი შუამავლობა არ მიიღო თურქეთის მთავრობამ. ამიტომ 25 მაისს ის მიემგზავრება გერმანიაში, მთავრობისაგან ახალი დირექტივების მისაღებად.

25 მაისსვე, როდესაც მდგომარეობა დაჭიმული იყო და უკვე მოელოდა მეხის გავარდნას, ჩხენკელი მიმართავს თბილისში გენ. კვინიტაძეს შემდეგი ტელეგრამით: "გადაეცით საქართველოს ნაციონალურ საბჭოს შემდეგი: დამოუკიდებლობის გამოცხადების შეგვიანება გამოიწვევს გამოუსწორებელ შედეგებს. გერმანიის შუამავლობის ცდამ უშედეგოდ ჩაიარა. რჩება ერთი: დაუპირისპირით თურქების შემოსევას გერმანიისგან ზურგ გამაგრებული დამოუკიდებელი საქართველო. მისი წარმომადგენელი საქართველოს მთავრობის წინაშე იქნება გრაფი შულენბურგი, რომელიც უხდა იცნოთ დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე... უკვე მომზადებული ხელმოსაწერად გერმანიასთან დროებითი შეთანხმებაა. ველი სასწრაფო ცნობას აქეზე".

როდესაც ეს ოფიციალური ტელეგრამა მიიღეს, თბილისში, იქ ყველაფერი მზადდებოდა...

<u>7. ა.კ. რესპუბლიკის დაცემა</u>. 26 მაისს, დილით კიდევ არაფერი ისმის. გარდა ზღვის ნაპირას სეირნობისა და უბედობისა დელეგაციათ შორის. ორივე მხრიდან საიდუმლო მზადებაა. აზერბეიჯანელებმა დილითვე იციან თურქების ზრახვები და სხ...

ყველა ამაზე მოთხრობილი ამბებიდან მკითხველისათვის ნათელი ხდება, რომ თურქეთმა თავისი აგრესიობა ბოლომდე მიიყვანა და მისი იმპერიის ძლიერების მიწურულშიც არ დასთმო მისი ძველი პოლიტიკა. მას უნდოდა კავკასია ყოფილიყო დამოუკიდებელი, ხოლო მის სათავეში ეჯდინა ქცეული...

მათ ა.კ. შიგნით შექმნეს არეულობა და განხეთქილება. ქართულ მუსულმანურ მოსახლეობაში ეწეოდნენ პროპაგანდას რომ ისინი მოეწყვიტათ საქართველოსათვის. ამ მიზნით მათ აამხედრეს ახალციხე-ახალქალაქის მუსულმანობა. არბევდნენ და სცარცვავდნენ ქრისტიან მოსახლეობას. ამ ბანდას მეთაურობდა ცნობილი სერვერ ბეგ ათაბაგი, შთამომავალი სამცხის მთავრების, ჯაყელებისა, ახლა გათათრებული.1)

1) 1929 წლის ყარსში შევხვდი სერვერ ბეგს. დასაწყისში ჩემს ვინაობას ვმალავდი. შემდეგ ეს შეიტყო და ჩვენს შორის კარგი ურთიერთობა დამყარდა. ყველაფერში გვეხმარებოდა კიდეც. ის იცნობდა მამა ჩემს. ერთხელ ჩვენს ოჯახში ესადილა. ეს მე მახსოვდა. 5-6 იყვნენ ჩვენთან სტუმრად, ყველა ჩოხებში. მე ვუსაუბრე მის მოქმედებაზე, მით უმეტეს რომ ის თურქეთში დაჩაგრული იყო. მან ყველაფერი მენშევიკებს გადააბრალა. მათ ვებრძოდით. ეტყობა, გულის სიღრმეში გრძნობდა დანაშაულს და ქართველ ემიგრანტებს გულით ეხმარებოდა.

თუმცა მესხეთის გამაჰმადიანებული არისტოკრატ-იის დიდი ნაწილი მას მხარს არ უჭერდა.

1918 წლ. 26 აპრილს მესხეთის მოსახლეობის ერთ ჯგუფს (40 კაცის ხელმოწერით) გამოატანიეს დადგენილება, რითაც ოსმალეთის მთავრობას სთხოვეს თავიანთი ავტონომიით დარჩენილიყვნენ ოსმალეთის ფარგლებში. (დოკ. 160). მიუხედავად თურქების ენერგიული მოქმედებისა, ამ დადგენილებაზე მესხეთის არც ერთი გავლენიანი პირი ხელს არ აწერდა. ესენი იყვნენ უმთავრესად უცნობი პირები. ამ დადგენილებაში სხვათა შორის სწერია: "რომ ახალციხის და ახალქალაქის მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა თურქული შთამომავლობის არიან, და მათ თურქეთთან სულიერი კავშირი არასოდეს გაუწყვეტიათ". სინამდვილეში კი აქ ერთი მოქალაქეც არ ყოფილა თურქული წარმოშობისა' თვით ხელმომწერნიც იყვნენ გადაგვარებული ქართველები. ამ დროს იყო რომ თურქებმა დაიკავეს ეს მხარე. ახალქალაქიდან მთელი სომხობა აიყარა და საქართველოს მოედო...

26 მაისს 1918 წელს დიდით მოწვეული იყო

ამიერ-კავკასიის სეიმის სხდომა, სადაც დასმული იყო ა.კ. რესპუბლიკის არსებობის საკითხი და აქ საბოლოოდ გამოირკვა ა.კ. ხალხთა თანამშრომლობის შეუძლებლობა.

აზერბაიჯანელები ყოველ მხრივ მხარს უჭერდნენ თურქებს. ისიც მართალია რომ ოსმალეთთან საზღვრების საკითხი მათ არ აწუხებდათ და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი სიმწიფე ვერ გამოიჩინეს. მაგრამ ოსმალეთი თავის პოლიტიკას სარწმუნოებასა და ეთნიურ ფაქტორზე არ ამყარებდა, მას მხოლოდ იყენებდა. ასე იყენებდა აზერბაიჯანელებსაც და მომავალში, როდესაც ეს დასჭირდებათ, მათ ადვილად გადაულოცავენ რუსებს (ამაზედ ქვემოდ). აზერბაიჯანელები მაშინ ამას ვერ მიხვდნენ. ამ მიზეზების წყალობით, მოუხედავად გარეგნობისა, ჩვენი ერთობა რაღაც ნამალადევი იყო.

რაც შეეხება ქართველ-სომეხთა ურთიერთობას, ზოგი წვრილმანი ჰყოფდა, მაგრამ უფრო მეტი აერთებდა და მტრის საფრთხესაც ერთნაირად განიცდიდნენ. საერთო მოვლენებს ერთნაირად აფასებდნენ და მათ შორის ერთგვარი სოლიდარობაც სუფევდა.

მაგ: ქართველებმა მხარი დაუჭირეს სომხებს ოსმალეთის სომხების ავტონომიის საკითხში. სომხებმაც ქართველებს მხარი დაუჭირეს ბათუმის საკითხში, იმ შემთხვევაშიც თუ მათ ყარსი დაეკარგებოდათ!

ა.გ. რესპუბლიკის დაცემისა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებაც ნ.ჟორდანიას ჭუნდვია სომხებისათვის. ის თავის მოგონებებში წერს: (გვ.129) "მოვიწვიე სომხები ცალკე და გავაცანი მდგომარეობა. აგარონიანმა თბილი სიტყვებით მომმართა - რაკი ქართველებს ეს გადაარჩენს, რა დაგვრჩენია რომ არ დავადასტუროთ და მოგილოცოთ, ჩვენ უბედურებაში არ გვინდა სხვებიც ჩავითრიოთ" და სხ.

სეიმის ამ უკანასკნელ სხდომაზე, მთავრობის მოხსენების მოსმენის შემდეგ, პირველი სიტყვით გამოვიდა ირ.წერეთელი. მან დაახასიათა ა.გ. ერთობის ფიქციურობა. ახდილად აღიარა რომ ა.გ. ხალხთა შორის არა მარტო არ სუფევს ერთობა, პირიქით ერთი ნაწილი მტერს თანაუგრძნობს და ასეთ პირობებში ისღა დაგვრჩენია რომ ყველამ თავის თავს უშველოს , ისე როგორც შეუძლია...და კიდევ მოთქმა რუსეთის დემოკრატიაზე..."ჩვენ ყოველთვის ვიბრძოდით რუსეთში შემავალი ხალხების ერთობისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ გვესმოდა რომ იმ საერთო მტრისა ქართველთა სისხლიან ომში, რომელშიც ჩაყენებული არსებობა რუსეთის ხალხების, მისი დემოკრატიის მთლიანობა შექმნიდა მათი ინტერესების საუკეთესო პირობებს, და სოც.-დემოკ. ფრაქციის ძალღონეც მიმართული იყო

აქეთ, რომ შეექმნა ეს ერთობა, საერთო ბრძოლაში დამოუკიდებლობისა და დემოკრატიული მომავლისათვის ამ ხალხებისა. ამ ლოზუნგებით არ მოგვცეეს სასურველი შედეგები. რუსეთის მთლიანობა დანგრეულ იქმნა შიგნით ანარქიით და გარედან იმპერიალისტური ძალებით" (დოკ.161) ამიტომ იძულებული ვართ ცალკე დამოუკიდებლობა გამოვაცხადოთ.

გაიმართა კამათი. მათ შორის ქართველი ნაციონალისტებიდან, გიორგი გვაზავა ბრალს სდებდა სოც.-დემოკრატებს საშინელ დანაშაულში, რომ ისინი მუდამ იბრძოდნენ ცენტრალიზმისაკენ. წერეთელმა ყველა მოკამათეებს უპასუხა. საბოლოოდ სეიმმა გამოიტანა რეზოლუცია:

"რადგან ომისა დაზავის საკითხებში აღმოჩნდა შეუთანხმებლობა ა.კ. დამოუკიდებელი რესპუბლიკის შემქმნელ ხალხთა შორის, და ამიტომ შეუძლებელი შეიქმნა გამოსვლა ერთი ამიერკავკასიური ხელისუფლებით ამიერ-კავკასიისათვის, სეიმი ხაზს უსვამს ამიერ-კავკასიის დაშლას და თავიდან იხსნის თავის რწმუნებულებას" (დოკ. 162). სეიმი

დაშლილად იყო გამოცხადებული და იმავე დღეს ეს

აქტი ემცნო მსოფლიო სახელმწიფოებს (დოკ.163).

## 8. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება.

26 მაისს 1918 წელს ნაშუადღევის სამ საათზე დაეცა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკა, ხოლო 4 საათზე და 50 წუთზე გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. ქართველები უკვე მომზადებული იყვნენ ამ დღისათვის. დამოუკიდებლობის საკითხში უკვე მომხდარი იყო სრული ერთობა ყველა პოლიტიკურ პარტიათა შორის.

ა.კ. დაცემის მეორე საათშივე შეიკრიბა საქართველოს ეროვნული საბჭო (რომელიც არსებობდა რევოლუციის მეორე დღიდანვე). ეს იყო მაშინ ერთად ერთი ეროვნული ავტორიტეტი. შექმნილი, ასე თუ ისე ქართული ძალებით.

საბჭოს სხდომას დაესწრო 42 წევრი და 36 კანდიდატი. აქ იყვნენ მოწვეულნი სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები, მათ შორის გრაფი შულენბურგი გერმანელი ოფიცრებით. მას ესწრებოდა თბილისის მიტროპოლიტი და ქართული მხედრობა. სასახლის ირგვლივ კი გავსებული ხალხი გულის ფანცქალით მოელოდა აქტს, რომელიც საუკუნეთა მანძილზე იყო მათი ნატვრის საგანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხდომას თავმჯდომარეობს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ნ. ჟორდანია. პრეზიდიუმში შედიან: გიორგი ლასხიშვილი, გრ. ვეშაპელი და პავლე საყვარელიძე. მდივნობას ასრულებს ილია ზურაბიშვილი

თავმჯდომარე ხსნის სხდომას და დამსწრეთ მიმართავს შემდეგი სიტყვებით:

"მოქალაქენო! დღეს თქვენ აქ იყავით მოწმენი იშვიათი ისტორიული და ამავე დროს დრამატიული აქტისა. ამ დარბაზში გარდაიცვალა ერთი სახელმწიფო, და აი, ახლა ამავე დარბაზში საფუძველი ეყრება მეორე სახელმწიფოს.
ამ ორ სახელმწიფოს შორის, რომელთაგან ერთი მოკვდა და მეორე იბადება, არ შეიძლება არსებულიყო წინააღმდეგობანი. და თუ პირველი ოდესმე აღსდგა მკვდრეთით, ჩვენ უნდა დარწმუნებული ვიყოთ, მათ შორის მუდამ იქნება ინტერესთა შეთანხმება" (დოკ.164).

ნ. ჟორდანიას სიტყვის შემდეგ, რომელიც იყო დამოუკიდებლობის გამოცხადება, მან საზოგადოებას გააცნო დამოუკიდებლობის აქტი, რომელიც წინასწარ იყო დამზადებული. (შენიშვნა: როგორც ზემოდ ვნახეთ, ზ. ავალიშვილის სიტყვით მას უკვე ბათუმში შეუდგენია აქტი და ამით ხელში ჩასულა ნ. ჟორდანია თბილისში. ჟორდანია კი სწერს რომ დამოუკიდებლობის აქტის შესადგენად დაუარსებიათ

კომისია. ამაზე ის სწერს თავის მოგონებებში:

"მე ვთხოვე კომისიის წევრს გიორგი გვაზავას შე-
ედგინა პროექტი, როგორც იურისტს და მოეწობნა ჩემ-
თვის. მან შეადგინა, შევიკითხე, გავოცდი: სწორ
ნაციონალურ დებულებათა გვერდით იყო შემოყენებული
სოციალური რეფორმის დებულებები: რვა საათის სა-
მუშაო დღე, მამულების კონფისკაცია და სხ. მე
ასეთი მუხლები ჩავთვალე უადგილოდ. საჭირო იყო
ერთი ყველა ქართველისათვის მისაღები ნაციონალუ-
რი პლატფორმა, საიდანაც უნდა გამორიცხოს ყველა
გამთიშავი ელემენტები. ამ აზრის თანახმად შევა-
სწორე პროექტი"... (იხ.მისი მოგონებები,გვ.128).

აქტი ყველას მიერ ერთხმად იყო მიღებული და მე-
რე ხელმოწერილი. ეს აქტი მაშინდელ ამცნო მთელ
კაცობრიობას. ხოლო მთელი ქართველი ერი სიხარულ-
სა და აღტაცებაში იყო. ერთი საუკუნის რუსეთის ბა-
ტონობის შემდეგ საქართველო განთავისუფლდა...

მაშინ როდესაც საუკუნით განაწამები ერი
უცხოეთის უღლიდან თავისუფლდებოდა და რომ მთელი
საუკუნე ამ თავისუფლებისათვის იბრძოდა, და რომ
ამ თავისუფლებას ყველა სიხარულის ცრემლებით
ხვდებოდა, დამოუკიდებლობის აქტის ავტორებმა
კიდევ ერთხელ მოისაზრეს ბოლოში, რომ ისინი იძუ-
ლებული არიან ეს საქმე შეასრულონ და სხ. აქ მო-
ვიტან დამოუკიდებლობის აქტს უკომენტაროთ:

"მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა როგორც თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფო. მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს, ყოველმხრივ მტრისაგან შევიწროებული საქართველო თავისი ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისაგან დაეცვა.

რუსეთის დიდი რევოლუციის მსვლელობაში რუსეთში ისეთი შინაგანი პირობები შეიქმნა, რომ მთელი სამხედრო ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსეთის ჯარმაც დასტოვა ამიერ-კავკასია.

დარჩენ რა თავისი ძალების ამარა, საქართველომ და მასთან ერთად ამიერ-კავკასიამ თვით იდვეს თავს საკუთარი საქმეების გაძღოლა და პატრონობა და შესაფერისი ორგანოებიც შექმნეს. მაგრამ გარეშე ძალთა ზეგავლენით ამიერ-კავკასიის ერთი შემაერთებელი კავშირი დაირღვა და მით ამიერ-კავკასიის მთლიანობაც დაიშალა.

ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შექმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაარჩინოს და დამოუკიდებელი განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს.

ამისდა თანახმად საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წ. ნოემბრის 22-ს არჩეული საქართველოს ეროვნული ყრილობის მიერ, დღეს აცხადებს:

1. ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.
2. დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა - დემოკრატიული რესპუბლიკაა.
3. საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივ ნეიტრალური სახელმწიფოა.
4. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით კი მოსაზღვრე სახელმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფოებთან და ერებთან.

5. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველჰყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა.
6. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს.
7. დამფუძნებელი კრების შეკრებამდე, მთელი საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით, და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე".

ამ აქტის მიღების შემდეგ თავმჯდომარემ წარმოადგინა სია მომავალი მთავრობისა, რომელიც მისი განცხადებით შედგენილი უთქილა ყველა ფრაქციებთან შეთანხმებით. ეს სიაც ერთ ხმად იყო მიღებული. და ასე შეიქმნა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი დროებითი მთავრობა.

მთავრობაში შედიოდნენ:

1. ნ. რამიშვილი - მთ. თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი.
2. აკ. ჩხენკელი - გარეშე საქმეთა მინისტრი.
3. გრ. გიორგაძე - სამხედრო.
4. გ. ჟურული - ფინანსთა და ვაჭრ.-მრეწველობისა.
5. გ. ლასხიშვილი - სახალხო განათლებისა.
6. ნ. ხომერიკი - მიწად-მოქმედების.
7. შ. მესხიშვილი - იუსტიციის.
8. ივ. ლორთქიფანიძე - გზათა-მიმოსვლის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმავე დღეს მთავრობის თავმჯდომარემ დამოუკიდებლობის გამოცხადება ამცნო ყველა ქვეყნებს, ამაში შედიოდა ოსმალეთიც. (ის.დოკ.ნ.166)...

## 9. თურქეთთან მოლაპარაკების განახლება.

ახლა დავუბრუნდეთ თურქებთან მოლაპარაკებას. როგორც ვნახეთ, საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა 4 საათზე და 50 წუთზე, ხოლო იმავე დღეს საღამოს 9 საათზე თურქეთის დელეგაციამ გადასცა ამიერ-კავკასიას ულტიმატუმი 72 საათის ვადით, რომ ამ დროს განმავლობაში ამიერ-კავკასიამ უნდა დასცალოს მოთხოვნილი ადგილები (ახალციხე-ახალქალაქი და სხ.). აქაც მოხდა უცნაურობა. ულტიმატუმის ვადა გადიოდა 29 მაისს 8 საათზე. ხოლო ნ.რამიშვილმა ოსმალეთის დელეგაციას საქართველოს დამოუკიდებლობა აცნობა ოფიციალურად მხოლოდ 31 მაისს და ამავე დროს ეკითხება, რომ ჩვენმა მთავრობამ მიიღო თქვენი ულტიმატუმი 27 მაისს 9 საათზე, მიმართული ამიერ-კავკასიის მთავრობისადმი. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკა აღარ არსებობს და ვრცელდება თუ არა ის საქართველოს რესპუბლიკაზედ.

ხალილ ბეიმ იმ დღესვე უპასუხა: რომ ა.ჰ. დაშ-ლა ცალკე რესპუბლიკებად არაფერს სცვლის იმ პირობებთან, რომელთა შედეგი იყო ჩვენი ნოტა. ამიტომ ბუნებრივად ის ეხება საქართველოს რესპუბლიკასაც. (დოკ.169). და პასუხისთვის აძლევს კიდევ 12 საათს, რადგან ულტიმატუმის ვადა უკვე გასული იყო

ნ.რამიშვილმა იმავე დღეს აცნობა თურქეთის დელეგაციას რომ ის იღებს ულტიმატუმს.

ამის შემდეგ კი, როდესაც ოსმალეთმა ყოველმხრივ განაიარაღა საქართველო, ისლა დარწმუნდათ რომ ეს წერილობითი აქტით დადასტურებინათ. და თუ აქამდე ჩვენები იყვნენ დაინტერესებულნი ყველაფერი მალე გათავებულიყო, ახლა ამაში თურქები იყვნენ დაინტერესებული, მით უმეტეს რომ ამ მიმართულებით გერმანია მუშაობდა საქართველოს სასარგებლოდ.

მოლაპარაკება განახლდა. თურქებმა ხელშეკრულების მზა ტექსტი დაუდეს წინ საქართველოს დელეგაციას. აქ ქართულ დელეგაციას ნ.რამიშვილი ხელმძღვანელობდა და მას მეტი აღარ დარჩენოდა რომ ოსმალეთის კარნახით მიეღოდა ხელი მოეწერა. ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმედი ჰქონდა რომ ეს მომავალში გამოსწორდებოდა.

4 ივნისს 1918 წელს ორივე მხარემ ხელი მოაწერა "საზავო და მეგობრობის ხელშეკრულებას ოსმანის საიმპერიო მთავრობისა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის შორის" (ტექსტი იხ. დოკ.172). ორივე მხარე ხელს აწერს როგორც ძირითად ისე დამატებით კონვენციას.

ძირითადი ხელშეკრულება განიხილავს საზღვრების და საერთო ხასიათის საკითხებს. ის შეიცავს აგრეთვე სამ დამატებას: 1.ვაჭრობის შესახებ, 2. საბაჟო შეღავათებზე და 3.საქართველოს მუსულმანებზე.

მეორე დამატებითი ხელშეკრულება ეხება სამხედრო განიარაღებას საქართველოსთვის და ოსმალეთის ჯარების და სამხედრო მარაგის გადაზიდვის საკითხს. იგივე შეიცავს ერთ დამატებას, რომელიც შეეხება სამხედრო ტყვეებისა გაცვლას.

ამნაირად, თურქეთმა ამ ხელშეკრულებით თავისი ინტერესები უკარნახა საქართველოს და მის ტერიტორიაზე უთვალავი უფლება აჭეარა. მაგ: ძირითადი ხელშეკრულების მე-5-ე მუხლით საქართველო ივალ-

ებს განაიარაღოს მის ნავთსადგურებში დარჩენილი რუსეთის სამხედრო ფლოტი. დამატებითი ხელშეკრულების პირველი მუხლით საქართველომ დაუყოვნებლივ უნდა მოახდინოს თავისი ჯარების დემობილიზაცია. მეორე მუხლით ომის პერიოდში საქართველო მოვალე თავის ტერიტორიაზე არ დაუშვას ოსმალეთის მოწინააღმდეგე სახელმწიფოთა ოფიცრები და სხ.მოქალაქენი. მესამე მუხლით: "საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა თანახმაა ოსმალთა არმიამ აწარმოოს გადაზიდვა სამხედრო მარაგისა (ჯარი, ტყვია წამალი, სანოვაგე და სხ.), რესპუბლიკის მთავარი სტრატეგიული რკინის გზებით" და სხ.

მოკლედ, ეს მუხლი ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს, თითქოს მთელი საქართველოს რკინის გზები თურქეთის სამხედრო საქმეს უნდა ემსახურონ.

თუმცა ოსმალეთმა ამ აქტით საქართველო მთლად დააჩოქა, ის მაინც გრძნობდა რომ ბათუმისა და ახალციხე-ახალქალაქის შენარჩუნება ადვილი საქმე არ იყო. მათ ისიც ხომ იცოდნენ რომ მათი მოკავშირე გერმანია საქართველოსთან კარგად იყო

განწყობილი. არც რუსეთი იყო კმაყოფილი და მიუხედავად ბრესტ-ლიტოვსკში ხელმოწერისა, ხომ ვნახეთ რომ მათაც პროტესტი განაცხადეს ოსმალეთის მიერ ბათუმის დაკავებაზე. ამიტომ ხელშეკრულების გვერდით ისისნი კიდევ სხვა ზომებს მიმართავდნენ რომ ეს მხარეები შეენარჩუნებინათ.

ერთი მათი ასეთი აქტი იყო ბათუმის პლებისციტი იმავე წელს. მათ უნდოდათ გამოერკვიათ, ბათუმის ოლქის მცხოვრებნი თურქებს დაუჭერდნენ მხარს თუ საქართველოს. ამ პლებისციტის დროს ქართველობის მომხრე ყველა აჭარლები დააპატიმრეს და სხვებზედაც ძალა იხმარეს თურქებისათვის მიეცათ ხმა. პირველ აგვისტოს საქართველოს მთავრობამ თურქეთის მთავრობას გაუგზავნა დასაბუთებული პროტესტი მათ ასეთ საქციელზე. თურქებმა 12 აგვისტოს ეს ბრალდებები უარჰყვეს. მართალია, თანახმად ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების მეოთხე მუხლისა, არდაანის, ბათუმის და ყარსის ოლქები უნდა მომხდარიყო პლებისციტი, მაგრამ მეზობელ სახელმწიფოებთან შეთანხმებით. თურქებმა კი სხვების ანგარიშის

გაუწყვეტლად ყველაფერი თვითონ და უწესოდ ჩაატარეს. ამიტომ საქართველოს მთავრობამ აღნიშნული ნოტა გერმანიისაც აცნობა. გერმანიის მთავრობამ კი წინადადება მისცა თავის ელჩს სტამბოლში, თურქეთის მთავრობისათვის განეცხადებინა რომ საქართველოს პროტესტი საფუძველს მოკლებული არ იყო.

საქართველოს ერთი გზაღა ჰქონდა, გერმანელებისათვის ხელი მაგრად ჩაეკიდა. ჯერ კიდევ 7 ივნისს ლოსოვი არწმუნებდა საქ.მთავრობას, რომ თურქებს წინააღმდეგობა არ გაუწიოთ, ხოლო ყველა პოსტებზე თქვენი ხალხი დააყენეთ და განუცხადეთ რომ ეს დაკავებულია გერმანიის სარდლობის მიერ. და რომ მალე გერმანიაში რევოლუცია არ მომხდარიყო, შეიძლება საქართველოს ბედი სხვანაირად წასულიყო..

ახლა კი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, საჭირო იყო სახელმწიფოების მიერ მისი ცნობის მოპოვება, რათა საერთაშორისო უფლებების წესებით ესარგებლა და ქვეყნის დაცვა უზრუნველეყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## თავი მეოთხე

## ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს

## საერთაშორისო მდგომარეობა

1. საქართველო და გერმანია. ძალიან მძიმე და თანაც გაურკვეველი იყო ამ დროს საერთაშორისო მდგომარეობა, საერთოდ და კერძოდ საქართველოსთვის. საქართველო დამოუკიდებელი იყო გერმანიის დახმარებით. რუსეთში რეჟიმის შეცვლამ შეარყია მისი მდგომარეობა. რუსეთი სცილდება ძველ მოკავშირეებს და უახლოვდება გერმანიას. გერმანია მას შეეკრება ბრესტ-ლიტოვსკის ზავით, რომლის შედეგები საქართველოსთვის ასე მძიმე იყო. მიუხედავად უველა ამისა, კიდევ ერთად ერთი გერმანია იყო რომ მოისურვა საქართველოს დაცვა თურქეთის ძალმომრეობისაგან და ამ პირობებში მოხდა საქართველოს ურთიერთობის დამყარება გერმანიასთან; სხვა საშველი ხელი არსად სჩანდა.

მეორეს მხრივ, ოსმალეთი ხედავდა რა რუსეთის იმპერიის რღვევას, სცდილობდა გავლენის გავრცელებას მთელ კავკასიაზე, თანაც ზოგი ადგილების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელში ჩაგდებით. რაც მან შესძლო კიდეც, ზოგი ბრესტ-ლიტოვსკის ზავით, ზოგი ძალით და ბოლოს ის ხელშეკრულებით გააფორმებინა ა.კ.რესპუბლიკებს.

გერმანიის შემდეგ გარეშე ძალა არა ჩანდა, რომელსაც შეეძლო საქართველოს დაცვა. მართალია, საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და თურქებთანაც ასე თუ ისე შეთანხმდა, მაგრამ საქმე ამით გათავებული არ იყო და როგორც ქვემოდ ვნახავთ, საქართველო მუდამ საფრთხეში დარჩება. ამიტომ მისი მდგომარეობა მოითხოვდა გარეშე ძალების დახმარებას. ახლად მოპოვებული დამოუკიდებლობა უნდა გაფორმებულიყო მისი ფორმალური ცნობით სახელმწიფოების მიერ და სხ. მაგრამ მნიშვნელოვანი იყო არსებითი მხარე. ის ამ დროს გარე შემორტყმული იყო ოსმალეთისა და დენიკინის ჯარებით. მას ახლავე სჭირდებოდა ძლიერი დამცველი. საქართველოს მთავრობის ცდა აქეთ იყო მიმართული, რომ დამოუკიდებლობის ნიადაგზე რომელიმე სახელმწიფოსთან მოეპოვებინა ისეთი კავშირი, რომლის დახმარებით თავის დამოუკიდებლობას უზრუნველ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭეოდდა.

თურქეთთან კონფლიქტის დროს ასეთი როლი თავისი ინიციატივით იკისრა გერმანიამ და როგორც ვნახეთ ქართველებმა და სომხებმაც ის მიიღეს.

საქართველოს მიმართ ამ საკითხს გერმანიაში ნიადაგი მომზადებული ჰქონდა უფრო ადრე. გერმანიის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის ნიადაგი შემზადებული იყო ჯერ კიდევ ომის დროს ევროპაში მოქმედი "საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის" მიერ, რომელზედაც თავის ადგილას გვქონდა საუბარი.

ასე იყო განწყობილი თვით ვილჰელმ მეორე, ჰინდენბურგი და მთელი მხედრობა. ამის შედეგი იყო რომ ფონ ლოსოვი ჩაერია ჩვენს საქმეებში და მასთან დროებითი შეთანხმების შემდეგ ჩვენი დელეგაცია გაემგზავრა ბერლინში.

ქართველ ერში, რომელიც მეთხუთმეტე საუკუნიდან მოწყვეტილი იყო დასავლეთს, ახლა იქით ლტოლვის სურვილმა ვულკანიურად იფეთქა. ამგვარმა მდგომარეობამ ათქმევინა ნ. ჟორდანიას: "აღმოსავლეთის ბარბაროსობას დასავლეთის იმპერიალის-

ტები მირჩევნიათ"!

ამ გზაზე შემდგარ საქართველოს შეხვდა გერმანიის ინტერესები. გერმანიისათვის საქართველო მარტო ნედლი მასალის წყარო არ იყო, არამედ ბაზა და გზა მისი გავლენისა შინა აზიაში. ამიტომ საქართველო-გერმანიის ურთიერთობა იღებს ინტენსიურ ხასიათს, მიუხედავად ზოგიერთი ფორმალური დაბრკოლებებისა.

პირველი შეთანხმება მოხდა საქართველოშივე. მიღებული იყო პრინციპიალურად: გერმანია იცნობს საქართველოს სრულ დამოუკიდებლობას. გაამაგრებს ფინანსიურად, დაეხმარება სახელმწიფოს ორგანიზაციის და სამხედრო წყობის ჩამოყალიბებაში. საქართველო კი გადასცემს თავის ბუნებრივ სიმდიდრეებს დასამუშავებლად და სხ.

ამ მდგომარეობაში ჩავიდა ბერლინში საქართველოს დელეგაცია. იქ კი მდგომარეობა ცოტა გართულებული დახვდა. გერმანიამ ხელი მოაწერა ბრესტ-ლიტოვსკის ზავს და ეს აბრკოლებდა რუსეთის იმპერიისაგან ჩამოცილებულ ნაწილებთან ურთიერთობას.

მიუხედავად გერმანიის დიდი სიმპატიებისა, გარეშე საქმეთა მინისტრი საკითხს ფორმალურად შეხვდა.

ამიტომ ფონ ლოსოვი მოლაპარაკებას იწყებს პირდა-
პირ იმპერატორთან და სამხედრო წრეებთან. ამ დროს
ინიშნება საქართველოში დიპლომატიურ წარმომადგენ-
ლად გენ. ბარონ ფონ კრესი. და ეს იყო უკვე ერთი
ნაბიჯი წინ. ამ დროს საქართველოში უკვე შემოსუ-
ლი იყო ორი ბატალიონი გერმანული ჯარი (1800კ.)

მიუხედავად ასეთი ნაბიჯებისა, საქართველოს
ცნობის შესახებ, საგარეო საქმეთა დეპარტამენტის
უფროსი გ რ ი გ ე შემდეგ პასუხს აძლევს საქ-
დელეგაციას: "გერმანიის მთავრობამ არ შეიძლება
ეს ქმნას რუსეთზე ადრე, რადგან ბრესტ-ლიტოვსკ-
ის ზავის შემდეგ ასეთი მოქმედება რუსეთის მი-
მართ მტრობად ჩაითვლება. იქ, ბრესტ-ლიტოვსკში,
რუსეთი წინადადებას გვაძლევდა ჩვენ ხალხთა თვით-
გამორკვევის პრინციპი გვეცნო, საერთაშორისო
უფლების საერთო პრინციპის მნიშვნელობით. მაშინ
ჩვენ ეს წინადადება კატეგორიულად უკუვაგდეთ და
ამის შემდეგ როგორ შეგვიძლია საქართველოს თვით-
გამორკვევის მიმხდარი აქტის ნიადაგზე ვიცნოთ
რუსეთის ნაწილის დამოუკიდებლობა, რომელმაც ის
გამოაცხადა?!"

(იხ. ზ. ავალიშვილი. "საქართველოს დამოუკი-
დებლობა საერთაშორისო პოლიტიკაში". პარიზი. 1924 წ.
აქ და სხვაგანაც ვემყრებით მის ცნობებს. ის იყო
ერთი მთავარი მონაწილე ყველა მოლაპარაკებებისა,
ჯერ გერმანიაში და მერე მოკავშირეებთან).

ამ ფორმალობის დასაძლევად ერთ ერთი გამოსა-
ვალი იყო რუსეთის დაყოლიება, რათა შესაძლებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამხდარიყო გერმანიის მიერ საქართველოს ცნობა. ამას კი მერე მოჰყვებოდა ლოსოვის გეგმის განხორციელება.

ეს მდგომარეობა გაგრძელდა 1918 წ. აგვისტომდე. ამ დროს განმავლობაში ქართული დელეგაცია მუშაობდა ენერგიულად. ის სწერდა ვრცელ მემორანდუმებს და ყველას აცნობდა საქართველოს მდგომარეობას. ამავე დროს მოლაპარაკებას აწარმოებდა სამრეწველო საზოგადოებებთან და სხ.

ამავე ხანებში საქართველოს საკითხი დაისვა რეიხსტაგში, სადაც მან დიდი სიმპატიები მოიპოვა. ამ დროს გერმანიის მცირე ჯარი საქართველოში ოსმალებს აჩერებდა თავდასხმისაგან. ასე ნელ-ნელა მზადდებოდა ნიადაგი. და როდესაც 27 აგვისტოს 1918 წლის რუსეთსა და გერმანიის შორის ბრესტ-ლიტოვსკის დამატებითი ხელშეკრულება იყო ქალმოწერილი, გერმანელებმა მოიპოვეს რუსებისაგან საქართველოს ცნობის პირობა. ხელშეკრულების მე-13-ე მუხლში ნათქვამია:"რუსეთი თანხმობას აცხადებს მასზედ, რომ გერმანია სცნობს საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ ორგანიზმად".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს მოვლენა უკვე ნიშნავდა რომ თუ არა გერმანიის დამარცხება, საქართველოს შემდეგი თავისუფლება უზრუნველყოფილი იყო.

ამნაირად, გერმანელებთან მთავარი დაბრკოლება გადალახული იყო. ამავე დროს პირველ რიგში დასმული,იყო ქართველების მიერ თურქებთან საზღვრების მოგვარების საკითხი. რადგან 4 ივნისის ხელშეკრულებით ხელთ იგდეს ბრესტ-ლიტოვსკით დათმობილი ადგილების გარდა, ახალციხე და ახალქალაქი და ენვერ ფაშა კიდევ ედავებოდა აბასთუმანსა და აწყვერს (ახალციხის მაზრის ნაწილები), რომელიც იმავე ხელშეკრულებით საქართველოს დარჩა. ამ მდგომარეობის გაგრძელება საქართველოსათვის მომაკვდინებელი იყო. საქმე საშური იყო და ქართული დელეგაცია ამ საკითხ ამიტომ ხვამდა პირველად.

გარდა წმინდა ქართული საკითხებისა, გერმანიას კიდევ სხვა საკითხები ჰქონდა მოსაგვარებელი თურქებთან კავკასიაში. მაგ: ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების გერმანია ივალებდა თურქები არ შეეშვა ბაქოში. ეხლა ეს საკითხები უნდა გადაწყვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცილიერ კონსტანტინეპოლის კონფერენციაზე, რომელიც შეიკრიბებოდა ახლო მომავალში გერმანიის მოკავშირეთა წარმომადგენლებისაგან. საქართველოს საზღვრების საკითხს აქ უნდა მიეღო საბოლოო სახე და ქართველებს სრული იმედი ჰქონდათ, რომ გერმანელების დახმარებით ისინი შეღავათს მიიღებდნენ.

მაგრამ იყო ომი და ყოველ წუთში მოსალოდნელი მდგომარეობის გართულება. კონფერენცია გადაიდო. მალე ისეთი მდგომარეობა შეიქმნა რომ ის სულაც აღარ შემდგარა...

ქართულმა დელეგაციამ ამასობაში მოახერხა ზოგიერთი სამრეწველო შეთანხმება და პოლიტიკური ხელშეკრულების დადებაც. და როდესაც ყველაფერი გათავებული იყო და საჭირო იყო მხოლოდ ხელის მოწერა, გერმანიაში იფეთქა რევოლუციამ. ყველაფერი რადიკალურად შეიცვალა და შექმნილ პირობებში საქართველოს საკითხისთვის აღარავის ეცალა!

ამნაირად გერმანიასთან არც ერთი კონვენცია ძალაში აღარ შესულა. საერთო ხელშეკრულება ხელმოუწერელი დარჩა და გერმანიამ საქართველოს

ცნობა ვერარ მოასწრო...

11 ნოემბერს 1918 წელს გერმანია ხელს აწერს არმისტისს, რომლის ძალით უქმდება ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება. ამით კი მართალია, ოსმალეთის უფლებაც ისხნება მის მიერ დაკავებულ ტერიტორიებზე, მაგრამ ამავე დროს რუსეთის მხრიდაც უქმდება საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა, გათვალისწინებული ბრესტ.ლიტ.დამ.ხელშეკრულებაში ასე გათავდა გერმანიის ორიენტაცია.

2. <u>პირის შებრუნება მოკავშირეებისაკენ.</u>დავუბრუნდეთ ცოტა ხნით უკანა მოვლენებს; "ივლისის განმავლობაში მოიერდებოდა შთაბეჭდილებები, რომ გერმანია ომს ვერ მოიგებს, და რომ გერმანია-საქართველოს ხელშეკრულებებისათვის საერთო აღარ იყო აჩქარება. საერთო იყო შეცვლა და ამავე დროს საქართველო გათავისუფლებდა დიპლომატიური კავშირებისა (ცენტრალური ევროპის გარედ)" სწერს თავის მოგონებებში ზ. ავალიშვილი.

ეს საქმე თვითონ ავალიშვილმა იკისრა. ის წავიდა შვეციაში და 7 სექტემბერს ის მიღებული იყო პირველად საფრანგ. წარმომადგენლის მიერ, რომელსაც გადასცა ნოტა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ. 9 სექტემბერს ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიღებული იყო ინგლისის წარმომადგენლის მიერ. მასაც გადასცა აღნიშნული ნოტა. შემდეგ გაიმართა მცირე საუბარი საქართველოს ურთიერთობის შესახებ თურქეთთან და გერმანიასთან და მერე ყოველივე ეს წერილობით მიართვა ინგლისის წარმომადგენელს; რომელიც დაჰპირდა რომ ლონდონს შეატყობინებს ამ ნაბიჯის შესახებ. ამის შემდეგ, ფორმალობის შესასრულებლად ინახულა გერმანიის კონსულიც და ამნაირად, მოკავშირეებთან ერთგვარი კავშირის დამყარების შემდეგ დაბრუნდა გერმანიაში.

იმავე თვის ბოლოში ბერლინში ჩამოვიდა თალაათ ფაშა რომლის მიერ ზოგიერთი დაპირებების იმედით საზღვრების საკითხში – ზ. ავალიშვილი მიემგზავრება კონსტანტინოპოლში. მას უნდა მიეღო კონფერენციის მოწვევის მდგომარეობა, რათა მთელი დელეგაცია იქ წასულიყო. აქ მან შეიტყო რომ კონსტანტინოპოლში უკვე ჩამოსულა საქართველოდან სხვა დელეგაცია და უკანვე გაბრუნებულა. დარჩენილა მხოლოდ ერთი წევრი, გვაზავა.

11 ნოემბერს ავალიშვილი ბრუნდება ხელცარიელი

ბერლინში. სწორედ იმ დღეს, როდესაც ხელი მოა-წერეს არმისტისს...

ამ ამბების შემდეგ გადაწყდა მარშრუტის აღება პარიზისაკენ, ხოლო ლონდონის გზით, რადგან ამ დროს ჩვენს მხარეში მთავარ როლს ინგლის თამაშობდა. უკვე 30 ოქტომბერს 1918 წელს ინგლისმა და ოსმალეთმა ხელი მოაწერეს მუდროსის ზავს. ამ ხელშეკრულებით თუმცა უარყოფილია კავკასიის სახელმწიფოებრივი ფორმაცია, მაგრამ ნაწილობრივ, ფაქტიური მდგომარეობა ძალაში რჩება. მუდროსის არმისტისის ძალით თურქებმა დასტოვეს: ახალციხე, ახალქალაქი, ბათუმი, ყარსი და არდაგანი. ზავის მე-15-ე მუხლი ითვალისწინებს, ოსმალეთის მაგიერ, მოკავშირეთა კონტროლს კავკასიის რკინის გზებზე. ბაქო და ბათუმიც მოკავშირეთა ჯარებმა უნდა დაიკავონ. აქ ჯერ საქართველოს ხსენებაც არ არის. ის ჯერ მოკავშირეთათვის არ არსებობს. ამის შემდეგ გადაწყდა ინგლისის ჯარების შემოსვლა საქართველოში.

ისინი პირველად შედიან ბაქოში. 23 დეკ.

1918 წლის ინგლისის მისიის უფროსი პოლკ. ჟორდა-ნი უგზავნის ნოტას საქართველოს მთავრობას და სთხოვს ბინებსა და დახმარებას მისი ჯარებისათვის თბილისში. 24 დეკ. საქართველოს მთავრობა თანხმობას აცხადებს და თბილისში შემოდის ინგლისელების 1800 კაცი, სწორედ იმდენი, რამდენიც ჰყავდათ გერმანელებს და რომელთაც უკვე ნოემბერში დასტოვეს საქართველო.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოკავშირეებთან კავშირის დამყარების ცდა უკვე ადრე მოხდა. ამიერიდან კი, როდესაც მოკავშირეთა სახელით ინგლისის ჯარები საქართველოში შემოვიდნენ, იწყება აქტიური დიპლომატიური კავშირები. ხოლო სანამ ამ საქმიანობას განვაგრძობდე, საჭიროდ მიმაჩნია ზოგი რამის გახსენება ჩვენი შინაური კავკასიური მდგომარეობიდან, რადგან მომავალში მან ცუდი როლი ითამაშა ჩვენი საკითხის გადაწყვეტაში საერთაშორისო ასპარეზზე.

3. სომეხ-ქართველთა კონფლიქტი. ეს იყო სომეხ-ქართველთა კონფლიქტი. უცნაური, გაუგებარი და

საბედისწეროც, განსაკუთრებით სომხებისათვის. ვისი ბედიც გაცილებით უარესი იყო ვიდრე რომელიმე სხვა კავკასიელი ერისა!

ისე როგორც ქართველების ადრე უმთავრესად გერმანიის გეზი ჰქონდათ აღებული, სომხები ანტანტის ორიენტაციას დაადგნენ. და ეს სრულიად გასაგები იყო, რადგან მათი "დიდი სომხეთის" გეგმის განხორციელება ამ გზით იყო საიმედო მათთვის. ამდენადვე ისინი ნაწილობრივ გადიოდნენ კავკასიის პოლიტიკის საზღვრებიდან. ისიც უნდა გავიმეორო, რომ როდესაც გერმანიამ დახმარებისათვის ხელი გამოგვიწოდა, მაშინ ის სომხებმაც სიხარულით მიიღეს!

გარდა იმისა რომ სომხებს ჰქონდათ გეგმა "დიდი' სომხეთის"აღდგენისა, რაც უმთავრესად უნდა მომხდარიყო თურქეთის ტერიტორიის ხარჯზე, აგრედვე პრეტენზიას აცხადებდნენ საქართველოს ისტორიულ ნაწილებზედაც. იმ იმედით რომ რადგან ქართველები გერმანიას ემხრობოდნენ, გამარჯვებული მოკავშირეები მათ იდეალს გაახორციელებდნენ!

საქართველოში მათ ჰქონდათ შემდეგი მდგომარეობა: როგორც ცნობილია, სომხეთის სამეფო მეთერთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე საუკუნის ბოლოდან აღარ არსებობდა. ის განაწილებული იყო თურქეთსა და სპარსეთს შორის. ხოლო შემდეგ საქართველოს დიდების ხანაში დიდ ნაწილად შედიოდა საქართველოს სამეფოში და ქართველი მეფეები მათ მხოლოდ მფარველობას უწევდნენ. შემდეგ, დროთა განმავლობაში მუსულმანთაგან დევნილი სომხობა საქართველოში აფარებდა თავს. უფრო გვიან რუსებმაც დიდძალი სომხობა გადმოასახლა ოსმალეთიდან საქართველოში. ეს ხალხი ჩასახლებული იყო რუსების მიერ იმ ადგილებში, საიდანაც აიყარა ქართველი მუსულმანობა და თურქეთში გადასახლდა. ამნაირად, საქართველოს ზოგ პუნქტში თავი მოიყარა სომხის მოსახლეობის უმრავლესობამ. სომხები აღნიშნულ ქართულ მიწებს მოითხოვდნენ.

კონფლიქტიც ამის შედეგი იყო. საქართველოს მთავრობა შეეცადა ომი თავიდან აეცილებინა. მაგრამ რაკი სომხები შეტევაზე გადმოვიდნენ, მაშინ საქართველომ თავისი ჯარები მიაგება და ალბად მთელ სომხეთსაც დაიკავებდნენ რომ ინგლისელები და ფრანგები არ ჩარეულიყვნენ და მათი ზავი არ

ჩამოყვლოთ. ამ აქტს ცუდი შედეგები მოჰყვა.

სომხების განწყობილების დასახასიათებლად ოდ-ნავ უნდა შევჩერდე სომხის დიპლომატის მ.ვარანდი-ანის თხზულებაზე რომელიც გამოვიდა პარიზში 1919 წელს ("სომეხ-ქართველთა კონფლიქტი და კავკასიის ომი). ეს წიგნი გამოვიდა მაშინ, როდესაც სან რე-მოში იკრიბებოდა ევროპის სახელმწიფოთა წარმომა-დგენლობა და სადაც საბოლოოდ უნდა გადაწყვეტილი-ყო ამიერ-კავკასიის და მაშასადამე სომხეთის სა-კითხიც. (აქ იძულებული ვარ ქრონოლოგიას გადავუ-ხვიო). ამ წიგნის შინაარსი და სულისკვეთება მი-მართული იყო იქით, რომ ქართველობა გაესაღებინა როგორც გერმანიის მოკავშირე. ის ვრცლად ჩერდება ომის დროს ქართველ ნაციონალისტთა მუშაობაზე გერ-მანელებთან (თითქოს მოკავშირენი ამას არ იცნობ-დნენ, ან და არ ესმოდათ ამის მნიშვნელობა!), ახლა კი გერმანელებთან შეწყვეტილი იყო კავშირი და საქართველოს საკითხი იდგა ვერსალის უმაღლეს საბჭოში. ამ დროს ასეთი წიგნის გამოცემა ნიშნ-ავდა ერთგვარ იაფ ფასიან დასმენას საქართველოსი

მოკავშირეთა წინაშე. ავტორს ვერ გაუგო რომ ის ამით ვნებდა თვით სომხეთის საქმეს, რადგან საერთაშორისო ასპარეზზე სომხეთის საკითხი უსაქართველოდ ვერ გადაწყდებოდა. მეორე კი ის იყო, რომ რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლი ერი რუსეთის მოწინააღმდეგე ბანაკში იქნებოდა. ეს ყველა კულტურული ხალხისათვის იყო გასაგები და ცხადია ამაში საქართველოს არავინ ანგარიშს არ მოსთხოვდა და არც მოუთხოვიათ!

როდესაც რევოლუციის შემდეგ გამომჟღავნდა თურქეთის აგრესია, მაშინ წინააღმდეგობის ხმა ქართველებისგან გაისმა, სომხებთან ერთად! საქართველო-სომხეთისაგან განზე გადგნენ მათი მეზობელი აზერბეიჯანელები. საქართველო და სომხეთი სუსტნი იყვნენ თურქებისათვის წინააღმდეგობა გაეწიათ და ამ დროს კი გერმანიის მიერ გამოწვდილი დახმარება სომხებმაც ისევე მიიღეს როგორც ქართველებმა.

ამ არა სერიოზულ წიგნზე ავტორს ვეტყოდი რომ ასეთი რამ გამონაკლისი ყოფილიყო და თამამად შემიძლია ვსთქვა რომ ეს არ იყო სომეხ-ქართველთა ისტორიული ურთიერთობის დამახასიათებელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



4. <u>მოკავშირეებთან.</u> ახლა დავუბრუნდეთ ჩვენი დელეგაციის მუშაობას. როდესაც გერმანიაში გასავლებელი ალარაფერი იყო. დელეგაციის წევრი ავალიშვილი მიემგზავრება ლონდონში, მთელი დელეგაცია კი პარიზში.

ზ.ავალიშვილის გადმოცემით, ამ დროს როგორც მოკავშირეთა შორის, კერძოდ ინგლისშიც ის აზრი ბატონობდა, რომ რაიმენაირად ალედგინათ მოკავშირე რუსეთის მთლიანობა. მაგრამ ის აზრიც არ იყო გამორიცხული რომ დაიცვან განაპირა რესპუბლიკები და მთლიანობა ფედერაციის სახით. ვინაიდგან ეს ყოველივე იყო თეორია და საქართველო უკვე ფაქტიურად იყო დამოუკიდებელი, ამიტომ იმედებული იყვნენ მისთვის ანგარიში გაეწიათ. მოკავშირენი ამ აზრს ადგიან: დაიცვან უკრაინა და საქართველო ბოლშევიკების დავდასხმისაგან. ეს აზრი გამოთქვა თავის მოხსენებაში საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა პ ი შ ო ნ მ ა 29 დეკ.1918 წლის დეპუტატთა პალატაში. ამ განცხადების შემდეგ ინგლისის პრესაც აუწყებს ქვეყნებს, რომ მისი ჯარების შესვლის მიზანი კავკასიაში არის

მისი დაცვა თურქეთის ძალმომრეობისაგან, მორიგება სომეხ-ქართველთა და კასპიის მხარეს ინგლისის ჯარებისათვის გზების დაცვა.

31 დეკ. 1918 წელს, ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგი მ ა ლ ე ტ ი აცნობებს ქართველ წარმომადგენლებს, რომ "მისი უმაღლესობის მთავრობა სიმპათიით შეხვდა საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადებას და მზად არის იზრუნოს მისი ცნობისათვის საზავო კონფერენციაზე" (ავალიშვილის მოგ. გვ.163-64).

მიუხედავად ამისა საქართველოს საკითხი მოკავშირეთა წინაშე მთლად გარკვეული არ იყო, რადგან ისინი ამ დროს იდგნენ მთელი რიგი პრობლემების წინაშე: ოსმალეთის იმპერიის დანაწილების საკითხი, ძველი რუსეთის აღდგენა და სხ.

1919 წლის იანვარში ზ. ავალიშვილი ლონდონიდან პარიზში ბრუნდება. ამავე დროს საქართველოდან ჩამოდის პარიზში სპეციალური დელეგაცია ნ. ჩხეიძის და ირ. წერეთლის მეთაურობით და შეუდგება მუშაობას.

22 იანვარს 1919 წელს ვერსალის უმაღლეს საბჭოში ვ ი ლ ს ო ნ მ ა შეიტანა წინადადება

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოეწყოთ კონსტანტინეპოლში კონფერენცია იმ ხელისუფლებათა წარმომადგენლებისა, რომელნიც რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე აღმოცენდნენ.

ქართველებმა გამოაცხადეს რომ ისინი ამ კონფერენციას არ დაესწრებიან, რადგან წარმოადგენენ დამოუკიდებელ სახელმწიფოს და მოითხოვენ მხოლოდ ცნობას. ასეთივე აზრი გამოსთქვეს ზოგმა სხვა ერმა, ვისაც უკვე დამოუკიდებლობა გამოცხადებული ჰქონდა.

ეს კონფერენცია ვერარ შესდგა, რადგან რუსების ერთი ნაწილიც წინააღმდეგი იყო აქ ბოლშევიკებს შეხვედროდნენ (კონფ. ისინიც იგულისხმებოდნენ).

ამის შემდეგ საჭირო იყო უმაღლეს საბჭოს გადაეწყვიტა, ვის იცნობდა რუსეთის ნამდვილ მთავრობად, რადგან რუსეთში სამოქალაქო ომი გაჩაღებული და საბოლოოდ ერთი ხელისუფლება არ იყო ჩამოყალიბებული. თუმცა იმ დროს მთავარი ცენტრები ბოლშევიკებს ეკავათ. მოკავშირეებს უფრო აინტერესებდათ ძველი რუსეთის აღდგენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბოლოოდ უმაღლესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ეცნო ე.წ. ადმირალ კოლჩაკის მთავრობა, მიუხედავად იმისა რომ რუსეთის მდგომარეობა ჯერ კიდევ ბუნდოვანი იყო.

საბჭომ განიზრახა რუსეთის იმ ფორმით აღდგენა, რომ განაპირა ქვეყნების ინტერესები არ შელახულიყო, ე.ი. მხედველობაში იყო მიღებული ავტონომიური და უკვე დამოუკიდებელი რესპუბლიკებისათვის საერთაშორისო გარანტიები მიეცათ. ეს აზრიც ბუნდოვანი იყო. კოლჩაკისადმი მიცემულ ნოტაში გარკვეულად არა ჩანდა, განაპირა ქვეყნებს მიეცემოდათ თუ არა სრული დამოუკიდებლობა.

ქართული დელეგაციის წევრის ზ.ავალიშვილის შეკითხვაზე, ამერიკის დელეგატი პროფ. ლ ო რ დ ი ასე უპასუხებს: "რატომ ფიქრობთ, რომ თქვენ გადაგცემენ რუსეთს, არა, თქვენ არ იქნებით დატოვებული მარტო. სახელმწიფოები და ერთა ლიგა იზრუნავენ თქვენსა და მის(რუსეთის) ურთიერთობის შესახებ".

ამგვარად, კოლჩაკის საკითხმა თუმცა ხელი შეუშალა საქართველოს და კავკასიის საკითხს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ მაინც, სახელმწიფოთა წარმომადგენლები სიმპატიურად იყვნენ განწყობილნი კავკასიისადმი.

1919 წ. მარტში, ქართული დელეგაცია საბჭოს უდგენს მემორანდუმს და სთხოვს საქართველოს ცნობას. მემორანდუმს ხელს აწერს ჩხეიძე. (საქ. დამფუძნებელი კრება გაიხსნა 12 მარტს. ჩხეიძე არჩეული იყო თავმჯდომარედ).

ამას მოჰყვა ამ. კავკასიის რესპუბლიკების მიერ ერთად შედგენილი მემორანდუმი, რომლითაც სთხოვენ დადასტურებას რუსეთისაგან სრული გამოყოფისა. მაგრამ რუსული პროგრამა ისედაც ვეღარ განხორციელდა, რადგან მალე დაეცა ჯერ კოლჩაკის და მერე დენიკინის მთავრობაც...

5. საქართველო და თეთრი რუსები. როგორი იყო ამ დროს საქართველოს ურთიერთობა არა ბოლშევიკ რუსებთან. წინა თავში ჩვენ ვნახეთ რომ რუსეთის დროებითი მთავრობა შორს იყო განაპირა ქვეენების დამოუკიდებლობის ცნობისაგან. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ, როდესაც ამიერ-კავკასია ადგენს დროებით მთავრობას, მაშინაც ეს მოვლე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნა დროებითად იყო მიჩნეული.

მაგრამ ახლა სხვა მდგომარეობა შეიქმნა. უკვე ფაქტიურად არსებობდნენ ა.კ.დამოუკიდებელი რესპუბლიკები. რუსეთში კი სამოქალაქო ომი იყო. უმთავრესი ძალები: ცენტრში ბოლშევიკები და სამხრეთით დენიკინის ხელისუფლება. საქართველოს ფაქტიურად ამ ელემენტთან უხდება ურთიერთობა.

აქ ჩვენ შევეხებით მხოლოდ დენიკინთან ურთიერთობას, რადგან სხვა არა ბოლშევიკური ძალები საქართველოდან შორს იყვნენ, ბოლშევიკებს ცალკე შევეხებით.

მიუხედავად იმისა რომ დენიკინის გამარჯვებას არავითარი შანსი არა ჰქონდა, ის მაინც განაგრძობდა ძველი რუსეთის პრეტენზიას საქართველოზე. საქართველოზე თავდასხმებს ახდენს სოჭისა და გაგრის მხრიდან.

ბოლშევიკებთან ბრძოლის პარალელურად, სცდილობს ეს განაპირა მხარე ისევ ხელში ჩაიგდოს. ამ გართულებული მდგომარეობის მოსაწესრიგებლად მოწვეული იყო კონფერენცია, მოხალისეთა არმიის(დენიკ.), ყუბანის მთავრობის და საქართველოს წარმომადგენლებისაგან. ჯერ კიდევ ომი გრძელდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონფერენცია გაიხსნა 25 სექტემბერს 1918 წ. მოხალისეთა არმიიდან დაესწრნენ: დენიკინი, გენ. ალექსეევი, გენ. რომანოვსკი, გენ. დრაგომიროვი, შულგინი, სტეპანოვი და გენ. ლუკომსკი. ყუბანის მთავრობიდან: ბიჩი და ვორობიოვი. საქართველოს წარმომადგენლები: ევ. გეგეჭკორი და გენ. მაზნიაშვილი.

კონფერენციის დასაწყისშივე გენ. ალექსეევი მიესალმა საქართველოს წარმომადგენლებს და იმედი გამოსთქვა, რომ ჩვენ ყველაფერში აუცილებლად შევთანხმებით და დასძინა: "პირველ რიგში მე აუცილებლად მიმაჩნია განვაცხადო, რომ მოხალისეთა არმია საქართველოს დამოუკიდებლობაზე გამოდავებას არ აცხადებს და მას სცნობს სრული ზომით, და დაე იცოდეს მან, რომ ის ამ მხრივ უზრუნველყოფილია" (დოკ. 196). ხოლო რაკი ჩვენ თავზე ვიღებთ ასეთ ვალდებულებას, საქართველომ ასეთივე ურთიერთობა უნდა იქონიოს ჩვენთან. მაგრამ საქართველომ ისეთი მტრული განწყობილება გამოამჟღავნა, რომ ჩვენ ამას არ მოველოდით და ნამდვილად ზოგი რამ: ტუაპსეში ხელისუფლების დამყარება და სოჭის

დაკავება, როდესაც ეს ტერიტორია არასოდეს ეკუთვნოდა საქართველოს. მისი და ამ ტერიტორიის მორის იმყოფება აფხაზეთის ოლქი და სხ. შემდეგ აბრალებდა რომ საქართველოში დარჩენილი რუსეთის ქონება ხელში ჩაიგდეთ, იქ რუსის ოფიცრებს ცუდად ეპყრობით და სხვა ამისთანები. ყველა ეს ბრალდებები უაზრობას წარმოადგენდა, რადგან სოჭი კავკასიის ქედის შიგნით იყო და აფხაზეთი ისტორიულად საქართველოს ნაწილი. ამის შემდეგ ალექსეევმა დასვა გადასაწყვეტად ხუთი საკითხი: 1.საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ. 2. კუბანისა და საქართველოს საზღვრები. 3. საქონლის გაცვლა-გაგამოცვლა. 4. რუსებისადმი დამოკიდებულება საქართველოსი და 5. რუსების ქონება საქართველოში.

უკანასკნელი ორი საკითხის დასმაც უაზრობა იყო. რადგან რევოლუციის წინ საქართველო რუსეთის ნაწილად ითვლებოდა და თუ მის ტერიტორიაზე რამე დარჩა მთავრობას, ბუნებრივად საქართველოს ეკუთვნოდა. არც რუსებისადმი არსებობდა ცუდი დამოკიდებულება და საქართველოს წარმომადგენლის

სიტყვის შემდეგ რუსები ცოტა დაწყნარდნენ. პირ-ველ და მთავარ საკითხზე, საქართველოს დამოუკი-დებლობაზე დავა არ ყოფილა და საკითხის განხილ-ვამდე თითქმის გადაწყვეტილი იყო. რადგან რუსე-ბისა და კუბანის წარმომადგენელთა განცხადების შემდეგ ეს დასტურდებოდა.

ალექსეევს ვრცელი სიტყვით უპასუხა ევ.გეგე-ჭკორმა. მან ალექსეევის ყველა ეჭვები გაფანტა. ხოლო სადავო აღმოჩნდა სოჭის საკითხი. ამაზე გე-გეჭკორმა წინადადება შეიტანა რომ ჯერ-ჯერობით სოჭი დარჩეს საქართველოს და მისი საკითხი შემ-დეგ გადაწყდესო. რუსებმა ეს არ მიიღეს და მოით-ხოვეს მისი დაცლა. მაგრამ კიდევ შორს წავიდნენ და ქართველებს ედავებოდნენ გაგრაზედაც. შემდეგ ილაპარაკა გენ.მაზნიაშვილმა და დასაბუთა სოჭ-ის დაკავება ქართველი ჯარის მიერ, იმ მიზეზით, რომ მაშინ ჩვენ მოხალისეთა ჯარის არსებობა არც კი ვიცოდით და აქტიურობას ბოლშევიკები ეპატრო-ნებოდნენო. მაშინ დენიკინმა უპასუხა რომ ახლა სოჭი ჩვენ დაგვითმეთ, ჩვენ დავიცავთ და თუ

გაგვიჭირდა მისი დაცვა მაშინ საქართველოს მივმართავთ დახმარებისთვისო და სხ. აქ ქართველებს არ შეეძლოთ გამომჟღავნება რომ მათთვის დენიკინის დღეები დათვლილი იყო და არ უნდოდათ ეს ტერიტორია ბოლშევიკებს დარჩენოდათ. თორემ მათი პოზიცია, მათი განცხადების მიხედვით სუსტი იყო.

მეორე სხდომაზე ყუბანის წარმომადგენელმა განაცხადა რომ აღნიშნული ტერიტორია ყუბანს ეკუთვნოდა და სხ. საბოლოოდ, როდესაც ქართველებმა დაჟინებით დაიცვეს თავიანთი დებულება, მაშინ ალექსეევმა შეუძლებლად სცნო კონფერენციის გაგრძელება.

გეგეჭკორის ამნაირ დაჟინებას ის აზრი ჰქონდა რომ სჭამდა ალექსეევის განცხადება საქართველოს დამოუკიდებლობის მიღებაზე. და ბოლოს გეგეჭკორმა ახდილად უპასუხა რომ თქვენი არმიაც და მთავრობაც ჯერ-ჯერობით კერძო ხასიათისანი არიან და მასთან რაიმე სერიოზული მოლაპარაკება ჩვენი მთავრობისათვის შეუძლებელია. რასაკვირველია, რუსებს ძალიან არ ესიამოვნათ ასეთი განცხადება, რადგან მათ თავი ნამდვილ რუსეთის

დარმომადგენლად მიაჩნდა; კონფერენცია დაიხურა.

ქართველები დახვდნენ უკომპრომისოდ, ზოგი სუსტი განცხადებისდა დამოუკიდებლად. ხოლო მათ გულწრფელი სურვილი იყო ლენინთან ზავი ჩამოეგდოთ. რადგან ამ დროს თურქებთანაც მდგომარეობა გართულებული ჰქონდათ.

რუსებთან მათი განცხადების სუსტი მხარე იყო ის შაბლონი, რასაც უველგან იმეორებდნენ და ამით მხოლოდ ასუსტებდნენ ჩვენს უფლებებს. ლაპარაკი იყო მუდამ იმაზე რომ მათ იძულებით გამოაცხადეს საქართველოს დამოუკიდებლობა. აი სიტყვა-სიტყვით ევ. გეგეჭკორის განცხადება:

„წინასწარ მოვალეობად მიმაჩნია მივაქციო თქვენი ყურადღება მას, რომ საქართველომ თავისი 26 მაისის დამოუკიდებლობა გამოაცხადა მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც რუსეთი საბოლოოდ დაიშალა და მთელ ტერიტორიაზე ორასამდე დამოუკიდებელი რესპუბლიკა აღმოცენდა. და როდესაც საბოლოოდ გაქრა იმედი, რომ მოკლე ხანში რუსეთის ერთი მთლიანი ფრონტი აღსდგება, მხოლოდ მაშინ, ექვსი თვის ლანძვის შემდეგ, საგარეო ფრონტზე დამარცხებული, მიტოვებული ყველას მიერ - იმისთვის რომ გადაერჩინა თავი და მისი ფიზიკური არსებობა, საქართველო იძულებული იყო გადაედგა ეს ნაბიჯი. მაგრამ სანამ ამას მოვახდენდით, დახმარებისათვის ჩვენ მივმართეთ ყველას (იგულისხმება რუსეთის ნაწილები) თვით ბოლშევიკებსაც კი, მაგრამ ჩვენი თხოვნა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა, თუ არ ჩავთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვოით გამცემლობას ცენტრო-ფლოტისა, მიუხედავად ჩვენთან ხელშეკრულებისა, დადასტურებული ვოლგელმის რადიო-ტელეგრამით, რომ არც ერთი გემი არ წავა ბათუმის დასაცავად. აი, სწორედ ამ მომენტში, 26 მაისს 1918 წელს გამოცხადებულ იქმნა საქართველოს დამოუკიდებლობა".

ამგვარი განცხადებები კიდევ მეტ მიზეზს აძლევდნენ დენიკინს, რომ მიუხედავად მისი განცხადებისა საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ, ის მაინც მიილტვოდა რომ მის სრულ გამარჯვებამდევე დაეპყრა საქართველო და აზერბაიჯანი. გარეგნულად მისი ეს მისწრაფება თითქოს იმაში გამოიხატებოდა რომ ამ ხაზის უზრუნველყოფით გაუადვილებოდა ბოლშევიკებთან ბრძოლა. თუმცა საქართველოს მხრიდან ბოლშევიკებთან ბრძოლაში მას საშიშროება არ მოელოდა. აღნიშნულ კონფერენციაზე გეგეჭკორმა შემდეგიც განაცხადა:

მასთან ერთად მოვალეობად მიმაჩნია გაგახსენოთ, რომ არ უნდა იქნას დავიწყებული აგრეთვე ისიც, თუ როგორი სამსახური გაგიწიეთ თქვენ ბოლშევიკებთან ბრძოლაში, და ამ დახმარებასაც ანგა-

რიში უნდა გაუწიოთ თქვენ". (დოკ. 196).

სხვათა შორის ამის გამო იყო რომ ქართველმა სოციალისტებმა "სამართლიანი" გულისწყრომა დაიმსახურეს ბოლშევიკებისაგან. საქართველოს დაპყრობის შემდეგ ტროცკი აბრალებდა სოციალისტებს "კონტრ-რევოლუციონერ გენერლებთან" თანამშრომლობას.1).

ცხადია, ტროცკის ბრალდება არ იყო სწორი. ქართველებს ამის მსგავსი ნაბიჯი არ გადაუდგამთ. ხოლო მათი ბრძოლა ბოლშევიკების წინააღმდეგ, იყო ერთგვარი არაპირდაპირი დახმარება დენიკინისა და გეგეჭკორის სიტყვაშიც მხოლოდ ეს არის ნაგულისხმევი. დენიკინის აგრესიულობას არავითარი ჭმოწვევი მიზეზი საქართველოს წინააღმდეგ არ ჰქონია და რასაც აკეთებდა ეს იყო მხოლოდ გაგრძელება ძველი რუსული იმპერიალისტური სულისკვეთებისა. მას არავითარი იმედიც არა ჰქონია გამარჯვებისა, მაგრამ რუსეთის ნაწილებისა ჩამოცილებას მაინც ვერ ინელებდა...

დენიკინ-ალექსეევის მდგომარეობა დღითი დღე უარესდებოდა. ისინი მიდიოდნენ სრული დამარცხებისაკენ და რეალურად რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხი მათგან უნდა მოხსნილიყო და ხვალ ბოლშევიკებთან დაგასულიყო.

1) L.Trotsky. "entre imperialism etl- Revolution." p. 93

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველ შემთხვევაში დენიკინისა და საქართველოს შორის კონფლიქტმა თავი იჩინა სოჭის საკითხში. რომელსაც მერე მიაყოლეს გაგრა და სოხუმი, რომელნიც საქართველოს ხელში იყვნენ. თვით აბხაზეთსაც, რომელიც ანტიური დროიდანვე ქართველების ბუნებრივ ნაწილს წარმოადგენდა, სადაოდ აცხადებდნენ.

ამ დროს მოკავშირეები თვალ-ყურს ადევნებდნენ დენიკინის აგრესიობას საქართველოს მიმართ. მერე ისინი ჩაერევიან კიდეც და მათ შორის ქმნიან სადემარკაციო ხაზს. ამნაირად, აზერბეიჯანმა და საქართველომ თავიანთი ძალებით და მოკავშირეთა პირდაპირი ჩარევით დაიცვეს თავი დენიკინის შემოსევისაგან.

20 იანვარს 1919 წელს ამ.კავ. სამი რესპუბლიკის კოლექტიურ განცხადებაში აღნიშნული იყო დენიკინის მუქარები და უმაღლეს საბჭოს სთხოვდნენ დაცვას. რადგან ამ დროს დენიკინმა დაარღვია სადემარკაციო ხაზი, და ა.კ. დელეგაცია სთხოვს უმაღლეს საბჭოს, დენიკინს შეაჩერებინა შემოსევა.

მოკლედ ამ პერიოდში უმაღლესი საბჭო წარმოადგენს ერთგვარ სამხედრო კონტროლს საქართველოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უველო ამ ამბების მოწმე ზ.ავალიშვილი დასძენს: "სადემარკაციო ხაზი, დარღვეული ლენინის მიერ, რომელსაც მოკავშირეთა სარდლობა უსაყვედურებდა, იყო ცხადი მაჩვენებელი იმისა რომ არსებობდა უმაღლეს საბჭოს სამხედრო-პოლიტიკური კონტროლი კავკასიაზე ამ დროს" (მისი მოგ.გვ. 200).

ზ.ავალიშვილი სამართლიანად შენიშნავს, რომ ლენინი, გატაცებული რუსული იმპერიალიზმით, ვერ ხედავდა იმ სინამდვილეს, რომელშიც ის იმყოფებოდა. რომ გარემოებანი შეიცვალნენ და მას პრეტენზიების მაგიერ უნდა ეცნო ა.გ. რესპუბლიკები და ამ ფაქტიური მდგომარეობის თანახმად ემოქმედა. საქართველოს მხრიდან სასურველად მიაჩნდათ რომ ლენინთან ახლავე გადაეწყვიტათ სადაო საკითხები, სანამ ის სუსტი იყო. თუ ხვალ ლენინელებმა გაიმარჯვეს, ამ მორიგებით მხოლოდ მოვიგებთ, ხოლო თუ დამარცხდნენ, არაფერს დავკარგავთ! ასე აზროვნობდა თავისუფ ლი ქართველი, შორს მდგომი დოქტრინების გავლენისაგან. ეს გახლდათ ზ.ავალიშვილი. ხოლო ჩხეიძე-წერეთელი, რუსეთის რევოლუციის ბელადები

და მარქსის მოწაფენი კი იმავე რეცეპტებით მოქ-
მედებდნენ, როგორც იქცეოდნენ სახელმწიფო სათათ-
ბიროში სტოლიპინის წინააღმდეგ და ავიწყდებოდათ,
რომ ახლა მდგომარეობა შეიცვალა, საქართველომ და-
მოუკიდებლობა გამოაცხადა და ახლა მხოლოდ სახელ-
მწიფოებრივი პრინციპებით უნდა ემოქმედათ. ისინი
ფიქრობდნენ რომ თუ გაამაგრებდნენ კონტრ-რევოლი-
უციონერ გენერლებს, ამით დასცილდებოდნენ ევროპ-
ის დემოკრატიას! ეს სიტყვა "დემოკრატია" მაშინ
დიდ მოდაში იყო!...

1918 წ. ნოემბერში კავკასიაში შემოვიდა ინგ-
ლისის ჯარი. მისი სარდალი ტომსონი თავის პროკ-
ლამაციაში აცხადებდა: "ამით ვაცნობებთ კავკასი-
ის მცხოვრებთ, რომ მოკავშირეთა ჯარების კავკა-
სიაში გამოგზავნის მიზანია საზოგადოებრივი წეს-
რიგის დამყარება, ამ შავი ზღვიდან კასპიის ზღვა-
მდე გადაჭიმულ რუსულ ტერიტორიაზე".

ამს სწერდა ინგლისელი გენერელი მაშინ, რო-
დესაც ა.კ. წარმოადგენდა დამოუკიდებელ რესპუბ-
ლიკებს. ამიტომ ამ გარემოებამ გამოიწვია ინგლი-
სელებისადმი ერთგვარი უნდობლობა. ინგლისელმა
გენერალმა სწორი ტაქტიკა ვერ გამოარჩია. მაგრამ
ეს განწყობილება სულ მალე შეიცვალა, როდესაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისმა ფაქტიურად იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა.

ახლაც, საქართველოში ინგლისის ჯარმა ისეთივე როლი ითამაშა საქართველოსთვის დენიკინის მიმართ, როგორც მათზე ადრე გერმანიის ჯარმა თურქების მიმართ.

მწუხარებით უნდა აღინიშნოს, რომ ქართველებმა ინგლისის მიერ გამოწვეული ხელი ვერ გამოიყენეს. ქართველი სოციალისტები ხედავდნენ საფრთხეს ინგლისის იმპერიალიზმში. ისინი ემხრობოდნენ ფიქციებს: დემოკრატიას, ინტერნაციონალს და სხ. რეალურ ძალებს "იმპერიალისტებს" კი უნდობლობას უცხადებდნენ. მათ ასეთ მოქმედებაზე ევროპის პრესაშიც ბევრი იწერებოდა და ეს ჩვენს ქვეყანას ახასიათებდა როგორც მოუმზადებელ ერს დამოუკიდებლობისათვის. მაგ: ა.ჩხენკელს ლოუცერნის კონფერენციაზე განუცხადებია: ჩვენი დამოუკიდებლობა უნდა იცნოთ, რადგან ჩვენს მეზობლებს მიწები უსასყიდლოდ ჩამოვართვით. ირ.წერეთლის თხოვნით კი 28 აპრილს 1919 წელს ამსტერდამის ყრილობამ ასეთი რეზოლუცია ჭმოიტანა: რომ ის ღებბა საქ-

ართველის დამოუკიდებლობას, ოღონდ გამორიცხული უნდა იყოს ყოველივე კონტროლი უცხო სახელმწიფო-სი და სხ. ერთის მხრით გაჭირვების დროს სხვებს ეხვეწებოდნენ დახმარებისათვის და მეორეს მხრით არავის მიკარება უნდოდათ, თუ ვინმე რამე ინტერესს გამოიჩენდა საქართველოს მიმართ.

მართალია, ქართველობა ულამაზეს რასად არის გამოცხადებული, მაგრამ არ მგონია რომ ჩვენი სოციალისტების ლამაზი თვალებისთვის დაგვეხმარებოდნენ!

6. შინაური მდგომარეობა. სანამ საერთაშორისო ასპარეზზე ქართული სა კითხის შესახებ საუბარს განვაგრძობდე, საჭიროა გავითვალისწინოთ ზოგი რამ შინაური ურთიერთობიდან. რათა გასაგები იყოს ჩვენი ძალების გამოსვლის ხასიათი უცხოეთის წინაშე.

აზერბეიჯანს, სომხეთსა და საქართველოს შორის არსებობდა ზოგი სადავო საკითხები საზღვრების შესახებ. რუსეთის მიერ ამ. კავკასიის დაპყრობამდე სომხეთის სამეფო აღარ არსებობდა. მისი მიწები განწილებული იყო მეზობელ მუსულმანურ სახელმწიფოთა შორის. მათ შორის ერევნის ხანი ითვლებო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ქართველი მეფის მოხარკედ. აზერბეიჯანი როგ-
ორც ერთი მთლიანი სახელმწიფო არ არსებობდა. ის
დანაწილებული იყო პატარა სახანოებად და ზოგი
მათგანი იყო საქართველოს მოკავშირე და ზოგი მი-
სი გავლენის ქვეშ. მაშინ საზღვრებზე დავაც არ
არსებობდა. რუსების მოსვლის შემდეგ მდგომარეო-
ბა შეიცვალა. მათ რუსული ადმინისტრატიული დანა-
წილება შემოიტანეს და წაშალეს ძველი ეთნიური და
პოლიტიკური საზღვრები. ამავე დროს მოახდინეს მო-
სახლეობის შერევა. მაგ/სომხებს ასახლებდნენ აზ-
ერბეიჯანსა და საქართველოში. თუმცა ჩვენი მეზო-
ბლების ჩამოსახლება ჩვენთვის ასატანი იყო. რე-
ვოლუციის შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა. ამ სა-
ლხებმა დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. საქართველომ
ბუნებრივად თავისი ძველი ტერიტორია დაიცვა,
რადგან რუსებს გეოგრაფიული და ფიზიკური მდგომა-
რეობა არ წაუშლიათ. აქ დაიბადა უთანხმოება.
ერთის მხრით აზერბეიჯანელები და მეორეს მხრით
სომხები მოითხოვდნენ ყველა იმ ტერიტორიებს, სა-
დაც მათი ელემენტი სჭარბობდა, ე.ი. ტერიტორიის

გადანაწილებას მოითხოვდნენ მოსახლეობის პრინცი-პით. ამას კი საქართველო ვერ მიიღებდა, რადგან მაშინ საქართველოს თვით სატახტო ქალაქიც სომხე-ბისათვის უნდა დაეთმო, რადგან ამ დროს მისი მო-სახლეობის დიდ ნაწილს სომხობა შეადგენდა. როგორც ვაჭრობის მიმდევარი ხალხი, სომხობა აქ იყრიდა თავს როგორც მთელი კავკასიისათვის პოლიტიკურ, კულტურულ და ეკონომიურ ცენტრში. მართალია, სომ-ხები აქამდე არ მისულან თბილისიც მოეთხოვათ, მაგრამ უცხო პრესაში ერთდ გაისმა კიდეც თბილისის საერთო ქალაქად გადაქცევა მთელი ა.კ-თვის!

აზერბეიჯანის მხრივ, რომელსაც ქართველებმა და-იკავეს ბორჩალოს მაზრა, მათ პროტესტი განაცხადეს. მაგრამ საქმე შეთანხმებით გათავდა. საქართველოს მთავრობამ მიიღო აზერბეიჯანის წინადადება, რომ შეხვდეს საარბიტრო კომისია და ყოველივე მან გადა-წყვიტოს. (დოკ.221). ასე მოხდა მათთან ზავი.

მდგომარეობა გართულდა სომხებთან, რომელიც, რო-გორც ზემოთ აღვნიშნე, შეიარაღებულ კონფლიქტამდეც მივიდა. 19 ოქტ.1918 წელს სომხებმა დაიკავეს სი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაირის მხარე, რაც საქართველოს ეკუთვნოდა. მერე კიდევ მოითხოვდნენ ახალქალაქის მაზრას: სადაც 1827 წელს რუსებმა ჩამოასახლეს ერზრუმის მხარის სომხობა და ამ მიზეზით უნდოდათ საქართველოს ეს ძველი კულტურული ცენტრი გადასულიყო სომხების ხელში... ბოლოს აქაც ზავი მოხდა 25 დეკემბერს ინგლისის ჯარების უფროსის გენ.ვილიამ რაიკროფტის, საფრანგეთის მისიის წარმომადგენლის პოლკ.შარდინის და საქ.მთ. თავმჯდომარის ნ.ჟორდანიას შორის. ამ შეთანხმებაში ვკითხულობთ:

"სამხედრო მოქმედება ქართველებსა და სომხებს შორის უნდა დაუყოვნებლივ შეწყდეს, და შერეული კომისია, რომელიც იქნება შედგენილი ბრიტანეთის და საფრანგეთის ჯარების ოფიცრებისაგან, საქართველოს მთავრობის წარმომადგენლობასთან ერთად გაემგზავრება ფრონტზე შეთანხმების დებულების ასასრულებლად და მისი შესრულების თვალყურის სადევნებლად, თანახმად ერევანში გაგზავნილ ტელეგრამისა".

ხელს აწერენ: რაიკროფტი, შარდინი, ჟორდანია. საერთოდ გადაწყდა საკითხის მოგვარება მომავალში შერეული კომისიის მიერ. ასე დამთავრდა ზავი ა.გ. რესპუბლიკათა შორის.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის დაშლის შემდეგაც ერთობის იდეა არ მომკვდარა. მართალია აზერბეიჯანელები დასაწყისში ბევრს მოელოდნენ თურქე-

ბისაგან და მერე სომხები მოკავშირეებისაგან, მაგრამ ეს იმედები არ გამართლდა და საჭირო იყო საკუთარ ძალებზე დაყრდნობა. ამიტომ მათ შორის ერთობა რაიმე ფორმით აუცილებელი იყო.

ამ მიზნით საქართველომ აიღო ინიციატივა კავკასიის ხალხთა კონფერენციის მოსაწვევად.

ჯერ კიდევ 27 ოქტ. 1918 წ. საქართველოს მთავრობამ მიმართა აზერბეიჯანის, სომხეთის და ჩრდილო-კავკასიის მთავრობებს და იწვევდა საერთო კონფერენციაზე შემდეგი საკითხების გადასაწყვეტად: ურთიერთ სახელმწიფოთა ცნობა, სადაო საკითხების გადაწყვეტა, სოლიდარული გამოსვლა საერთაშორისო საქმეებში და სხ. ყოველივე ეს დასაბუთებული იყო იმით რომ მსოფლიო ომის ბოლო ახლოვდებოდა და სასურველი იქნება რომ საზავო კონფერენციისათვის უკვე ერთად გამოვიდეთ. ამ მოწოდებას სომხები ცოტა ცივად შეხვდნენ, რადგან მაშინ ცოტა უკმაყოფილება ჰქონდათ ქართველებთან, ხოლო პრინციპი მაინც მიიღეს. ხოლო საქმეს აზვიადებდნენ და მოითხოვდნენ რომ სადაო საკითხები სომხებსა და ქართვე-

ლებს შორის ჯერ ცალკე გადაეწყვიტათ და მერე შესვლოდნენ კონფერენციაზე. კონფერენცია 3 ნოემბრიდან გადაიდო 14 ნოემბრამდე. ამასობაში მოხდა საყოველთაო არმისტისი(11 ნოემბერი). კონფერენცია შესდგა. სომხები არ დაესწრნენ. კონფერენცია შეწყდა სომხების დაუსწრებლობის გამო. რადგან ამ დროს დენიკინი ემუქრებოდა ერთნაირად ქართველებსა და აზერბეიჯანელებს, მათ შორის მოხდა შეთანხმება და 16 იანვარს 1919 წელს დაიდო საკავშირო ხელშეკრულება. ხელშეკრულების პირველი მუხლი ავალებს ორივე მხარეს, თუ გარეშე მტერი დაემუქრა ერთ მხარეს, მეორე მოვალეა პირველთან ერთად იმოქმედოს საერთო მტრის წინააღმდეგ. ყველა შინაური საკითხები მოგვარებული იქნება შეთანხმებით ან არბიტრაჟით. სომხეთსაც ეძლევა ვადა ამ ხელშეკრულებას შეუერთდეს და სხ. შემდეგ ეს ხელშეკრულება ემცნო ვერსალის კონფერენციას.

სომხეთის პოლიტიკის სარჩული იყო შემდეგი: როდესაც 28 მაისს 1918 წ. დამოუკიდებლობა გამოაცხადეს, აქრი გულისხმობდა კავკასიის და ოსმალე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თის სომხეთის გაერთიანებას და ამით ის ნაწილობრივ გადიოდა კავკასიის პოლიტიკის ზონიდან. ამან შეუშალა ხელი საზღვრების საკითხის მოგვარებას. რადგან ჯერ არ იცოდნენ რა მოხდებოდა. თუ სომხეთი მიიღებდა ტერიტორიებს ოსმალეთისაგან, მაშინ საქართველოსთან და აზერბაიჯანთან შეთანხმება ადვილდებოდა. ხოლო თუ ეს არ მოხდებოდა, უკანასკნელთ უნდა დაეკმაყოფილებინათ მესამე მეზობელი. ასეთი იყო ა.გ. მდგომარეობა, როდესაც მათი საკითხი ისმებოდა ვერსალის კონფერენციაზე.

<u>7. ვერსალის კონფერენცია.</u> ვერსალის კონფერენციაზე იდგა მთელი რიგი პატარა ქვეყნების მოვლა-პატრონობის საკითხი. სახელდობრ, გერმანიის ყოფილი კოლონიების საკითხი, ოსმალეთის ყოფილი ნაწილების სომხეთი, პალესტინა, მესოპოტამია) და სხ. მათ შორის ამ.კავ. საკითხიც უნდა ყოფილიყო განხილული.

მაშინ როდესაც სხვა ქვეყნებისათვის კონფერენცია აწესებდა ამა თუ იმ მანდატს, სულ სხვა იყო საქართველოს მდგომარეობა. მას უკვე დამოუკიდებლობა ჰქონდა გამოცხადებული და ის იდგა ყოვე-

ლივე მანდატის გარეშე. ის მხოლოდ მოითხოვდა სახელმწიფოების მიერ ფორმალურ ცნობას.

ცხადია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, რომელიც გულისხმობდა სრულ დამოუკიდებლობას და რომელიც დამფუძნებელმა კრებამ ერთხმად მიიღო, საკმარისი გარანტია არ იყო დამოუკიდებლობისათვის. ამ ნაკლს ვერც მისი ფორმალური ცნობა შეავსებდა. ისეთ პატარა ქვეყანას, როგორც საქართველო , განსაკუთრებით მისი გეოგრაფიული პირობების გამო, სჭირდებოდა ვისმეს დახმარება. განსაკუთრებით კი ეს უნდა მოეპოვებინა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან ან მათი თანხმობით რომელიმე ძლიერი სახელმწიფოსაგან. ასეთ პირობებში ის შეიძლება რუსეთსაც ეცნო და საერთო გარემოების შედეგად, მას ხელი აელო საქართველოზე. 1918 წლის ასეთი დახმარება იკისრა გერმანიამ. ხოლო გერმანიის დამარცხების შემდეგ, ბრესტ-ლიტოვსკის გაუქმებასთან ერთად, რუსეთმა გერმანიას აცნობა იმ მუხლის გაუქმებაც, რომლითაც საქ. დამოუკიდებლობის ცნობას ჰპირდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლაც ასე იდგა საკითხი. ბევრს ეგონა რომ ფორმალური ცნობით საქმე თავდებოდა. და როდესაც ვერსალის უმაღლესმა საბჭომ იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა დ ე ფ ა ქ ტ ო (ფაქტიურად), ამის გამო 14 იანვარს 1920 წელს საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ ნ.ჟორდანიამ ასე მიმართა დამფუძნებელ კრებას: "მოქალაქენო! ნება მიბოძეთ მოგილოცოთ თქვენ, მივულოცო საქართველოს ხალხს საერთაშორისო ოჯახში გაშლილი დროშით შესვლა და ევროპის ხალხთა გვერდით საკუთარი ადგილის დაჭერა. ამიერიდან ქართველი ერი მიღებულია დიდი ერების მიერ, როგორც თანასწორი თანასწორთა შორის. დღეიდან ჩვენი ცხოვრებადა მომავალი გზა-კვალი მკვიდროდ, უშუამავლოდ გადაეჯაჭვა დასავლეთს და ამ კავშირის გაქარწყლება არ ძალუძს არავითარ ძალას". (იხ.დამფუძ.კრების სტენოგრაფ.ანგარიშები).

ჩვენ აქ ფაქტებს გავასწარით, მხოლოდ იმისთვის, რომ გვეჩვენებინა თუ როგორი ილუზიებით საზრდოობდა საქართველოს მაშინდელი მმართველობა და მომავალი გვაჩვენებს რომ საქართველოს ფაქტიური კი არა სწორედ მისი იურიდიული ცნობის შემდეგ დაატყდება თავს ყველაზე დიდი უბედურება!...

ფაქტიურად 1919 წელს საქართველო "უშუამავლოდ" არ ყოფილა, როგორც ამაში ჟორდანია არწმუნებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და დამფუძნებელ კრებას. ამ დროს საქართველოს მფარველნი მოკავშირენი და თვით ვერსალის უმაღლეს საბჭო იყო.

ახლა დავუბრუნდეთ ვერსალის კონფერენციას.

ზ. ავალიშვილი თავის მოგონებებში ბევრ საინტერესო ამბებს გადმოგვცემს, რაც მომავალ თაობებს გამოადგება გაკვეთილად!

ზ. ავალიშვილი ფიქრობდა, რომ ისეთი ქვეყანა როგორც საქართველოა (ოსმალეთ-რუსეთის შორის), ფინლანდია და სხ. რომელთაც დიდი ხანია სახელმწიფოებრივი ცხოვრება შეწყვეტილი ჰქონდათ, საჭიროებდნენ დაცვას ამა თუ იმ დიდი სახელმწიფოსაგან. ამისთვის გერმანიის შემდეგ მოწოდებულნი იყვნენ მოკავშირენი. მაგრამ ასე არ ფიქრობდა ჩვენი მთავრობის დელეგაცია. გაბატონებული წრე ერიდებოდა დასავლეთის "იმპერიალისტებს". თუმცა არც მათ კომპლიმენტებს გაურბოდნენ! ისინი საფრთხეს ვერ ხედავდნენ. "მსოფლიო დემოკრატია" თუ მხარს დაუჭერდა, ეს უველაფრად კმაროდა!

ზ. ავალიშვილი ფიქრობდა მიელოთ მანდატი. და ფიქრობდა რომ არსებითად ეს მანდატი იქნებოდა შესატყვისი გერმანია-საქართველოს ურთიერთობისათ.

ოფიციალური წრეები ფრთხებოდნენ სიტყვა "მანდატისაგან".

სანამ ინგლისი თავის ჯარს გაიყვანდა საქართველოდან, რადგან მათი აქ ყოფნა მოხდა მოკავშირეთა საერთო შეთანხმებით, იტალია-ინგლისი მორიგდნენ რომ ინგლისის ადგილი იტალიას დაეკავებინა. ეს ამბავი ევროპის პრესაში ოფიციალურად იყო გამოცხადებული.

ამ ჯერად ეს მიიღო საქართველოს მთავრობამ. შესაძლოა ეს სასარგებლო ყოფილიყო საქართველოსთვის და იტალიასაც აინტერესებდა საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეების დამუშავება. ის განსაკუთრებით დაინტერესებული იყო ქვა-ნახშირით, რითაც საქართველო მდიდარი იყო. ის იქამდე დაინტერესებული იყო, რომ ავალიშვილის მოსწრებული სიტყვით, ახლა იტალიას გაუჩნდა საქართველოს ორიენტაცია და არა უკუღმა. ვინაიდან იტალია-ინგლისის შეთანხმება მოხდა მოკავშირეთა გეგმით, ეს იმას ნიშნავდა რომ მათ აინტერესებდათ საქართველოს დაცვა. ამის შემდეგ იტალია აგზავნის საქართველოში სპეციალურ მისიას პოლკ. გაბბას მეთაურობით ადგილობრივი

პირობების შესასწავლად. იტალიაში კი მომზადებული იყო ერთი კორპუსი ჯარი საქართველოსათვის.

ქართველ დელეგატებსა და იტალიელებს შორის მოლაპარაკება დაიწყო პარიზში. იტალიელები ჰპირდებოდნენ რომ ისინი დაეხმარებოდნენ ცნობის საქმეშიც. 10 მაისს 1919 წელს ინგლისის ჯარების სარდალი გენ.ტომსონი ამცნობს ნ.ჟორდანიას, რომ მისი ჯარები დასტოვებენ საქართველოს და მათ მაგიერ შემოვა იტალიის ჯარი. როდესაც ეს ამბები ხდებოდა, სწორედ მაშინ გაიზარდა დენიკინის საფრთხე და პოლკ.გაბბა გაიწვიეს პარიზში.

იტალიის მისია შეუდგა მუშაობას საქართველოში. ომის შემდეგ პირველი იტალიამ განაახლა საზღვაო მიმოსვლა საქართველოსთან. გახსნეს ბანკები და სხ.

ამ დროს იტალიის მთავრობის თავმჯდომარე გახდა ფრ.ნიტი და მან მთელი ეს გეგმა უარჰყო. აქ მინდა მოვიყვანო ვრცლად მისი აზრი. რომელიც ცოტა გვიან მუსოლინის მოსვლის შემდეგ ის გაემიგრანტდა ცხოვრობდა პარიზში და თავისი აზრი რამდენიმე თავის თხზულებაში გაიმეორა. ის იგონებს:

"როდესაც ივნისში 1919 წელს მე ვიყავი მიწვეული იტალიის მთავრობის თავმჯდომარედ, მზად იყო სამხედრო ექსპედიცია საქართველოს სამხედრო ოკუპაციისათვის. ანტანტის ქვეყნები, რომელნიც იყვნენ რუსეთის მოკავშირენი, არა მარტო თანახმა იყვნენ რომ იტალიას დაეკავებინა საქართველო, ქვეყანა მდიდარი ნავთით, მინერალებით და ნაყოფიერი ნიადაგით, არამედ გვაქეზებდნენ კიდეც. გვარწმუნებდნენ რომ საქართველო იქნებოდა იდეალური ასპარეზი იტალიის მოქმედებისათვის. როდესაც მე მივიღე მთავრობის ხელმძღვანელობა, ჩემი წინამორბედი დიდის ენთუზიაზმით მელაპარაკებოდა ამ ექსპედიციის შესახებ, რომელიც პარტიების მიერ დადებითად იყო აღიარებული. ექსპედიციისათვის უკვე მიღებული იყო ზომები და ბანკებიც დაარსებული.
მე მაშინადვე მივხვდი რომ ეს ექსპედიცია ნიშნავდა დარღვევას საერთაშორისო უფლების ყველა წესებისა. ის იყო სახიფათო სამხედრო თვალსაზრისით და რომ ის აუცილებლად მიგვიყვანდა მოსკოვთან ომამდე. საქმიანობის შექმნის მაგიერ, რუსეთის ტერიტორიის დაკავება იყო უბედურება. მე უყოყმანოდ შევაჩერე ექსპედიციის სამზადისი და კმაყოფილი ვიყავ ამ ზომების მიღებით, რადგან ცოტა ხნის შემდეგ ბოლშევიკების ჯარი შევიდა ტფილისში, მას უნდა ეომა რუსეთის წინააღმდეგ".1).

ეს ვრცელი ამონაწერი იმიტომ მოვიყვანე რომ მკითხველმა ნათლად დაინახოს თუ ევროპის ზოგიერთი პოლიტიკოსი როგორი ბნელი სათვალეებით უცქეროდა საქართველოს. ნიტის ეს მოუვიდა რუსეთის შიშით, თორემ იტალიელები საქართველოს დიდი

---

1) F.NITTI. "Bolchevisme, Fascisme et la democratie ". Paris 1926 p.130."La Deemocratie" Paris. 1933.t.1, et A"Europa senza"

ხნიდან კარგად იცნობდნენ. მიუხედავად იმისა რომ საქართველო დამოუკიდებელი იყო და თვით იტალიელებიც ეხმარებოდნენ მის ცნობაში, ნიტი საქართველოს რუსეთის ტერიტორიად სთვლის. და არც არავითარ "საერთაშორისო უფლების" დარღვევასთან გვქონდა საქმე. რაკი მათი ჯარების შემოყვანა ხდებოდა ერთის მხრით უმაღლეს საბჭოს თანხმობით და მეორეს მხრით საქართველოს მთავრობისა. ეს რომ იტალიას ცალმხრივ გადაეწყვიტა, მაშინ იქნებოდა ეს ოკუპაცია. მთავარი მაინც ის იყო რომ ეს ყოველივე ხდებოდა საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით. ხოლო უფრო ადრე არც გერმანელებს და არც ინგლისელებს საქართველოს ოკუპაცია არ მოუხდენიათ და იტალიის ჯარის შემოსვლაც ამავე პირობებით ხდებოდა. ის დაეხმარებოდა საქართველოს სამხედრო თვალსაზრისით და მიიღებდა ეკონომიურ შეღავათებს. რუსეთთან ომის შიშიც მაშინ უადგილო იყო, რადგან მაშინ ბოლშევიკები სამოქალაქო ომში იყვნენ და სხვებისთვის არ ეცალათ. მაგ: ყველა წყაროები ადასტურებენ რომ 1921 წელს რომ საქართველო სათანადოდ მომზადებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულტიმატუმ და აგრეთვე თურქების აზერბაიჯანის მიმართ გამცემლობა არ ჩაედინათ, იმ პერიოდში რუსეთი საქართველოში ფეხს ვერ შემოდგამდა. ყოველ შემთხვევაში, იტალიის დახმარების იმედიც გაქრა...

8. ევროპა სტოვებს საქართველოს. იტალიის შემდეგ კიდევ მოსალოდნელი ერთი გარემოება, ეს იყო ამერიკის მანდატი სომხეთზე. ამას მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს ცნობისათვისაც. თუ ამერიკა მიიღებდა მანდატს სომხეთზე, საქართველოც ერთნაირად მისი მფარველობის ქვეშ მოჰყვებოდა. ამერიკას შეეძლო გაემაგრებინა საქართველო დიპლომატიურად და ფინანსურად. გარდა ამისა თუ ალ.ხატისოვის ავტონომია გამოცხადდებოდა, მითვე საქართველო უშუალოდ მოსწყდებოდა ოსმალეთს. მაგრამ მალე ეს იმედიც გაჰქრა, რადგან ამერიკის მანდატი სომხეთზე არ განხორციელდა!

ვილსონმა გაგზავნა კავკასიაში სპეციალური კომისია გენ.დ.გ.ჰარბორდის მეთაურობით. კომისიამ უარყოფითი ცნობები ჩამოიტანა. ამის შემდეგ ამერიკას ეკარგება ინტერესი სომხეთზე. მაშასადამე, ამერიკაშიც ჩვენი საკითხი დადებითად ვერ გადაწყდა?

ინგლისმა და იტალიამ ხელი აიღეს საქართველო-კავკასიაზე. გერმანიის საკითხი ხომ ადრევე მოხსნილი იყო. ასევე გულცივად იყო საფრანგეთი. ის უფრო ძველი რუსეთის აღდგენით იყო დაინტერესებული: და გამოდიოდა რომ საქართველოს ბედს ისევ რუსების ამარას სწყვეტდნენ...

გონიერი თვალი მაშინაც შეინიშნავდა ამას, და დღეს იქნებოდა თუ ხვალ, თეთრი თუ წითელი დათვი დახვევდა მის ყელს, ამიტომ მით უფრო ახლო საჭირო იყო შიგნით მტკიცე ერთობა.

კავკასიის რესპუბლიკები მაინც მიიწევდნენ დამოუკიდებლობის ცნობის მოპოვებისაკენ. ამის ნიადაგი მზადდებოდა რუსეთის თეთრი გენერლების დამარცხების შემდეგ. 1919 წ. მიწურულში ეს ფაქტი ხდება. იუდენიჩი ვერ იღებს პეტერბურგს, კოლჩაკს დაახევინეს შორეული ციმბირისაკენ და დენიკინიც სამხრეთით იწევს, გასაქცევი გზა ღა რჩება...

მას შემდეგ რაც მოკავშირეებმა იცნეს კოლჩაკის მთავრობა, ბევრი რამ შეიცვალა. 1920 წლის დასაწყისში მოკავშირეებმა წინადადება მისცეს საქართველოს, შეეკრა მასთან სამხედრო კავშირი დენი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კინის წინააღმდეგ, რადგან მათ იცოდნენ რომ დენიკინი აწუხებდა საქართველოს. საქართველომ უარი უთხრა. მიზანშეწონილად არ იცნო რუსეთის შინაურ საქმეებში ჩარეულიყო.

ამ ხანებში ბოლშევიკების გაძლიერება შესამჩნევი იყო და ვერსალის საბჭომაც იგრძნო თეთრების დამარცხება. სწორედ ამ დროს იყო რომ უმაღლესმა საბჭომ დაადგინა ფაქტიური ცნობა 11 იანვარს 1920 წელს საქართველოსი და აზერბეიჯანისა და 18 იანვარს სომხეთისა.

საქართველო იცნეს შემდეგი თანმიმდევრობით:

არგენტინამ იცნო საქართველო იურიდიულად 15 სექტ.1919 წლის დეკრეტით 1).

11 იანვარს 1920 წელს ფაქტიურად: ინგლისმა, საფრანგეთმა და იტალიამ. 7თებერვალს იაპონიამ, ხოლო 7 მაისს 1920 წელს სპეციალური ხელშეკრულებით საბჭოთა რუსეთმა ფაქტიურად და იურიდიულადაც. 26 აგვისტოს 1920 წელს იცნო ბელგიამ იურიდიულად.

---

1) Documents Presente'e par le gouvernement de la republique de Georgie a la premiere assemblee de la Societe des Nations,. London, 1920.

24 სექტ.1920 წ.გერმანიამ, ხოლო 11 თებ. 1920 წ. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ევ.გეგეჭკორი, დენიკინის წარმომადგენლის პოლკ.ლიუნისაგან იღებს ცნობას: "მაქვს პატივი ამით გაცნობოთ, რომ სამხრეთ რუსეთის ჯარების მთავარსარდალი გენ.დენიკინი სცნობს ფაქტიურ არსებობას საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის მთავრობებისა". ამგვარად, ევროპის მაგალითმა, თუმცა დაგვიანებით, დენიკინიც აიძულა ეცნო საქართველო დე ფაქტო.

საქართველოს ამ ცნობით მოპოვებული იყო მხოლოდ მორალური მხარე და რეალურად დიდ ერთ შორის მან მოგვიცე ადგილი ვერ მონახა.ამაში კი მას დიდად შეუშალა ხელი შინაურმა შეუთანხმებლობამ.

13 აპრილს 1920 წელს, სან რემოს კონფერენციის წინ, ინგლისის წარმომადგენელი რ. ვანსიტარტი ხვდება ამ.კავ.დელეგაციებს და პირდაპირ უცხადებს: "უმაღლეს საბჭოს წრეებში უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ ამ.კავ. რესპუბლიკებს არავითარი მომავალი არა აქვთ".

თუმცა ეს წინ უსწრებდა ბოლშევიკების მიერ საქართველოს ცნობას, მაგრამ 28 აპრილს 1920 წ. აზერბეიჯანი უკვე ბოლშევიკებმა დაიკავეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვანსიტარტი უთითებდა რომ თქვენ ერთმანეთში ვერ შექმენით სოლიდარობა და ამ გარემოებამ ხელი შეუშალა თქვენი საკითხის გამაგრებას გარედან. (ამ უთანხმოებაზე უკვე გვქონდა საუბარი).

ბოლოს ამ. კავ. დელეგაციები შეთანხმდნენ რომ საერთო აზრი წარედგინათ ინგლისის წარმომადგენლისათვის, რომელსაც უნდა დაეცვა ა.კ. საკითხი სან რემოს კონფერენციაზე.

ადრე მათი შეთანხმება პარიზში ვერ მოხდა და ახლა სან რემოში უნდა ეცადათ. ბევრ რამეში ურთიერთ დათმობის შემდეგ სომხებმა მოითხოვეს ბათუმის ოლქის ერთი ნაწილი, სახელდობრ; ჭოროხის მარცხენა მხარე, რათა შიგ ზღვაზე მისულიყვნენ მათი რკინის გზით. ამით კი ისინი იჭრებოდნენ საქართველოს ტერიტორიაზე. ბოლოს ეს მოხსნეს. ჩხეიძე წინადადებას აძლევს, რომ საქართველო მისცემს გზას: ერევანი-თბილისი-ბათუმი. სომხები მოითხოვენ რომ ისინი ააშენებენ საკუთარ რკინის გზას ჭოროხის ხეობით ბათუმთან ახლოს. ქართველები ამაზე დასთანხმდნენ. ხოლო სომხებმა მოითხოვეს რომ როგორც რკინის გზა

ისე მისი ზონა მათი საკუთრება იქნებოდა და აგ-რეთვე ააშენებდნენ საკუთარ ნავთსადგურებს. ამაზე კი ქართველები არ დასთანხმდნენ. ამის შემდეგ ინგლისის ხელმძღვანელობამ მიატოვა ისინი... ამ მოლაპარაკებაში ორივე მხარემ დიდი სიბეცე გამოიჩინა, მაგრამ აღარ ღირს ახლა კრიტიკა...

როდესაც ა.კ. დელეგაციები თვითონ ვერ შეთანხმდნენ, მაშინ კონფერენციამ მათი საკითხი ასე გადასჭრა: ის სცნობს ამ რესპუბლიკებს და 92 მუხ. ძალით რესპუბლიკათა შორის საზღვრების საკითხი უნდა მოგვარდეს ურთიერთ შეთანხმებით. თუ ეს არ მოხდა თურქეთ-სომხეთის საზღვრების გამოკვლევამდე, მაშინ ის მოწესრიგებული იქნება მთავარ მოკავშირეთა მიერ. 351 მუხლის ძალით ბათუმის სუვერენობის საკითხი რჩება ღიად. გახსნილი იქნება თავისუფალი ვაჭრობა ყველასათვის, ვინც ერთა ლიგაში შედის. რეჟიმი იქნება ერთა ლიგის კონტროლის ქვეშ...

9. საქართველო და ერთა ლიგა. ამნაირად, საქართველო მთავარ მოკავშირეებმა იცნეს ფაქტიურად, ხოლო ზოგმა, მათ შორის საბჭოთა რუსეთმაც, იურიდი-

ულადაც. ამის შემდეგ საკითხი იდგა ერთა ლიგაში შესვლის შესახებ. ეს ერთი საშუალება კიდევ დარჩა რომ საერთაშორისო გზით რაიმე გარანტია მისცემოდა საქართველოს.

15 ნოემბრისათვის 1920 წლისა, ქართულმა დელეგაციამ წარადგინა ლიგაში თავისი მემორანდუმი. ამ დღეს უნდა გახსნილიყო ლიგის პირველი ყრილობა.

ერთა ლიგას დასაწყისშივე თან დაჰყვა ერთი ანომალია. იქ მონაწილეობას არ იღებდა ის ქვეყანა, რომლის პრეზიდენტის ინიციატივითაც შეიქმნა ეს დაწესებულება. მის გარეშე იყვნენ აგრეთვე გერმანია, რუსეთი, ოსმალეთი და სხ.

საქართველოს მიერ წარდგენილი დოკუმენტი გადაეცა სპეციალურ კომისიას ნანსენის თავმჯდომარეობით.

კომისიამ განიხილა საკითხი და თითქმის ყველაფერი დამაკმაყოფილებლად იცნო. ცოტა საზღვრების საკითხი აღიარა გამოურკვევლად. კომისიამ ყრილობას წარუდგინა შემდეგი: "კომისია ურჩევს ყრილობას აცნობოს საქართველოს მთავრობას: 1. რომ მისი თხოვნა იყო განხილული თანაგრძნობით; მაგრამ გარემოებანი მას ჯერ ნებას არ აძლევენ მასზე საბოლოო

გადაწყვეტილების მიღებისა.2. შემდეგი გადაწყვე-ტილების მიღებამდე ერთობის მიერ, ეს სახელმწი-ფო თავისუფლად მიიღოს მონაწილეობა თავის საერ-თო ხასიათის ტექნიკურ ორგანიზაციებში".(იხ. ამ ერთობის ანგარიშები გვ.639).

16 დეკემბერს 1920 წელს ლიგის ერთობა იხი-ლავს საქართველოს მიღების საკითხს და მასთან ერ-თად საკითხს ბალტიის ქვეყნებისა: ესტონიის, ლატ-ვიის და ლიტვისა. საქართველოს საკითხმა დიდი კა-მათი გამოიწვია. როგორც ზემოდ ნიტის სიტყვებიდან ვანახეთ, ევროპაში კიდევ დაძრწოდა თეთრი დათვის (ახლა წითლად შეღებილის) აჩრდილი! საინტერესოდ აქ ზოგი სიტყვა უნდა გავიხსენოთ.

ნორვეგიის წარმომადგენელი დოქ.ნანსენი:

"დამოუკიდებლობა საქართველოსი, უკეთ ქართველი ერისა მოდის ძალიან შორეული წარსულიდან. ეს ძველი ერი, რომელიც შეიცავს საკვირველ ღირსებებს, და რომელიც დაკავშირებული იყო რუსეთთან უკანასკნელ საუკუნის განმავლობაში, ახლა ის დამოუკიდებელია, როგორც ის იყო რუსეთთან შეერთებამდე. სამწუხაროდ, ამ თვალსაზრისით, არ არსებობს საბუთი, რომ მისი მიღების შესახებ თხოვნა უკუგდებულ იქნას" და სხ.

სამხრეთ აფრიკის წარმომადგენელი ლორდ სესილი:

"ეს ქვეყანა არ იმყოფება მუქარის ქვეშ სხვა მე-ზობლების მხრივ, და არა გვაქვს საბუთი ვიფიქ-როთ, რომ იქ არსებობს ომი მისსა და მის რომელი-

მე მოსაზღვრე ქვეყნის შორის. საწინააღმდეგო საბუთები ამ ქვეყნის მიღების შესახებ არ არიან ძლიერნი. სამაგიეროდ მისი სასარგებლო საბუთები მრავალია. აუცილებელია დამყარდეს ხანგრძლივი ზავი. აუცილებლობა მოითხოვს დაცული იქმნას საქართველო ბოლშევიზმის წინააღმდეგ"..

ინგლისის წარმომადგენელი მ.ფიშერი:

"ნუ ავრევთ გრძნობის საკითხს სახელმწიფო ადამიანის მოვალეობის საკითხში. მე ვსთხოვ დელეგატებს, რომელნიც ღებენ თავზე ხმის მიცემის პასუხისმგებლობას, დაფიქრდნენ, თუ ისინი მზად არიან უჩვენონ თავიანთ მთავრობებს, დაეხმარონ მატერიალურად რუსეთის საზღვარზე მყოფ ამ მამაც პატარა სახელმწიფოს, რომელსაც მდგომარეობა ამის საჭიროებას მოითხოვს" 1).

და ბოლოს ყრილობამ ხმის უმრავლესობით მეხუთე კომისიის დადგენილება მიიღო: საქართველო, ესტონია, ლატვია და ლიტვა არ იქნებიან მიღებული.

ხმების განაწილება მოხდა ასე:

| ხმების | საქართველო | -ლიტვა | -ლატვია | -ესტონეთი |
|---|---|---|---|---|
| საერთო რიცხვი | 23 | - 28 | - 29 | - 32 |
| მომხრე: | 10 | - 5 | - 5 | - 5 |
| წინაღ: | 13 | - 23 | - 24 | - 27 |

მეორე უმრავლესობით გადაწყდა საქართველოს არ მიღება 2).

1) Documents relatifs à la question de la Georgie devant la Societe des Natios. Paris 1925.
2) 1921, წ. ლიგის მეორე ყრილობაზე ბალტიის ქვეყნები მიღებული იყვნენ.

საქართველოს უარის მეორე ლოდსვე , უარი მიიღო სომხეთმაც. საქართველოს ლიგაში ბევრი დამცველები ჰყავდა. განსაკუთრებით იცავდა მას სპარსეთის წარმომადგენელი, პორტუგალიის და სხ. მაგრამ ის მაინც არ იქმნა მიღებული. გადამწყვეტი იყო ინგლის-საფრანგეთი და მათ არ იკისრეს ნათლიობა. არც ერთად და არც ცალ-ცალკე, არავინ იკისრა საქართველოს დაცვის დაპირება. ინგლისის წარმომადგენელმა, როგორც ვნახეთ ეს ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს დაცვას გარეშე თავდასხმისაგან ჩვენ ვერ ვიკისრებთო (თუმცა ერთა ლიგა ამისთვის იყო დაარსებული). ეს ნათლად იყო გამოხატული საფრანგეთის წარმომადგენლის , ვივიანის სიტყვაშიც. ის პირდაპირ ამბობს:

"... რომ ჩვენ არ შეგვიძლია მოვატყუოთ ერები. დავპირდეთ დახმარებას, მაშინ როდესაც ვერ დავეხმარებით. ამავე დროს ამ ქვეყნების ლიგაში მიღებაზედ ხმა მისცეს ისეთმა ქვეყნებმა, რომელნიც შორს არიან და არავითარი დახმარება შეუძლიათ" და სხ.

ისევ რუსეთის შიში. მის წინააღმდეგ საქართველოს დაცვას არავინ კისრულობს და საქართველო რჩება საკუთარი ძალების ამარად.

ამ ფაქტიდან ისიც სჩანს, რომ ერთა ლიგამ და-

საწყისშივე აუხვია მისი დანიშნულების გზას და გადაიქცა სულ სხვა დაწესებულებად, ვიდრე ამას ფიქრობდა მისგან მონაწილეობის შორს მდგომი, მაგრამ დამაარსებელი ვ ი ლ ს ო ნ ი, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი.!

საქართველოს არ მიღება ლიგაში იყო შედეგი ინგლის-საფრანგეთის პოლიტიკისა. განსაკუთრებით კი საქართველოს საკითხის დამარცხებისა სან რემოში და ინგლისში ბოლშევიკების მომხრე ლოიდ ჯორჯის პოლიტიკის გამარჯვებისა ლორდ კერზონის პოლიტიკაზე. ამიტომ ეს მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო, მიუხედავად იმისა რომ საქართველომ ლიგის 40 სახელმწიფოს თვალში დიდი ყურადღება დაიმსახურა, თვით ინგლის-საფრანგეთის თანაგრძნობის ჩათვლით.

10. საქართველოს იურიდიული ცნობა. აქ ჯ მოვიტოვებთ ამ პერიოდში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხს, რასაც შემდეგ თავში ვიხილავთ და მოვათავსებთ საქ.საკითხს საერთაშორისო ურთიერთობაში. ეს უკანასკნელი აქტი იყო მისი იურიდიული ცნობა. 1921 წლის დასაწყისში ეს ნიადაგი უკვე მზად

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო. ამ დროს ამ. კავკასიაში ერთი საქართველო იყო დარჩენილი დამოუკიდებელი. ჩრდილო-კავკასიის რესპუბლიკა ფაქტიურადაც არ იყო ცნობილი და ის პირველი დაიკავეს რუსებმა ხოლო 1920 წლის ბოლომდე, ბოლო მოუღეს აზერბეიჯანისა და სომხეთის დამოუკიდებლობას. საქართველოსადმი მათ სხვა ტაქტიკა აირჩიეს. 7 მაისს 1920 წელს მათ ოფიციალურად იცნეს საქართველოს დამოუკიდებლობა სათანადო ხელშეკრულებით. 16 ნოემბერს საქართველო აგრეთვე სდებს სავაჭრო ხელშეკრულებას საბჭოთა რუსეთთან და საბჭოთა აზერბეიჯანთან, რითაც საქართველო ნებას აძლევს ამ ორ ქვეყანას ბათუმში თავისუფალი ვაჭრობისა.

ასე რომ გარეგნულად მდგომარეობა ისე მოჩანდა, თითქოს რუსეთს საქართველოზე თავისი პრეტენზია მოხსნილი ჰქონდა. მაგრამ ქვემოთ, აღნიშნული ხელშეკრულების ანალიზი დაგვარწმუნებს, რომ რუსეთის ასეთი პოზა საქართველოს მიმართ იყო მოჩვენებითი. არსებითად კი სწორედ ამ ხელშეკრულებით მოამზადა მისი მომავალი აგრესიული ნაბიჯი.

მიუხედავად შექმნილი მდგომარეობისა, 27 იანვარს 1921 წელს, ევროპის უმაღლესმა საბჭომ იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა იურიდიულად. სწორედ იმ დღეს ე.ი. ძველი სტილით 14 იანვარს, როდესაც ქართველი ერი დღესასწაულობდა მისი განმანათლებლის წმ. ნინოს დღეობას. ამ ამბავს ასე ამცნობდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ რ ი ა ნ ი, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს გეგეჭკორს:

"ვამცნე რა თავაზიანად თქვენი უერილი კონფერენციის, უკანასკნელმა ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება ეცნო საქართველოს მთავრობა იურიდიულად. მოკავშირე სახელმწიფოები ბედნიერნი არიან კიდევ ერთხელ დაგიმოწმონ თავიანთი თანაგრძნობა, რომლითაც ისინი ხვდებოდნენ ქართველი ხალხის მისწრაფებას დამოუკიდებლობისაკენ, და აღტაცება მის მიერ უკვე აღსრულებული საქმით გამოწვეული".

ხელს აწერს: ბ რ ი ა ნ ი.

# თავი მეხუთე

# ბოლშევიკური რუსეთი და საქართველო

**1. რუსეთ-ოსმალეთი და საქართველო.** სან რემოს კონფერენციაზე გამოირკვა თუ როგორ ადგილს დაიჭერდა საქართველო "საერთაშორისო ოჯახში". ამის შემდეგ დიდი ფასი აღარ ჰქონდა ნ.ჟორდანიას აღტაცებას დამფუძნებელ კრებაზე! ბევრად უკეთესი იქნებოდა შეიარაღებული ძალის შექმნაზე ზრუნვა, მაგრამ ნუ ავჩქარდებით...

უკვე 1920 წელს საქართველოს მომავლის პერსპექტივები გამორკვეული იყო. მართალია ის იცნეს სახელმწიფოებმა ფაქტიურად (და უფრო გვიან იურიდიულადაც), მაგრამ ამან საქართველოს მთავრობის შინაურ მოქმედებაზე უარყოფითი როლი ითამაშა. სანამ საქართველოს დამოუკიდებლობას იცნობდნენ, საქართველოს მთავრობა გაცილებით ენერგიულად მუშაობდა თავდაცვისათვის. ახლა კი დაიმედებული ამ ცნობით ეს მუშაობა უფრო შენელებული იყო. მან საფრანგეთის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმომადგენლის ვივიანის სიტყვა ვერ შეაფასა სწორად. ყველა პირდაპირ გვეუბნებოდა: დიდი სიპატივი გვაქვს თქვენი, გიცნობთ კიდეც, მაგრამ თუ საფრთხეში ჩავარდით, ჩვენ ვერ დაგეხმარებით. თქვენ თავზე თქვენ უნდა იზრუნოთო. ამიტომ, მოგვიანებით, როდესაც ასეთი გაჭირვების დრო დადგა, უცხოეთის დაუხმარებლობის მიზეზი უადგილო იყო!

მაგ: ჟორდანია თვითონ გადმოგვცემს, რომ როდესაც ინგლისელებმა შესთავაზეს ჯარის დაკავება, რადგან "ჯარის ციხე და მთელი ჯარის ოლქიც მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებასო", ჟორდანიამ ჰუმანიურობა გამოიჩინა და ამაზე უარი უთხრა, ამ ოლქს სომხებმა უნდა უპატრონონო. ამით ინგლისელები ქართველებს უპირატესობას კი არ ანიჭებდნენ, არამედ ფიქრობდნენ რომ საქართველო მას უკეთ დაიცავდა და ამავე დროს მის სიძლიერეს შეჰმატებდა.

საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი და ერ.დემ. პარტიის ერთი ლიდერი რ.გაბაშვილი სწერს თავის მოგონებებში, რომ ჯერ გერმანელებმა და მერე ინგლისელებმა საქართველოს მთავრობას შესთავა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზეს ერთი და იგივე წინადადება: რომ ისინი თავიან-
თი ხარჯით შეუქმნიან ორ დივიზიას ჯარს. ისინი გა-
ილებდნენ, ფულს, იარაღს და ინსტრუქტორებსაც მის-
ცემდნენ. საქართველოს მთავრობა მუდამ წუწუნებდა -
- არ გვეხმარებიანო. იმ მდგომარეობაში ამაზე უკე-
თესი დახმარება რაღა იქნებოდა! მაგრამ საქართვე-
ლოს მთავრობამ უარი უთხრა, უნდობლობა გამოუცხადა..

მოკლედ საქართველოს მთავრობამ ვერ შესძლო შე-
იარაღებული ძალის შექმნა.

როგორი იყო ამ დროს რუსეთის მდგომარეობა. ბო-
ლშევიკები სრული გამარჯვებული გამოდიან თეთრ
გენერლებთან ბრძოლაში და იწყება ნელ-ნელა "გაქ-
ცეული" ქვეყნების შემოკრება. ისინი თვალს ადევ-
ნებდნენ ამ.კავ. საერთაშორისო მდგომარეობას და
თავიანთ აგრესიულ მოქმედებას მას უთანხმებდნენ.

სან რემოს კონფერენციის შემდეგ მათ მოქმე-
დების გზები ეხსნებოდათ. ჯერ კიდევ ამ.კავ.დელე-
გაციები სან რემოდან პარიზში დაბრუნებული არ იყ-
ვნენ, რომ 28 აპრილს 1920 წელს შეესხნიენ და დაი-
პყვეს აზერბეიჯანი. ამ მოვლენაზე უნდა შევჩერ-

დეთ, რადგან ამ დროს კიდევ გაჩნდა ახალი ფაქტორი, რომელიც ხელს შეუწყობს ამ.კავკასიის დაცემას.

ეს იყო რუსეთ-ოსმალეთის დაახლოება, რაც მოხდა სწორედ აზერბაიჯანის დაპყრობის წინ. აქ არაფერს ვიტყვი მათ ადრინდელ ურთიერთობაზე. ეს ცნობილია. იმპერიის დაცემისა და სრული დაშლის მუქარის ქვეშ მყოფი თურქეთი გამოვიდა თავის დასაცავად მუსტაფა ქემალ ფაშის მეთაურობით. მოკავშირეთა წინააღმდეგ ამხედრებული ქემალი, რუსეთში ხედავს ხსნას. რუსეთსაც ეს უნდოდა. ხოლო მათ კავშირის შორის მოთავსებული, იყო ამ.კავკასია, რომელიც უკვე დამოუკიდებელი იყო და ასე თუ ისე მოკავშირეები მფარველობდნენ. და თუ სულთნის ფაშები აიძულებდნენ ამ.კავკასიას დამოუკიდებლობა გამოეცხადებინა, ახლა ქემალისათვის ეს იყო მხოლოდ დაბრკოლება და ამავე დროს სახარკო მასალა რუსების დახმარების მოსაპოვებლად. ამიტომ მან ამ.კავ. ადვილად გასწირა. ამ კავშირში ჩააბეს აზერბაიჯანიც. ამ უკანასკნელის ასეთმა მიდრეკილებამ ჯერ თავი იმსხვერპლა მერე მეზობლებიც მათ სათარეშოდ გახადა.

15 აპრილს 1920 წელს აზრუმში ხელი მოაწერეს შეთანხმებას ოსმალეთის მე-15-ე არმიის უფროსმა კიაზიმ კარა ბექირ ფაშამ და აზერბეიჯანის სამხედრო მინისტრმა შიხლინსკიმ. შეთანხმების მეხუთე მუხლით აზერბეიჯანი ივალებდა დახმარებოდა ოსმალებს ბოლშევიკებთან დაახლოებაში და "საჭიროების დროს აზერბეიჯანიც შეუერთებია ამ კავშირისო".1)

ამ ცნობას ამოწმებს აზერბეიჯანელი კომუნისტი სულთან გალიევი, რომელიც 2 მაისს 1920 წელს გაზ. "იზვესტიაში" სწერდა: "აზერბეიჯანის ჯარში მყოფი თურქის ოფიცრები ეწეოდნენ საბჭოთა რუსეთთან შეერთების პროპაგანდასო".

ამის შემდეგ კარა ბექირ ფაშა სწერდა: "ბოლშევიკების, აზერბეიჯანის და ჩვენს მიერ ხელმოწერილი პირობის საფუძველზე, დიდი რიცხვი ჩვენი ოფიცრებისა, ექიმების და მოხელეების წავიდნენ აზერბეიჯანში. ბოლშევიკები წინადადებას გვაძლევენ დაუყოვნებლის სამხედრო მოქმედების დაწყებას, სომხების და კავკასიაში ფრანგების წინააღმდეგ. დაღესტანში შექმნილი მწვანე არმია, ენვერის, ნურის და ხალილის მიერ, უნდა შეეცადოს აპრილის დასაწყისში, დაიკავოს ბაქო. რომ ეს გამარჯვებული იქმნას მოკავშირეთა წინაშე, აზერბეიჯანის

1) იხ. ჟურნ. "კავკაზ" (რუს.) პარიზი. არწრუნის წერილი.

ჯარებმა უნდა მოაწყონ საწინააღმდეგო , მოსამზ[illegible]-ნებული დემონსტრაცია". 1)

ამ საბუთით ნათელი ხდება, თუ ბოლშევიკებ-მა სულ მცირე წინააღმდეგობის შემდეგ როგორ და-იკავეს ბაქო! მაშასადამე ოსმალებმა მოხერხებუ-ლად გადასცეს რუსებს აზერბეიჯანი, ისე რომ აზ-ერბეიჯანის მთავრობაც დაითანხმეს ამაში.

ეს იყო მიზეზი რომ საქართველო-აზერბეიჯანის სამხედრო კავშირი აღარ განაღდებოდა. საქართველოს ჯარები აღარ გაუგზავნია დასახმარებლად.

28 აპრილს რომ ბოლშევიკებმა ბაქო დაიკავეს, 30 აპრილს საქართ.მთავ. თავმჯდომარემ, ნ.ჟორდა-ნიამ, დამფუძნებელ კრებაზე შემდეგი სიტყვა წარ-მოსთქვა (იხ.სიტყ.ანგარიშები) - რომ თუ ბოლშევი-კები აზერბეიჯანს დაესხნენ, ჩვენ მოვალე ვართ

---

1) ეს ადგილი ამოვიღე არწრუნის წერილიდან, რომელიც თავის მხრივ ემყარება ს.ვრაციანის წიგნს: "სომხეთის რესპუბლიკა" რუსულ. პარიზი. 1928 წ. აზერბეიჯანის მოღვაწემ რესულ ბეილომ პასუხი გასცა არწრუნის (იხ."კავკაზ" 19-20), რო-მელიც ცდილა გადაჭარბებულად იხსენებს არწრუნის აზ-რებს. მას ვერ აბათილებს და დამატების ცნობასაც იმოწმებს: რომ აზ.მთავ. ნაწილი ბოლშევიკებისაკენ იყო განწყობილი. (გაჯინსკი, რასულ ზადე და სხ.

მას დავესხმართოთ, არა მარტო იმიტომ რომ მასთან სამხედრო კავშირი გვაქვს, არამედ იმიტომაც რომ ამას ჩვენი საკუთარი ინტერესები მოითხოვენ. ხოლო თუ აზერბეიჯანი გარეშე ძალას შეხვდა უბრძოლველად, ჩვენ არ გვაქვს უფლება შევებრძოლოთ მას ვინც აზერბეიჯანმა მიიღო. ამის შემდეგ საქართველომ ვერარ გაბედა შებრძოლებოდა აზერბეიჯანელების მიერ მოწვეულ ბოლშევიკებს.

დაგვიანებით, ერთ საპოლემიკო ბროშურაში, მუსავატის ლიდერი რასულ ზადე სწერდა (იხ. მისი "პანთურანიზმზე, კავკასიის პრობლემასთან დაკავშირებით" რუსულად. პარიზი, 1930):

"გარეშე პოლიტიკური კომბინაციებისა, დამოუკიდებელი კონფედერირებული კავკასიისათვის ხსნა არ არსებობდა. ეს პრინციპი ნაწილობრივ განხორციელებული იყო თავდაცვითი კავშირის სახით, რომელიც შეკრული იყო საქართველოს და აზერბეიჯანს შორის. თუ ჩვენ ვერ შევძელით მისი სრული განხორციელება, ეს მოხდა მრავალი მიზეზების გამო, რომელნიდაც ლაპარაკის ნებას არ გვაძლევს ამ მოხსენების ჩარჩოები. ვიტყვი მხოლოდ რომ, ამ იდეის განხორციელების ერთი მიზეზი იყო იგივე პროვოკაცია და დემაგოგია, რომელიც ახლაც ბ.ხონთქარიანის და კო. პირით სცდილობს დაარღვიოს კავკასიის ხალხთა მთლიანობა". (გვ.19).

რასაკვირველია, "მოხსენების ჩარჩოებით" და "პროვოკაცია-დემაგოგიის" საბუთებით რასულ ზადეს

არ შეეძლო მომხდარი ამბების მიჩქმალვა. წიგნა-კი, რომელშიც რასულ ზადე ამასა სწერს, გამოცე-მული იმავე ნ.ჟორდანიას წინასიტყვაობით და ცხადია, უკვე ემიგრანტ რასულ ზადესთვის, რომე-ლიც იბრძვის ბოლშევიკების ბატონობის წინააღმდეგ ადვილი არ არის ამ მწარე წარსულის მოგონება!

ჟორდანია კი თავის მოგონებებში ამაზე სწერს:

"აპრილში მოხდა აზერბეიჯანის მართლა გასა-ბჭოება, ე.ი. უიარაღოდ და უბრძოლველად. შესრულ-და ოსმალეთის ნება-სურვილი. გამოჩნდა რომ აზერ-ბეიჯანი არის აგენტურა ოსმალეთისა და მოქმედობს მისი კარნახით" (მისი მოგ. გვ. 169).

ყოველ შემთხვევაში, ბაქოს დაცემა პირდაპი-რი ცუდი ნიშანი იყო საქართველოს დ მოუკიდებლო-ბისათვის· თითქოს ესმოდა საქართველოს მთავრობას რომ ბაქოს დაცემა იყო წინამორბედი თბილის-ბათუ-მის დაცემისა და ამ ფაქტების წნევით იძულებული იყო ზოგიერთი ზომები მიეღო, უფრო კი ისევ ილუ-ზიებით ცხოვრობდა. იმავე 30 აპრილს ნ.ჟორდანია დამფუძნებელ კრებას ასე მიმართავდა: "ჩვენ არა ვართ მარტო, მთელი ევროპა განურჩევლად პარტიისა და მიმართულებისა ჩვენთან არისო". არ ვიცი რა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიზეზით იყო ეს განცხადება გაკეთებული, მაგრამ ევროპა ჩვენთან აღარ იყო და სწორედ იმავე დროს, როდესაც საქართველო და სომხეთი მათ ფაქტიურ ცნობას დღესასწაულობდნენ, ბოლშევიკები თავდასხმისათვის ემზადებოდნენ!

რაკი ბოლშევიკებმა ბაქო ხელში ჩაიგდეს, ამის შემდეგ ადვილი იყო საქართველოსთან კომერციული-მოლაპარაკების დაწყება. საქართველოსაც აღარ ჰქონდა შემოსავალი, ისევ ბოლშევიკებთან უნდა გაემართა მოლაპარაკება. მიუხედავად იმისა რომ "მთელი ევროპა ჩვენთან იყო", ამას უჩნევდნენ ინგლისელებიც. ბოლშევიკები, გამარჯვებული ყველა ფრონტზე, არაფერში უკან არ დაიხევდნენ. მათი მიზნები გადაუდებელია. ბაქოს ბათუმი სჭირია, მაშასადამე საქართველოც. ამიტომ დაიკავეს თუ არა აზერბეიჯანი, იმავე დღიდან იწყეს აგრესიობა საქართველოს მიმართ. რასაკვირველია, ყოველ დაბრკოლებას ისინი ხელსაყრელ პირობებს უჩნევდნენ ხოლმე.

რომ მომავალი მკითხველისათვის გასაგები იყოს ბოლშევიკების ეს სიფრთხილე, უნდა აღვნიშნო რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დროს ისინი სამხედრო თვალსაზრისით არც ისე ძლიერნი იყვნენ. ამიტომ სჭირდებოდათ ანგარიში.

აზერბეიჯანის დაკავების შემდეგ მოახდინეს ცდა საქართველოს "გასაბჭოებისაც", მაგრამ ამ ჯერად უშედეგოთ ჩაუარათ.

საქართველოს ჯარების მთავარსარდალი გენ. გ. კვინიტაძე მოგვითხრობს:

"უკვე 1-2 მაისს (1920), ბოლშევიკებმა მოახდინეს ცდა თბილისში გადატრიალებისა. 2 მაისს გადმოვიდნენ ჩვენს საზღვარზე წითელ ხიდიდან წრამდე" (იხ. ჟურ. "კავკაზ" ნ.14-15,პარიზი).

და სწორედ ამავე დროს დაესხნენ თბილისში ქართულ სამხედრო სკოლას. გენ.ჩხეიძე თავის მემუარებში გადმოგვცემს: "რომ აზერბეიჯანის მთავრობის წრეებში ყველაფერი არ იყო რიგზე, მთავრობის ზოგიერთმა წევრმა მოამზადა ბოლშევიკების შემოსვლა... როგორც ჩანს აზერბეიჯანის ჯარებმა წინააღმდეგობა არ გაუწიეს და ბოლშევიკებიც ბაქოში თავისუფალი მატარებლით შემოვიდნენ... მაისის პირველ რიცხვებში ბოლშევიკებმა მართლაც, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, განიზრახეს მოეწყოთ ჩვენთვის ყაზახის მხრიდან იგივე, რაც აზერბეიჯანში ქმნეს. საზღვრის მორღვევის გასაადვილებლად, შინაურმა ბოლშევიკებმა მიზნად დაისახეს შეექმნათ უწესობა თბილისში და უკეთეს შემთხვევაში ხელთ ჩაეგდოთ მთავრობა. ამ მიზნით მაისის ორს ჩვენს სამხედრო სკოლას დაესხნენ თავს, ვინაიდან სკოლის ხელში ჩაუგდებლივ ქალაქში ისინი გამოსვლას ვერ გაბედავდნენ... ბოლშევიკებმა გადაწყვიტეს რომ ჯერ იუნკრებს ჩაიგდებდნენ ხელში,

და შემდეგ ათასეულის ჯარის კაცებს თავის მხა-რეზე გადმოიჩუქებდნენ" (იხ. ჟურნ. "მხედარი" ნ.13)

ამ თავდასხმის ისტორია რომ აღარ განვაგრძო, დავასკვნი რომ იუნკრებმა ისინი მამაცურად მოიგერიეს და უველა ბოლშევიკები ამოხოცეს.

რა მოხდა ამ დროს. აზერბეიჯანის საზღვრებზე ომი გრძელდება. კვინიტაძე ძლიერად უტევს მტერს და ქართული ჯარი ამარცხებს წითელ ჯარებს. გენ. კვინიტაძე კავშირში შედის ბოლშევიკების მოწინააღმდეგე აზერბეიჯანელებთან. მა მიზნად დაუსახავს დამარცხებული მტრის დევნა და მისი კავკასიიდან გაძევება. მტრის ძალებზე ის სწერს: როცა გაჩაღდა ომი ბოლშევიკებისა პოლონელებთან და ვრანგელთან, ჩვენს მხარეს ბოლშევიკების ერთი დივიზია ისე იყო დამარცხებული, რომ ფრონტიდან მოხსნეს. მეორე დივიზია დავამარცხეთ და ვდევნიდით. ჩვენი ცნობით ბოლშევიკებს კიდევ ჰყავდათ ერთი დივიზია ბაქოსთან, შეიძლება მეტიც, ჩრდილო-კავკასიიდან წამოსული. ამ დროს მე მყავდა 40000 ხიშტი"1).

1)ბოლშევიკების დივიზიაში ითვლებოდა 4-5 ათასი კაცი. შენიშვნა კვინიტაძისაა.(მისი "ჩემი პასუხი".გვ.14;პარიზი,1954).

ამავე დროს "ჩვენ გვქონდა აზერბ იჯანელებთან დადებული პირობა, რომ ისინი რუსების ზურგში მოახდენენ აჯანყებას, რაც მართლაც მოახდინეს განჯაში 25 მაისს.... 18 მაისს სამხედრო მინისტრი გრ.ლორთქიფანიძე და მე გავემგზავრეთ ფრონტზე ნ.ჟორდანიას თანხმობით. უკვე გაცემული იყო ბრძანება 19 მაისისათვის მთავარი შეტევა დაგვეწყოთ"... და სწორედ ამ დროს მთავარსარდალი ნ.ჟორდანიასგან იღებს ბრძანებას ომის შეჩერების შესახებ. ე.ი. 12 დღის შემდეგ რაც მან ხელი მოაწერა ბოლშევიკებთან ხელშეკრულებაზე. კვინიტაძემ შეტევის ბრძანება მოხსნა და ომიც შეწყდა.

ფრონტზე რომ ომი გრძელდებოდა და ქართველები არა მარტო გამარჯვებული იყვნენ, მთავარსარდალი დაიმედებული იყო ბოლშევიკები გაეძევებინა კავკასიიდან, ამ დროს ზურგში სხვა ამბები ხდებოდა. ნ.ჟორდანია საიდუმლოდ, ერთი პირის საშუალებით მოლაპარაკებას აწარმოებდა ბოლშევიკებთან მოსკოვში.. ეს ამბავი გაცილებით ადრე ყოფილა დაწყებული. ამაზე თვითონ ჟორდანია სწერს:

"რაკი პირდაპირი მიდგომით, ევროპის წინაშე მუდ-მდგომლობით და იქ პროპაგანდით არა გამოდიოდა რა, ცნობილი გახდა, საქმის ისევ რუსებთან დაწყების მეცადინეობა" (ის. მისი "ჩემი წარსული")

მან ამ მიზნით მოსკოვში გაგზავნა გრ. ურატაძე.

ის წერს: "ამ მისიის ერთი მთავარი პირობა იყო მისი საიდუმლოება... მთელი ეს ამბავი, გრიშას გამგზავრება და იქ მუშაობა, საქართველოში არა-ვის გაუგია. ვიფიქრე, თუ მოსკოვმა გვიცნო, ნებ-ნი დამოუკიდებლობა დაადასტურა, ამ თამასუქით წარვდგებით ევროპის არეოპაგის წინაშე და ეს უე-ჭველად გასჭრის".

ასეთი იყო "დემოკრატიული" მთავრობის მოქ-მედება. ის აგზავნის ასეთ საპასუხისმგებლო საქ-თისათვის ერთ კაცს, და ეს არ იცის არც მთავრო-ბამ და არც დამფუძნებელმა კრებამ!

შემდეგ ჟორდანია წერს: "აპრილში უკვე მივი-ღე ცნობა გრ. ურატაძისაგან მოსკოვიდან. გვამცნო მოლაპარაკების შინაარსი და აგრეთვე პროექტის ტექსტი"..

აქედან ჩანს რომ ჟორდანიას ის აზრი გაუგზავნია, შეიძლება აზერბეიჯანის დაკავებამდე.

მაშასადამე, მაშინ როდესაც მოსკოვში რუსე-ბი ჟორდანიას წარმომადგენელთან მოლაპარაკებას აწარმოებდნენ, იმავე დროს მათ დაიკავეს აზერბე-იჯანი და სცადეს საქართველოს დაკავებაც და რო-გორც შიგნით არეულობის შექმნის ცდაში ისე ომში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისინი სასტიკად დამარცხდნენ. თუ ჟორდანიას წარმომადგენელმა მოსკოვში ეს ყველაფერი არ იცოდა, სამაგიეროდ იცოდნენ ბოლშევიკებმა და ასეთ პირობებში იყო რომ მათ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა შესთავაზეს. შემდეგში ნ. ჟორდანიამ ბოლშევიკების ეს "ტაქტიკა" მათი გაორებული პოლიტიკით ახსნა. მაგრამ ფაქტი და შედეგი იყო ერთი. ამაზე ჟორდანია სწერს: "ამგვარი იყო მოსკოვის ორი ტენდენცია: ერთი - პოლიტიკური და მეზობლური, მეორე იმპერიალისტური. ამ უკანასკნელს მეთაურობდა ტროცკი, სამხედრო მინისტრი და სტალინი, ეროვნებათა მინისტრი (კომისარი), პირველს კი ლენინი. პირველმა ორმა უბრძანეს თავის ჯარს აზერბეიჯანში, ჩვენი დაპყრობა. ეგონათ ადვილი იქნებოდა. ხოლო როცა ლენინმა დაინახა, რომ უომრად ეს არ შეიძლებოდა, ევროპის სკანდალს მოერიდა და გადასწყვიტა ხელშეკრულების დადება". (იქვე)

ჟორდანიას ეს აზრი უარსაყოფია.: ჯერ ერთი იმიტომ, რომ მაშინ მართალია ტროცკი დიდი ავტორიტეტი იყო და არც ჯუღაშვილი იყო ჯერ სტალინი, მაგრამ დაუჯერებელია ლენინის თანხმობის გარეშე მათ რამის გაკეთება გაებედათ. ქვემოდ მოყვანილი საბუთებიდან ნათელი გახდება რომ ყველაფრის თავი და ბოლო იყო სწორედ ლენინი. ხოლო ის უფრო

ფრთხილი გზებით ცდილობდა იმავეს შესრულებას. რაც შეეხება იმას რომ თითქოს ლენინი დარწმუნ-და - უომრად ეს არ მოხერხდებოდაო, ამას აქარ-წულებს ფაქტი და მთავარსარდლის დამოწმება, რომ ეს ომი უკვე იყო და ბოლშევიკები დამარცხდნენ. და სწორედ ამ გარემოებამ აიძულა ლენინი ეს საქ-მე გადედო და ჯერხნობით ქართველებისათვის თვა-ლები აეხვია ხელშეკრულებით. ეს არის ისტორიული სინამდვილე და ამას სრულებით ვერ ხსნის ტროცკი-სტალინზე გადაბრალება და ლენინის გათეთრება, როგორც მერეც სცადეს ზოგიერთებმა.

ის ფაქტიც საგულისხმოა, რომ ჟორდანიას მი-ერ გაგზავნილი ერთი კაცი, რომელსაც ვითომ მდგო-მარეობის დაზვერვა ჰქონია დავალებული, უცბად ბოლშევიკების მიერ შეთავაზებულ ხალშეკრულებას აწერს ხელს! ესეც ხომ აბუჩად აგდება იყო საქარ-თველოსი! წარმოიდგინეთ სურათი: ორ სახელმწიფოს შორის იდება ხელშეკრულება, მეორე მხრიდან ამას ხელმძღვანელობს მხოლოდ ერთი ადამიანი. მაშასა-დამე ერთ და იმავე დროს ის უნდა ყოფილიყო ისტო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიისა და საზღვრების ექსპერტი, სამხედრო საქმ-ის მცოდნე, იურიდიული ექსპერტი, ეკონომისტი და სხ. და ურატაძეს ყოველივე ამაზე შეეძლო პასუხის გაცემა?! ხოლო ჟორდანიამ ერთი კაცი გაგზავნა სა-იდუმლოების დაცვის მიზნით. საიდუმლოება ვისთან? იმაზე კი აღარ უფიქრია თუ ის ასწევდა მისთვის დანიშნულ ტვირთს. ხოლო მისივე სიტყვით ურატაძე იმისთვის აურჩევია რომ: "დესპანი უნდა ყოფილიი-ლენინის და მისი შტაბის ნაცნობი, სოც.დემოკრატი, პარტიის ყრილობაზე ნამყოფი" და ასეთი კი ყოფილა ურატაძე. სხვა თვისებები დესპანისთვის საჭირო აღარ ყოფილა!

უთუოდ ასე მოიქცა ვახტანგ მეფეც, როდესაც საბა-სულხან ორბელიანს ირჩევდა თავის ელჩად ლუდოვიკო მეთოთხმეტის კარზე, რადგან საბა ლუდო-ვიკოს ნათლია იყო!...

აღნიშნული მდგომარეობიდან გასაგებია თუ რახა-ირ ხელშეკრულებაზე მოაწერინებდნენ ხელს ჟორდანი-ას წარმომადგენელს§ რასაკვირველია, რუსებმა მას წინ დაუდეს წინასწარ დამზადებული ტექსტი, სტან-დარტული, რაზედაც ისინი საერთოდ ხელს აწერინებ-დნენ პატარა ერებს. ასე დაიდო 7 მაისის 1920წლ.

ხელშეკრულება რუსეთის ფედერატიული რესპუბლიკისა და საქართველოს შორის. მასზე ხელს აწერენ: საქართველოს მხრივ გრ.ურატაძე და რუსეთის მხრივ საგარეო კომისრის მოადგილე ამხ.კარახანი.

2. 7 მაისის 1920 წ.ხელშეკრულება.საჭიროდ მიმაჩნია აქ მოვიყვანო ამ ხელშეკრულების მთავარ მუხლები:

&1. "ემყარება რა რუსეთის სოციალისტურ-ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის მიერ აღიარებულ ყველა ხალხთა თავისუფალი თვითგამორკვევის უფლებას, გათავებული სრული გამოყოფით, იმ სახელმწიფოსაგან, რომელსაც ისინი ეკუთვნიან - - რუსეთი სცნობს უპირობოდ საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობასა და სუვერენობას და სრული ნებით უარს ამბობს ყველა იმ სუვერენულ უფლებებზე, რომელიც ეკუთვნოდა რუსეთს ქართველი ხალხისა და მისი ტერიტორიის მიმართ".

&2. "ემყარება რა წინამდებარე ხელშეკრულების პირველ მუხლში აღიარებულ პრინციპებს, რუსეთი ივალებს უარი სთქვას საქართველოს შინაურ საქმეებში ყოველგვარ ჩარევაზე".

&3. ამ მუხლში განხილულის საზღვრების საკითხი. საბოლოო ხაზი შემუშავებული იქნება სპეციალური კომისიის მიერ, რომელშიც შევლენ ორივე მხრის წარმომადგენლები.

მანამდე კი ყველა უღელტეხილები გამოცხადებულია ნეიტრალურ ზონად 1922 წლ. იანვრამდე. არ შეიძლება მათი დაკავება არც ერთი მხარის ჯარე-

ბით, არც გამაგრება - ხუთი ვერსის მანძილზე საზღვრის ხაზიდან ორივე მხარეს.

& 4. რუსეთი სცნობს საქართველოს საკუთრებად ყოფილი იმპერიის შემდეგ გუბერნიებს: თბილისის, ქუთაისის, და ბათუმის ყველა ოლქებითა და მაზრებით, ასევე ზაქათალისა და სოხუმის ოლქებს. ის სცნობს აგრეთვე საქართველოს ტერიტორიის ნაწილად იმ ადგილებს, რასაც სათანადო ხელშეკრულებით დაიმტკიცებს მეზობლებისაგან.

& 5. ამ მუხლით საქართველო ივალებს განაიარაღოს და მოათავსოს საკონცენტრაციო ლაგერებში ყველა შეიარაღებული ძალები, რომელნიც იმყოფებიან საქართველოს ტერიტორიაზე და ემტრებიან რუსეთს ან რუსეთის მთავრობის პრეტენზიას აცხადებენ, ხოლო ყველა მათი ქონება რუსეთისადმი გადაცემას.

საქართველო ივალებს თავისი ტერიტორიიდან მოიცილოს უცხო ძალები. აუკრძალოს თავის ტერიტორიაზე ტრანსპორტი რუსეთის მოწინააღმდეგე ძალებს. აუკრძალოს მათ გაჩერება თავის ნავთსადგურებში.

& 10. "საქართველო ივალებს გაანთავისუფლოს სასჯელისა და სამართლის ან ადმინისტრატიული დევნისაგან ყველა ის პირები, რომელნიც არიან საგანნიმგვარი დევნისა საქართველოს ტერიტორიაზე, რუსეთის საბჭ.ფედერ. რესპუბლიკის ან მისი კომუნისტური პარტიის სასარგებლოდ ჩადენილ მოქმედებათ გამო.

შენიშვნა: საქართველო ივალებს დაუყოვნებლივ გაანთავისუფლოს ყველა ის პირები, რომელნიც შეპყრობილი არიან ზემო აღნიშნული აქტების გამო".

& 12. ამ მუხლით რუსეთი უკარნახებს საქართველოს თავის კომერციულ ინტერესებს. და სხ.

ზემოდ გათვალისწინებული საერთაშორისო მდგომარეობის შემდეგ, როდესაც საქართველოს მთავრობა იძულებული ხდება ისევ ბოლშევიკურ რუსეთს მიმართოს, ცხადია, რუსეთი ყველაფერს თავისი ინტერესების მიხედვით უკარნახებდა საქართველოს. და როდესაც ამ ხელშეკრულებას ხელს აწერდნენ, ამ დროს აზერბეიჯანის მხარეს ომი სწარმოებდა. ბოლშევიკების დამარცხების მსვლელობა არ შეიძლება მოსკოვში არ სცოდნოდათ და ამნაირად, დამარცხებული გამარჯვებულს უკარნახებდა თავის პირობებს ხოლო თვალების ასახვევად ერთად ერთ დამოუკიდებლობის ცნობას სთავაზობდა. ამავე დროს როდესაც ჟორდანია დამფუძნებელ კრებაზე აცხადებდა: ევროპა ჩვენთან არისო, მისი წარმომადგენელი მოსკოვში ამ ევროპელების წინააღმდეგ ხელს უწერდა ბოლშევიკებს. რადგან იქ მოხსენებული "უცხო ძალების მოცილება" შეეხებოდა ინგლისის ჯარებს. რომელიც არც საქართველოს ნებით იყო მოსული და ხელშეკრუ-

ლების დადების შემდეგ სულ ცოტა ხანში დასტოვა საქართველო, არა ბოლშევიკების მუქარით, არამედ უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით. ამნაირად ევროპის "ჩვენთან ყოფნის" ეს პატარა სიმბოლოც გაქრა...

მოკლედ, აღნიშნული ხელშეკრულება იყო პირდაპირ ნაკარნახები. იქ მოხსენებული პირობები მათ ინტერესებს ემსახურებოდა. აქ ვნახულობთ ისეთ მოვლენებსაც, რაც სრულიად უცხოა საერთაშორისო ურთიერთობის ხასიათის აქტებისათვის და რაც დამახასიათებელია საერთაშორისო უფლების "ბოლშევიკური თეორიისა". ამ მხრით გაცილებით მაღალ დონეზე იდგა იმპერატორების რუსეთისა და მეფეთა საქართველოს შორის 1783 წელს დადებული ხელშეკრულებისა, მიუხედავად იმისა რომ მაშინ საქართველო შედიოდა რუსეთის მფარველობაში და ბუნებრივი იყო დაეკარგა ნაწილი თავისი სუვერენობისა. ახლა კი ეს ორი "დემოკრატიული" ქვეყნის შორის დადებული ხელშეკრულებით პირიქით, საქართველო სცილდებოდა რუსეთს და უკანასკნელი სცნობდა მის სრულ დამოუკიდებლობას და იმავე დროს საქართველოს სუვერენობა ყოველ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხრივ იყო შელახული...

ერთად ერთი რაც რუსეთმა საქართველოს უძღვნა, ეს იყო მისი დამოუკიდებლობის ცნობა, რაც მამასისხლად დაუსვა; და მკითხველს ნუ გაუკვირდება, საქართველოს მთავრობა ამით დაკმაყოფილდა. აი ამაზე რას სწერს თავის მოგონებებში ნ.ჟორდანია:

გრ.ურატაძემ "გვამცნო მოლაპარაკების შინაარსი და აგრეთვე ტროცკის ტექსტი. ჩვენი მთავარი მოთხოვნილებანი გამოჩნდა მიღებული, სადაც იყო შეჩრილმანები, განსაკუთრებით ერთი მუხლი - საქართველოს ტერიტორიაში არ იდგეს სამტრო უცხო ჯარი. ჩვენ ვაცნობეთ ამ მუხლის სრული ამოგდება, ჩვენი ტერიტორიის სუვერენი ჩვენ ვართ თქვა. გრიშამ გადმოგვცა პირდაპირი მავთულით, რომ მუხლს არ სცნიან - თქვენ ეგებ თქვენი ქვეყანა გახადოთ ბაზად უცხო შემოტევისა ჩვენს წინააღმდეგ და სხ. მე ვიფიქრე, ბოლშევიკები მართალი არიან, თუ კი ასეთი ეჭვი აქვთ, მუხლი მისაღებია. ევგენი იყო წინააღმდეგი, არ გვინდა მათი ცნობა, თუ ჩვენი ტერიტორიის მოხმარებაში გვერევიან და სხ. ჩემთვის მთავარი იყო ჩვენი იურიდიული ცნობა, რუსეთისაგან, რასაც შემდეგ სხვა სახელმწიფოებიც მიმართავდნენ" (იხ.მისი მოგონებები, გვ.166).

ამ აქტის შემდეგ აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ბოლშევიკებმა უსიტყვოდ აცნობინეს საქართველოს აზერბეიჯანის "გასაბჭოება". მას მოჰყვა აქსტაფის ხელშეკრულება, მალე საკომერციო-სატრანზიტო ხელშეკრულება და ასე ალყა შემოარტყეს საქართველოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს თავისი გეოგრაფიული პირობებით დიდი პრივილეგიები აქვს თავდაცვისათვის. ამიტომ იყო რომ ძველ რუსეთს სამოცი წელი დასჭირდა საქართველოს საბოლოო შემტკიცებისათვის. ბოლშევიკებმა სწორედ აქედან დაიწყეს საქართველოს თავდაცვის შესუსტება. ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტები სტრატეგიულად, რომელიც აშორებდა ამ ორ ქვეყანას, ე.ი. კავკასიის ქედი თავისი უღელტეხილებით, ნეიტრალურად იყო გამოცხადებული. დარიალიც ნეიტრალური რჩებოდა ბალტისა და კობის შორის. ხოლო დანარჩენი უღელტეხილები: მამისონის, ზარმაგის, ონის და სხ. ორივე მხრიდან ხუთი ვერსის მანძილზე. აქედან ვხედავთ რომ საქართველოს ეს ძთავარი თავდაცვის სიმაგრე რუსეთმა შემოსცარცვა. ამით მას საშუალება ეძლეოდა, კავკასიაში მყოფი ჯარებით ომის ატეხის შემთხვევაში სასწრაფოდ შემოეყვანა დამატებითი ჯარები. და ქართველებს ასეთ პირობებში არც დრო ექნებოდათ და არც ძალა ის გაემაგრებინათ და როგორც მერე ვნახავთ, 1921 წ.მათი თავდასხმის დროს ეს ასეც მოხდა.

ამის შემდეგ რუსეთს უნდა საქართველოს მოაცილოს გარეშე ძალები, რომელთაგან მოსალოდნელია საქართველოსადმი დახმარება. და მეხუთე მუხლით საქართველო ივალებს თავისი ტერიტორია გასწმინდოს უცხო ძალებისაგან. ეს ეხებოდა როგორც ძველი რუსეთის ნაწილებს ისე ევროპელებს. ამ დროს ბათუმი ეკავათ ინგლისელებს. როგორც აღვნიშნეთ, ისინი იყვნენ მოსულნი უმაღლესი საბჭოს დადგენილებით, არა როგორც ოკუპანტები, არამედ ადგილობრივი ხალხების დასაცავად და დენიკინთან კონფლიქტის დროს კიდეც დაეხმარნენ. ცხადია, სანამ საქართველოში ინგლისის ჯარები იქნებოდნენ, მათთვის საქართველოზე თავდასხმა ადვილი არ იქნებოდა. ბოშევიკებს ბათუმი აინტერესებდათ და არა სიღნაღი და ზესტაფონი. ხოლო იქ ინგლისელები იყვნენ და ბოლშევიკებს სურდათ ეს ეკალი ქართველების ხელით მოეგლიჯათ...

აღნიშნულ მუხლზე ხელის მოწერით საქართველო სჭრიდა იმ ტოტს, რომელზედაც მის და უნებურად თვითონ იჯდა. ე.ი. თავისი სურვილით უარს ამბობდა დასავლეთის ყოველგვარ დახმარებაზე. მითვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

უარჰყო დასავლეთის ორიენტაცია, რომლისთვისაც ორი წელიწადი მუშაობდა.

სანამ ხელშეკრულების შედეგებზე საბოლოო სიტყვას ვიტყოდე, კიდევ ერთ დამახასიათებელ მოვლენაზე უნდა შევჩერდე.

ამ ხელშეკრულებაში ვერ ვხედავთ მუხლთა შორის თანხმობას, და ასეთი მოვლენა დამახასიათებელია საბჭოებისათვის. ასეა შედგენილი მათი კონსტიტუციაც. მაგ: ხელშეკრულების მე-10-ე მუხლი ეწინააღმდეგება მეორე მუხლს. მეორე მუხლით ის ივალებს რომ რუსეთი არ ჩაერევა საქარველოს შინაურ საქმეებში. მაგრამ ის ახლავე ამ ხელშეკრულების მეათე მუხლით ერევა საქართველოს შინაურ საქმეებში, როდესაც მოითხოვს ციხეებში მყოფი ქართველი კომუნისტების განთავისუფლებას. ეს ხალხი თუ ციხეში იმყოფებოდნენ, მაშასადამე მათ სახელმწიფოს წინააღმდეგ რამეში ბრალი ედებოდათ და ეს წმინდა წყლის შინაური საქმე იყო. განა ქართველი სოციალისტები სთხოვდნენ რუსებს რომ მათი სოციალისტები ციხეებიდან განთავისუფლებინათ!

მართლაც, საქართველოს მთავრობამ იმავე წელს ციხეებიდან გაანთავისუფლა 900 კომუნისტი. ტროცკი დასძენს რომ 7 მაისის ხელშეკრულებით ვაიძულეთ ქართველები, ქართველი კომუნისტებისათვის თავისუფლება მიეცათ! (იხ. მისი:"რევოლუციისა და იმპერიალიზმის შორის". ფრანგულად,გვ.78).

ამ მხრივ კიდევ საინტერესოა ხელშეკრულების საიდუმლო მუხლები. პირველ მუხლში ნათქვამია:

"საქართველო ივალებს , თავის ტერიტორიაზე მყოფი კომუნისტური ორგანიზაციებისათვის იცნას უფლება თავისუფალი არსებობისა და მოქმედებისა. სახელდობრ უფლება თავისუფალი ორგანიზაციისა, კრებებისა და უფლება თავისუფალი გამომცემლობისა საერთოდ და კერძოდ პრესის ორგანოებისა. არავითარი ფორმით, არავითარი რეპრესიები არ უნდა იყოს გაწეული კერძო პირთა წინნრლმდეგ, არც სამოსამართლო და არც ადმინისტრატიული, კომუნისტური პროგრამის პროპაგანდის და აგიტაციისათვის, ან და იმ პიროვნებათა და ორგანიზაციათა მოქმედებისათვის რაც ემყარება კომუნისტურ პროგრამას"1).

---

1) იხ. 1922 წლის გამოცემული საბჭოთა დიპლომატიური დოკუმენტების კრებული. აგრეთვე:

MIRKIN-GUETZEVITCH. La doctrine sovirtique du droit International. Paris,1926 .

ასეთ წარჩევას ახდენდნენ ბოლშევიკები ყველგან. მაგ: 1921 წ. ლიტვინოვი ჩაერიახ ესტონიის შინაურ საქმეებში, ესტონიის კომუნისტების დასაცავად. ასევე 22 ივლისს 1921 წ. უნგრეთის ხელისუფლებას გაანთავისუფლებინეს 400 კომუნისტი. ბოლშევიკებმა გასცვალეს ისინი უნგრელ ოფიცრებში და უნგრელი კომუნისტები რუსეთში წაიყვანეს და ტროცკი კიდევ ერთხელ დასძენს: "ამნაირად, მაისში, სამოქალაქო ომის დროს ჩვენ ვაიძულეთ საქართველოს მთავრობა, მოეხდინათ კომუნისტური პარტიის ლეგალიზაცია".

ამ ამბების შემდეგ ინგლისის ჯარების ყოფნა ბათუმში უმიზნო შეიქმნა. საქართველო ფაქტიურად უკვე ბევრმა სახელმწიფომ იცნო. ერთად ერთი საშიშროება მას მოელოდა რუსეთისაგან, და ახლა მანაც იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. ბათუმის საქართველოს მთავრობის ხელში გადასვლას მართლა ჰქონდა მორალური ფასი (რაც ადრე თუ გვიან ასეც უნდა გათავებულიყო), მაგრამ ინგლისის წასვლას რა შედეგი მოჰყვებოდა ამაზე არავის უფიქრია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აზერბეიჯანის დაკავებისა და რუსეთ- საქართველოს შორის ხელშეკრულების დადების შემდეგ, ამ პირობებით ისარგებლა ლოიდ ჯორჯმა და ინგლისის ჯარები გაიყვანა ბათუმიდან.

4 ივნისს 1920 წელს ქართული ჯარები იკავებენ ბათუმს. დიდი ზეიმიც იყო გადახდილი. მაგრამ რუსეთთან ერთად ოსმალეთიც უთვალთვალებდა ინგლისელების წასვლას. მსგავს ზეიმებს რომ ვიგონებ, წარმომიდგენია ღარიბი კაცის ქორწილი: ყვირილი და ჟრიამული, სიმღერა და ცეკვა-თამაში, ზურნა-დუდუკის ბრახა-ბრუხი - ცარიელ სუფრაზე!

ამნაირად, საქართველო მომწყვდეული დარჩა ოსმალეთ-რუსეთის შორის. თუმცა ამ დროს ისინი მეგობრულად იყვნენ განწყობილნი, ორივეს ერთნაირად უღრენდა გული ბათუმისა და საქართველოსათვის.

ბოლშევიკები გამაგრდნენ ბაქოში. სანამ პოლონეთთან ომი გრძელდებოდა, სომხეთიც დაიკავეს. ვრანგელის ჯარებიც საბოლოოდ დამარცხდნენ. ინგლისმა პოლონეთის დაცვა ფრანგებს გადაულოცა და როდესაც ძველი რუსეთის აღდგენის იმედი გაქრა, ბოლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შევიკებთან სავაჭრო მოლაპარაკება გამართა და საიდუმლოდ, ცნობილი ლოიდ ჯორჯ-კრასინის ხელშეკრულებაც დასდო, რითაც ის ნებას აძლევდა რუსეთს ამ. კავკ. რესპუბლიკებში თავისუფალი მოქმედებისა. ბრმა უნდა ყოფილიყო ადამიანი, რომ საქართველოს ცაზე აშლილი ღრუბლები ვერ შეენიშნა...

3. სამზადისი ომისათვის. იქვე სჩანდა რომ ახლო მომავალში საქართველოს საზღვრებზე ყუმბარა უნდა გავარდნილიყო. როგორი იყო საქართველოს მთავრობის რეაქცია? ყველა ამ საკითხებზე, საქართველოს დამარცხების შემდეგ, ემიგრაციაში, დიდი კამათი გაიმართა. ყოფილი მთავრობის წინააღმდეგ მთელი ეროვნული პრესა ამხედრდა, მათ შორის მხედრობაც. დამარცხებას აბრალებდნენ მთავრობას, რომ მან დროზე ზომები არ მიიღო თავდაცვისათვის. მთავრობის წრეები კი თავს იმართლებდნენ იმით რომ მათ არავინ დაეხმარა და მოკლებული იყვნენ იარაღს. და სხ. ამ დავაზე აქ არაფერს ვიტყვი.

მოსალოდნელი ამბების შესახებ, თვით ჟორდანია გვამცნობს. ის სწერს: აღნიშნულ პირობებში

"დავფაცურდით, თავდაცვის საბჭო დავაარსეთ და მე-
ვუდექით მზადებას ჩუმად, არავის გვეგო რამის სა-
ქმე. ეს საიდუმლოება საჭირო იყო, რომ ხალხში პა-
ნიკა არ გამოეწვიათ და მორალური კრიზისი არ შეგ-
ვექმნა. საბჭოს დაარსება მოხდა 11 ნოემბერს. ემ
დროს მაშასადამე, უკვე ვიცოდით მოსკოვის განზ-
რახვა. საბჭოს მე ვთავმჯდომარეობდი. არ უოფილა
შემთხვევა, სამხედრო უწყებას რაიმე წინადადება
შემოეტანოს და ჩვენ არ მიგვეღო" (ძისი, მოგონ.)

და მერე გვიამბობს რომ მოუხედავად დიდი მცდელო-ბისა ევროპიდან იარაღით დახმარება ვერ მივიღეთ.

ამ მოვლენათა დაფასებაში მდგომარეობა უნდა გავითვალისწინოთ თანახმად სამხედრო ექსპერტთა მონაცემებისა. დავასახელებ მხოლოდ უმთავრეს ცნობებს. ქართველი მხედრების მტკიცებით ბოლშევიკებთან ომის მოგება შეიძლებოდა 50-60 ათასი კაცით. ზოგი კი ფიქრობს ნაკლებითაც (იხ."მხედარი"14-15).

3 იანვარს 1921 წელს სამხედრო მინისტრის თანაშემწე გენ. ოდიშელიძე თავის მოხსენებაში მთავრობისადმი სწერდა: "საბჭოთა რუსეთის შემოსევისას აღმოსავლეთის საზღვარზე უნდა დავაყენოთ 35,000 კაცი, სამხრეთზე 10,000 კაცი. ამავე დროს რეზერვში უნდა დავიტოვოთ 15,000 კაცი სხვა მიმართულებისათვის. ამნაირად ჩვენი შეიარაღებული ძალე-

ბის რიცხვი უნდა აღწევდეს 60 ათას ხიშტს და
ხმალს. ამ ჯარს ის ვარაუდობდა მტრის 70 ათასი
კაცის წინააღმდეგ. (მოხსენების სრული ტექსტი
გამოქვეყნებული იყო გაზეთ "კლდის" ნ.17-18-ში).

აქაც გვერდს ავუხვევ დეტალებს, მხოლოდ ვიტ-
ყვი რომ თანახმად მთავარსარდლის გენ.კვინიტაძის
ცნობისა, პირველ ომში ე.ი. სულ რვა თვის წინ
მას ჰყოლია ორმოც ათასზე მეტი შეიარაღებული ძა-
ლა. ხოლო რუსეთთან ხელშეკრულების შემდეგ დემო-
ბილიზაცია მოახდინეს და უკანასკნელ ომში მისი
ნახევარიც არ გვყავდა. ამაზე უთქვამს
მუსტაფა ქემალს: - დიდი ომის დროს რუსეთის ფრონ-
ტის დასაცავად საქართველომ გამოიყვანა ორასი
ათასი ჯარის კაცი, ხოლო თავისი ეროვნული დამო-
უკიდებლობის დასაცავად მხოლოდ ცხრა ათასი კაცი.
სამუდამო სირცხვილად დარჩება ქართველი ერის ის-
ტორიაში თებერვლის კატასტროფა!...

ქართულ სამხედრო საქმესთან დაკავშირებით აქ
არ შემიძლია ერთი კურიოზიც არ გავიხსენო.10 დეკ.-
1920 წელს საქართველოს მთავრობამ მიართვა თხოვ-

ნა ერთა ლიგაში მისი მიღების შესახებ. გავიხსე-
ნოთ რომ ამ დროს საქართველომ იცოდა რუსეთის გან-
ზრახვა თავდასხმისათვის. რაკი ჯარების დემობი-
ლიზაცია იყო მომხდარი, მას დეკემბერში 15 ათას-
ზე მეტი არც ყოლებოდა. აღნიშნულ თხოვნაში კი
საქართველოს მთავრობა ერთა ლიგას თავის შეიარა-
ღებულ ძალებზე შემდეგ ცნობებს აძლევს: რეგული-
არული ჯარი 55,000 კაცი, სახალხო გვარდია 60,000.
სულ 115,000 კაცი.[1]

არ ვიცი რაზედ დასჭირდათ ასეთი ცნობის მიცე-
მა (მაშინ როდესაც ყველა ქვეყნის დაზვერვამ
იცოდა სინამდვილე!). ისიც ვიცით რომ ვერსალის
ზავით მოკავშირეებმა გერმანიას მხოლოდ ასი ათა-
სი ჯარი დაუტოვეს, ეს გეყოფათ თქვენი საზღვრე-
ბის დასაცავად და თუ პატარა საქართველოს ამა-
ზე მეტი ჯარი ჰყავდა სხვისი დახმარება რაღაზედ
უნდა დასჭირებოდა?!

ყველა ეს გულუბრყვილობანი დაუჯერებელი
იქნებოდა რომ ის არ იყოს საბუთებში აღნუსხული.

ცეცხლის ავარდნის ნიშნები უკვე მოჩანდნენ.

1) Documents relatifs a la question de la Georgie devant la Societe des Nations, Paris.1925.

ამ დროს აზერბეიჯანი და სომხეთი უკვე დაპყრო-
ბული ჰქონდათ რუსებს. თუმცა აზერბეიჯანი მის-
მა მთავრობამ დაუთმო, მაგრამ ხალხი როდის იყო
ამის მომხრე. ამიტომ აჯანყდნენ და დამარცხდნენ.

სომხებს რუსებმა თურქები შემოუსიეს და სომ-
ხის მთავრობას წინადადება მისცეს: თუ ხელისუფ-
ლებას კომუნისტებს გადასცემთ, დაგეხმარებით.
სომხის მთავრობამ ეს იძულებით მიიღო. ასე მოხდა
სომხეთის "გასაბჭოება". შემდეგ სომხეთიც აჯან-
ყდა' თუ არა ეს აჯანყება, შეიძლება ბოლშევიკებს
დეკემბერშივე შეეტიათ საქართველოსთვის. მაგრამ
სომხებმა რამდენიმე თვე გაუძლეს ბოლშევიკებს და
მერე ისინიც დამარცხდნენ.

ბოლშევიკების აგრესიობა შეუმჩნეველი არ
დარჩა ევროპელთათვის და 1920 წლის დეკემბერშივე
ინგლისის მთავრობამ ლორდ კერზონის პირით, სპე-
ციალური ნოტით შეეკითხა მოსკოვს, ის ხომ არ აპი-
რებდა საქართველოს დაპყრობას! მოსკოვის კომისრის
ჩიჩერინის პასუხის გამო 3 დეკ.1920 წელს გაზ-
"დეილი ჰერალდში" ვკითხულობთ: "ჩიჩერინის მიერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლორდ კერზონისადმი გაგზავნილი იყო ნოტა ბათუმის საკითხის შესახებ. ნოტა პროტესტს აცხადებს წინააღმდეგ იმის მტკიცებისა, თითქოს ბათუმი და საქართველო იმყოფება რუსეთის საფრთხის ქვეშ. ეს არ არის მართალი. ერთად ერთი საფრთხე, რომელიც იმუქრება, ეს არის საფრთხე ანტანტისა. რუსეთმა იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა, ანტანტამ კი არ ქმნა, (ამ დროს საქართველო ჯერ არ იყო ცნობილი იურიდიულად მათმიერ). რუსეთის მთელი პოლიტიკა მიმართულია პატარა ერების თვითგამორკვევის სასარგებლოდ, არავითარ მოთხოვნას საქართველოს მიმართ ადგილი არა ჰქონია, გარდა იმისა რომ ბათუმი არ იყოს დაკავებული მტრის ძალების მიერ. საბჭოთა რუსეთს არ მოუღია და არც მიიღებს საშერო მოქმედებას საქართველოს წინააღმდეგ ბათუმის დაკავებით თუ სხვანაირად".

როდესაც ინგლისში ეს ცნობა გამოქვეყნდა, ე.ი. 3 დეკემბერს, სწორედ იმავე დღე იწყებოდა საქართველოს დაბურობის პირველი გეგმა რუსეთის მეთერთმეტე არმიის უფროსის ნეკკერის მიერ.

ქართველებმა ხელთ ჩაიგდეს ნეკკერის მოხსენება საქართველოს ოკუპაციის შესახებ, დაწერილი 18 დეკემბერს 1920 წელს და წარდგენილი სამხედრო საბჭოში. ამ მოხსენებიდან ვტყობულობთ რომ იმავე საკითხზე პირველი მოხსენება 3 დეკემბერს წარუდგენია. ამ თარიღების ასეთი შეხვედრა მოწმობს თუ რუსეთი საქართველოს საკითხს როგორ დასცინოდა!

ნეკკერი 18 დეკემბრის მოხსენებაში სწერდა:

"როგორც მე უკვე ვაუწყე მიმდინარე 3 დეკემბერს მეთერთმეტე არმიის სამხედრო რევოლუციურ საბჭოს, რომ საქართველოს წინააღმდეგ ოპერაციები შესაძლებელია მხოლოდ იმ აუცილებელი პირობით, თუ მეგობრულ ნაიტრალობას დაიცავენ კიაზიმ კარაბექირის ჯარები, რადგან თუ ამ ოპერაციებისთვის დანიშნული იქნება მეთერთმეტე არმიის გარდა მთელი მეცხრე არმია და კავალერიის ორი არმია, მაინც ჩვენ სარდლობას არ ეყოლება საკმარისი ძალები რომ თურქებს წინ გადაელობონ იმედიანად"
(იხ. ზემოდ აღნიშნული დოკუმენტების კრებული, რომელიც ჩვენი მთავრობის მიერ იყო გამოცემული).

შემდეგ უკეთებს რა ანალიზს ქართველებისა და თურქების ძალებს, დაასკვნის, რომ ქართველების წინააღმდეგ გალაშქრება შეიძლება მხოლოდ ისეთ პირობებში, თუ ოსმალეთი ნეიტრალური დარჩება და ჩვენც კიდევ ვიქნებით მომზადებული.
ის სწერს: "ასეთ პირობებში, ჩემი ღრმა რწმენა, რომელიც მოვალეობად მიმაჩნია წერილობით გადმოგცეთ, ის არის, რომ სანამ თურქებთან ჩვენი ურთიერთ დამოკიდებულება არ იქნება მოგვარებული, სახიფათო იქნებოდა საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციების დაწყება"

და საჭირო ძალების აღნუსხვის შემდეგ დაასკვნის:

"ზემოდ აღნუსხული მოსაზრებანი არ არიან მოყვანილნი, საქართველოს წინააღმდეგ შეტევის შეუძლებლობის დასამტკიცებლად, არამედ მხოლოდ იმიტომ, მე ვფიქრობ, რომ შეტევა უნდა მოხდეს მხოლოდ სათანადო მომზადების შემდეგ, რათა რაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიძლება მალე ბოლო მოუღოთ თბილისის ხალხს".

წინა წლის მაისის დამარცხების შემდეგ, გასა-გებია ნეკკერის სიფრთხილე და როგორც მერე ვნახ-ავთ თურქების ნეიტრალობაც მოიპოვეს და მეგობრობაც.

<u>4. ბოლშევიკების შემოსევა</u>. ნეკკერის მოხსენე-ბიდან შემოსევამდე ორი თვის ვადა იყო. ჟორდანია თვითონ სწერს რომ დეკემბერში ყველაფერი ვიცოდი-თო. მიუხედავად ამისა, არ სჩანს რომ ამ ორი თვის განმავლობაში სერიოზულ მომზადებას ადგილი ჰქონდა. "მსოფლიო დემოკრატიის" ხანაში ვცხოვრობ-დით და მამა-პაპური "ქუდზე კაცის" დაძახება სირცხვილი იქნებოდა!

ეს ნათლად გამოჩნდა ომის დასაწყისშივე. საქართველომ ვერ შესძლო იმდენი ძალის გამოყ-ვანაც, რამდენიც რვა თვის წინ ჰყავდა. ცხადია ეს ფაქტი უიარაღობის მიზეზებსაც აბათილებს!

ბოლშევიკებს ქართველებზე უკეთ ცნობები ჰქონდათ და თუ მაინც ეშინოდათ, იცნობდნენ ქართ-ველების ბრძოლას და რას წარმოიდგენდნენ რომ სამშობლოს დასაცავად მთელი ერი არ ეკვეთებოდა მათ!

დროც ჰქონდათ მომზადებისა. საქართველოს მოუმზადებლობასთან, ნეკკერის გეგმა თურქების მიმართაც განხორციელდა. შეტევაც გადაწყდა.

11 თებერვალს 1921 წელს, ომის გამოუცხადებლად, მეთერთმეტე არმია სომხეთის მხრიდან შემოესია საქართველოს.

საქართველოს მთავრობის შეკითხვაზე, საქართველოში რუსეთის ოფიციალური წარმომადგენელი არონ შეინმანი უპასუხებს, რომ ამ შემოსევის შესახებ რუსეთში არაფერი იციანო, და მას ის გადაბრალა სომხებს. თავის მხრივ გასაბჭოებული სომხეთის წარმომადგენელმა მავერდოვმა განუცხადა საქართველოს მთავრობას, რომ ეს შემოსევა სრულიად უცნობი იყო სომხეთისათვის. ფაქტებმა დაამტკიცეს რომ სომხეთის წარმომადგენელი იყო მართალი. ეს შემდეგაც დადასტურდა იმით, რომ როგორც ქვემოდ ვნახავთ, ამ შემოსევაზე თვით ქართველმა კომუნისტებმაც არაფერი იცოდნენ...

პირველი შეტევისთანავე ქართველებმა მრავალი ტყვე ჩაიგდეს ხელში; აქ ერთი სომეხიც არ ერ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ის და ყველა რუსები იყვნენ.

15 თებერვალს რუსეთის კავალერიამ შემოუტია აზერბეიჯანის მხრიდანაც. 16 თებერვალს საქართველოს მთავრობას სურს მოსკოვთან ტელეგრაფით მოლაპარაკება, მაგრამ კარახანმა ლაპარაკზე უარი განუცხადა. მეორე დღეს თბილისის რადიო სადგური აცნობს: ჩიჩერინი უარჰყოფს რა რუსეთის თავდასხმას, საქართველოს წინადადებას აძლევს შუამავლობა გაუწიოს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს. საქართველოს მთავრობა უპასუხებს: ის მიიღებს ამ წინადადებას, თუ რუსის ჯარები დასტოვებენ საქართველოს ტერიტორიას.

21 თებერვალს ნ. ჟორდანია კიდევ ერთხელ ეკითხება ჩიჩერინს რუსეთის შემოსევის შესახებ. პასუხი არ არის.

22 თებერვალს ჟორდანია პირდაპირ მიმართავს ლენინს და ტროცკის და სთხოვს ომის შეჩერებას. არც ისინი აძლევენ პასუხს...

ამასობაში ბრძოლა მწვავე ხასიათს იღებს. თბილისს მტერი მოადგა ორი მხრიდან. ქართველები

გმირულად იბრძვიან. როგორც გადმოგვცემენ, ჟორდანიას ჯერ კიდევ 16 თებერვალს გადაუწყვეტია თბილისის დატოვება. მხედრობა და დამფუძნებელი კრება მას ანერვებს. ხდება უკანასკნელი ძალთა შემოკრება და წინააღმდეგობა.

ქართველების შეკითხვების საპასუხოთ ბოლშევიკები კიდევ აძლიერებენ შემოტევებს სამი მხრიდან: ვლადიკავკაზის მხრიდან საქართველოს სამხედრო გზით, მამისონის უღელტეხილიდან ქუთაისისაკენ და სოჭის მხრიდან შავი ზღვის ნაპირებზე.

ამნაირად, საქართველოს ალყა შემოარტყეს: მე-9,8,11 და მეცამეტე არმიებით და კიდევ ბუდიონისა და ჟლობას ცხენოსანი ჯარებით.

ასეთ შემთხვევაში, ისედაც მოუმზადებელი საქართველო ვერ ახერხებს ღირსეულ წინააღმდეგობას.

ბოლშევიკებს ამაგრებენ თურქებიც. საქართველოს დაბყრობაში თურქეთმაც ითამაშა თავისი როლი. ის უკვე რუსეთის კავშირში იყო. მაგრამ მოუხედავად ამ კავშირისა, ის რომ დაინტერესებული ყოფილიყო საქართველოს დამოუკიდებლობით, შეიძლება

მდგომარეობა სხვანაირად შეტრიალებულიყო. მაგრამ თურქებმა საქართველო ისევე ადვილად გასწირეს როგორც აზერბეიჯანი. იმასაც შეეცადნენ რომ ზოგიერთი ადგილები მაინც ჩაეგდოთ ხელში. ამაზე მათ ჩუმი მოლაპარაკები ჰქონდათ რუსებთან, აქეთ კი ქართველებს ატყუებდნენ. მაგ. ომის დასაწყისშივე თურქეთის წარმომადგენელი ქიაზიმ ბეი ხვდება ნ. ჟორდანიას. უკანასკნელი ასე გადმოგვცემს ამ ამბავს თავის მოგონებებში: "ის გამოცხადდა ჩემთან მეორე დღესვე და გამიცხადა სრულიად კატეგორიულად: ჩვენი ინტერესია საქართველოს დამოუკიდებლობა და ამ მიზნის მისაღწევად არ დავერიდებით ომსაც ბოლშევიკების წინააღმდეგ. ასეთია ჩვენი მთავრობის აზრით. ეს იყო პირდაპირ ჩვენი გაკეთებბ, ვინაიდან ვიცოდით, რომ დიდ მნიშვნელობას აძლევს მოსკოვი ოსმალოს ნეიტრალობას"

ხოლო რუსებმა ოსმალოს ნეიტრალობა მოიპოვეს იმით რომ მათ დაუთმეს არდაჰანისა და ართვინის ოლქები.

22 თებერვალს ანგორის მთავრობა ულტიმატუმს უდგენს საქართველოს მთავრობას დასცალოს არდაჰანისა და ართვინის ოლქები. საქართველოს მთავრობამ ის შეასრულა. მას არ შეეძლო ბრძოლა ერთ და იმავე დროს რუსებისა და თურქების წინააღმდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამის შემდეგ თურქეთის წარმომადგენელს კიაზიმ ბეის კიდევ გაუმეორებია ცინიკურად, რომ ამის შემდეგ ჩვენს შორის დავა ამოწურულია და ამით კი კიდევ ერთხელ აღიარებდა საქართველოს მთავრობას, რადგან ისინი მიიღებდნენ ახალციხისა და ბათუმის დასაკავებლადაც.

5. თბილისის დაცემა. საქართველოს მდგომარეობა მძიმე შეიქმნა. რუსები ხუთი მხრიდან უტევენ მას. ბრძოლა ხდება მეტად არა თანასწორ ძალთა შორის. ქართული სარდლობა გადასწყვეტს დასცალოს სატახტო ქალაქი, რადგან თავს გრძნობს გარემომოწყვეტილად. ბრძოლა განაგრძოს დასავლეთ საქართველოდან და ბათუმი სამხედრო ბაზად შემოინახოს

ამ ომის აღწერა და თბილისის გარშემო შექმნილი მდგომარეობაც ჩვენი საგნის ფარგლებს სცილდება. ხოლო სატახტო ქალაქის დატოვებაზე უნდა შევჩერდე. ამ საკითხმა ემიგრაციაში დიდი კამათი გამოიწვია. პატრიოტული გრძნობით ანთებული ქართველის გული ვერ ითმენს სატახტო ქალაქის უბრძოლველად მიტოვებას, თუნდაც სამხედრო თვალსაზრისით ის აუცილებე-

ლი უფილიერო. აი, რატომ გამოიწვია მან კამათი. თბილისის დატოვებას ერთი მეორეს აბრალებენ მთავრობა და სარდლობა. მიუხედავად იმისა რომ ამ საკითხზე ორივე მხრიდან გამოქვეყნებული იყო ცნობები, მაინც საბოლოო მსჯავრი ისტორიას ეკუთვნის. ჩვენს მოსაზრებას კი შეიძლება იმდენად ჰქონდეს ფასი რამდენადაც მოცემული საბუთები სწორად გადმოგვცემენ ვითარებას.

სურათი, სადაც პირველად წყდებოდა თბილისის დატოვების საკითხი, პირველად გამოქვეყნდა კოტე იმნაძის მოგონებაში (იხ. "ბედი ქართლისა" ნ.29).

იმნაძე იყო ჟორდანიას ადიუტანტი და ჟორდანიასთან ერთად ესწრებოდა თათბირს გენ. კვინიტაძესთან. მისი გადმოცემით მთავარსარდალს ასე დაუსაბუთებია თბილისის დატოვების აუცილებლობა: რომ მტრის მიერ ალყა შემორტყმული ვართ და ერთი გზაღა გვაქვს დარჩენილი. თბილისის დატოვებით ფრონტს შავამცირებთ და მერე დავამარცხებთ მტერს დასხ. იმავე იმნაძის განცხადებით, სწორედ ამ დროს მოდის ცნობა ქართველი ჯარების გამარჯვებისა (რაც შემდეგ კვინიტაძემ უარჰყო). მაშინ გენ. ოდიშელიძეს უთქ-

ვამს: ასეთ პირობებში თბილისის დატოვება იქნებოდა უაზრობა, საჭირო შეტევაზე გადასვლათ. მიუხედავად ამისა გენ. კვინიტაძე განაგრძობს კარნახს ბრძანებისა უკან დახევის შესახებ და უთქვამს: "თქვენს განკარგულებაშია ბატონო თავმჯდომარე, ორი საათი; მე ვიწყებ უკან დახევას ღამის 12 საათზე. ისარგებლეთ ამ დროით როგორც საჭიროდ მიგაჩნიათ". ეს ხდება მაშასადამე, 24 თებერვალს საღამოს 10 საათზე.

ამის შემდეგ მთავრობის თავმჯდომარე შეეკითხა გენ.ოდიშელიძეს: - აქვს თუ არა მთავარსარდალს უფლება პირადი გადაწყვეტილებით გადასდგას ასეთი საპასუხისმგებლო ნაბიჯი. გენ.ოდიშელიძე უპასუხებს: "მთავარსარდლის საომარ სტრატეგიულ განკარგულებაში ვერავინ ჩაერევა" (ამას ადასტურებს ჟორდანიაც თავის მოგონებებში)."ამ განცხადების შემდეგ ჟორდანიამ დასტოვა შტაბი და ჩემი თანხლებით გაემართა სასახლისაკენ... მან გააცნო დამფუძნებელი კრების წევრთ ჩვენი ჯარის უკან დახევის და თბილისის დატოვების აუცილებლობა იმ სახით, როგორც ეს მთავარსარდალმა გადასწყვიტა, და დასძინა, უკან დახევა დაიწყება ღამის 12 საათზე".

"ამ ამბავმა საერთო ჩოჩქოლი გამოიწვია დამსწრეთა შორის. პირველი სიტყვა აიღო ვეშაპელმა და აღელვებული შეეკითხა მთავრობის თავმჯდომარეს - - ვინ გაბედავს, ვისი აზრია დედა-ქალაქის დატოვება?! - ~~ასეთია~~ ასეთია მთავარსარდლის ურყევი გადაწყვეტილება. თუ ეს არ მოგწონთ, მე მას გადავაყენებ და თქვენ დაგნიშნავთ, ან ვინმეს, ვისაც ისურვებთ, მიუგო მთავრობის თავმჯდომარემ!"...

თუ მარტო ამ ცნობას დავემყარებით, გამოდის რომ თბილისის დატოვება გადაუწყვეტია მთავარსარდალს, მხოლოდ მთავრობის თავმჯდომარეს მიუღია ეს გადაწყვეტილება. წინააღმდეგ შემთხვევაში მას შეეძლო ის გადაეყენებინა და დაენიშნა ისეთი პირი ვინც წინააღმდეგი იქნებოდა თბილისის დატოვებისა. მაგრამ ცხადი ხდება რომ ამ მძიმე პირობებში მთავრობის თავმჯდომარემ პასუხისმგებლობა თავზე არ აიღო.

ახლა მოვუსმინოთ მეორე მხარეს, თვით კვინიტაძეს. 1954 წელს მან გამოსცა წიგნაკი ჟორდანიას მოგონებების საპასუხოდ, სადაც სწერს:

"თვით ნოე ჟორდანიას უნდოდა დასაწყისში თბილისის დატოვება უბრძოლველად. მე ვიყავი რომ შევაჩერე და ვუთხარ მას, მომეცით ათასი კაცი და მე შევებრძოლები მტერს, თბილისის დატოვება უბრძოლველად შეუძლებელია". ხოლო შემდეგ როდესაც ჟორდანიამ ეს გადაწყვეტილება გაუზიარა, "სტ. კედიამ არ აიჯერა და რამდენიმე წევრის თანხლებით მოვიდა ჩემთან და მკითხა: მართალია რომ თბილისს ვტოვებთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უბრძოლველად? -ჩემი პასუხი იყო: ტყვიას დავირტყამ თავში, ვიდრე დავუთმობ მტერს თბილისს უბრძოლველად".

თვით სპ.კედია ასე გადმოგვცემს ამ ამბავს, რომ დამფუძნებელ კრებაზე გამოცხადდა ნ.ჩხიკვიშვილი და გადმოგვცა ჟორდანიას დავალება, რომ მთავრობა ამაღამ თბილისს სტოვებს და ვისაც წამოსვლა უნდა დილის ორი საათისთვის სადგურზე გამოვიდნენო. შემდეგ 12 საათზე ჟორდანიაც მოსულა და იგივე გაუმეორებია. ამზე დიდი სკანდალი ატეხილა. ყველა წინააღმდეგი ყოფილა თბილისის დატოვებისა. შემდეგ სპ.კედია სწერს: "უკანასკნელი შეკითხვა იყო, თუ რა აზრისა იყო ამ საკითხზე თვით მთავარსარდალი. ჟორდანიამ გვიპასუხა, რომ ისიც მისებრ ფიქრობდა. ჩვენ მაინც მოვისურვეთ მთავარსარდლის ნახვა და მასთან მოლაპარაკება. ამ მიზნით იმ ჟამსვე კომისია იყო არჩეული, რომელშიც შედიოდნენ: ი.გობეჩია, იმნაიშვილი და მე. სულ რამდენიმე წუთში მთავარსარდლის სამუშაო ოთახში ვიყავით... მთავარსარდალი გაოცებული დარჩა თბილისის დატოვების გაგონებაზე! - მირჩევნია თავში რევოლვერი დავიცე, ვიდრე თბილისის დაცვაზე ასე ხელი ავიღო, ეს სიტყვა-სიტყვით მისი პირველი რეპლიკა" (იხ. "საქართველოს გუშაგი" ნ.3, პარიზი,1933).

მაგრამ ეს ყოველივე მოხდარა 16 თებერვალს, როდესაც კვინიტაძე ახლად იყო დანიშნული მთავარსარდლად. ამის შემდეგ ერთგვარი ოპტიმიზმი დამყარებულა და დაუწყიათ თავდაცვის გაძლიერება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის ნამდვილი დატოვება სწყდება 24 თებერვალს და დავის საგნადაც ეს იყო გამხდარი. და როდესაც ჟორდანია და იმნაძე ამბობენ რომ მთავარსარდალმა გადასწყვიტაო, ამაზე მთავარსარდალი არაფერს გვეუბნება. მაშასადამე ამ ფაქტს ის არ უარჰყოფს. მიუხედავად ამისა სწერს რომ თბილისის დატოვება მთავრობის მიერ იყო გადაწყვეტილი, ხოლო მთავარსარდალს ეკუთვნოდა დროს ამორჩევაო. და თავს იმართლებს იმ ფაქტით რომ ჟორდანიამ თბილისის დატოვება გადაუწყვეტია 16 თებერვალს, ხოლო კვინიტაძეს ასეთი რამ საჭიროდ უცვნია მხოლოდ 24 თებერვალს. ამ დებულების გამართლებისათვის მას მოჰყავს კიდევ ის საბუთი, რომ როდესაც მთავარსარდლობა მიუღია მთავრობისათვის დაუსვამს: "მთავარი საკითხი, როგორც მოვიქეცი 1920 წელს, ე.ი. ჩვენი წინააღმდეგობა თავდება თბილისში, თუ ის გაგრძელდება თბილისის დაცემის შემდეგაც? დაადგინეს როგორც 1920 წელს, სრულიად სამართლიანად, რომ ომს არ ვათავებთ თბილისში და წინააღმდეგობას ვუწევთ მტერს შემდეგშიც. თანახმად ამ დადგენილებისა, მაშინვე ყველა მინისტრები და სამინისტროები იყო გადაყვანილი ქუთაისში,

მთავრობის თავმჯდომარე, საგარეო მინისტრის თანა-

შემწე გ. საბახტარაშვილი და დამფუძნებელი კრება
კი რჩებიან თბილისში. ამათთვის მომზადებული იყო
განსაკუთრებული მატარებლები და ყველას აუწყეს
რომ მზად იყვნენ ერთ საათში ჩამსხდარიყვნენ მატა-
რებელში. ასე რომ თბილისის დატოვება და მისი
ევაკუაცია იყო დადგენილი მთავრობის მიერ, ჯარების
დახევის დროს ამორჩევა კი, რისაკვიეველით, სარდ-
ლობას ეკუთვნოდა" (მისი: "ჩემი პასუხი").

მაგრამ ჟორდანია სულ საწინააღმდეგოს სწერს,

ჯერ კიდევ 24 თებერვლის შეხვედრამე:
"რამდენჯერ მივდიოდი შტაბში, იმდენჯერ გვი-
ნიშნამე დაიწყებდა – ერთად ერთი გამოსავალია
უკან დახევა... ეს ცუდი დღე. ეს საკითხი დავ-
სვი სამხედრო კომისიაში, დაესწრნენ დეპუტატებ-
იც. ამათ სახე ჩამოსტიროდათ, საქმე წაგებულად
მიაჩნდათ. არც ერთი გამამხნევებელი სიტყვა მათ-
გან არ გამიგონია, გარდა ერთი სტ. კედიასი. მხო-
ლოდ ის იყო ქალაქის დატოვების წინააღმდეგი, წი-
ნააღმდეგი იყო მთავრობა და თავდაცვის საბჭო".

მაშასადამე მთავრობის გადაწყვეტილებას თბი-

ლისის დატოვების შესახებ ჟორდანია უარჰყოფს.

ამიტომ ამ საკითხის გადაწყვეტაც გადავდოთ. ისე

როგორც საკითხი იმის შესახებ თუ საერთოდ რამდე-

ნად სწორი იყო თბილისის დატოვება, და დავუბრუნ-
დეთ ფაქტებს.

25 თებერვალს თბილისი დაცლილია.

რუსები შემოდიან უბრძოლველად და წითელ დროშას

აფრიალებენ...

6. საქართველოს დამარცხება. ქართული ჯარი უკან იხევს და ბრძოლა კიდევ გრძელდება სამი კვირა... თბილისის დაცემით არსებითად გადაწყდა ომის ბედი. წავიდა ის დრო, როდესაც დავით აღმაშენებელი უთბილისოდ სდევნიდა მტრებს. დღეს ეს აღარ შეიძლება. არც ქუთაისიდან და არც ბათუმიდან დაცვა აღარ შეიძლებოდა...

ძალიან მძიმე და შემზარავი იყო ამ დროს თბილისის მდგომარეობა. როდესაც გენ.ნწეიძე იღებს დახევის ბრძანებას ტაბახმელადან თბილისისაკენ, ამ ამბებს ასე გადმოგვცემს: "ძნელი აღსაწერია ის განწყობილება, რომელსაც განვიცდიდი ქალაქში გამოვლის დროს. გვიპყრობდა რაღაც დაბეჩავებული გრძნობა. გვენანებოდა მშობელი ქალაქი. გვეცოდებოდნენ მცხოვრებნი. ვნანობდით მათ უპატრონოდ და დაუფარავად მიტოვებას. ხშირად გვაწვებოდა სირცხვილის გრძნობა. ფანჯრებიდან გამოყოფილი თავები და სასოწარკვეთილი მეკითხვები - ყველა ეს იწვევდა საძაგელ განცდას და გინდოდა ჩქარა გასულიყავი ქალაქიდან. მოვიგონე ჩემი მეგობრები - დატოვილი ოფიცრები და იუნკრები. ისინი რჩებოდნენ საქართველოში... მაგრამ რა უნდა მექმნა... ასეთია ომი" (იხ. მისი მოგ. "მხედარი").

ნელ-ნელა უკან იხევენ და ჩვენმა ჯარებმა თავი მოიყარეს ბათუმში. აქაც თურქებმა უკანასკნელი სამსალა დაალევინეს საქართველოს.

არდაჰანისა და ართვინის დაკავების შემდეგ, საქარ-
თველოს მთავრობას უცხადებენ, რომ საზღვრების
საკითხი გამორკვეულია, რომ დაეხმარებიან რუსებ-
თან ბრძოლაში, ოღონდ ბათუმში შეიყვანონ მათი
ჯარები. თურქების ჯარები შედიან ბათუმში და მე-
ორე დღესვე ანგორის ეროვნული ურილობა აცხადებს
მის ანექსიას. მერე ულტიმატუმს უგზავნის საქარ-
თველოს მთავრობას ჯარების განიარაღების შესახებ.

ნ.ჟორდანია სწერს რომ, ბათუმში რომ წავედ-
ით, აქედან გვინდოდა ბრძოლის გაგრძელება, "მაგ-
რამ ეს პლანი სავსებით ჩაგვინგრია ოსმალეთმა,
უცებ, მოულოდნელად დაგვარტყა ბათუმის მხრით და
მოინდომა ქალაქის დაჭერა" (თარიღებს არ აღნიშნავს)
ამის შემდეგ კი "აღმოვჩნდით ორ ცეცხლს შუა...
გამოსავალი არ იყო.. დროს მოსაგებად ჩვენ დავ-
თანხმდით ბოლშევიკებთან მოლაპარაკებაზე და ზა-
ვის პირობების გამომუშავებაზედ". ეს კი მოხდა
15-16 მარტს.

გენ. კვინიტაძე ამ ამბავს ასე გადმოგვცემს:
"12 მარტს ჩამოვედი ფრონტიდან ბათუმში, ჩვენი

უკანასკნელი წიააღმდეგობის მოსაწყობად... ბათუ-
მში გაკვირვებით ვნახე, ქუჩებში დადიან თათ-
რების დარაჯები. თურმე ნ.ჟორდანიამ ნება მისცა
ოსმალოს შემოეყვანა თავისი ჯარი ბათუმშიო"...

რა მოხდა ამ დროს, როგორც პრეული დრამის
უკანასკნელი აქტისა. ნ.ჟორდანია სწერს: "ბათუმ-
ში, დაპატიმრებული ბოლშევიკები გავანთავისუფლეთ.
მოვიდნენ ჩვენს ვაგონში მოსალაპარაკებლად. საუ-
ბარი იყო მოკლე. ჩვენი საერთო ინტერესია მხოლოდ
ერთი - ბათუმისა და მისი ოლქის საქართველოს საზ-
ღვრებში დარჩენა, რა გინა წყობილებაც იყოს აქ,
თუ შეგიძლიათ ამ ხაზე იმოქმედოთ, დაეხმარეთ
ჩვენს ჯარებს, ოსმალოს ბათუმიდან გასარეკად -
- განვუცხადე მე".

ამ შეხვედრის მთავარი პირი ბოლშევიკებიდან
იყო ს.ქავთარაძე. ის თავის მოგონებებში სრულე-
ბით არ იხსენიებს ჟორდანიას მიმართვას დახმარე-
ბისათვის. რაც მისი სიტყვით ჟორდანიას უთქვამს,
ეს არის შემდეგი: -"მე თქვენ მოგიწვიეთ რათა მო-
ველაპარაკოთ, სანამ ჩვენ საქართველოს დავტოვებთ.
საქართველოს მთავრობა იძულებულია დატოვოს საქარ-
თველო. ჩვენ ვერ გავუძლებთ საბჭოთა ჯარის შეტევას.

განთიადზე გადავლოთ კრეისერზე, რომელიც გვიცდის რეიდზე. მე მოგმართავ თქვენ, როგორც პასუხის-მგებელ პარტიულ პირებს... მიიღეთ ზომები, რომ თქვენმა ჯარმა არ დაარბიონ ხალხი და ქვეყანა, არ დაანგრიონ და არ მოსპონ კულტურული და ისტორიული განძეულობა, რომელიც შექმნილია ჩვენი ხალხის მიერ". (იხ. ქავთარაძის მოგონებანი? "მნათობი", ნ.11, 1957 წ.).

ამის შემდეგ კი ქავთარაძე გვიყვება, რომ მან მოიწვია გენ. მაზნიაშვილი და აიძულა ჯარების სათავეში ჩასდგომოდა და თათრები გაეძევებინა ბათუმიდან. ასე გამოდის რომ თითქოს ბათუმიდან თათრები გააძევეს ქართველმა ბოლშევიკებმა ქართული ეროვნული ჯარების საშუალებით. თუმცა ქავთარაძე იმასაც გადმოგვცემს რომ სანამ ის მაზნიაშვილს დანიშნავდა, ქალაქში უკვე სროლა ისმოდა. ამას ამოწმებს გენ. კვინიტაძეც. არც ჟორდანია და არც ქავთარაძე ზუსტ თარიღებს არ იძლევიან საკითხის სწორი დადგენისათვის. გენ. კვინიტაძე 18 მარტს დილის 3-4 საათზე გადასულა გემ "მარიაზე" ხოლო 8-9 საათზე გემ "კისალიზე". ამ საათებში იქიდან გამოუგზავნია ორი იუნკერი ამბის შესატყობად, თუ რა ხდებოდა ქალაქში. მათი მოტანილი ცნობებით ბათუმში ბრძოლა იყო გაჩაღებული და გამარჯვებაც

ჯერ-ჯერობით ჩვენს მხარეზეაო. მათვე უნახავთ გენ.მაზნიაშვილი წითელი ნიშნებით. მაშასადამე, კვინიტაძის მოწმობით ომი დაწყებულა 17-18 შუაღამის შემდეგ ე.ი. 18 მარტს, ჟორდანია კი გემზე 17 მარტს 9-10 საათზე, ბოლშევიკებთან მოლაპარაკების შემდეგ. ასე უნდა შესწორდეს თარიღები.

დავუბრუნდეთ გამოვარკვიოთ ერთი საინტერესო მოვლენა. სწორედ 16 მარტს 1921 წელს, მოსკოვში, თურქებმა და რუსებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას,რომლის მეორე მუხლით, თურქეთი უთმობს საქართველოს თავის სუვერენულ უფლებებს ბათუმზე.აქედან ირკვევა რომ ეს "სუვერენობა" მას უკვე გამოცხადებული ჰქონდა 16 მარტის თუნდაც ერთი დღის წინ, სხვანაირად როგორ დაუთმობდა იმას რაც მას არ ეკუთვნოდა. მაშასადამე ამ დროს თურქების მიერ ბათუმის დაკავება იყო მხოლოდ დიპლომატიური მანიოვრი.თუმცა მისი პრეტენზია მიდამ ჰქონდათ, მაგრამ ისიც იცოდნენ რომ რუსები ბათუმისთვის მოდიოდნენ და მას თურქებს როგორ დაუთმობდნენ!

ეჭვობა არც საქართველოს მთავრობას, არც სარ-

ლობას და არც ადგილობრივ კომუნისტებს 17 მარტს ეს არ სცოდნიათ, თორემ ღია კარების მტვრევა არ დასჭირდებოდათ. ე.ი. ბრძოლა იქნებოდა ზედმეტი. თურქები, თანახმად ხელშეკრულებისა უნდა გასულ-იყვნენ და თურქულ საბუთებშიც დამარცხებაზე არ ლაპარაკობენ, არამედ ბათუმის დაცლაზე.

ამნაირად რუსეთმა დაიკავა მთელი საქართვე-ლო ბათუმით, ხოლო თურქებს დაუთმო არტაანი და ართვინი თავიანთი ოლქებით და რომელიც იმავე წელს, 21 ოქტ.1921 წლის ყარსის ხელშეკრულებით ამიერ-კავკასიის საბჭოთა მთავრობებს დაამტკი-ცებინეს, როგორც თურქეთის საკუთრება.

1921 წლის 18 მარტს მცირე შემადგენლობით, საქართველოს ეროვნული მთავრობა გაემგზავრა ევრო-პისაკენ და მათთან ერთად ერთი ნაწილი მხედრობისა და პოლიტიკური მოღვაწეებისა.

ასეთი დრამატიული სურათით თავდება ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი გმირული ეპოპეის უკანას-კნელი მოქმედება!...

-----------

ეროვნული ბიბლიოთეკა



# თავი მეექვსე

# საქართველო დაბყრობის შემდეგ

## 1. საქართველოს დაბყრობა და ქართველი კომუნისტები.

საქართველოს შინაურ მდგომარეობას ვრცლად არ შევეხებით. აღვნიშნავთ მხოლოდ ზოგიერთ მოვლენებს, დამახასიათებელთ რუსეთის პოლიტიკისა საქართველოში, ქართველთ კომუნისტების დამოკიდებულებაზე აღნიშნულ მოვლენებთან და უმთავრეს აჯანყებებს რაც მოჰყვა საქართველოს დაბყრობას; აგრეთვე მის გამოძახილს უცხოეთში, ხოლო მას უფრო ვრცლად შემდეგ თავში განვიხილავთ. ყოველივე ეს იქნება განხილული ქრონოლოგიურად, რადგან ისინი ერთმანეთთან არიან დაკავშირებულნი.

პირველ რიგში აქ უნდა გამოირკვეს ერთი საკითხი, რომელიც ქართველმა კომუნისტებმა და რუსებმა "გამოსარკვევი" გახადეს, თორემ აქ გამოსარკვევი არაფერია. საქართველოს დაბყრობის დღიდანვე რუსები პროპაგანდას სწევენ, რომ საქართველოს დაბყრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბას ადგილი არა ჰქონია. რუსის ჯარები შემოვიდნენ მხოლოდ დასახმარებლად ქართველი "აჯანყებულებისა". ქართველი კომუნისტებიც ბანს აძლევენ და ბოლომდე სულ იმის მტკიცებაში არიან, რომ საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარება იყო შედეგი "მუშათა და გლეხთა"აჯანყებისა და მათი გამარჯვებისა. ამისთვის მათ მრავალი მელანი დაღვარეს. მაგრამ სინამდვილე მაინც ვერ დაფარეს და აქა-იქ მათ ნაწერებშივე ვხვდებით მათი აზრების გამაბათილებელ საბუთებს. მაგ: პირველ რიგში ძველი ქართველი კომუნისტების მემუარები აშკარად ღაღადებენ რუსეთის წითელი არმიის შემოსევისა და საქართველოს დაბურობის აქტს. ამის საუკეთესო ნიმუშია ძველი ბოლშევიკის ს.ქავთარაძის მოგონებანი, რომელიც დაიბეჭდა ჟურნ."მნათობის" 1957 წლის მე-11-ე ნომ-ში.

ის სიცრუვე, რასაც კომუნისტები აქამდე ქადაგობენ, მხოლოდ ერთი საბუთით შეიძლება გაქარწყლებულ იქმნეს და ეს არ არის ჩვენი მოგონილი. კომუნისტებისწერენ რომ რუსეთის წითელი არმია შემოესია საქართველოს თითქოს, "ქართული რევოლუცი-

ური კომიტეტის" მიმართვით და თხოვნით. მათივე ცნობით ეს კომიტეტი შემდგარა 16 თებერვალს 1921 წელს. ამიტომ ცხადია ის 16 თებ. ადრე ვერ მიმართავდა მოსკოვს დახმარებისათვის. ხოლო ყველამ იცის და არც კომუნისტები უარჰყოფენ რომ საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის მეთერთმეტე არმიამ შემოტევა დაიწყო 11 თებერვალს. მაშასადამე ქართველი კომუნისტები არითმეტიკაში შეცდნენ. თარიღი მათი კომიტეტის "თხოვნისა" ცოტა მაინც იქით უნდა გადაეწიათ 11 თებერვლიდან!

ნამდვილი ისტორია ზემოდ უკვე იყო აწერილი. ჯერ ერთი არავითარი გამართლება არ შეიძლება რუსების შემოსავისა, თუნდაც ის ქართველ კომუნისტებს მოეწვიათ ხოლო სინამდვილე კიდევ უარესს გვეუბნება შემდეგში შექმნილი აღნიშნული ლეგენდის წინააღმდეგ. სულ მალე ისიც გამოირკვა რომ "კომიტეტის თხოვნა" კი არა ქართველმა კომუნისტებმა თბითონაც არ იცოდნენ რუსეთის შემოსევის გადაწყვეტილება. რუსებს მათთვის ანგარიში არ გაუწევიათ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ გადა-

რუსებულ სტალინ-ორჯონიკიძეს!...

საქართველოს დაპყრობის შემდეგ საბჭოთა პრესაში აუარებელი საბუთი იყო გამოქვეყნებული, რაც უარჰყოფდა მათ პროპაგანდას. თუმცა ეს საკითხი ძველია და უკვე ცნობილი, რადგან კომუნისტები მას აქამდე იცავენ, საჭიროა რომ ზოგი ამ საბუთთაგანი მაინც ყველამ გაიცნოს.

როდესაც სტალინი გარდაიცვალა, როგორც იქ შე-სია, ყველაფერი მას გადააბრალეს რომ ლენინი და მისი აღზრდილნი აბრაამის ბატკნებად გამოეყვანათ.

1921 წელს სტალინი ჯერ კიდევ არ იყო გადამწყვეტი ძალა. ის იყო ეროვნებათა კომისარი და რომ თავისი თანამდებობა გაემართლებინა, თავისი სამშობლოს დაპყრობაც სურდა და აგრეთვე შურისძიება მენშევიკებისა. მაშინ ლენინის დაუკითხავად არავის არაფერი შეეძლო. ამ დროს ყველაფრის სათავე ლენინი იყო. სტალინ-ორჯონიკიძე წარმოშ-ვებით ქართველები იყვნენ, მაგრამ მათ საქართველოსთან ამის მეტი არაფერი აკავშირებდა და უთუოდ დიდი როლი ითამაშეს საქართველოს წინააღმდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგრესიაში. ლენინი კი დიქტატორი იყო და მისი ნების გარეშე საქართველოში რუსის ჯარი ფეხს ვერ შემოდგამდა!

ახლა ვნახოთ როგორ მოხდა საქართველოში "აჯანყებულების" გამარჯვება. რუსეთის მეთერთმეტე არმიის ორგანო "კრასნი ვოინ" 2 მარტს 1921 წ. ასე გადმოგვცემს თბილისის აღების ამბავს:

"... ჯავშნოსანი მატარებლები, ხოლო შემდეგ კი ტანკების რაზმი, შევიდნენ წყნარად, მაგრამ მრისხანებით და დიდებულად, როგორც გოლიათები, რომელნიც მიიწევენ მიზნის, რათა თავიანთი სიმძიმით არ გასრისონ.. ირგვლივ სამარისებური სიჩუმე იყო... ჩვენ აქ გავცურეთ, როგორც ბნელმა ჩრდილებმა. ქართველებმ მოუხდენიათ უვალოთრის უცქერიან, იმ უიმედობით და გრძნობით, რომ უძლური არიან გაუძლონ და წინააღუდგნენ რუსეთის ძლევამოსილ და მრისხანე ძალას... (მახსენდება ასურეთის იმპერიალისტების ტრაბახი!) აი ნავთლუღიც, მერე თბილისი. მტრის წინააღმდეგობა გატეხილია; მან უკან დაიხია და ჩვენ გამარჯვებული შევედით თბილისში...არმიის უფროსმა ნეკკერმა მილოცა ჯავშნოსნებს გამარჯვება და მადლობა უთხრა თავდადებული მუშაობისათვის"!

ბრმაც დაინახავს თუ რომელ აჯანყებულებს დაუკავებიათ თბილისი, ისიც უბრძოლველად მიტოვებული!

ხოლო ამის შემდეგ 5 მაისს 1921 წელს ქართველი კომუნისტები "კომუნისტში" სწერდნენ: "რუსეთის კომუნისტური ჯარი, ეს ჩვენი კლასობრივი ამხანაგები, ჩვენ დავიხმარეთ, ჩვენს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაურ კლასობრივ ბრძოლაში... ისინი იქნებიან

აქ მანამდე, სანამ არ შევქმნით ჩვენს, საქართველოს წითელ ჯარს და არ გავწყვეტთ ჩვენი მტრების ყოველივე ფიქრს - ოცნებას ძველის აღდგენა-განმეორების შესახებ"...

ამის შემდეგ მრავალი წელი გავიდა და ქრეობა ქართველ კომუნისტებს ვერც "ქართული წითელი ჯარი" შეუქმნიათ და ვერც "კლასობრივი მტერი" მოუსპიათ, რადგან რუსეთის ჯარი ისევ საქართველოში დგას!

იმავე გაზეთში სწერია რომ რუსეთი დავიხმარეთ და "საქართველო ანტანტის კლანჭებიდან გავანთავისუფლეთ". მაშინ როდესაც არც ერთი უცხო ჯარის კაცი არ ყოფილა საქართველოში ამ დროს.

საქართველოს "განაბჭოების" 15 წლისთავზე, ლ. ბერია სწერდა თავის მოხსენებაში:

"25 თებერვალს 1921 წელს ქართველმა ხალხმა რუსეთის პროლეტარიატისა და მუშურ-გლეხური წითელი არმიის დახმარებით გადაგდო მენშევიკების ბატონობა და შექმნა საბჭოთა წყობილება".1)

1) იხ. რუს. გაზეთი "იზვესტია" 26 თებ. 1936 წ.

(და როდესაც "საქართველოს პროლეტარიატი" იბრძოდა, მაშინ ლ. ბერია აზერბეიჯანის მთავრობის დაზვერვაში მუშაობდა იმპერიალისტებისათვის. ეს ცნობა მოდის უშუალოდ აზ. დაზ. უფროსისაგან).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზ. "კომუნისტის" 22 თებ. 1961 წ. ნომერში მოთავსებულია წერილი ვინმე მ.ტ.ტასკუნოვისა, "საბრძოლო მეგობრობის ფურცელი". აქ მას მოჰყავს ს.ორჯონიკიძის სიტყვები: "წინათ მენშევიკები ეძებდნენ და იღებდნენ დასავლეთ ევროპის იმპერიალისტების ჯარების მხარდაჭერას, ახლა კი საქართველოს კომუნისტებმა ჰპოვეს მხარდაჭერა რუსეთის მუშურ-გლეხური არმიის სახით".

სინამდვილე კი ის იყო რომ მენშევიკებს არავითარი უცხო ძალა არ მოუყვანიათ საქართველოში. ჯერ გერმანელები და მერე ინგლისელები მოვიდნენ ომის გარემოებათა შედეგად. ისინი ჩვენ ნამდვილად დაგვეხმარნენ და მერე თავიანთი ნებითვე წავიდნენ. რუსებმა კი საქართველო დაიპყრეს, თითქოს ხელისუფლება ქართველ კომუნისტებს გადასცეს და უკან კი აღარ მიდიან!...

შემდეგ ტასკუნოვი განაგრძობს: "კავკასიის ფრონტის მეთერთმეტე არმიის ნაწილები საქართველოში მოვიდნენ აჯანყებულთა და მათ მიერ შექმნილი რევოლუციური კომიტეტის მოწვევით".

ზემოდ უკვე გვქონდა საუბარი, რომ 16 თებ. შექმნილი კომიტეტი 11 თებ. რუსის ჯარს ვერ მოიწვევდა! ამავე დროს 16 თებერვალს ბრძოლა ისეთ სასტიკ ხასიათს იღებდა რომ პირველად მაშინ დაბა-

დებულა აგრ თბილისის დარბევებისა...

იმავე ჟურნალში ტროსკუნოვი სწერს: "მეცხრე მსროლელთა დივიზიის პოლკები 1921 წ.25 თებერვალს, მეორე მსროლელთა დივიზიის ნაწილებთან დასხ. შევიდნენ განთავისუფლებულ თბილისში, რომლის მშრომელი მოსახლეობა სიხარულით და აღფრთოვანებით შეხვდა საბჭოთა მეომრებს".

არ ვიცი თუ ქვეყანად არსებობს ერი, რომელიც ბრძოლით შემოსეულ მტერს სიხარულით შეხვედროდეს! ხოლო თუ როგორი იყო ეს "სიხარული და აღფრთოვანება", ამაზე უკეთესია მოვუსმინოთ ქართველი კომუნისტების ერთ-ერთ ლიდერს ს.ქავთარაძეს. ის რუსეთის საელჩოსთან თანამშრომლობდა. ომი რომ დაიწყო, საქართველოს მთავრობამ ის დაატუსაღა და თბილისის დარბევების შემდეგ ბათუმში წაიყვანა. და როდესაც ის სადგურზე მოუყვანიათ, აქ რაც მან ნახა და განიცადა, აღწერა თავის მოგონებებში (იხ."მნათობი" 11-1957) ის ასე გადმოგვცემს მოსახლეობის სურათს: "სადგურის წინ, მოედანზე, რომელიც ეკვრის წინა შესავალს, სრულიად უწესრიგოდ ეყარა ჩემოდნები, დატენილი ტომრები, ფუთები, სამზარეულოს ნივთები, ქოთნები, ტაშტები, ერთი სიტყვით უბედური ხარახურა, მეშაც კი. ერთი ტომრიდან ლობიო ცვიოდა. იქვე ფუსფუსებდნენ ვილაც ქალები დაფლეთილი ტანისამოსით და თმაგაბურძგნულნი. მათ სახეზე სასოწარკვეთილება და საშინელება იყო აღბეჭდილი. ისმოდა ოხვრა და წუქვლა-

გროვა. დატვირთული მანქანების, ქვემეხების და დროგების რიცხვი სულ მატულობდა. ეს იყო შეუკავებელი გაქცევა ნახევრად შეშლილი ხალხისა, რომელსაც ამოძრავებდა შიშის გრძნობა".

აი, თურმე როგორ დახვედრია თბილისის მშრომელი მოსახლეობა რუსის ჯარის შემოსვლას, და ყველა ამას გვიმოწმებს კომუნისტი ს. ქავთარაძე.

<u>2. რუსები და ქართველი ბოლშევიკები.</u> ახლა უნდა გამოვარკვიოთ ქართველი კომუნისტების როლი რუსების შემოსევაში. საქართველოში, როგორც ქვემოდ ვნახავთ, კომუნისტები ძალიან მცირერიცხოვანი იყვნენ. 30 მარტის 1961 წ. გაზ."კომუნისტში" სწერდნენ რომ კომუნისტური პარტიის რიგებში "..1921 წლის დამდეგს 9000-ზე მეტი კომუნისტი იყო". ეს ცნობაც სწორი არ არის, თუმცა ეს რიცხვი დიდს არაფერს წარმოადგენს, თუმცა მარტო მენშევიკებს ამაზე ათჯერ მეტი ჰყავდათ და ასეთ პირობებში ბოლშევიკები რანაირად გაბედავდნენ აჯანყებას.

სინამდვილეში, რუსეთის თავდასხმა საქართველოზე ქართველმა კომუნისტებმა არც კი იცოდნენ. თავდასხმის შემდეგ კი ზოგი მათგანი ოცნებობდა

რომ რუსების ძალობით ხელისუფლებას წაიგდებდნენ ხელში და მერე რუსებს ადვილად მოიშორებდნენ. რუსები საქართველოდან აღარ წასულან, ხოლო აღნიშნული კომუნისტები კი თითო-თითოდ ყველა იყვნენ დახვრეტილნი. საქართველოს დაპყრობის აზრი მოდიოდა ზევიდან, მოსკოვიდან. რუსეთში ბოლშევიკური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, მათ მიზნად დაისახეს ყველა გამოყოფილი ქვეყნები უკან დაებრუნებინათ, ნებით თუ ძალით. ყველამ იცის რომ საერთოდ სოციალისტებს და კომუნისტებსაც ძლიერულ ჰქონდათ ე.წ. ერთა თვითგამორკვევის პრინციპი. მაგრამ როგორც აგრეთვე ცნობილია, ლენინმა მას ახალი "კომუნისტური" განმარტება გამოუნახა: ამ პრინციპს ვიღებთ შეთანხმებით მსოფლიო პროლეტარიატის ინტერესებთან. ეს ინტერესები კი მოითხოვენ ამ ძალების ერთად ყოფნას, ხოლო მათი მოურავი კი რუსეთი უნდა იყოს, ამიტომ ეს თვითგამორკვევა ძალმა წაიღო! ...

ბოლშევიკები ერთა თვითგამორკვევის პრინციპს თავიდანვე ამაცერად უცქეროდნენ. მაგ: 1905 წლ. ნოემბრის ბოლშევიკების მე-4-ე კონფერენციის

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევოლუციაში ვკითხულობთ:
"...იღებს რა მნიშვნელობაში: ა) რომ ბურჟუაზიისიდეოლოგების მიერ შემოყვანებული კავკასიის ერთვნებათა ავტონომია და ფედერაცია ბოლშევიკთავს და ამაგრებს რა უკანასკნელთა შორის ნაციონალურ ზღუდეებს, უსათუოდ მივიყვანდა პროლეტარიატის ძალების დაქსაქსვამდე! ბ) რომ რუსეთის სოც.დემოკრატიის ამოცანა არის არა განმტკიცება ნახსენები ზღუდეებისა, არამედ მისი სრული დანგრევა და რუსეთის ყველა პროლეტარის შეერთება, რომლებიც იბრძვიან ერთი განუყოფელ პროლეტარულ არმიაში".
(იხ.1905-1907 წლ. რევოლუცია საქართველოში. თბილისი,1955 წ.გვ.347).

მაშასადამე, თვით რუსეთის ბატონის ლენინისათვის ეს საკითხი იმ თავითვე გადაწყვეტილი იყო. ხოლო გამოყოფილი ქვეყნების კვლავ დასაპყრობლად, ის უფრო ფრთხილობდა და ეძებდა ხელსაყრელ შემთხვევებს, რათა მდგომარეობა არ გაერთულებინა არც შიგნით და არც გარედ. და თუ მან საქართველოზე ცოტა ლიბერალური აზრები გამოსთქვა, ესეც მისი ტაქტიკა იყო. თუმცა ისიც ცნობილია რომ მთელ იმპერიაში რუსები ქართველებს მეტ ანგარიშს უწევდნენ. ლენინმა ერთის მხრივ ჟორდანია დააჯერა მის მშვიდობიანობის პოლიტიკაში და მეორე მხრით მის მოთაუვანეთ მისცა პროპაგანდის საშუალება, თითქოს ლენინს სრულებით არ სურდა საქართველოს

დაპყრობა და ეს იყო საქმე სტალინისა და ტროცკისა და სხ. მაგრამ ისიც ხომ ვნახეთ რომ ომის დაწყების დროს ჟორდანიას პასუხიც არ გასცა. სინამდვილეში ლენინიც იმავე აზრისა იყო.

აი, თავიდანვე რას ფიქრობდა ლენინი კავკასიაზე. 1917 წლის 18 დეკემბრის თარიღით, ს.შაუმიანის სახელზე გაცემულ მანდატში სწერია:"ამ მანდატის წარმომდგენი, პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის წევრი, ბაქოს მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოს თავმჯდომარე, სტეფანე შაუმიანი დანიშნულია კავკასიის საქმეთა დროებით საგანგებო კომისრად, კავკასიაში სამხარეო საბჭოთა ხელისუფლების შექმნამდე"

ამ მანდატს ხელს აწერენ ლენინი და სტალინი.

(იხ.შ.ცერცვაძე: ლენინი და საქართველო."მნათობი" ნ.4,1960).

მაშასადამე, როდესაც კავკასიას ფაქტიურად სულ სხვა ორგანიზაციები განაგებენ და კომუნისტებს არსად ხმა და ძალა არა ჰქონდათ, ლენინ ამდროიდან მთელ კავკასიას თავისად სთვლიდა და მომავლის გეგმასაც აწყობდა...

შემდეგ. ამიერ კავკასიას უკვე დამოუკიდებლობა გამოცხადებული ჰქონდა და ცალკე რესპუბლიკების გამოცხადების სულ ორიოდე დღის წინ, 24 მაისს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

1918 წელს ლენინი იმავე შაუმიანს ბაქოში სწერდა: "ბაქოს მდგომარეობა ძნელია საერთაშორისო თვალსაზრისით. ამიტომ გირჩევდით, ცდილოთ კავშირი (ბლოკი) ნ.ჟორდანიასთან. თუ შეუძლებელია, უნდა გააჭიანუროთ გადაწყვეტილების მიღება, სანამ არ გამაგრდებით სამხედრო თვალსაზრისით".

(იხ. ა.ხურშუდიან. "ვ.ი. ლენინ ი ბაკინსკაია კომუნა. იზვესტია აკადემიი ნაუკ არმიანსკოი ს.ს.რ. ოკტ. 1956; ნ.10)

აქედან ნათლად ჩანს ლენინის განზრახვა და ისიც მაშინ , როდესაც მათ საბოლოო გამარჯვების იმედი ჯერ არ ჰქონდათ. სულ სხვა მდგომარეობა შეიქმნა 1921 წელს. ამ დროს ერთის მხრივ ბოლშევიკები სრული გამარჯვებულები იყვნენ ყველა ფრონტზე და მეორეს მხრით კავკასიის ჩამოსცილდა დასავლეთის დახმარება; ამას დაუმატეთ რომ კავკასიაში ამ დროს მხოლოდ საქართველო იყო თავისუფალი და ასეთ პირობებში ლენინისათვის ხელსაყრელი პირობებიც დამდგარი იყო რომ საქ.თავისუფლებისათვის ბოლო მოეღო.

ახლა მოვუსმინოთ მეორე კომისარის რუსეთის რესპუბლიკისა, ს.ორჯონიკიძეს, თუ როგორ მოიწვი-რუსის ჯარები. კიროვის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ, ის სწერდა ვორომილოვს:

"1920 წელს კავკასიის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს ბრძანებით ამხ. კიროვმა დაძრა ჯარი ჩრდილოეთ კავკასიისაკენ. 1921 წელს ჩვენ მენშევიკური საქართველოს წინააღმდეგ მივდიოდით. ამ მხრივ კიროვი თვითონ მოუძღოდა ჯარს მამისონის უღელტეხილზე, სადაც გზას იკაფავდა 1-15 საჟენის სიღრმის თოვლში. მხოლოდ ამხ. კიროვის იქ ყოფნას შეეძლო აღეფრთოვანებინა თითქმის ნახევრად ტიტველი და ფეხშიშველი წითელი არმიელები ასეთი საგმირო საქმისაკენ" (იხ. გაზ: "კომუნისტი" 1 ნოემბ. 1958 წ. რეცენზია ნაშრომისა: ს.მ. კიროვის მოღვაწეობა ამ.კავ-ში' - ლ. ბარამია და გ. ივანიძე).

ეს რენეგატი თავის სამშობლოს დაპყრობას დიდ გმირობად სთვლიდა!

საკითხის სრულყოფისათვის დავასახელებ კიდევ ერთ საბუთს. 1924 წელს საქ.კომ.პარტ. ცენტრალურმა კომიტეტმა დაბეჭდა ერთი პატარა წიგნი, ბესო ლომინაძის ავტორობით, რომელიც იყო განკუთვნილი ახლად მოწვეული პარტიის მესამე კონგრესის წევრებისათვის. აი რას სწერს ავტორი ქართველ კომუნისტებზე:

"1921 წელს არავითარი აქტივობის გამოჩენა, საქართველოს წინააღმდეგ წითელი ჯარების შემოტევის დროს. ჩვენი რევოლუცია 1921 წ. დაიწყო რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობით წითელი არმიის ხიშტებით, რომელსაც ქართველი პატრიოტები სთვლიან გარეშე ძალად, თვით საბჭოთა რევოლუცია გამოიხატა რუსების მიერ საქართველოს ოკუპაციაში".

(წიგ. გვ. 7. იხ. ვასო წულაძის მოგონებანი: "კავკასიონი" ნ.13. პარიზი, 1968).

1922 წლის ბერლინში, სამი ინტერნაციონალის კონფერენციაზე და ათასჯერ სხვაგანაც, რუსეთის კომუნისტებმა ახდილად განაცხადეს, რომ კავკასიის დაპყრობა ჩვენ გვინდოდა ნავთისთვისო და სხ.

მაგრამ ყველაზე საინტერესო დოკუმენტად ფილიპე მახარაძის მოხსენება რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი, 1921 წლის 6 დეკემბრის თარიღით. მნიშვნელობა ამ დოკუმენტისა მით უფრო დიდია, რომ ეს პირი გახლდათ "გასაბჭოებული" საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე! ის უკმაყოფილო ფაქტიურად დამყარებული მდგომარეობით და კომიტეტს მოუწოდებს რომ ის როგორმე იყოს გამოსწორებული.

ფ.მახარაძე ამ მოხსენებაში აღნიშნავს რომ 1920 წ.რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება, რომელმაც მათ ლეგალობა მიანიჭა, მათთვის თურმე დამღუპველი აღმოჩნდა. მათი პარტიული ორგანიზაცია შეასუსტა, იქამდე რომ "1921 წლის დასაწყისში საქართველოს კომუნისტური პარტია სავსებით თავმოკვეთილი შეიქმნა". (ამ მოხსენების სრული ტექსტი

დაიბეჭდა ჟურ. "თავისუფალ საქართველოში" ნ.24 1922 წ. სექტემბერი)...."და მოხდა ის, რომ როდესაც დაიწყო წითელი ჯარების შეჭრა, ამ შეჭრის მიზანსა და განზრახვაზე, არც ერთმა იარაღით, . წარმოიდგინეთ, პარტიის არც ერთმა წევრმა საქართველოში არაფერი არ იცოდა და იჭვიც კი არ ჰქონდა. ამიტომ ჩვენი ორგანიზაციის მხრივ, რამდენად ისინი კიდევ მიათრევდნენ თავის წუთისოფელს, არავითარი გამაფრთხილებელი ზომის მიღება არ შეიძლებოდა... ამრიგად მოხდა შემდეგი:
1. საქართველოში წითელი ჯარის შემოსვლამ და საბჭოთა მართულობის გამოცხადებამ მიიღო აშკარა გარეგანდაბეგრობის ხასიათი, ვინაიდან მივხვდით ამ დროს არავინ არც კი ფიქრობდა ახანეების მოწყობაზედ. 2. საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებისას, საქართველოში არ აღმოჩნდა არც ერთი პარტიული იარაღი, არც, მეტი რომ არ ვთქვა, პარტიის წევრი, რომელსაც შესძლებოდა ხელისუფლების ორგანიზაციის მოწყობა. რომ ამ საქმეს ხელი მოეკიდებს უმეტეს შემთხვევაში საჭიროა ან და პირდაპირ ბოროტმოქმედმა ელემენტებმა" და სხ.

მოკლედ ეს მოხსენება სავსეა საყვედურებით. ის ამტკიცებს რომ რუსებმა საქართველო ისე დაიპყრეს, რომ ის არ იცოდნენ თვით ქართველმა კომუნისტებმაც. დაპყრობის შემდეგ შექმნილ ადგილობრივ მთავრობას არაფერს ატყობინებდნენ და ყველაფერს ხელმძღვანელობდა მოსკოვის წარმომადგენელი, ე.წ. პარტიის კავკასიური ბიურო.

მოხსენებიდან ჩანს რომ მოსკოვი ქართველ კომუნისტებს არა მარტო არაფერს ეკითხებიან, არც

ენდობიან რამეში და ევროპულ ორიენტაციებს ქადაგებდა-
პირ უთქვამს: "ნუ თუ ვერ გაიგეთ, რომ მოსკოვი თქვენ არ გენდობათო" და თვითონ მოსკოვის კაცი იყო!

გულუბრყვილო მახარაძე კიდევ ფიქრობდა რომ რუსებს აინტერესებდათ საქართველოს მხოლოდ გასაბ-ჭოება და სხვა არაფერი, და კიდევ ეგონა რომ საქ-ართველო კიდევ შეინახავდა ნასახს დამოუკიდებლო-ბისას!

ბოლოს ის შიშით და მოკრძალებით მიუთითებს მოსკოვს, რომ პოლიტიკური მოსაზრებით, დროებით მაინც, ხალხის მოსაჩვენებლად, შევუნახოთ საქარ-თველოს ერთგვარი დამოუკიდებლობა და მერე როცა ხალხს შევაჩვევთ, ადვილი იქნება ჩვენი ერის გათქვეფა რუსებშიო!...

<u>3. საქართველოს ანექსია.</u> რა მოუტანეს რუსებმა საქართველოს. მათი ოსმალებთან თანამშრომლობის შე-დეგად თურქეთს გადასცეს საქართველოს და სამხრეთ-ის მიწები ჯერ 16 მარტის 1921 წლის რუსეთ-თურქე-თის ხელშეკრულებით, და შემდეგ 13 ოქტ.1921 წლის ყარსში დადებინეს ხელშეკრულება ოსმალეთთან ე.წ. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს, რითაც დაამტკიცე-

ბინეს მოსკოვის ხელშეკრულების მუხლები. ოსმალე-თის საკუთრებად აცნობებინეს მათ საკუთარი მიწები: ყარსის, არტაანის და ართვინის ოლქები მთლიანად და ნაწილი ბათუმის ოლქისაც და ასე მოსტეხეს ფეხი ამ "რესპუბლიკების" არსებობას. რა მოხდა შიგნით:

რუსებმა მხოლოდ რამდენიმე თვე შეინახეს საქარ-თველოს ფიქტიური დამოუკიდებლობა. ხოლო იმავე 1921 წელს რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კო-მიტეტის ბრძანებით აუქმებენ მას და სომხეთ-აზერბე-იჯანთან ერთად ფედერაციაში უერთებენ რუსეთის, უკ-რაინის, და თურქესტანის რესპუბლიკებს. არც ეს აქტი მომხდარა ქართველი კომუნისტების თანხმობით. მაშინ ქართველ კომუნისტებს სურდათ რომ საქართველო ცალკე შესულიყო კავშირში და არა ამიერ-კავკასიის ფედე-რაციის სახით. ეს მოხდა ასე: რუსეთის კომ.პარტიამ გამოგზავნა პროექტი. საქართველოს კომ.პარტიის 5 წევრი იყო მისი წინააღმდეგი მხოლოდ 1 მომხრე. სათათბირო ხმის უფლებით კომიტეტის სხდომაზე დამ-სწრეთაგან 19 წინააღმდეგი იყო და 6 მომხრე. ე.ი. საქართველოს ცეკამ არ მიიღო რუსეთის პროექტი.

მაშინ ისინი რუსეთში აგზავნიან თავის წარ-მომადგენელს ბ.მდივანს საკითხის გამოსარკვევად. მოსკოვი არ იღებს ქართველი კომუნისტების აზრს და 16 ოქტომბერს სტალინი შემდეგ დეპეშას უგზავნის ს.ორჯონიკიძეს:

"ამხ.ორჯონიკიძეს! გრუზცეკას წინადადება, შესახებ გაერთიანების უდროობისა და დამოუკიდებლობის ატრიბუტების შენარჩუნებისა, ერთხმად უარყო ცეკამ (რუსეთის პარტიის). დაინახა რა პლენუმის ერთსულოვნება, საქართველოს ცეკას წარმომადგენელი მდივანი იძულებული გახდა უკან წაეღო გრუზცეკას წინადადება. პლენარულ სხდომამ უცვლელად მიიღო კომისიის წევრების: სტალინის, ორჯონიკიძის, მიასნიკოვის და მოლოტოვის წინადადება, შესახებ ამიერკავკასიის ფედერაციის დატოვებისა და მისი რ.ფ.ს.რ-ის, უკრაინის და ბელორუსიის გაერთიანება "სოც. რესპუბლიკათა კავშირში". - სტალინი.

ამგვარი ბრძანების შემდეგ ქართველმა კომუნისტებმა პირდაპირ ლენინს მიმართეს. მანაც უბრძანა: ცეკას დადგენილებას უნდა დაემორჩილოთ!

22 ოქტომბერს საქ.კომ.პარტიის პლენარულ სხდომაზე განხილულ იქმნა ეს საქმე. რუსეთის წინადადებისა და ბრძანების ყველა მოწინააღმდეგენი გადადგნენ თანამდებობებიდან. ხოლო საქართველოს ანექსიის მომხრეებმა მეორე დღესვე შეადგინეს ახალი კომიტეტი და მოწინააღმდეგენი ყველა რუსეთში გადაასახლეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამით გათავდა საქართველოს მეორე, ფორმალური ანექსია. და ისიც ვნახეთ რომ ლენინიც დასთანხმდა ამაზე. ხოლო შემდეგ შეთხზეს რაღაც ანდერძი ლე/ნინისა (თუ ეს ანდერძი მართალია!). ლენინი აქ უკმაყოფილებას გამოსთქვამს საქართველოს ანექსიის ამ ფორმით ჩატარებაზე, რომელსაც წმინდა "დერჟიმორდული" ნაძალადევი ხასიათი ჰქონდა. აღნიშნულ ანდერძში, რომელსაც ლენინს მიაწერენ, ვკითხულობთ:

"ასეთ პირობებში სრულიად ბუნებრივია, რომ ის - თავისუფლება კავშირიდან გასვლისა - რომლითაც ჩვენ თავს ვიმართლებთ, აღმოჩნდება ცარიელ ქაღალდად და ვერ დაიცავს რუსეთის მცირე ერებს - ჭეშმარიტ რუსის, დიდი რუსეთის შოვინისტის, ნამდვილად კი ფლიდი და მოძალადე ტიპიური რუსის ბიუროკრატიის თავდასხმისაგან. უეჭველია რომ საბჭოთა და გასაბჭოებულ ერთა არსებული მცირე პროცენტი ჩაიძირება ამ დიდ რუსულ ნაძირალათა შოვინიზმის ზღვაში, როგორც ბუზი რძეში".

და ბოლოს დასძენს: "პატარა ერის ნაციონალიზმის მიმართ, ჩვენ - დიდი ერის ნაციონალისტები, თითქმის ყოველთვის, ისტორიულად დამნაშავე ვრჩებით".

(იხ. ჟურნ."ბრძოლა" ნ.19-30 პარიზი. როგორც ამ ცნობის ისე ზემოთ აღნიშნული დ.მახარაძის მოხსენების იდენტურობის შესახებ არაფრის თქმა შეგვიძლია!)

4. ტერორი. საქმე საქართველოს ანექსიის მოხდენით არ გათავებულა. სახელმწიფოებრივი აპარატის გარდაქმნის შემდეგ, შინაგანი მოწყობის საქმე,

მსგავსად სახისა და საქმისა კომუნიზმის მოცი-ქულთა, უნდა ჩამოყალიბებულიყო. მაგრამ ამ საკ-ითხს სულ მოკლედ შევეხებით.

მათი პირველი აქტი იყო მოწინაღმდეგეთა ციხეებში გამომწყვდევა. შემდეგ. გოუხობის გული რომ მოეგოთ ნაადარეს მიწის რეფორმა. სარეფორმო კი აღარაფერი იყო· ის უკვე ჩატარებული იყო საქართველოს სოც. მთავრობის მიერ. მაგრამ ბოლშევიკების რეფორმას სხვა პრინციპი ედო საფუძვლად. დეკრეტ ნ:-17-ით მათ მოახდინეს მიწების სრული ნაციონალიზაცია. ეს იყო თეორიულად. ფაქტიურად კი მიწები ერთმეოდა მხოლოდ მათ ვისაც დაწესებულ ნორმაზე მეტი ჰქონდა, და ემატოდა მას ვისაც ნორმაზე ნაკლები ჰქონდა. ხოლო ვისაც სრული ნორმა ჰქონდა ისინი აღწერას არ ექვემდებარებოდნენ· როგორც აღვნიშნე, რეფორმა უკვე მომხდარი იყო და ფაქტიურად არაფერი შეცვლილა და კოომეურნეობის შემოღებამდე ძველი მდგომარეობა გრძელდებოდა. რეფორმამ მხოლოდ ის დააკანონა, რომ პრინციპიალურად ყველა მიწები იყო სახელმწი-

ფის საკუთრება...

ამას კიდევ მოჰყვა პატრიოტული ელემენტების დაჭერები და გადასახლებები, დახვრეტები და სხ. შემდეგ დაიწყო რელიგიური დევნა. იჭერდნენ მღვდლებს, წვერს ჰკრეჭდნენ და მერე ციმბირში აგზავნიდნენ ხურავდნენ და ანგრევდნენ ზოგ ეკლესიებს და ეს მოქმედება დიდად არ განირჩეოდა ძველი რუსეთის მოქმედებისაგან.

ამის შესახებ სიტყვა მივსცეთ საპასუხისმგებლო პოსტებზე მყოფ, ყოფილ კომუნისტს და მერე გაემიგრანტებულ ვ.გაგაბაძეს. ის გადმოგვცემს:

რომ რუსეთმა "ჯერ ამნისტია გამოაცხადა და დაჰპირდა ქართველ ხალხს სამოთხის მოწყობას საქართველოში. საქართველო უნდა ყოფილიყო მაძღარი და ბედნიერი ყოველ მხრივ. ნამდვილად კი გაძარცვა საქართველო. ის პატარა ღოვლათი, რომელიც საქართველოს აღმოაჩნდა მისი დაპყრობის შემდეგ, დაუყოვნებლივ გაზიდეს საქართველოდან, ხოლო უკანასკნელი კი გაავსეს ფერდაკარგული რუსული ბონებით.

ყველა სტრატეგიულ სოფლებში ჯარი ჩააყენეს და ხალხს დაავალეს მისი შენახვა. აკრძალეს პოლიტიკური პარტიები და ჩეკის ჯალათი პანკრატოვი შეუდგა თავის სისხლიან მუშაობას... აავსეს ჩეკის სარდაფები და ქურდულად დაიწყეს ხვრეტა ქართველი ხალხის ერთგული შვილებისა". (იხ. მისი წერილი: "დამოუკიდებელი საქ."ნ.103)

<u>5. ა ჯ ა ნ ყ ე ბ ე ბ ი.</u> შექმნილ მდგომარეობაზე სანამ უშუალოდ შინაგან რეაქციას შევეხებოდე, საჭიროდ მიმაჩნია მკითხველის ყურადღება შევაჩერო ერთ კურიოზულ მოვლენაზე. თუმცა ეს საკითხი საერთაშორისო მოვლენებს უკავშირდება, რასაც მერე შევეხებით, მაგრამ ის იქამდე დამახასიათებელია ყველა სოციალისტების (მენშევიკ-ბოლშევიკებისა) სახელმძღვანელობრივი პოლიტიკის მეთოდის, რომ ის შემდეგში გასაგები იყოს ეს ფაქტი ახლავე უნდა აღვნიშნო.

როდესაც საქართველოს მთავრობა უცხოეთში გაიხიზნა, მას თან გაჰყვა დიდი ემიგრაცია. მათ შორის იყვნენ მთავრობის წევრები, დეპუტატები, გენერლები მოხელეები და სხ. ასეთი ფართო ემიგრაცია იმ თავითვე უფრო ხელს შეუშლიდა გარედ მუშაობას. ნ. ჟორდანიამ სხვა და სხვა საშუალებებით აქაც შეინახა თავისი პარტიის ჰეგემონია, რასაც მრავალი პირობა უწყობდა ხელს. მოსაჩვენებლად თავის წრეს ხანდისხან აფართოებდა სხვა ელემენტებითაც და ქართველი პატრიოტები ასეთ პირობებში არ თაკილობდნენ მასთან თანამშრომლობას, რადგან სამშობლოს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ინტერესები ამას მოითხოვდნენ.

მაგრამ ნ.ჟორდანიამ უცხოეთში მუშაობაშიც გადაიტანა მეთოდი იდეოლოგიური მოძღვრისა. მან აქ დარაზმა თავისი ხალხი. მაშინ მათ არც ფული აკლდათ და არც ენერგია. მოედვნენ მთელ ევროპას და დაიწყეს პროპაგანდა. მაშინ ჩვენს სოციალისტებს უფრო მიესვლებოდათ ევროპის სოციალისტურ ფრთებთან და ყველა მათ ერთხმად დაამობინეს ბოლშევიკების მოქმედება. მართალია, ამგვარ პროპაგანდასაც ფასი ჰქონდა, რადგან ევროპაში სოციალისტობა მონაწილეობას იღებდა მთავრობებში და მათი გზით სიმპატიების მოპოვება შეიძლებოდა. მაგრამ ეს გადამწყვეტი ვერ იქნებოდა და მათი იმედი რომ ამ ფრთების დახმარებით შეიძლებოდა საქართველოს განთავისუფლება, ეს უტოპია იყო და სამწუხაროდ მათ ეს უტოპია ნაწილობრივ ბოლომდე შეინახეს. მათ ასეთ მუშაობას იმავე მეთოდებით გასცა პასუხი ტროცკიმ თავისი წიგნით "რევოლუციისა და იმპერიალიზმის შორის". იმ განსხვავებით რომ ტროცკისთვის ეს მხოლოდ ფორმალობა იყო, რეალურ-

ად კი ის ემყარებოდა შეიარაღებულ ძალას.

ტროცკი ქართველ მენშევიკებს აცხადებს ჟირონდისტებად და მათ ბრალს სდებს მასში, რომ ისინი ემსახურებოდნენ რუსეთის კონტრრევოლუციურ გენერლებს და შემდეგ "ევროპის იმპერიალისტების" გავლენის ქვეშ იყვნენ. რომ საქართველოს დამოუკიდებლობა არ არსებობდა, რადგან მენშევიკებს ამაზე არასოდეს უფიქრიათ. ტროცკი ყველაფერში სცდებოდა. ის მართალი იყო მხოლოდ უკანასკნელ საკითხში, მაგრამ ნაწილობრივ. რადგან, ე.ი. ერთი თვითგამორკვევის უფლება ბოლშევიკებმა უარყვეს, ხოლო მისი განხორციელება ქართველ მენშევიკებს ამართლებდა დამოუკიდებლობის გამოცხადებაში მათივე იდეოლოგიური თვალსაზრისით. მაგრამ სამწუხაროდ, ქართველი სოციალისტები კვლავ იდეოლოგიური თვალსაზრისით იმართლებენ თავს, იმის მაგიერ რომ საქ. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ მისთვის ეროვნული პრინციპი დაეპირისპირებინათ და ტროცკი წაერთმებინათ. ნ. ჟორდანიამ პასუხი გასცა ტროცკის (ეექსპი იხ. "თავისუფალი საქართველო". ნ.25).

უარჰყო ტროცკის ბრალდებები საქართველოს დამოუ-კიდებლობის შესახებ და მან ისევ თავისი ჩვეულებ-რივი "თეორია" წამოაყენა: "სახელმწიფო იბადება როგორც შედეგი ისტორიული ევოლუციის, ამა თუ იმ მოვლენათა იძულებით, რომელნიც განსაზღვრავენ რო-გორც კერძო მოქალაქეების ისე მთელი ერის ნებისყო-ფას", მერე ისევ ძველი ფრაზები და ბოლოს მაინც ბოლშევიკებს გადააბრალა საქართველოს დამოუკიდებ-ლობის გამოცხადება.

"აწ და ამგვარად, ერთი და იმავე მიზეზებმა, ოსმალეთიდან თავდაცვის საჭიროებამ გამოიწვია მე-ცხრამეტე საუკუნის დასაწყისში საქართველოს დამო-უკიდებლობის დათმობა; ხოლო 1918 წლის 26 მაისს მისი ხელახლად აღდგენა". თავი დავანებოთ ისტორი-ის ამ სრულ უგვანობას...

მაგრამ უნდა ვიგულისხმოთ, როგორც ეს არა ერთ დოკუმენტშია აღნიშნული, რომ ყველაფერი რუსების ბრალი იყო. რადგან მათ მიგვატოვეს და თავის და-საცავად იძულებული ვიყავით ოსმალეთს საკუთარი ძალებით დავხვედროდით. რომ ეს ყველაფერი იყო და არის მეტად პრიმიტიული მეთოდი თუნდაც რუსების მოყვრებისა, ეს ბავშვსაც კი ესმის. ხოლო ასეთი არგუმენტებით ხომ არ შეიძლებოდა ლაპარაკი ევრო-სახელმწიფოთა წინაშე?! ამიტომ ჟორდანიამ სხვა

მისამართი აირჩია საჩივლელად. ეს იყო "ინტერ-ნაციონალური პროლეტარიატი". და ის ასეთ წინა-დადებას აძლევს ტროცკის:

"გადავცეთ უველა დოკუმენტები საქართველოს შესახებ ინტერნაციონალური პროლეტარიატის მიუდგ-ომელ ტრიბუნალს, დაე, მან საკითხი შეისწავლოს და გამოიტანოს თავისი განაჩენი. ჩვენ წინასწარ ვიხრით თავს ამ განაჩენის წინაშე: დაე ბოლშევი-კებმაც დასდონ ასეთი პირობა".

ჟორდანიამ ვერ გაიგო ცნობილი არაკის აზრი: ბატკანი რომ ემუდარებოდა მგელს: რა დაგიშავე, რაზედ მისპობ სიცოცხლესაო და მგელმა უპასუხა: ის დამიშავე რომ შენი შეჭმა მინდაო. მიუხედავად ჟორდანიის გულუბრყვილო პოლიტიკისა, ტროცკი მგლის დებულებას ახდილად აცხადებდა და უოველ-გვარი ილუზია საფუძველ მოკლებული იყო!...

მაგრამ სულ სხვა იყო ქართველი ერის ფიქ-რი და ზრახვა. შექმნილ პირობებში ის "ინტერნა-ციონალური პროლეტარიატის" განაჩენს არ ელოდა და რუსების რეპრესიებს აჯანყებებით უპასუხებდა.

პირველმა აჯანყებამ იფეთქა სვანეთში. მთელი სვანეთი იარაღით ხელში გამოვიდა ხელისუფლების წინააღმდეგ. რუსის ჯარები შეესხნიენ მის ჩასა-

ქრობად. სვანებმა შეიბყრეს ისინი და განაიარაღეს. შემდეგ კავშირში შედიან ჩრდილო კავკასიელებთან, რომელნიც ამ დროს აგრეთვე აჯანყებული იყვნენ. მთავრობა მეორედ აგზავნის ჯარს, უკვე მძიმე არტილერიით. სვანეთი გმირულად იბრძვის და დიდი ჯარიც გაუწყვიტა რუსებს, მაგრამ საბოლოოდ მარცხდება. ბოლშევიკებმა პირობა დადეს რომ ჯარს გაიყვანენ სვანეთიდან. პირველად ეს შეასრულეს, სხვანაირად სვანები არ ნებდებოდნენ; მერე კი უფრო მეტი ჯარები შეიყვანეს და აჯანყებას ბოლო მოუღეს.

ამას მოჰყვა უფრო დიდი აჯანყება ხევსურეთსა და კახეთში, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ქ. ჩოლოყაშვილი, რომელიც უკვე პარტიზანულ ბრძოლას ეწეოდა თავის "შეფიცულთა" ჯგუფით. ამ აჯანყებამ მალე მასიური ხასიათი მიიღო და მხოლოდ ამ შემთხვევაში ჰქონდა გამარჯვების შანსი, თუნდაც დროებითი, რომ კვლავ ჩვენს უკუღმართობას არ ეჩინა თავი...

როდესაც სვანეთი აჯანყების ცეცხლში იყო გახვეული, ამ დროს ბოლშევიკების წარმომადგენელი გენუის კონფერენციაზე, ჩიჩერინი, არწმუნებდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეჩვენოს, თითქოს საქართველოში სრული სიწყნარე სუფევდა. მაგრამ საქართველოს ეროვნული მთავრობისა და საქართველოს კათოლიკოსის მემორანდუმითა და სხვა საბუთებით, მთელმა ქვეყანამ იცოდა რა ხდებოდა საქართველოში. (ამაზე ქვემოდ).

1922 წლის ხევსურეთის აჯანყება უფრო დიდი გეგმით ხდებოდა. ჩოლოყაშვილთან კავშირში იყო მთელი ქართველი მხედრობა, მათ შორის ბოლშევიკების ჯარში მყოფი ქართველი მხედრებიც. მათთან საიდუმლო კავშირში იყო ამ. კავკასიის წითელი ქართული დივიზიის შტაბის უფროსი პოლკ. როსტომ მუსხელიშვილი. (ამის შესახებ იხ. დ. კობიაძის მოგონება: "მხედარი" ნ.14-15). უკანასკნელის გეგმით მთელი რუსის ჯარი უნდა ყოფილიყო შემწყვდეული მთებში და განადგურებული... საქმის მონაწილეთა გადმოცემით, ამ დროს რომ შინაურ უთანხმოებას ადგილი არ ჰქონოდა, გამარჯვების გაცილებით მეტი იმედი იყო.

ამ სპონტანური თუ ნახევრად ორგანიზაციული აჯანყებების დამარცხებამ ქართველი ხალხი ვერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დააწუნარა. ამ გამოცდილების ნიადაგზე დაიწყო ახალი მზადება, უკვე ზევიდან.

1922 წელს საქართველოში დაარსდა საიდუმლო დამოუკიდებლობის კომიტეტი და მის გვერდით დაარსდა სამხედრო ცენტრი, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ გამოჩენილი ქართველი მხედრები.

მაგრამ 1923 წლის მარტში კომუნისტებმა აღმოაჩინეს სამხედრო შტაბი. იქ შედიოდნენ: გენ.ვარდენ წულუკიძე, გენ. ალ.ანდრონიკაშვილი, გენ.კ.აფხაზი; პოლკ.მუსხელიშვილი, პოლკ.ხიმშიაშვილი და სხ. კომუნისტებმა სულ მცირე გამოძიების შემდეგ, უოველგვარი გასამართლების გარეშე, 20 მაისს 1923 წელს დახვრიტეს 15 გამოჩენილი მხედარი.

აი, ბოლშევიკების განაჩენი:

"ანტანტის კაპიტალისტების აგენტების დანარჩენი მუშაობა საქართველოში აჯანყების მოსამზადებლად მოისპო დაპატიმრებით, რომელიც მოახდინა საგანგებო კომისიამ. საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულების, საქართველოში ბანდიტური მოძრაობის მოწყობისა და მასში მონაწილეობის მიღების და მუშურ-გლეხური სახელმწიფოს ღალატის გამო, ამიერ კავკასიის საგანგებო კომისიის მიერ დამთავრებული გამოძიებით, საქართველოს ს.ს.რესპუბლიკის საგანგებო კომისია (ჩეკა) ადგენს: მიესაჯოს უმაღლესი სასჯელი"...

(იხ.გაზ. "კომუნისტი" 25 მაისის 1923 წ.5.)

და იქ ჩამოთვლილია შემდეგი პირები: გენ. ცულუკი-ძე, გენ. ანდრონიკაშვილი, გენ. აბხაზი; პოლკოვნიკები: ხიმშიაშვილი, მუსხელიშვილი, მაჭავარიანი, გულისაშვილი, ჩრდილელი და სხ. სულ 15 კაცი.

აქ მინდა გავიხსენო საქართველოდან საიდუმლოდ გადმოცემული ცნობები მათი დახვრეტის შესახებ, რომელიც იმავე წელს დაბეჭდილი იყო ცალკე ფიცნაკად სტამბოლში.

"მსხვერპლთაგან, რამდენიმე ისე მძიმედ იყო ავადმყოფი რომ ჩეკის ადმინისტრაციას საავადმყოფოში ჰყავდა გადაყვანილი. როდესაც ავადმყოფი გულისაშვილი სამკურნალოდან ჩეკაში მიჰყავდათ, ერთმა სადისტმა ჩეკისტმა გესლიანად ჰკითხა: ხომ იცი რად და რისთვის მიგამგზავრებენო. გულისაშვილმა უპასუხა: ვიცი, მივდივარ იმისთვის რომ საქართველოსთვის მოვკვდეო. ყველა სიკვდილ მისჯილნი სასტიკად ნაწამები იყვნენ. ერთ ამათთაგანმა, ბეითალმა ქუთათელაძემ ვერ გაუძლო წამებას და ჭკუაზე შეირყა. ამან ჯალათებს ხელი არ შეუშალა: ჭკუაზე შეშლილი კაცი დასახვრეტად ხარივით გაათრიეს სამკურნალოდან. ნიკო ზანდუკელი მძიმედ იყო ავად. 41 გრადუსი სიცხე ჰქონდა, ისე უგრძნობლად იყო რომ საკაცით წაიღეს ჩეკაში...

დადგა სისხლიანი წუთები ზაკჩეკაში...

განწირულნი ორ-ორი გაჰყავდათ საკნიდან და თავს უყრიან განსაკუთრებულ ოთახში. აქ მათ ელიან ჯალათები: პანკრატოვი (რუსი), პეტროსიანი (სომეხი), და ამუკინი (რუსი). მათ შორის ურევია ქართველი იუდა კვანტალიანი. ბოლოს მობრძანდება ზაკჩეკის თავმჯდომარე მოგილევსკი (ებრაელი). ყველა ესენი გაჟღენთილი არიან ქართველთა სისხლით. კითხულობენ სასიკვდილო განაჩენს. ერთი წუთით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძიმე ღუმილი ჩამოვარდება. ამას არღვევს ჟორჟ. ხიმშიაშვილი, რომელიც წინ გამოდგება და ამბობს: "ჩვენ ვიცით რისთვისაც გვკლავთ, თქვენც კარგად იცით რომ ბანდიტები არა ვართ მალე დადგება დრო და თეთრი გიორგი მრისხანედ მოგთხოვთ პასუხს, გაუმარჯოს საქართველოს!" ხიმშიაშვილის შემდეგ ჯალათებს მიმართავს გაჭაღარავებული, რაინდული გარეგნობით და სულით, გენ.ვ.წულუკიძე: "სიკვდილით ვერ შეგვაშინებთ. ჩვენი სიკვდილი საქართველოს განთავისუფლების თავდებია; იგი დაასალკლდევებს ერის სიმტკიცეს, ერთი ათად გაამრავლებს მებრძოლთ". თვით პანკრატოვზე, ამ მთელ რუსეთში ცნობილ ჯალათზეც კი ახდენს მთაბეჭდილებას ასეთი გმირული თავდაჭერა და სრული სიმშვიდე სიკვდილის წინ. ის მიმართავს წულუკიძეს: "თქვენ მართლა გმირულად კვდებით, გინდათ გადავცე რამე თქვენიანებს"? წულუკიძე: - გადაეცით რომ ჩვენ

დავიხოცეთ ვით ქართველ პატრიოტების შეფერის".

შემდეგ კოტე აფხაზი: "მე ვკვდები სიხარულით, რადგან ღირსი გავხდი სამშობლოს სამსხვერპლოზე ზვარაკად მიტანისა, ჩვენი სიკვდილი გამარჯვებას მოუტანს საქართველოს".

პოლკოვნიკი მაჭავარიანი: "ჩვენ არ გიპირობდით მებრძოლებს და არც თქვენგან მივიღებთ ლმობიერებას. ეს ჩვენი შეურაცხყოფა იქნებოდა".

ბოლოს მშვიდი, მუდამ აუღელვებელი გენ.ანდრონიკაშვილი ესვრის მტერს: "იქნებ ქართველები ყველა ამისთანები გგონიათ (მიუთითებს კვანტალიანზე)? მრავალი ათასი ჩვენზე უკეთესები, ზრდიან თავიანთ გულში თქვენდამი სიკვდილს"

პოლკ.ჩრდილელი: "რუსეთში დაივიწყეს იდეისათვის თავგანწირულად სიკვდილი. წადით და უთხარით მათ, თუ როგორ იბრძვიან ქართველები სამშობლოსათვის"!

ეროვნული ბიბლიოთეკა

"ჯალათები შეუდგნენ უკანასკნელ ოპერაციებს საკნებში. დაუწყეს მსხვერპლთ ხელ-ფეხის შეკვრა. მოხუცი წულუკიძე გაძალდა — ჯალათებო, ნუ მიკრავთ ხელებს, კარგად იცით რომ მონები არა ვართ... ამაოდ! ყველა შებორკეს, დაჭყარეს ორ საბარგო ავტომობილზე და დააქანეს სასაფლაოსაკენ.

ავტომობილებს ორივე მხრიდან მისდევს კავალერია ხმალ ამოღებული. წინ მიუძღვის მსუბუქი ავტომობილით პანკრატოვი... გზაში აფხაზმა და წრდილემა მოახერხეს ხელები გაეხსნათ ხიმშიაშვილისათვის. იგი სწვდა კისერში ერთ ერთ კომენდანტს და აგლიჯა რევოლვერი, გადახტა ავტომობილიდან, მაგრამ ბედმა უღალატა, გადახტომის დროს რევოლვერი დაუვარდა, ცხენოსნები დაეწივნენ, შეიქმნა სროლა.. ხიმშიაშვილი ფეხებში დაიჭრა. ორმა ჯალათმა: ამიროვმა და ბაბაზოვმა ტყვიებით დაცხრილეს. წაათრიეს და პირველი ჩააგდეს გამზადებულ ორმოში.

"შემდეგ დახოცეს დანარჩენებიც: დახვრეტაში პირადი მონაწილეობა მიიღო პანკრატოვმა...

"ასე დახოცეს საქართველოს ერთგული გმირები. უკანასკნელ წუთამდე მათი ფიქრი და გრძნობა სამშობლოს ეკუთვნოდა და სამშობლოც სამუდამოდ შეინახავს გულში მათ მსხვერპლით დაგვირგვინებულ სახეს"!

(იხ. "სამშობლოს თავდადებულ გმირთა ხსოვნას" სტამბოლი, 1923 წელი).

ამ დახვრეტების შემაძრწუნებელმა ამბავმა მთელი ერი გლოვის ძაძებში გახვია. ერი დრტვინავდა. მაგრამ რა ექნა? რუსის ხიშტი თავს დასდგომოდა და უზომოდ იყენებდა იმ უცხო ელემენტებსაც, რომელთაც აგრეთვე ქართველი ერის სისხლი სწყუროდათ· თუ არა მოსკოვი, ქართველი მოღალატენი გაბედავდნენ ამდენს?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა კიდევ მოვუსმინოთ ძველ კომუნისტს კ.კაკაბაძეს: "ეს შემაძრწუნებელი ტერორი, რა თქმა უნდა უზომოდ აღაშფოთებდა და გულისწყრომას იწვევდა მთელ ხალხში. თვით კომუნისტური პარტიის ზოგიერთ წრეებშიც. მაგრამ ვინ გაბედავდა ხმის ამოღებას?! ვინ გაბედავდა გამოქომაგებოდა უდანაშაულო მსხვერპლთ"! (იხ."დამოუკიდებელი საქართველო" ნ.108 გვ.10).

ამ შემზარავმა მოვლენამ კიდევ ერთხელ გაახსაკლდევა ქართველი ერის შეურიგებელი სული და რაც ახლო მომავალში 1924 წლის აჯანყებაში გამოჩნდა.

იგივე კ.კაკაბაძე ამ აჯანყების მიზეზებზედაც მოგვითხრობს: "კომუნისტური პარტიის მონოპოლური მდგომარეობა, ყოველგვარი თავისუფლების აღკვეთა, ბარბაროსული ტერორი, ეროვნული სულის დევნა, მასიური გადასახლებები და სხ. ასეთ მდგომარეობას ვერ შეურიგდა თავისუფლების მოყვარული ქართველი ხალხი. ტერორმა და ეკონომიურმა გაჭირვებებმა ისეთი ხასიათი მიიღო, რომ ხალხი თანდათან უკიდურეს მდგომარეობამდე მიიყვანა და ერ-ერთ გამოსავალს ხედავდა აჯანყების გზით საოკუპაციო ხელისუფლების განდევნაში". (იხ.იქვე, გვ.7, ნ.111).

1924 წლის აჯანყების დამახასიათებელი ის იყო, რომ ის არ ჰგავდა წინა აჯანყებებს, რომელთაც ხალხის წიაღში სპონტანურად იფეთქეს, და ორგანიზაციული მხარე სუსტი ჰქონდათ. ეს აჯანყება პირიქით ორგანიზაციული მომზადების შედეგი იყო. ამაზედ ბევრი რამის თქმა შეიძლებოდა, მაგრამ ჯერ დუმილი

სჯობს. რადგან ასეთი დიდი მოვლენის მიუდგომელ-
დაფასებისათვის დროის მანძილის გავლა საჭირო
და მთავარი მასალაც საქართველოში ალაგია და
ჩვენთვის ხელმიუწვდომელი. ამიტომ მისი ვრცელი
შესწავლა მომავალ თაობას გადაულოცოთ!.. ჩვენი
მიზანი კი არის მკითხველს მისი ზოგადი სახე და-
ვუხატოთ. ჩვენ უმთავრესად ვემყარებით უცხოეთში
გამოქვეყნებულ მოგონებებს ამ აჯანყების მონაწილე
პირთა და აგრეთვე ზოგიერთ, პირადად ჩვენს მიერ
ნახულ გაგონილთ.

აჯანყებას ამზადებდა და ხელმძღვანელობდა საქ-
ართველოში შექმნილი პარიტეტული კომიტეტი. მას კა-
ვშირი ჰქონდა საზღვარ გარედ მყოფ მოღვაწეებთან და
ყოფილ მთავრობასთან. სამხედრო შტაბის ჩავარდნამ
დიდად ხელი შეუშალა აჯანყების მზადებას. მნიშვნე-
ლოვანი ხელმძღვანელი სამხედრო ძალაც ხელიდან გა-
მოაცალა. მიუხედავად ამის 1924 წლ. აგვისტოსათ-
ვის სამზადისი დამთავრებული იყო. აჯანყების დღედ
17 აგვისტო იყო დანიშნული. (იხ. ს. ზალდასტანიშვილ-
ის წიგნი: "საქართველოს 1924 წლ. ამბოხება.
მიუნხენი; 1956).

მაგრამ ამასობაში მდგომარეობა გართულდა. 6 აგვისტოს დაატუსაღეს უცხოეთიდან ჩამოსული ვალჯულელი. კომუნისტებმა გაიგეს აჯანყების მზადება. მათ აიძულეს ჯულელი, წინადადება მიეცა კომიტეტისათვის აჯანყება შეეჩერებინათ. კომიტეტმა არ მოისმინა ჯულელის რჩევა. მათ მასთან კავშირი გასწყვიტეს. ამნაირად ორივე მხრიდან იყო მზადება. მთავრობამ დაიწყო შესაფერისი ზომების მიღება. მთელი ჯარები თბილისში მოაგროვეს. დაატუსაღეს გენ. ეარალაშვილი, რომელიც დანიშნული იყო გურიის აჯანყებულთა მეთაურად. დაატუსაღეს გენ. ფურცელაძე, რომელიც დანიშნული იყო ბათუმის სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელად. დაიწყეს ყველა შემჩნეული პირების დაჭერები. ბოლშევიკებმა მხოლოდ აჯანყების დაწყების დღე არ იცოდნენ.

შექმნილმა მდგომარეობამ შეასუსტა გამარჯვების იმედები. მორალიც ეცემოდა. მათი გეგმაც ინგრევა. მთავარი დარტყმის ცენტრი უნდა ყოფილიყო თბილისი და მერე ბათუმი. ახლა კი საჭირო შეიქმნა ამ გეგმის შეცვლა. მაშასადამე აჯანყების გადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დება. ს.ჯალდასტანიშვილი სწერს: "ამ ამბავმა თავზარი დაგვცა. მთავარსარდალმა გენ.ჭავჭავაძემ ძალების შესუსტება იგრძნო... გამოირკვა, რომ მთავარსარდალს გამარჯვების იმედი დაეკარგოდა".

მას ჭმოსვლა შეუძლებლად მიაჩნდა. დამკომი კი განაგრძობდა თავის საქმეს.

ეს ამბები აცნობეს ჩოლოყაშვილს, რომელიც უნდა ყოფილიყო მთავარი ხელმძღვანელი თბილისზე თავდასხმისა: "ქაქუცას გული გაუფიცხდა, დაღონდა, გეგმის შეცვლა არ ისიამოვნა, აჯანყების გადადებამ კიდევ ააღელვა".

როდესაც გეგმა შეიცვალა, თბილისის მაგიერ აჯანყების ცენტრად კომიტეტმა ჩოლოყაშვილის ბანაკი გამოაცხადა და მალე კომიტეტიც ამ ბანაკში გადავიდა. ჩოლოყაშვილმა მიიღო ეს გადაწყვეტილება, მაგრამ გააფრთხილა, თუ აჯანყებას რამდენიმე დღით გადასდებთ, საქმე მოგვარდება. თუ მეტით, მაშინ ხალხს ველარ შევაგროვებ. ასეთ შემთხვევაში უკეთესია აჯანყება გადაიდოს სამი თვით და სხ.აჯანყება გადაიდო 11 დღით. ამგვარად ერთის მხრით კომუნისტების თადარიგმა და მეორეს მხრით გეგმის შეცვლამ აჯანყების გამარჯვებას

მანსები გამოაცალო. კავკასიის ხალხებთანაც კავშირი შეაწყვეტინეს. ჩრდილო კავკასია იყო მზად ქართველებთან ერთად აჯანყებულიყო და ახალი გეგმის შემდეგ ალბად იქაც ყველაფერი აირია. ასეთ პირობებში უკვე გამოჩნდა ხალხი, რომელიც წინააღმდეგი იყო აჯანყებისა და ამანაც მებრძოლთა რიგებში დიდი რყევა შეიტანა. მაშინ როდესაც ბრძოლის მთავარი სარბიელი უნდა ყოფილიყო თბილისი და აღმ. საქართველო, სადაც უნდა გადაწყვეტილიყო ბოლშევიკების ბედი, ახლა მთავარ ცენტრში ინიციატივა ბოლშევიკების ხელში იყო. დამკომი წავიდა წოლოყაშვილის ბანაკში და იქიდან წამოქეჩებულ ცნობებს გზავნიდა.

აჯანყება 29 აგვისტოს, დილის 2 საათზე უნდა დაწყებულიყო, ერთ და იმავე დროს მთელ საქართველოში. აქაც მოხდა ერთი დიდი მარცხი. ჭიათურაში, შეცდომით, 24 საათით ადრე დაიწყეს აჯანყება. ბოლშევიკებმა მაშინათვე მიიღეს სასტიკი ზომები. ატუსაღებენ კავშირის ორგანიზაციის მეთაურებს თბილისში ცხადდება საალყო წესები. აჯანყების

მეთაურები უკან ვერარ იხევენ და 29 აგვისტოს იწყება საყოველთაო აჯანყება. შექმნილი მდგომარეობის გამო აღ.საქართველოში აჯანყება ვერ მოხდა ისე როგორც ეს იყო გათვალისწინებული. ჩოლოყაშვილის შიში გამართლდა. აქაურმა ძალებმა დაკარგეს ინიციატივაც და ასპარეზიც ბრძოლისა. სამაგიეროდ დასავ.საქართველოში, სადაც ბოლშევიკების სამზადისი სუსტი იყო, აჯანყებამ მიიღო მეტად მასიური და მწვავე ხასიათი. აქ სულ მალე ხელისუფლებაც ხელში ჩაიგდეს აჯანყებულებმა. აჯანყებაში მონაწილეობას იღებდა მთელი მოსახლეობა. მაგრამ პერიფერიებში გამარჯვება საკმარისი არ იყო...

ამ აჯანყების შესახებ იგივე გ.კაკაბაძე გადმოგვცემს: "აჯანყება იყო მასიური, ხალხური. მისი მთავარი მამოძრავებელი ძალები იყვნენ გლეხები და მუშები. რა თქმა უნდა ყოფილი თავად-აზნაურობაც და მღვდლებიც იღებდნენ მონაწილეობას, მაგრამ როგორც ქართველები, და არა როგორც რომელიმე ფენების წარმომადგენლები" (დამოუკიდ.საქართ.ნ.111). ამას სწერს ადამიანი, რომელიც ამ დროს ამბად

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჯანყების მოწინააღმდეგეთა ბანაკში იყო. კომუნისტურმა მთავრობამ კი ის გამოაცხადა მოღალატეებისა და თავადების აგენტურად და უამრავ მუშებთან და გლეხებთან ერთად, თავად-აზნაურობის მთელი ოჯახები ამოჟლიტა.

მიუხედავად აჯანყებულთათვის შექმნილმა მძიმე მდგომარეობამ, აჯანყებამ მეტად შეურიგებელი ხასიათი მიიღო. განსაცვიფრებელი ის იყო რომ აჯანყებულები სულგრძელობას იჩენენ კომუნისტ ტყვეების მიმართ; იგივე კი გაზეთი სწერს: "არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ აჯანყებულებს დატყვევებული კომუნისტი მოეკლათ. ეს იმდენად აღსანიშნავი ფაქტია, რომ თვით სიუალობის და განთავისუფლების ოსტატმა ორჯონიკიძემ, ვერაფერი შეთხზა ამის შესახებ, გარდა იმისა, რომ დასცინოდა "მენშევიკების სენტიმენტალობას", რომ არავინ მოკლეს და თანაც ხაჭაპურებს აჭმევდნენო"!

კომუნისტებმა ეს აჯანყებაც სისხლში ჩაახრჩეს. ხალხს ხვრეტდნენ სპეციალური გეგმით. გარდა მთავრობისა, ამ დროს ჭამოუვეს თავები ყველა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შურისმაძიებელმა ძალებმა და დროის შეცვლით იგი განუმეორებელი ყოფა ხალხისა. ხალხის დაწვრილი ხვდებოდა ქალაქებსა და სოფლებში, განკითხვად. აჯანყების სრული ჩაქრობის შემდეგ ხვრეტდნენ სრულიად უდანაშაულო და აჯანყებაში არა მონაწილეთაც. ხვრეტდნენ მანამდე დაუსჯელებულ პირებს. დამხვრეტ რაზმებს ეროვნულად შეადგენდნენ რუსები და სომხები. ეს უკანასკნელნი საუკუნეებით იყვნენ შემოხიზნულნი ჩვენს მიწაზე და სცხოვრობდნენ ბედნიერად და ასე მადლობას გვიხდიდნენ ახლა!

აქ მინდა აქ ჩემი პირადი მოგონებით მკითხველი შევაწუხო. ორიოდე სიტყვა კი უნდა ვსთქვა. აჯანყების დღეებში ქ.ახალციხეში ვიყავ. აქ აჯანყებას ადგი არ ჰქონია. ან და ვის უნდა აჯანყებულიყო, რომელსაც აქ ქართველობა უმცირესობაში, დაბეგრული ვიყავით და ჩვენს საკუთარ მიწაზე "უცხოელები" ვიყავით. და აქაც ათაჩებულ ქართველების იყვნენ და ქალაქში რომ ადგილი აღარ იყო, ქართველ სოფლებში რომ ხალხს იყრიდნენ სომხის სოფლებში ასახლებდნენ. ერი სრულიად უდანაშაულო ქართველის

დახბრეტაც მოასწრეს. ერთი იყო პორკ. თიხმეურილ, მეორის გვარი არ მახსოვს. მეორე ავანტიორის შემდეგ მე მთაში ამოვყავ თავი და სანამ ყველაფერი არ დაუნარდა, მანამდე იქ ვიყავი და მერე თბილისში მოუხვი სასოავლებლად. მიამბეს: როდესაც აქ დახვრეტები დაიწყეს, ევგენოშე გადმოგნაცნი პირი, ქართველი კომუნისტი თბილისში გავარდა და მეორე დღეს იქიდა ბრძანება მოვიდა რომ აქ აღარავის დაეხვრიოთ. ამმინაქ ქართველმა კომუნისტებმა ნამდვილი ქართველობა გამოიჩინეს, წედავდნენ რა რომ უცხოელემენტები თავგასხუობას ეწყებენ!...

და თუ აქ, სადაც, ვიმეორებ, ერთი თოფიც არ გავარდნილა და არც იქცეოდნენ, პარპოსადგენის რა უნდა ყოფილიყო დას. საქართველოში, სადაც მთელი მოსახლეობა იარაღით ხელში გამოვიდა!

ჭიათურის ამბოხებულები თურმე სამარხო ვაგონებში შეყარეს და რკინიგზელებით დაახრჩვეს. ქართლსა და კახეთში, სადაც აჯანყება ძალიან სუსტი იყო, იქაც შემთხვევებსაც ჰქონდა ადგილი, რომ მთელი ვგარები ამოწყვეს!

სხვათა შორის რუსი კომუნისტი ბესედოვსკი აცხადებს, რომ როდესაც საქართველოს აჯანყების ამბავი მისულა მოსკოვში, კომუნისტებს ძალიან შეშინებიათ, ეგონათ არ მოხდეს აჯანყებაო. ამიტომ მაშინათვე ბრძანება გასცეს და დაიჭირეს ისეთი ხალხის დახვრეტაც, ვინც იქ ციხეებში ჰყავდათ და საქართველოს აჯანყებასთან კავშირი არ ჰქონიათ.

ამ აჯანყების ჩაქრობის შემდეგ იმდენი ხალხი დახვრიტეს რომ ციხეები დაიცალა და ამაზე ორჯონიკიძეს ცინიკურად უთქვამს: - ჩვენი ქვეყანა ევროპაზე დემოკრატიულია, რადგან ევროპაზე მცირე ტუსაღები გვყავსო; თუმცა ციხეების ასავსებად დიდი დრო არ დასჭირებიათ.

ამ აჯანყების დროს ზოგადი ანგარიშით 8-10 ათასი ადამიანი იყო დახვრეტილი პატარა საქართველოში.

აჯანყების მთავარი ხელმძღვანელები შეიპყრეს და ერთი წლის თავზე მოსაჩვენებლად მოაწყეს მათი გასამართლება. სასამართლოს წინაშე წარსდგა კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: კ. ანდრონიკაშვილი, იასონ ჯავახიშვილი, იშხნელი, ბოჭორიშვილი და ჯი-

ნორის. აჯანყების მეთაურებმა იშვიათი გამბედაობით ჩამოსთქვეს თავიანთი სიტყვები და დაახასიათეს მიზნები აჯანყებისა: რომ ისინი იბრძოდნენ რუსეთის მიერ გათელილი საქართველოს უფლებების აღსადგენად და სხ. მაგრამ ვისთვის იყო ეს საჭირო - მრავალი ათასი ახალგაზრდის გვამი დასვენებული იყო უწილავ საფლავში...

პროცესი დამთავრდა. მეთაურებს ათ-ათი წლის ციხე მიუსაჯეს, რაც საბჭოთა ქვეყანაში უდრის მუდმივ ციხეს ანუ სიკვდილს...

ასე დამთავრდა საქართველოს დაპყრობის დასაწყისში საქართველოს განთავისუფლების უკანასკნელი (ცდა 1). მაგრამ სხვა ფორმებში ის მერეც გაგრძელდება...

---

1) 1928 წელს აჭარაშიც მოხდა დიდი აჯანყება. აჯანყება შედეგი იყო ხალხის შევიწროებისა. აქაურმა მუსულმანურმა მოსახლეობამ, განსაკუთრებით ვერ აიტანა სარწმუნოებრივი დევნა. ეს აჯანყებაც ჩააქრეს. აქ ხალხის დახვრეტებს თვითონ ბერია ხელმძღვანელობდა.
ამ აჯანყებულთა ერთი ნაწილი თურქეთში გაიქცა. 1930 წელს მე ბევრ მათგანს შევხვდი თურქეთში და ბევრი ამბებიც მიამბეს.

# თავი მეშვიდე

# საქართველოს საკითხი უცხოეთში

1. საქართველო და გენუის კონფერენცია. რუსე-თის ვერაგულმა საქციელმა საქართველოს მიმართ მთელს მსოფლიოში დიდი აღშფოთება გამოიწვია. ყვე-ლა ქვეყნებში როგორც მთავრობებმა, ისე პოლიტიკურ და კულტურულმა ორგანიზაციებმა სასტიკად დაჰგმეს რუსეთის თავდასხმა საქართველოზე იმ ქვეყანაზე, რომელთანაც სულ რვა თვის წინ ხელშეკრულება დას-დეს და იცნეს მისი დამოუკიდებლობა.

ამ მდგომარეობაზე მთელი მსოფლიო ალაპარაკდა. იმ დროინდელი მსოფლიო, პრესა სავსეა პროტესტებით. საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარე ერიო სწერდა:

> "მშვიდობიან საქართველოზე თავდასხმა მას შემდეგ, რაც დადებული იქმნა მისსა და რუ-სეთის შორის კანონიერი ხელშეკრულება, წარ-მოადგენს უსასტიკეს აქტს, რომელიც კი ის-ტორიას ახსოვს... ანტანტამ რომ ეს ბო-როტმოქმედება მოითმინოს – ეს იქნება მისი სილაჩრის მოწმობა".
>
> (მოყვ. იხ. "თავისუფალი საქართველო" ნ.18)

ეს და მრავალი სხვაც ითქვა და დაიწერა. მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტყვა უძლური აღმოჩნდა ხმლის წინაშე. სოლჟენი-ცინმა, ახლაც და მერეც, იმდენი მოითმინა და აიტანა, რომ მისი სიმართლის დამოწმება აღარავის უცდია. იგივე ბ. ყრიოც, მალე დაივიწყებს თავის სიტყვებს. ერთ მშვენიერ დღეს ის თვითონ გახდა სტუმარი ამ "უსასრულესი ქალის" ხამდენთა. მარ-თალია, ისეთ ჯოლოშვილმა ქართული სტუმართ-მას-პინძლობის წესი დაარღვია და ის პირადად არ მიი-ღო, სამაგიეროდ წითელმა "მარშალმა" ბ. ყრილს სმოკინგის საყელოზე პოლკოვნიკის ნიშანი მიაკერა! მაგრამ თავი დავანებოთ ნიშნებსა და სპარსულ ხალი-ჩებს!...

ახლა ჩვენ ვნახეთ თუ რუსეთი როგორ შეე-ცადა საქართველოს დაპყრობა "შინაგან გადატრიალე-ბად" გამოეცხადებინა. ეს რომ არ გაუვიდა, მერე ეცა-და რომ ქვეყნებს ეცნოთ ფაქტიური მდგომარეობა. დასაწყისში მათ იმედები არ გაუმართლეს, რადგან ბევრს კიდევ არ სწამდა ბოლშევიკების საბოლოო გა-მარჯვება... მაგრამ გავა დრო, ევროპელებს დაივიწ-ყებენ, ბოლშევიკებსაც იცნობენ, ერთა ლიგაშიც მიიღებენ, საერთაშორისო დარბაზშიც საპატიო ადგილს

დაუთმობენ, მაგრამ ნუ აჩქარდებით...

1922 წელს აპრილში როდესაც რუსებმა გენუის კონფერენციაზე (ამაზე ქვემოთ) საქართველოს სახელით ა. მდივანი წარადგინეს, კონფერენციამ ის არ იცნო საქართველოს წარმომადგენლად.

პირველი აპრილის ნოტაზე, საფრანგეთის ჯერ სენატის და მერე დეპუტატთა პალატის საგარეო საქმეთა კომისიებმა შემდეგი რეზოლუციები გამოიტანეს: 1. ამიერ-კავკასიის ევაკუაცია უნდა იქმნას მოლაპარაკების დაწყების პირველ და მთავარ პირობად საფრანგეთისა და მის მოკავშირეთა შორის ერთის მხრით და საბჭოთა რუსეთისა და ანგორის შორის მეორე მხრით. 2. როდესაც მოწვეულ იქნება კონფერენცია ახლო აღმოსავლეთის საკითხის შესახებ, იქ აუცილებლად უნდა იქმნას განხილული საქართველოს და ამიერ-კავკასიის საკითხიც და სხ.

საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარის რ. პუანკარეს მიერ მიცემულ ინსტრუქციაში თავისი დელეგაციის მიმართ ნათქვამია: "საფრანგეთის მთავრობას არ შეუძლია დაუშვას განსახილველად ასეთი

ხასიათის საკითხი ფაქტიური ხელისუფლების წარმო-მადგენლებთან, რომელთაც გააძევეს კანონიერი მთავრობა". საფრანგეთის წინადადება გაზიარებულ იქმნა კონფერენციის მიერ და საბჭოთა წინადადება უკუგდებული. (1922-1923 წ. საბჭოთა დელეგაციამ ასეთივე პრეტენზია საქართველოზე განაცხადა ლოზანის კონფერენციაზე და იქაც უარი მიიღო).

სანამ აღნიშნული კონფერენციის მოქმედებას განვაგრძობდე, საჭიროდ მიმაჩნია აქვე გავიხსენო ერთი კურიოზი. მრავალჯერ აღვნიშნე რომ საქართველოს ყოფილი მთავრობა, მთავრობა სოციალისტური, საერთაშორისო ასპარეზზედაც ხშირად მიმართავდა იდეოლოგიური მეთოდის გამოყენებას, რომელსაც არავითარი სარგებლობის მოტანა არ შეეძლო და ამავე დროს ქვეყნის თვალი მათ ისევ ბოლშევიკებთან აახლოებდა, რომელთაც დღეს ისინი ებრძოდნენ წმინდა საერთაშორისო ნიადაგზე. ზემოდ უკვე აღვნიშნეთ, რომ ჟორდანია მოუწოდებდა ტროცკის, "საერთაშორისო პროლეტარიატის მოუდგომელ ტრიბუნალს" გადავსცეთ ჩვენი საქმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენუის კონფერენციის შეკრების სწორედ სამ თვის წინ, 1922 წ. აპრილში ბერლინში შესდგა სამი ინტერნაციონალის კონფერენცია. ჟორდანიამ იქ წარგზავნა ირ. წერეთელი; რასაკვირველია, აქაც და სხვაგანაც ეს იყო საქართველოს ინტერესების დაცვის მიზნით. აქ მოხდა შეხვედრა კვლავ ბოლშევიკებთან. ამ კონფერენციაზე, თავმჯდომარემ, ადლერმა (მეორე ინტერ.) განაცხადა: "საერთაშორისო კაპიტალიზმი იკრიბება გენუის კონფერენციაზე, მართალია ძალიან საეჭვოა, რომ მათ საერთო ენა გამონახონ, მაგრამ თუ მათ იქ რამეს მიაღწიეს, ეს იქნება მუშათა კლასისათვის ახალი ტვირთის დაკისრებაო". და ამის სულ ცოტა ხნის შემდეგ იმავე საერთაშორისო კონფერენციისაგან მოელოდა ხსნას ჟორდანია.

ამნაირად, ნ. ჟორდანია ერთ და იმავე დროს ღმერთთანაც ლოცულობდა და ეშმაკსაც საკმეველს უკმევდა. ღმერთმა რა მისცა, ამას ქვემოდ ვნახავთ, ხოლო ეშმაკმა რადეკის პირით, საქართველოს სოციალისტების წარმომადგენელს ირ. წერეთელს შემდეგი უპასუხა: "წერეთელს არა აქვს უფლება საქართველოს დამოუკიდებლობა მოითხოვოს, ვინაიდან ის თვით-

ეროვნული

ონ ველიკოროსიის პატრიოტი იყო კერენსკის კაბი-ნეტში და ფრონტზე სიკვდილით დასჯა დააწესაო".

ხოლო ისიც განაცხადა რომ, საქართველო იმი-ტომ დავიპყარით რომ ნავთი (ე.ი.ბათუმიც) გვჭი-რდებოდაო! ირ. წერეთელმა მხოლოდ ის მოიპოვა, რომ მოითხოვა ოქმში შეეტანათ:

"რადგანაც სიტყვაში ბოლშევიკებმა პირვე-ლად აღიარეს საჯაროდ, რომ მათ დაარღვიეს სა-ზავო ხელშეკრულება საქართველოსთან და ამ ქვე-ყანას ომის საშუალებით დაეპატრონენ ამ ოკუპაცი-ის საბუთად მათ მოიყვანეს ის გარემოება, რომ რუსეთის ნავთის წყაროების მიდამოების უზრუნველ-ყოფა ესაჭიროებოდათო"!

ჟენევის კონფერენცია შეიკრიბა აპრილში 1). როგორც უკვე აღვნიშნე, აქ სამანდატო კომისიამ უკუაგდო რუსების მიერ დასახელებული წარმომად-გენელი საქართველოსათვის. მაშასადამე რუსეთის წარმომადგენლობა საქართველოსათვის კონფერენციამ არ იცნო.

კონფერენციაზე, კულისებიდან მუშაობდა არაოფიციალური ქართული დელეგაცია. ის იყო გაგ-ზავნილი პარიზიდან გადმოხვეწილი მთავრობის მიერ.

1) ამ კონფერენციაზე, პარიზიდან საქართველოს ყოფილმა მთავრობამ გაგზავნა არაოფიციალური დე-

აქ უმთავრესად იდგა ნავთის საკითხი; რაკი ის უკავშირდებოდა რუსეთის მიერ კავკასიის ოკუპაციას, ბუნებრივად, საქართველოს საკითხიც უნდა დასმულიყო.

აქვე გავიხსენოთ კონფერენციის სამანდატო კომისიის დადგენილება. მან საქართველოს შესახებ შემდეგი გადაწყვეტილება მიიღო:

"1. უმაღლესმა საბჭომ კანში არ მოიწვია აზიაში მდებარე საქართველო, ამიტომ ლაპარაკი არ შეიძლებაარ მიწვეულ დელეგაციაზე.

"2. საქართველო რომ მოეწვიათ, იმ შემთხვევაში წარმომადგენლობის უფლება ჰქონდა და აქვს იმ მთავრობას, რომელიც ჩვენ ვიცანით იურიდიულად და ემყარება ხალხის ნებისყოფას.

"3. მოსკოვის მთავრობას, რომლის ჯარებს ძალადობით უკავიათ საქართველო და მის მიერ დაყენებული თბილისის მთავრობას არავითარი უფლება არა აქვთ საქართველოს სახელით ილაპარაკონ და ამიტომ მათი მანდატი, როგორც უკანონო, უკუგდებული უნდა იქნას".
(იხ. "თავისუფალი საქართველო" ნ.21)

(წინა გვ. შენიშვნის გაგრძ.) ლეგაცია. მასში შედიოდნენ: აკ. ჩხენკელი, ირ. წერეთელი, ს. მდივანი, (ძმა ბოლშევიკების "წარმომადგენლის" ბ? მდივნისა) გ. ვეშაპელი და ზ. ავალიშვილი.

მაშინ კიდევ შეიძლებოდა ასე "ფუფუნებით მოქმედება. ჯერ მატერიალურად გასაჭირში არ იყვნენ და ერთობასაც ახერხებდნენ.

აქედან და კიდევ სხვა საბუთებიდან, რაც კონფერენციის დროს გამოქვეყნდა, ცხადი იყო რომ ბოშევიკების პროპაგანდას არ გაუჭრია და მთელი ქვეყანა დარწმუნებული იყო რომ საქართველო ბოლშევიკების მიერ შეიარაღებული ძალით იყო დაბყრობილი.

მაგრამ, მიუხედავად საქართველოს დრამის რეალური ცნობისა, რადგან ამ კონფერენციაზე უმთავრესად ეკონომიური კითხვები იყო დასმული, ისინი გაურბოდნენ პოლიტიკურ საკითხებში ღრმად შეჭრას; ხოლო რაკი ბაქოს ნავთის საკითხი , თავისთავად ეკონომიური, გადანასკვული იყო კავკასიის პოლიტიკურ საკითხთან, ამიტომ საქართველოს საკითხი ერთნაირად ისმებოდა და ირჩეოდა კულისებში. სწორედ იქ, სადაც თავისუფლად მოქმედებდა საქართველოს არაოფიციალური დელეგაცია.

მდგომარეობა მძიმე იყო. ინგლისი დაინტერესებული იყო ბაქოს ნავთის გაზიდვის მონოპოლია მოეპოებინა. ამ პოლიტიკას კი საფრანგეთი და სხვებიც ვერ ურიგდებოდნენ. ამ ჭიდილში კი, როგორც ყოველთვის, რუსეთი მოხერხებულად სარგებლობდა,

რათა მის მიერ დაპყრობილი ქვეყნები შეენარჩუნე-
ბინა და მომხდარი ფაქტი მიევიწყებინა მსოფლიო
საზოგადოებრივი აზრისათვის; და ისტორიამაც დაა-
მტკიცა, რომ თუ ის მთლად ვერ დაავიწყებს, ფაქ-
ტურად მაინც აცნობინებს...

აქ არ შევჩერდებუ ამ კონფერენციის წინდა სა-
ერთაშორისო ხასიათზე. რაც შეეხება საქარ-
თველოს აქ სხვანაირადაც იყო განმეორებული და
ყველასაგან თანაგრძნობა მიღებული. ცხადია, ეს
თანაგრძნობაც დამყარებული იყო გარკვეულ ინტე-
რესებზე. მაგ.: აქ პირველად თავი იჩინა ამერიკის
ინტერესებმა.

ინგლისელები იმედოვნებდნენ რომ ნავთს ის-
ინი ჩაიგდებდნენ ხელში, თუნდაც კომუნისტების ბა-
ტონობის პირობებში და ეს მდგომარეობა კი ასუს-
ტებდა საქართველოს დამოუკიდებლობისადმი ინტე-
რესს. მაგრამ ამერიკა შეებრძოლა მათ ნავთის
"მონოპოლიის" პოლიტიკას და მოითხოვდა ისეთი
მდგომარეობის შექმნას, რომ ამიერ-კავკასიის ნავ-
თი ყველასათვის ყოფილიყო ხელმისაწვდომი. 11 მა-
ისს 1922 წლის ფრანგულ გაზეთ "ტემპში" გამოქვე-

ყნებული იყო განცხადება ამერიკის საელჩოსი რომში:

"შეერთებული შტატები არასოდეს დასთანხმდებიან, რომ ცხოვრებაში გატარებულ იქმნას რომელიმე პროექტი (ნავთის შესახებ), ევროპულ ან საერთაშორისო ფარგლებში ისე, რომ არ იყოს დაცული ღია კარების პრინციპი, რომელიც ჰქმნის თანასწორ უფლებას მიაკუთვნებსთ".

ამაზედ ამერიკის პრესაც ალაპარაკდა: ეს კი ნიშანია იმისა რომ ასეთი თავისუფლება შესაძლებელი იყო მხოლოდ ამ. კავკასიის სრული დამოუკიდებლობის ნიადაგზე. ამ აზრისა იყო საფრანგეთიც. საფრანგეთის პრესამაც ამ საკითხს მრავალი წერილი უძღვნა...

აქვე უნდა დავუმატოთ რომ იმავე 1922 წ. გერმანია-რუსეთის შორის დადებული ხელშეკრულების დროს გერმანელებმა განაცხადეს რომ:

"ეს ხელშეკრულება არ ეხება და ვერც შესცვლის გერმანიის პოზიციას საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხში. ხელშეკრულების ვალდებულებანი ეხებიან მხოლოდ გერმანიისა და რუსეთის ურთიერთობას და არ ვრცელდებიან იმ სახელმწიფოზედ, რომელნიც რუსეთს გამოეყვნენ ან მომავალში გამოეყოფიან". (იხ. "თავისუფალი საქართველო" ნ.21)

შეუძლებელია ამაზედ უკეთესად და მკაფიოდ ოფიციალურ გამოთქმული საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვის საკითხი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამის გამო იყო რომ რუსებმა ქართველ კომუნის-ტებს შანტაჟი მოაწყობინეს. 24 აპრილს 1922 წელს, ქართველმა კომუნისტებმა ნოტით მიმართეს გერმანი-ას, (თუმცა ყველამ იცის რომ პატარა "რესპუბლიკებს" რუსები არასოდეს არ აძლევენ ნებას იქონიონ რაიმე გარეშე ურთიერთობა!), რომ ისინი:

"იძულებულნი არიან საქართველოში მცხოვრები გერმანელები გადაასახლონ, ვინაიდგან გერმანიის მთავრობამ უყურადღებოდ და უპასუხოთ დასტოვა არა ერთხელ განმეორებული წინადადებები საქართველოსთან სავაჭრო ხელშეკრულების შესახებო".

რასაკვირველია, რაკი გერმანია არ სცნობდა ბოლ-შევიკურ ხელისუფლებას საქართველოში, მასთან ვერც ვერავითარ ხელშეკრულებას დასდებდა!...

სწორედ ამ ხანებში იყო რომ საქართველოში, სვანეთსა და ხევსურეთში ბრძოლები მიმდინარეობდა, და ეს კი მთელმა ქვეყანამ იცოდა. ბოლშევიკები შეეცადნენ გენუის კონფერენციის გახსნამდე ამ აჯანყებისათვის ლიკვიდაცია მოეხდინათ, მაგრამ ვერ შესძლეს; და სწორედ ამავე დროს გენუის კონ-ფერენციაზე გაისმა ხმა საქართველოს კათალიკოსისა,

ა მ ბ რ ო ს ი ს მემორანდუმის სახით. საქართველოს კათალიკოსმა თავი გასწირა სამშობლოსათვის და შექმნილ ჯოჯოხეთურ პირობებში, თბილისიდან ხმა მიაწოდა კონფერენციას. მემორანდუმში დაწვრილებით არის აწერილი საქართველოს უბედური მდგომარეობა და განათლებული კაცობრიობისაგან მოითხოვს დახმარებას. მემორანდუმი წაკითხული იყო კონფერენციაზე, რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა!

გარედან მოქმედებდა საქართველოს არა ოფიციალური დელეგაცია, რომელსაც ენერგია არ დაუკლია რომ საქართველოს საკითხში მთელი მსოფლიოს თანაგრძნობა და დახმარება მოეპოვებინა.

ნ. ჟორდანიამ პირადად მიმართა მაკდონალდსა და ადლერს. უხსნიდა სვანეთის აჯანყების ამბებს. მეორე ინტერნაციონალის კომიტეტმა დეპეშით გადასცა მოსკოვს მოთხოვნილება, სვანეთზე შეტევები შეეჩერებინათ.

ამავე დროს ქართულმა არა ოფიციალურმა დელეგაციამ შესძლო ეს საკითხი დაესვა კონფერენციის ერთ ერთ კომისიაში და აქაც უველად თანაგრ-

ქნობა მოიპოვა. ამ კომისიამ ჩაანდო იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრს "მეკობრული წინადადება" წაეყენებინა რუსეთის საგარეო საქმეთა კომისრის ჩიჩერინისადმი...

მაშინ ამ საკითხზე ალაპარაკდა მთელი ევროპის პრესა. ყველაფრის მოხსენება აქ შეუძლებელია. მაგ: ფრანგული გაზეთი "ჟურნალ დე დება", 13 აპრ.1922 წლის თავის მეთაურ წერილში სწერდა:

"ვიდრე საბჭოებს გენუაში მოიწვევდნენ, მათთვის უნდა მოეთხოვათ ჯარების გაყვანა საქართველოს რესპუბლიკიდან, რომელიც მათ ძალით აქვთ დაპყრობილი. მაშინ ამ ზომას სათანადო ყურადღება არ მიაქციეს, მაგრამ ჯერ კიდევ არის დრო, რომ ასეთი მოთხოვნილება წარუდგინოს ჩიჩერინს".

ერთი სიტყვით მთელ მსოფლიო პრესაში რუსეთი სასტიკად იყო გაკიცხული საქართველოზე თავდასხმის გამო და ყველა მოითხოვდა რუსების ჯარების გაყვანას საქართველოდან.

ნ.ჟორდანიამ ცალკე დეპეშითაც მიმართა კონფერენციის წევრებს, და სხვათა შორის იტალიის მინისტრის ნოტაში ჩიჩერინისადმი, მოყვანილი იყო ჟორდანიას დეპეშაც და ჩიჩერინი იძულებული იყო წერილობითვე გაეცა პასუხი, სადაც მან ყველა ბრალდე-

ბები უარჰყო, თითქოს საქართველოში ყველაფერი რიგზედ იყო და არავითარ აჯანყებას ადგილი არა ჰქონდა!

ნ. ჟორდანიამ კიდევ ერთხელ მიმართა კონფე-რენციას დასაბუთებული წერილით, სადაც ფაქტების დასამტკიცებლად იმოწმებდა თვით საბჭოთა პრესას, და უთვალივე ამით გათავდა...ე.ი. არაფრით...

რუსებმა კი ალმართიც მოხნეს და მომავალში უარესების მოწმესაც გაგვხდიან! კულტურული კა-ცობრიობამ ყველაფერი მოინელა და მომავლისთვის მთე-ლი ქვეყნის დაბერების გზებიც გაუხსნა!...

2. <u>საქართველოს საკითხი ერთა ლიგაში.</u> სრული-ად ბუნებრივად, საქართველოს საკითხი ერთა ლიგა-შიც უნდა დასმულიყო.1).

---

1) ყველა დოკუმენტები, დაკავშირებით ერთა ლიგას-თან, მოთავსებულია კრებულებში:

"Documents relatifs a la question de la Georgie devant la Societe des Nations, Paris,1925.

M. Leonetti. Documents: la democratie, le Socialisme et la S.des N. contre la Paix. Pompei, 1937.

ჯერ კიდევ 12 მაისს 1921 წელს ზ.ავალიშვილმა გადასცა ერთა ლიგის გენ.მდივანს ერიკ დრიუმონდს სათანადო დოკუმენტები საქართველოს მდგომარეობის შესახებ. ხოლო 29 აგვისტოს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ევ.გეგეჭკორმა ერთა ლიგას მიართვა მემორანდუმი და სთხოვდა: რომ თანახმად ერთა ლიგის პაქტის პრინციპებისა, ერილობას პროტესტი გამოეცხადებინა ბოლშევიკების თავდასხმის წინააღმდეგ და სხ.

26 აგვისტოს 1922 წელს, საქართველოს სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ევროპაში, აკ.ჩხენკელმა კიდევ გადასცა ლიგას მემორანდუმი.

20 სექტ.1922 წელს ერთა ლიგის ერილობამ გაარჩია საქართველოს საკითხი. ერილობაზე გაიმართა კამათი. ბელგიის წარმომადგენელმა დე ბრუკერმა, როგორც მომხსენებელმა, , მტკიცედ დაიცვა საქართველოს უფლებები და ის დაასაბუთა. საქართველოს საკითხს იცავენ: პოლონეთის, ინგლისის, შვეიცარიის და სხვათა წარმომადგენლები. და ბოლოს რეზოლუციის პროექტიც იყო წარმოდგენილი, რომელიც ერთ ხმად იყო მიღებული, შვეიცარიის წარმომადგენლის

მ ო ტ ა ს  მცირე შესწორებით. ეს რეზოლუცია მიღებული იყო 20 სექტემბერს მეექვსე კომისიის მიერ ხოლო 22 სექტემბერს ერთა ლიგის ყრილობის მიერ. რეზოლუცია დასძენს:

"ერთა ლიგის ყრილობა ყურად იღებს რა საქართველოს მდგომარეობას, მოუწოდებს საბჭოს ყურადღებით თვალი ადევნოს ამბებს ქვეყნის ამ ნაწილში, რათა დაიჭიროს ხელსაყრელი შემთხვევები, რომ დაეხმაროს მას მშვიდობიანი და საერთაშორისო უფლების წესებთან შეთანხმებულ პირობებში, რათა „ამ ქვეყანას დაუბრუნდეს ნორმალური მდგომარეობა".

1923 წელსაც, როდესაც ერთა ლიგის ყრილობა იკრიბებოდა, საქართველოში საიდუმლოდ მომქმედმა კომიტეტმაც მოწოდებით მიმართა ერთა ლიგას. ეს მოხდა, ზემოდ აღნიშნულ, ქართველ მხედართა დახვრეტისა და რეპრესიების გამეფების დროს, 25 მაისს 1923 წელს. მოწოდება ასე თავდება:

"საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი გამოსთქვამს მტკიცე რწმენას, რომ ერთა ლიგა, როგორც სამართლიანობის უმაღლესი ორგანო, ხმას აიმაღლებს რუსეთის დაუპატიჟებელი ბატონების მიერ ქართველი ხალხის მიმართ ჩადენილ ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ"...

შემდეგშიც, როდესაც 1924 წლის აჯანყება სისხლში იქმნა ჩახრჩობილი, ერთა ლიგის მეხუთე ყრილობაზედაც დაისვა საქართველოს საკითხი. ის შეისწავლა სათანადო კომისიამ, რომელმაც შედი-

ოდნენ: იტალიის, ინგლისის, საფრანგეთის, ბელგიის და კანადის წარმომადგენლები. მომხსენებელი ბ.რ.მაკდონალდი მხურვალედ იცავს საქართველოს საკითხს და თავის სიტყვას ასე ათავებს:

" ქართველი ხალხის განწყობა შეუწყნარებელია. ტერორი, რომელიც რუსეთში პერიოდულად ნელდება, არა მარტო არ ვრცელდება საქართველოზე, არამედ უფრო მეტი ძალმომრეობის ხასიათს იღებს. გადასახლებები, დატუსაღებები, წამებანი ჩეკის სარდაფებში, დახვრეტები გაუსამართლებლად ყველა კლასების წარმომადგენელთა, უფრო და უფრო მრავლდება. დაჭერილი პოლიტიკური მოღვაწეები გამოცხადებულნი არიან ბანდიტებად. ინტელიგენცია და მუშები მოკლებული არიან მუშაობის ყოველგვარ საშუალებებს. ვინაიდან ქართველები ხელისუფლების წინააღმდეგი არიან, აბრკოლებენ მათ მიღებას, როგორც კერძო კომერციულ ისე ინტერნაციონალურ წარმოებებში და სახელმწიფო სამსახურში.
სამღვდელოება დევნილია თავიანთი რელიგიური მოვალეობის შესრულების გამო... თვით საქართველოს პატრიარქს, ამბროსის მიუსაჯეს რამდენიმე წლის ციხე, სადაც ის ამ ჟამად იმყოფება"...

ამ სიტყვის შემდეგ მეექვსე კომისიის დადგენილება ახლაც მიიღო ერთობამ, საყურადღებოდ საქართველოში შექმნილი მდგომარეობისა. ე.ი. ძალაში დარჩა 22 სექტ.1922 წ.რეზოლუცია.

ამიერიდანაც ერთა ლიგა განაგრძობს საქართველოს საკითხის დაცვას. ის რჩება საგნად საერთაშორისო უფლებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. <u>რუსეთის გამაგრება საერთაშორისო ურთიერთობაში.</u>

ახლა მოკლედ შევეხოთ თვით რუსეთის მდგომარეობას საერთაშორისო ურთიერთობაში. როგორ და რით გათავდა მათი ცნობის საქმე და როგორ მიეცა მივიწყებას საქართველოს საკითხიც.

სანამ სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა, მსოფლიო მას დიდ ანგარიშს არ უწევდა. მაგრამ ბოლშევიკებმა ისარგებლეს ბრესტ-ლიტოვსკის ზავით. გარეშე ომი შესწყვიტეს და მთელი თავიანთი ენერგია მოანდომეს შინაგან გამაგრებას...

ომი დამთავრდა. დამარცხდა ცენტრალური სახელმწიფოთა კავშირი. ვერსალის ზავმა დასცა გერმანიის ჰეგემონია. მას ჩამოართვეს პოლონეთის ნაწილები: პოზნანი და დანციგი. საფრანგეთს გადაეცა ალზას-ლორენი; გერმანიამ გაიღო დიდი კონტრიბუცია. შემცირეს მისი სამხედრო ძალები; ნეიტრალიზაცია მოახდინეს რეინის სამხრეთ ნაწილებისა საზღვრებიდან 50 კილომეტრის მანძილზე და სხ.

დაიშალა ავსტრიის იმპერიაც. რაც დაამტკიცა სან ჟერმენის ხელშეკრულებამ. ჩეხოსლოვაკია

ეროვნული ბიბლიოთეკა

აცხადებს დამოუკიდებლობას. სერბია, კროატები და სლოვენები ქმნიან იუგოსლავიის ფედერაციას. რუმინია მიიღებს ბესარაბიას, ტრანსილვანიას, ბანატს. იტალია მიიღებს ტრენტს და ტრიესტს. უნგრეთიც აცხადებს თავის დამოუკიდებლობას...

მოკვდა "ავადმყოფი ადამიანიც" (ასე უწოდებდნენ მაშინ ოსმალეთს). ოსმალეთის დაარსების დღიდან მისი დაყოფის გეგმა ასჯერ იყო შედგენილი და ეს საკითხი აღნიშნულ ომს საბოლოოდ უნდა გადაეწყვიტა... ჯერ კიდევ ომის პროცესში ოსმანთა იმპერიას წინააღუდგნენ არაბები. მექა აძევებს თურქებს. არაბები აღარ ემორჩილებიან კონსტანტინეპოლის უზურპატორებს. (პირველი ხალიფები და ისლამის რელიგიური მამათავრები ბაღდადის და დამასკოს არაბები იყვნენ. ხოლო თურქებმა მათ წაართვეს ეს პრივილეგია და ის სულთანმა მიითვისა. ომის დროს კი არაბებმა ისარგებლეს შემთხვევით და მას წინააღუდგნენ...).

10 აგვისტოს 1920 წელს სევრის ხელშეკრულებამ დააკანონა ოსმალეთის დანაწილება. მან დაჰკარგა

არაბეთი, სირია, მესოპოტამია და სხ. მუსტაფა ქემალის გამარჯვებამდე, კონსტანტინეპოლიც ფაქტიურად მოკავშირეთა ხელშია, ხოლო სულთანი მათი ტყვე.

გამარჯვებული მოკავშირეები ასე აწესრიგებენ ევროპის საქმეებს. ამ დროს განმავლობაში რუსები გამორიცხულნი არიან საერთაშორისო თამაშიდან; გერმანიასთან დადებული ბრესტ-ლიტოვსკის ზავიც გაუქმდა. და თუ კიდევ არსებობდა რამე, ეს იყო ძველი რუსეთის ძალები, ვისაც მოკავშირენი იცავდნენ.

მაგრამ საზავო კონფერენციების დამთავრების შემდეგ მდგომარეობა იცვლება. ბოლშევიკები გამარჯვებული გამოდიან სამოქალაქო ომიდან და მაშინადვე შეუდგებიან ჩამოშორებული ქვეყნების დაპყრობას. ისინი მხოლოდ პოლონეთის ბრძოლაში მარცხდებიან და პოლონეთი რჩება დამოუკიდებელი. მაშინ ვერ დაიპყრეს აგრეთვე ბალტიის ქვეყნები, ხოლო დაიპყრეს უკრაინა, თურქესტანის ქვეყნები და კავკასია.

ეს იყო რუსეთის გამარჯვების მეორე პერიოდი. ვუწოდებ რუსებს, რადგან დაპყრობით პოლიტიკაში, თეთრები და წითლები, თუ შავები ყველა ერთად არიან.

გამარჯვებული მოკავშირენი ერთხანს უნდობლად უც-ქერიან ბოლშევიკებს. ზოგი გვიანამდე აგრძელებს ამ უნდობლობას. ხოლო ნელ-ნელა ყველა უშვებს მათ ხელს და ე.წ. საბჭოთა კავშირი ფეხზე დადგება, ევროპის კონცერტშიც ჩაებმის და მსოფლიო პოლიტიკა-შიც როლს ითამაშებს!

როდესაც დასაწყისში ევროპამ მას პირი არ აჩვე-ნა, ისინი აღმოსავლეთისაკენ შებრუნდნენ. დაიპყ-რეს რა კავკასია, გაამაგრეს ბაქო-ბათუმის ხაზი და პარალელურად 26 თებ.1921 წ. დასდეს ხელშეკრუ-ლება სპარსეთთან. 28 თებ.1921 წ.ავღანისტანთან და 16 მარტს 1921 წ. ოსმალეთთან. ასე გაიმაგრეს ამ მხარეს მათი პოზიციები.

ამის შემდეგ კი პირი იბრუნეს ევროპისაკენ და მათაც აიძულებენ კავშირის დამყარებას. 16 მარტს 1921 წელს პირველი ინგლისი სდებს რუსეთთან კომ-ერციულ ხელშეკრულებას. (ამის გამო ლოიდ ჯორჯს მიაწერენ შემდეგ სიტყვებს: - აფრიკის კაცი-ჭამი-ებთან ვვაჭრობთ და რუსებთან რატომ არ უნდა ვივა-ჭროთო" და ზოგმა ამაში დიდი სიბრძნე დაინახა!)

შემდეგ რუსეთთან ხელშეკრულებას სდებენ: 23 აპ-რილს გერმანია, 2 სექტემბერს დანია, 6 დეკემბერს ავსტრია, 26 დეკემბერს იტალია და 3 იანვარს 1922 წლის ჩეხოსლოვაკია.

მალე რუსეთთან ეკონომიურ ურთიერთობაში შე-დიან სხვა ქვეყნებიც. ამ ამბებს კი მოჰყვება ჯერ მათი ფაქტიური და მერე იურიდიული ცნობა.

1921 წ. 6 მაისის დროებითი შეთანხმებით გერმა-ნია უკვე სცნობდა რუსეთს ფაქტიურად. 1922 წლ. 16 იანვრის რაპალოს ხელშეკრულებით კი მას იცნობს იურიდიულადაც.

1922 წლის კანის კონფერენციაზე მოკავშირე-ები აცხადებდნენ, რომ რუსეთის ცნობისათვის საჭი-როა, რომ ის იყოს წესიერი სახელმწიფო და ისეთ დეტალებსაც მიუთითებდნენ, რომელიც ძირშივე სპობ-დასაბჭოთა რეჟიმს. 1).

და თუ გენუის კონფერენციაზედაც კიდევ ჭირ-ვეულობდნენ, სამაგიეროდ, ლოზანის კონფერენციაზე მათ იწვევენ, თუმცა, "მხოლოდ ერთი" სრუტეების საკითხის გასარჩევად.

---

1) DICTIONNAIRE DIPLOMATIQUE. Paris, 1933, t.2, p.534.

ამის შემდეგ ორი წელი გავიდა და პირველად სწორედ მოკავშირეებმა იცნეს რუსეთი.

1924 წ. რუსეთი იცნო ინგლისმა და იმავე წლის 2 ოქტ. საფრანგეთმა. ინგლისის ეს ცნობა მოხდა საქართველოს 1924 წლ. აჯანყების წინ, ხოლო საფრანგეთისა, აჯანყების შემდეგ.

ამით რუსეთის ბედი გადაწყდა ევროპაში. ამის შემდეგ მის წინსვლას ვერაფერი შეაჩერებდა, მიუხედავად ინგლის-საფრანგეთის ზოგიერთი რეზერვებისა, საქართველოს საკითხში, როცა ხელშეკრულებას სდებდნენ... მაგ: ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი, 1 თებ.1924 წ. სწერდა რუსეთის მთავრობას: "თანახმად ჩემი მთავრობის ინსტრუქციებისა, მაქვს პატივი გაცნობოთ თქვენს აღმატებულებას, რომ იგი სცნობს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს, როგორც იურიდიულ მთავრობას ძველი რუსეთის იმპერიის იმ ტერიტორიაზედ, რომელნიც სცნობენ მის ხელისუფლებას".

ამის შესახებ, ცნობილი ქართველი პოლიტიკური მოღვაწე ივ.ზურაბიშვილი სწერდა: "ცნობის ფორმულა საკმარის საფუძველს იძლეოდა, რომ ინგლისს არ ჩაეთვალა საქართველო იმ ტერიტორიათა რიცხვში, რომელნიც სცნობდნენ საბჭოთა ხელისუფლებას. ესმით

უფრო ადვილი იყო ინგლისის მთავრობისათვის, რომ 1922 წლ. ერთა ლიგის საზოგადო კრებაზედ, სხვებთან ერთად, მისმა დელეგაციამაც გამოსთქვა სურვილი, საქართველოში ნორმალური მდგომარეობის ე.ი. დამოუკიდებლობის აღდგენისა". (იხ. მისი: "საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა". პარიზი. 1936).

რასაკვირველია, ინგლისის ასეთი ჟესტიც ერთგვარი ნუგეში იყო ქართველებისთვის, რეალური ღირებულება კი მას არ ჰქონდა. რადგან ამ დროს საქართველო, ამ.კავკ.ფედერაციის გზით უკვე წევრი იყო "საბჭოთა კავშირისა" და ვინ იყო მსაჯული რომ ასეთ პირობებში მისი ბედი გადაეწყვიტა! ცხადია, პრაქტიკულად მათი ცნობა ვრცელდებოდა ყველაზე ვინც რუსების ხელქვეით იყვნენ!...

ინგლისს მოჰყვა საფრანგეთი. უკვე მაისში 1924 წ. საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარე გახდა ედ.ერიო. და მისი პირველი აქტი იყო რუსეთის ცნობა. ერიოს ტელეგრამაში რუსეთის მთავრობისადმი ნათქვამია: "რესპუბლიკის მთავრობა, დღევანდელი თარიღით(28 ოქტ.1924 წ) სცნობს იურიდიულად საბჭოთა კავშირის მთავრობას, ძველი რუსეთის იმპერიის ყველა იმ ტერიტორიებზე, სადაც მისი ხელისუფლე-

ლება მცხოვრებთა მიერ არის მიღებული" და რუსე-
თის მთავრობას იმავე დროს აცნობს რომ ეს "ოდ-
ნავადაც ვერ შეცვლის საფრანგეთის მიერ მიღებულ
ვერც ერთ მოვალეობასო".

ე.ი. ფრანგებიც იმეორებენ ინგლისის დებულე-
ბას: მის მიერ ნაკარნახებ მოვალეობაში უნდა ვი-
გულისხმოთ საფრანგეთის მიერ საქართველოს იურიდიუ-
ლი ცნობა. მაგრამ პირდაპირ მითითებასთან აქაც
არა გვაქვს საქმე. მოკლედ ინგლისმა და საფრან-
გეთმა არც მწვადი დასწვეს და არც შამფური!

ხოლო ისიც აღსანიშნავია, რომ როდესაც ინგ-
ლისშიც და სხვა ქვეყნებშიც გააუქმეს საქართვე-
ლოს წარმომადგენლობანი, საფრანგეთმა საქართვე-
ლოს ლეგაცია დიდ ხანს შეინახა.

აშკარად, ევროპის მთავარი სახელმწიფოე-
ბის მიერ რუსეთის ცნობის შემდეგაც, საქართველოს
საკითხისადმი პატივისცემა, თითქოს, თეორიულად
მაინც ძალაში დარჩა.

ფაქტიურმა მდგომარეობამ მაინც თავისი გა-
იტანა და სამართლიანობის საკითხები, რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებით ცხებოდა პატარა ერებს, მივიწყებას ეძლევიან. რუსეთი კი უფრო გაბედულად იჭრება საერთაშორისო ცხოვრებაში მისი ფართო გავლენის მოსაპოვებლად.

რომ ამის შემდეგ ხანის დეტალებზე მსჯელობა აღარ გავაგრძელო, მეორე მსოფლიო ომის წინ, სამ მნიშვნელოვან მოვლენაზე უნდა შევჩერდე.

პირველი იყო ამერიკის ამბები, მეორე, რუსეთ-საფრანგეთის თავდაუსხმელობის პაქტი და მესამე რუსეთის მიღება ერთა ლიგაში.

საქართველოს წარმომადგენლობა კარგა ხანია მუშაობდა ამერიკაში, რომ აქაც შეექმნა თანაგრძნობა ჩვენი საკითხისადმი. 1926 წელს ვირჯინიის წარმომადგენელმა ბ. მურმა სენატში წინადადება შეიტანა, რათა პრეზიდენტს მისცემოდა უფლება, თავისი წარმომადგენელი დაენიშნა პარიზში მყოფ, საქართველოს ემიგრანტულ მთავრობასთან.

ეს წინადადება განიხილა სათანადო კომისიამ, ხოლო არავითარი რეალური შედეგი არ მოჰყოლია. ამ კომისიის სხდომის ოქმები და სხვა მასალები გამოცემული იყო სახელმწიფო სტამბის მიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც შეეხება რუსეთ-საფრანგეთის თავდაუსხმელობის პაქტს, ამაზე მოლაპარაკება, ხელის მოწერიდან 2-3 წლის წინ იყო დაწყებული და ბოლოს 29 ნოემბერს 1932 წელს პაქტს ხელი მოაწერეს.

ამ პაქტის მე-4-ე მუხლში ნათქვამია:

"ხელშეკრულების დამდები ორივე მხარე ივალებს: არ შექმნას, არ გაუწიოს მფარველობა და დახმარება შეიარაღებით, ფულით და თავის ტერიტორიაზე ყოფნის ნებაც არ მისცეს სამხედრო ორგანიზაციებს, რომელნიც ითვისებენ მეორე მხარის მთელი ტერიტორიის ან ნაწილის მთავრობის ან წარმომადგენლობის სახელს".

ყველასათვის მისახვედრი იყო რომ ეს მუხლი სრულებითაც არ უდგებოდა საფრანგეთის ინტერესს, რადგან რუსეთში არავინ ქმნიდა ისეთ ორგანიზაციებს, რომელნიც ან ემუქრებოდნენ მას ან მისი მთავრობის სახელს ითვისებდნენ. ეს ეხებოდა მხოლოდ რუსეთს რადგან რუსეთის იმპერიის ემიგრაციით გავსებული იყო პარიზი. ხოლო რუსეთის "ნაწილის" პრეტენზიაზე რომ არის ლაპარაკი, ეს პირდაპირ ეხება საქართველოს, რადგან მაშინ ერთად ერთი საქართველოს ყოფილი მთავრობა იყო პარიზში და ოფიციალურად არსებული მისი ლეგაცია. საქართველოს დამოუკიდებლობის 12 წლის დაკარგვის შემდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ლეგაცია გამოხატავდა საფრანგეთისა და მთელი ევროპის თვალში საქართველოს დამოუკიდებლობას!

მაშასადამე, ბოლშევიკებს ეს ლეგაცია ჰქონდათ ამოღებული მიზანში· აღნიშნული მუხლი პაქტისა სწორედ ამას გულისხმობდა და მიზანსაც მიაღწიეს.

სანამ აღნიშნული პაქტის რატიფიკაცია მოხდებოდა, პარიზის უნივერსიტეტის საერთაშორისო უფლების პროფესორი ლიო ლე ფ უ რ ი ამტკიცებდა, რომ პაქტი არ გულისხმობდა საქართველოს ლეგაციის გაუქმებას. და ამას იმით ასაბუთებდა' რომ ხელშეკრულების ორივე მხარეს ნაკისრი ჰქონდათ დაეცვათ მანამდე მიღებული ვალდებულებანი.1) საფრანგეთის მხრივ იგულისხმებოდა საქართველოს იურიდიული ცნობა 1921 წელს. მაგრამ ეს არ გამართლდა. კომუნისტები სწორედ საქართველოს ლეგაციას უმიზნებდნენ და ამას როგორ დასთმობდნენ!

1934 წ. პარიზში ამ სტრიქონების ავტორი სწერდა: "პაქტის რატიფიკაციამდე... პროფ.ლე ფური შეეცადა დაემტკიცებინა რომ პაქტის მე-4-ე მუხლი არ შეეხებოდა, საფრანგეთში მყოფ ქართული ლეგაციის გაუქმე-

1) Prof.L.Le F U R."L– Georgie et le droit des Gens " (revue gener-le du droit International Public. Jullet-aout, 1932)

ბასო. მაგრამ რეალობის ლოგიკამ თავისი გაიტანა და საფრანგეთმა გააუქმა საქართველოს ლეგაცია". (იხ. "მომავალი" ნ.2).

როდესაც საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში, 18 მაისს 1933 წ. საკითხი დაისვა აღნიშნული პაქტის რატიფიკაციის შესახებ, საქართველოს ლეგაციის საკითხმა დიდი კამათი გამოიწვია: გარდა კომუნისტებისა, ყველა დიდ სიმპატიას უცხადებდა საქართველოს. მაგრამ, საბოლოოდ საქართველოს ყველაზე დიდმა დამცველებმაც მიიღეს ის და პაქტი ერთხმად იყო დადასტურებული. 1933 წლის მაისის შემდეგ გაუქმდა საქართველოს ლეგაცია, პ.რენოდელის სასამძიმრო სიტყვით საქართველოსადმი:

"პირობების გარეშე ვაძლევ ხმას პაქტს, მაგრამ ეს ხმა მელანქოლიით არის აღსავსე, რადგან ის გვაიძულებს დავადასტუროთ, რომ ზოგჯერ მნიშვნელოვან საზოგადო აქტების წინაშე ადამიანი იძულებულია თავის პოლიტიკაში დასთმოს ნაკლებ მნიშვნელოვანი" - მე ვლაპარაკობ საქართველოს მდგომარეობის შესახებ"!...

ამნაირად, 1933 წელს წაიშალა ის უკანასკნელი სიმბოლო, რომელიც არა მარტო საფრანგეთს, არამედ მთელ მსოფლიოს მუდამ ახსენებდა საქართველოს არსებობას. რუსები სიხარულით ზეიმობდნენ, მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ახარებდა ქართველი კომუნისტების მეთაურებს: ოკუჯავა-მდივან-ელიავა-ორახელაშვილებს, რომელნიც სულ რამდენიმე წლის შემდეგ იმავე "მოძმე" რუსების მიერ იყვნენ დახვრეტილნი!...

4. რუსეთის მიღება ერთა ლიგაში. უკანასკნელი ავტორიტეტი რუსების გამარჯვებისა საერთაშორისო პოლიტიკაში, მაინც მისი ერთა ლიგაში მიღება იყო.

ჯერ კიდევ 1933 წელს გაისმა ხმა რუსეთის ერთა ლიგაში შესვლის შესახებ. რუსეთ-საფრანგეთის პაქტის შემდეგ ერთი ნაბიჯიღა იყო გადასადგმელი. ქართულ ემიგრანტულ ძალებს კიდევ ეძლეოდათ შემთხვევა ქართული საკითხი წამოეჭრათ...

როდესაც ერთა ლიგა დაარსდა, მის გვერდით შეიქმნა ე.წ. ლიგის დამხმარე საზოგადოება. ყველა ქვეყანაში არსებობდა მისი განყოფილება. პარიზში არსებობდა ქართული სექციაც. სწორედ რუსეთის ერთა ლიგაში შესვლის წინ, 1924 წ. მაისში, ინგლისში შესდგა ამ საზოგადოების საერთაშორისო კონგრესი. მას დაესწრნენ ქართველებიც. აქ დაისვა საქართველოს საკითხი, რამაც დიდი კამათი გამოიწვია და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლოს მაინც სასარგებლო რევოლუცია გამოიწვევს საქართველოსათვის. ის კიდევ ერთხელ მოაგონებს ერთა ლიგას, წინა წლებში მის მიერ მიღებულ რეზოლუციებს და მოუწოდებს მათ დაცვას ბოლომდე...

ახლა დავუბრუნდეთ რუსეთსა და ლიგას.

ყველასათვის ცნობილია რომ ვერსალის ზავით გერმანია ძალიან მძიმე პირობებში იყო ჩაყენებული. ერთ დღეს ის ამ მდგომარეობიდან უნდა გამოსულიყო. ამას კარგად გრძნობდნენ ფრანგები და ამითაც იყო გამოწვეული თავდაუსხმელობის პაქტი. ამ პაქტის შედეგი იყო რუსეთის მოზიდვა ერთა ლიგაშიც.

კიდევ უფრო საშიშ მდგომარეობაში იყო რუსეთი. მართალია, აქამდე მან მთელ რიგ გამარჯვებებს მიაღწია, მაგრამ იმასაც ხედავდა რომ გერმანია ფეხზე დგებოდა და ეს იყო მისთვის დიდი საფრთხე. ასეთსავე საფრთხეს უმზადებდა მას აღმოსავლეთიდან იაპონია. ამიტომ რუსეთს მოსწონდა თუ არა ისევ ძველი მოკავშირეებისაკენ უნდა ებრუნებინა პირი. რუსეთში ძალიან ადრე დაიწყეს ამაზე ზრუნვა. მათთვის მთავარი იყო საფრანგეთი და ინგლისი. ახლა

საფრანგეთის მხრივ ის უკვე დაზღვეული იყო. მხრიდ-გან აღნიშნული პაქტი გულისხმობდა რომ საფრანგეთი მას ხელს შეუწყობდა ლიგაში შესასვლელად. არც ინგლისელები იქნებოდნენ წინააღმდეგი, თუ რუსეთი რაიმე პირობებს არ წამოაყენებდა. რუსეთმა იცოდა რა ყოველივე ეს, მან თავი შეიკავა ყოველგვარი პი-რობების წამოყენებაზე. ამნაირად რუსეთისათვის გზა ხსნილი, იყო შესულიყო იმ დაწესებულებაში, რომ-ელსაც ლენინმა ბანდიტების საკრებულო უწოდა. ხოლო ყოველივე ისე იყო გამოწყობილი, რომ რუსები იქ იყვნენ "მიწვეულნი"...

18 სექტემბერს 1934 წელს საბჭოთა კავშირი მი-ღებული იყო ერთ ლიგაში. დიდმა სახელმწიფოებმა მას ძმური ხელი გაუწოდეს და ამამდე მის მიერ ნა-დენილ ბოროტმოქმედებაზედ თვალები დახუჭეს. ევრო-პის საზოგადოებრივი აზრი სასტიკად წინააღმდეგი იყო ამ აქტისა. მაგრამ საზოგადოებრივ აზრს ანგა-რიშს უწევენ მხოლოდ მაშინ, როდესაც ის მეთაურთა აზრს ეთანხმება, საწინააღმდეგო შემთხვევაში "დემოკრატიას" არავინ არაფერს ეკითხება!...

ერთა ლიგის პრინციპების მიხედვით არავითარი გამართლება ჰქონდა რუსეთის მიღების ერთა ლიგაში, მაგრამ ასე სურდათ ინგლისსა და საფრანგეთს!

რუსეთის ერთა ლიგაში მიღების დროსაც მრავალი სიტყვა იყო წარმოთქმული. მრავალი გამოვიდა რუსეთის წინააღმდეგ და ყველა აყენებდა საქართველოს და სხვა ქვეყნების დაპყრობის საკითხს რუსეთის მიერ. ჩეხოსლოვაკიის, პორტუგალიის, შვეიცარიის და სხვათა წარმომადგენლები სასტიკად ილაშქრებდნენ და ასაბუთებდნენ, რომ რუსეთის ერთა ლიგაში მიღება ეწინააღმდეგება ლიგის ძირითად პრინციპებს. პრესაშიც დიდი ყიჟინა ატყდა· განსაკუთრებული როლი იკისრა "ჟურნალ დე ჟენევ"-მა, ჟან მარტენისა და პ.ბრიგეს ხელმძღვანელობით.

ჯერ კიდევ რუსეთ-საფრანგეთის პაქტის დადების დროს იგივე პროფ.ლე ფური სწერდა, რომ როდესაც რუსეთის ერთა ლიგაში მიღების საკითხი დაისმება: "მაშინ ძნელი იქნება ერთა ლიგისათვის, საქართველოს სასარგებლოდ მიღებული ამდენი რეზოლუციების შემდეგ, გვერდი აუქციოს მის დამოუკიდებლობას და არ წამოაყენოს ამის ცნობა რუსეთის მიერ, როგორც პირობა რუსეთის მიღებისა ლიგაშიო".

სამართლიანი და მიუდგომელი ენით სწორედ ასე შეიძლებოდა მდგომარეობის დაფასება, მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთის ლიგაში მიღების დროს იმავე საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, და წევრის საფრანგეთის აკადემიისა, ლ.ბართუს , ამ პირობების წამოუყენებლობა არ გაუძნელდა...

ერთა ლიგის პაქტის მე-20-ე მუხლით, ლიგაში შემავალი ახალი წევრი მოვალეა თავი გაინთავისუფლოს ნაკისრ ვალდებულებათა დარღვევისაგან. ერთი ასეთი იყო რუსეთის მიერ 7 მაისს 1920 წლის საქართველოსთან დადებული ხელშეკრულების დარღვევა. მაშასადამე თუ რუსეთს ლიგაში შესვლა უნდოდა, მას უნდა დაეკმაყოფილებინა საქართველოს საკითხი. ხოლო მეორე მხრით წესიერება მოითხოვდა რომ ლიგას მისთვის ეს საკითხი დაეყენებინა. მით უმეტეს რომ 1922 და 1924 წლების ყრილობებზედ მან მიიღო რეზოლუციები, აღნიშნულ შემთხვევებში დაესვა და დაეცვა საქართველოს საკითხი.

ეს მდგომარეობა კარგად იცოდნენ ბოლშევიკებმა. ამიტომ მათმა წარმომადგენელმა ლიტვინოვმა, "მიწვევის" დროს, თავის პასუხში შემდეგი გაახსენა, უკეთ წარუდგინა: "მე-12 და მე-13 მუხლები

წესდებისა ითვალისწინებენ სასამართლოსა და არბიტრაჟის წესებს... ამასთან დაკავშირებით საბჭოთა ხელისუფლებას საჭირო მიაჩნია აღნიშნოს ახლავე, რომ მისი აზრით ეს პროცედურა არ შეიძლება გავრცელდეს ისეთ შემთხვევებზე, რომელნიც წინ უსწრებენ საბჭოთა კავშირის ერთა ლიგაში შესვლას".

ირკვევოდა, რომ ვინც რუსეთის "მიწვევის" საკითხი გამოაწყო, სხვაზედაც უფიქრია. ლიგის "დიდები" საქართველოს საკითხს აღარ დასვამდნენ რომ რუსები არ გაეწბილებინათ!

ამიტომ იყო რომ საერთაშორისო პრესა ამხედრდა ამაზედ; შვეიცარიული პ.ე.ბ რ ი გ ე სწერდა:

"მოსკოვი თვალთმაქცობს, რომ საქართველოს და სხვა ხალხთა საკითხი წარმოდგენილი იყო როგორც მისი შინაური საკითხი, რომელსაც ეხებას არაფერი ეკითხება. ეს თვალსაზრისი მთლად მიუღებელია. ერთ ალიგას არა ერთხელ უზრუნია საქართველოს დამოუკიდებლობაზე. გადათქვამს ის დღეს ამას? აქ არის სასიცოცხლო კითხვა. ერთა ლიგა შექმნილია იმისთვის, რომ ემსახუროს ეგოისტურ ინტერესებს, თუ უზრუნველყოს სამართლიანობა? შესწირავს ის თავის მიზანს არსებობისა და მთავარ მოვალეობას პოლიტიკურ ანგარიშებს?

თუ მან უარჰყო პაქტის განხორციელება, დაანგრია სამართლიანობის უნივერსალობა, ერთა ლიგა თვითონვე დაარღვევს შეთანხმებას"1)

1)"Journal de Geneve " 14 avril 1934, Geneve

ხოლო ცნობილი ფრანგი ჟურნალისტი და გაზეთ " ლე ჟურ"-ის რედაქტორი ლეონ ბ ე ლ ბ ი სწერდა:

"დიდი ქვეყნებისა, და საჭიროა ითქვას, საფრანგეთის წინააღმდეგ, რასაკვირველია შვეიცარია მართალი, როდესაც ის იცავს ერთა ლიგის პრინციპებს, რომელთაც ჰქონდათ პრეტენზია საერთაშორისო ურთიერთობა დაემყარებინათ სამართლიანობასა და პატივისცემაზე" 1) და სხ.

(1. " Le Jour" 14 sept. 1934, P-ris.)

აღარ დავუმატებთ ამ ნაწყვეტს იმ აუარებელი მასალით, რაც მაშინ გამოქვეყნდა. დიახ! ეს იყო საზოგადოებრივი აზრი: და ბოლოს რუსეთი ლიგაში მიღებული იყო ხმის უმრავლესობით.

რუსეთის გამარჯვება საერთაშორისო პოლიტიკაში ამით დაგვირგვინდა. ეს კი ნიშნავდა, რომ თუ არა საუკუნოდ, დროებით მაინც, საქართველოს საკითხი უნდა მოხსნილიყო საერთაშორისო პოლიტიკის სცენიდან. ყოველ შემთხვევაში ლიგის სრულმა გაჩუმებამ ეს დროებითობა დაადასტურა.

ამის გარეშე, ევროპის საზოგადოებრივი აზრი მუდამ თანაუგრძნობდა საქართველოს და ასეთად დარჩა ბოლომდე. არც პოლიტიკურ წრეებში ჩამქრალა მისადმი თანაგრძნობა, რომელნიც ყოველ ხელსაყრელ

პირობებში კვლავ წამოაყენებენ და დაიცავენ საქართველოს საკითხს...

ამის საბუთად და ბრწყინვალე მოგონებად დარჩება ქართველ ერის შვეიცარიის წარმომადგენლის მ ო ტ ტ ა ს სიტყვები, რომელიც წარმოსთქვა მან რუსეთის ერთა ლიგეში მიღების გამო:

"როდესაც ის იქნება მიღებული, საბჭო და საერთო კრება აღმოჩნდებიან რამოდენიმე ღიად დარღვეული საკითხის წინაშე. საქართველოს დამოუკიდებლობის გამო საერთო კრების მიერ გამოტანილი რეზოლუციები მკვდრის ძილით ვერ დაიძინებენ. სომხეთი, უკრაინა, კიდევ სხვა ქვეყნები, კიდევ ნახავენ გულის მქონე ადამიანებს, რომელნიც განაგრძნობენ მათზე ზრუნვას. არ შეიძლება ითქვას, რომ ეს საკითხები აღარ დაისმებიან. მთელი ქვეყნის თანაგრძნობა ახლავთ იმ ერებს, რომელნიც იცავენ თავიანთ სიცოცხლეს და თავისუფლებას... ამ კითხვებს ვერ მოსპობს ჟამთა სვლა!!... 1)

---

1) L'[illegible].R.S.S. A GENEVE. P.25. [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

აბელ კიკვიძე. საქართველოს ისტორია. (19 საუკ.) თბილისი, 1954 წ.

გ; საჭაფურიძე. შრომები. ტ. 2; თბილისი, 1958.

ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წ.2. თბილისი 1965 წ.

ნ. ჟორდანია. ჩემი წარსული. პარიზი, 1953.

ივ. ზურაბიშვილი. საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა. პარიზი, 1936.

ალ. ასათიანი. ძველი და ახალი მემკვიდრეობა. ვალანსიენე. 1929 წ.

რ. გაბაშვილი. რაც მახსოვს. მიუნხენი, 1959 წ.

გრ. გიორგაძე. საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში. თბილისი, 1926 წ.

ვ. გოზალიშვილი. 1832 წლის შეთქმულება თბილისი, 1935 წ.

ალ. მანველიშვილი. რუსეთი და საქართველო. ტ.1. პარიზი, 1951 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

AVALOV, Z. Nezavisimost Grousii V mejdounarodnoi politike. PARIS. 1924

---"-- Prisoedinenie Grousii s Rosiei. Peterbourg. 1901.

BOUTKOV. Materiali dlia novoi istorii Kavkasa. 3 t. Peterbourg. 1869.

BORODIN [illegible]. Za kavkasskie vospominania. Mingrelia i Svanetia. Peterbourg. 1885.

DOUBROVIN N. Istoria voini i vladichestvo Rouskix na Kavkase. 1-5. Peterbourg. 1886

---"---- Georgi 12, posledni tsar Grousii i prisoedinenie Grousii s Rosiei. Peterbourg. 1896

ESADZE C. Istoricheskaia Zapiska ob oupravlenii Kavkasa. t.1- 2. Tiflis. 1907.

KRISHCHINSKI AR. Rouskaia politika na okrainax. BAKOU, 1919.

POTTO. Outvrjdenie rouskogo vladichestva na kavkase. t.1-11. Tiflis, 1901.

ROMANOVSKI. KAVKAS i kavkasskaia voina. Peterb.1901

SAMARIN. Okraini Rosii. Praga. 1868

SENJIVI. Pokorenie Kavkasa. Peterburg. 1901.

CHECHULIN. Vneshnaia politika Rosii v nachale tsarstvovania Ekaterini 11. Peterb, 1901

TSERETELI IR. Bospominania o fevralskoi revolutsii. 1-11. PARIS, 1963.

ეროვნული ბიბლიოთეკა




AICHER Dr. La politique européenne en Perse.
BERLIN. 1921.

ARSLAN A. Etudes historique sur le peuple arménienne. PARIS 1928.

ANDLER J. L'impérialisme anglo-saxon. Paris, 1925.

BERTRAND L. (de l'académie Française) Histoire de l'Espagne. Paris, 1952.

BOURGEOIS E. Manuel historique de politique étrangère. t. IV, Paris 1926.

DEBIDOUR A. Histoire diplomatique de l'Europe. 2 vol. 1891, et nouv. éd. 2 vol. Paris. 19[illegible]0

DICTIONNAIRE DIPLOMATIQUE 2 vol. Paris, 1933.

DJUVARA T.G. Cent projets de partage de la Turquie. Paris. 1914.

DRIAULT ED. La questio d'Orient. Paris, 1914.
----"---- ----"---- 1918-1937, Paris 1938.

-----" ----- La politique de Napoleon (orientale) Paris 1898.

FORCADE EG. La conférence de Vienne et la question d'Orient (revue de deux mondes, 15 janv. 185[illegible]. Paris.

LOUIS le GUR. La Georgie et le droit international. Paris, 1933.

GASALES R. de. Des établissements russes dans l'Asie occidentale. (revue de deux mondes 15 juin 1 sep. et 15 sept. 1838. Paris.

HAUSER G. Histoire diplomatique de l'Europe. (1871-1914), 2 vol. Paris, 19[illegible]9

პარლამენტის ბიბლიოთეკა

ISAMBERT G. L'Independance Greque et l'Europe. Paris, 1900.

JAKSCHITCH G. La Russie et la Porte ottoman de 1812-1826. (Document de la chancelerie russe, v. revue historique. t, xci-xciii, 1906-1907).

KLACZKO JUL. Les evolutions du probleme oriental. (revue de deux mondes 15 oct, 1 nov. 1 dec. de 1878) Paris.

LA CHESNAIS. Les peuples de la Transcucasie pendant la guerre et devant la paix, Paris, 1921.

LAMOUCHE Col. Histoire de la Turquie, depuis ses origines jusqu'a nos jours. Paris, 1934.

LESUEUR E. Les Anglais en Perse . PARIS.

LETTRES Inedites demembre de la mission Gardane en Perse, 1807-1809. Paris, 1923.

LANG D. M. Prof. The Last Years of the Georgian Monarchy. NEW YORK, 1957.

-----A ---- A modern History of Georgia. London 1962

-----,,----- The Georgians, London. 1966.

MALCOLM J. Histoire de la Perse. I, II, III. Paris, 1821

MARTIN J. ET BRIQUET P.E, L'U.R.S.S. Geneve. Geneve. 1934.

MALLA J. Mustafa-Kemal et la renovation de la Turquie. Paris. 1929

ეროვნული ბიბლიოთეკა

NIPOLD O. La Georgie du point de vue du droit International. Bern. 1920.

RAYMOND XAVIER. Une annee de guerre et de la diplomatie. (revue de deux mondes, I mai-I juin de 1860) Paris.

TROTSKI L. Histoire de la revolutio Russe. I, II, III, IV, Paris.
---*-- Entre l'imperialisme et revolution. Paris, 1923

VARANDIAN M. Conflict armeno-georgien. Paris 1919.

VALBERT M. La guerre russo-turque en 1828 et en 1877. (revue de deux mondes nov. 1877

V.de MARS. La cour et le cabinet de Berlin dans la question d'orient. (revue de deux mondes I dec. 1854).

ZEIDLER N. Recueil des informations sur le Caucase (en russe) Tiflis, 1875.
ZEIGNOBOS. Histoire de l'Europe contemporaine. I-II, Paris.

D O C U M E N T S

A K T I, Sobrannie Kavkasskoia archeologitcheskoia komisieia. t.I-XI, Tiflis 1866...

BROSSET M. Perepiska Grousinskix tsrei s rousskimi gosoudarimi. Peterbourg.1861.

ეროვნული ბიბლიოთეკა

TS.G.RELI A. Gramoti i droug.ie istoritcheskie docoumen.i XVIII stoleti. otnosi chtche-si- . Grousii. t.I-III,Peterbourg. 1891.

T R . I T E conclu en 1783 entre Catherine II, l'Imperatris de la Russie et Irakli II, roi de Georgie,Geneve,1919.(v.Rec.des Traites russe. vol. .XI et rec. de Martens.t.VII.)

T R . I T E conclu le 7 mai 19 0 entre la rep-ublique democratique de Georgie et la rep.soci.fed.. sov. Russe.. Paris,19 4

D O C U M E N T S : Le peuple geogien contre l'occupation bolcheviste russe.Paris 19

R E P O R T - Presente a la XLX conference de l'union interparlementaire (Stocholm aout 19 1, Paris 19 1.

R . PO R T - Presente au V congres Internationel des Associations de la Societe des Nations,P ris, 19 1.

M E M O R A N D U M - Sur la situation de la rep-ublique georgienne, presente a l'Assemblee de la Societe des Nations tenu a Geneve en sept.19 par le gouvernement georgien.

M E M O I R E - Presente a la conference de la Paix Paris 1919 (par la legation georgienne).

D O C U M E N T S - Presentes par le gouvernement de la republique de Georgie a la premiere assemblee de la Societe des Nations, relatifs a l'admission de la Georgie dans ladite Societe, London, 19 0.

ეროვნული ბიბლიოთეკა

D O C U M E N T S - Rel tifs 1 question de l Georgie devant l Societe des Nations. Pub.. Paris 19 5.

D O C U M E N T S et MATERIELS sur l politique etrangere de la Transcaucasie et de l Georgie, Tiflis, 1919 (en russe)

D O C U M E N T S par M.LEONETTI. L democratie, le socialisme, et l S.des Nations contre la paix. Pompei.. 1937.

R E V O L U T I O N in RUSSIA. As reported by NEW YORK TRIBUNE and NEW YORK HERALD, 1894-19 1. Ed. by Ed.W.Pearlstien-publ. in 1967, NEW-YORK.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ს ა რ ჩ ე ვ ი

## თავი პირველი

## რუსეთის ბატონობა

## ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი

გვ.4-84

1. საქართველოს ანექსია
2. რუსეთის მმართველობა, განათლება, რუსიფიკაცია.
3. ეკლესია.
4. კოლონიზაციის პოლიტიკა.
5. 1905 წლის რევოლუცია.
6. ეროვნული განმანთავ. მოძრაობა

## თავი მეორე

გვ.85-110

## საერთაშორისო მდგომარეობა

1. პირველი მსოფლიო ომი.
2. საქ.შინაური ვითარება ომის დროს.

## თავი მესამე

რუსეთის 1917 წლის რევოლუცია და

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო    გვ.111-190

1 რევოლუცია და რევოლუციონერები.

2. მდგომარეობა კავკასიაში.

3. ამიერ-კავკასიის დროებითი მთავრობა.

4. ტრაპიზონის კონფერენცია.

5. ამიერ კავკასიის დამოუკიდებლობა.

6 ბათუმის კონფერენცია.

7. ამ. კავკასიის რესპუბლიკების დაცემა.

8. საქ. დამოუკიდებლობის გამოცხადება.

## თავი მეოთხე

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს

საერთაშორისო მდგომარეობა    გვ.191-250

1. საქართველო და გერმანია.

2. პირის შებრუნება მოკავშირეებისაკენ.

3. სომეხ-ქართველთა კონფლიქტი.

4. მოკავშირეებთან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

5. საქართველო და თეთრი რუსები.

6. შინაური მდგომარეობა.

7. ვერსალის კონფერენცია.

8. ევროპა სცნობს საქართველოს.

9. საქართველო და ერთა ლიგა.

10. საქართველოს იურიდიული ცნობა

თავი მეხუთე

ბოლშევიკური რუსეთი და
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო გვ.251-302

1. რუსეთ-ოსმალეთი და საქართველო.

2. 7 მაისის 1920 წლის ხელშეკრულება.

3. სამზადისი ომისათვის.

4. ბოლშევიკების შემოსევა.

5. თბილისის დაცემა.

6. საქართველოს დამარცხება.

n 42/1423



ეროვნული ბიბლიოთეკა

## თავი მეექვსე


### საქართველო დაპყრობის შემდეგ   გვ.303-346

1. საქართველოს დაპყრობა და ქართველი კომუნისტები.
2. რუსები და ქართველი კომუნისტები.
3. საქართველოს ანექსია.
4. ტერორი.
5. აჯანყებები.


## თავი მეშვიდე


### საქართველოს საკითხი უცხოეთში   გვ.347-383

1. საქართველო და გენუის კონფერენცია.
2. საქართველოს საკითხი ერთა ლიგაში.
3. რუსეთის გამაგრება საერთაშორისო ურთიერთობაში.
4. რუსეთის მიღება ერთა ლიგაში.

ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

K 298.875
3